საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№35
28 ოქტომბერი – 3 ნოემბერი, 2009

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
გამოდის ორშაბათობით
info@geworld.net


4 ვერშბოუს განცხადება ვაშინგტონის პოზიციას არ ასახავს



## ლიბერალიზმის ტირანია

ბასილ კობახიძე (ეკუმენისტი მღვდელი):
„მიმიფურთხებია ასეთი პრეზიდენტისთვის თავისი ადმინისტრაციით! მიმიფურთხებია ასეთი პატრიარქისა და ქართველი სამღვდელოებისთვის! მიმიფურთხებია ქართული ინტელიგენციისთვის! მიმიფურთხებია ამ ნაცისტი და კონფორმისტი საზოგადოებისთვის!“

მარკესის რომანიდან მოიყვანა პასაჟი, სადაც ერთი ლიბერალი ეკითხება მეორეს:
— ლიბერალობა რა არის?
— რა და, საკუთარ დედასთან დაწოლის უფლება!

4-5

# აქლემი ხარ, პადრე?!



## საქართველოში 300 ათასი ჩინელი ცხოვრობს 7

ჯიმი ჯალიაშვილი: 8
## ვერ გამოვრიცხავ, რომ «ალ-ქაიდას» ჯგუფები საქართველოში გადიან მზადებას

იცხაკ გერბერგი (ისრაელის ელჩი საქართველოში): 9
## ქალბატონი ტალიავინი ჭკვიანი და ინტელიგენტი ქალია, ასე რომ, მცდარ შეფასებას ვერ გააკეთებდა

ჰამლეტ ჭიპაშვილი:
## აფხაზეთისა და ოსეთის დაკარგვით საქართველოს დაშლის პროცესი არ დამთავრებულა 10

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# კოკოს არჩევანი




— დამელოდეთ, ბილეთი დავიბრუნე!

**მას შემდეგ, რაც 9 აპრილიდან მოყოლებული აქციები ოპოზიციის უუნარობისა თუ ხელისუფლებასთან გარიგება-მორიგების გამო პრაქტიკული შედეგის გარეშე დასრულდა, ამ სამარცხვინო პროცესში ოპოზიციის ლიდერთა მხოლოდ იშვიათი გამონაკლისები არ არიან ეჭვმიტანილნი, თუმცა გასვრით მეტ-ნაკლებად ყველა გასვრილია. ე.წ. არასაპარლამენტო ოპოზიციის ბირთვს, ვინც ითავა გაზაფხულის საპროტესტო აქციების წარმართვა, ე.წ. ატკაზნიკები, ანუ ის ხალხი წარმოადგენდა, ვინც ლამის წელიწადნახევრის წინათ დეპუტატის მანდატები საჯაროდ გაანადგურა, რადგანაც სხვა ბევრ ისეთ რამესთან ერთად, რაც ჩვენ არ ვიცით, ერთი რამის იმედი ნამდვილად ჰქონდათ, რაც, თუ არ ვიცით, ვხვდებით — ეგონათ, რომ მიშას ერთი ან ორი, ჰა, ჰა, სამი ხალხმრავალი მიტინგით გააქცევდნენ და რიგგარეშე არჩევნებზე დაჭრილ მანდატებს ერთი ათად დაიბრუნებდნენ.**

არათუ მიშა გადადგა, არამედ მისი და, ზოგადად, ნაცების პოზიციები კი არ შესუსტდა, პირიქით გაძლიერდა, რაშიც მიშას და ნაცების პოპულარობის გაზრდას კი არ ვგულისხმობ მოსახლეობაში, არამედ იმას, რომ ხელისუფლებამ დაინახა — მრავალათასიანი აქციების მიუხედავად, დემოკრატიულმა დასავლეთმა თუ ხმა ამოიღო, მხოლოდ — ოპოზიციის საწინააღმდეგოდ. ამიტომ მიშას, სულ მცირე, 2013 წლამდე არ ემუქრება დასავლეთის მხრიდან ზეწოლა გადადგომასთან მიმართებით.

**მიშას გაძლიერებაში ისიც იგულისხმება, რომ, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, არც არჩევნების გაყალბებას მოერიდებიან და არც სხვა ძალისმიერ მეთოდებს. თუ ეს მწარე რეალობა მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, მაშინ, იქნებ, მითხრას ვინმემ, რა დათმეს ამ ბოლო დროს ნაცებმა, სად, საზოგადოებრივ პოლიტიკური ასპარეზის რომელ სეგმენტში იგრძნობა ცვლილებები — მასმედიაში, სასამართლოში თუ სად?..**

ამ უპერსპექტივობას „ატკაზნიკებიც“ ხედავენ და, დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტის შეთავაზების შემდეგ ბევრი ფიქრობს, როგორ დაიბრუნოს დაკარგული დეპუტატობა ისე, რომ არც მწვადი დაიწვას და არც შამფური, ანუ ისე ჩაესვენონ დეპუტატის სავარძელში, რომ საკუთარი გადაფურთხებულის ალოკვად არ ჩაუთვალონ.

**ამ გზას, როგორც თავად ჰგონია, კოკო გამსახურდიამ მიაგნო. როგორც ამბობენ, ჯონდი ბაღათურიას მედიატორობით დიდხანს მიმდინარეობდა კოკოს მოლაპარაკება ხელისუფლებასთან და საკუთარი ფურთხის ალოკვის, თუ შეიძლება აქ ეს სიტყვა ვიხმაროთ, ალიბი იპოვეს — ბატონი კოკო პარლამენტში იმ კეთილშობილური მიზნით ბრუნდება, რასაც მისი მამისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზის დამდგენ საპარლამენტო კომისიაში მონაწილეობა ჰქვია.**

მოდი გავარჩიოთ, რამდენად მყარია ეს ალიბი? დავიწყოთ იქიდან, რომ, თუ რაიმეს დადგენა, გამოძიება უნდოდა, სულ მცირე, როცა ზვიადის ნეშთი გადმოასვენეს, მაშინ უნდა ჩატარებულიყო ექსპერტიზა, რომელიც იმას მაინც დაადგენდა უეჭველად, მკვლელობა იყო ეს თუ სუიციდი. მაგრამ მაშინ არც კოკომ და, მითუმეტეს, არც ხელისუფლებამ, რომელიც ახლა „თამაშობს“ კომისიობანა-გამომძიებლობანას, ვერაფერი იღონა იმისთვის, რომ ცოტნე გამსახურდიასა და მანანა არჩვაძის კაპრიზებს არ აჰყოლოდნენ და, თუნდაც იძულების წესით, ჩაეტარებინათ ექსპერტიზა.

**მაგრამ — არა, დედა-შვილის შანტაჟით შეშინებულმა ხელისუფლებამ, და არა მხოლოდ მან, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის დუმილის ფონზე არ ჩაატარა ის აუცილებელი ექსპერტიზა. 100 წლის ბებია რომ გარდაგვეცვალოს, პატრულის ძალით მიაქვთ გვამი პროზექტურაში და ვერავინ გაბედა, ეთქვა, რომ ზვიად გამსახურდია სოფლის მასწავლებელი კი არ იყო, ვისზედაც უფლებები მხოლოდ მისი ოჯახის წევრებს ჰქონდათ, არამედ — საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც ისტორიის კუთვნილებაა, სადაც, თუნდაც, ოჯახის წევრების ახირების გამო, თეთრი თუ შავი ლაქები არ უნდა დარჩეს.**

ახლავე მინდა, ვიცოდე და ამიტომ საზოგადოების სახელით ვეკითხები კოკოს და იმ კომისიის სავარაუდო წევრებს — მოსალოდნელია თუ არა ზვიად გამსახურდიას ნეშთის ექსჰუმაცია, რის გარეშეც არანაირი მოწმის დაკითხვას აზრი არ ექნება?

**ისე, ერთი რამ დღესაც ვერ გამიგია — რატომ ასავსავებენ ხელებს პრეზიდენტ გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიის გაგონებაზეც კი? რა, სუიციდამდე მიყვანა მკვლელობაზე ნაკლები დანაშაულია?**

კი, ბატონო, თვითმკვლელობა მიუტევებელი ცოდვაა, მაგრამ ზვიად გამსახურდიას შემთხვევაში, რადგანაც იგი ჩვეულებრივი მოკვდავი არ იყო, არ მგონია, მხოლოდ ამით აპელირება მართებული იყოს. ცოდვის გარდა, თვითმკვლელობა ისეთი აქტია, რის ჩადენასაც დიდი ვაჟკაცობა სჭირდება და ტყუილია ის მოსაზრება, რომ სუიციდს მხოლოდ ლაჩრები სჩადიან.

ზვიად გამსახურდია, რომლის სიცოცხლეშივე მისი ვაჟკაცობის შესახებ არაერთი განმაქიქებელი აზრი მოგვისმენია, თუ ამ ყველასაგან მიტოვებულმა და ნაღალატევმა კაცმა თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე, ეს მხოლოდ აამაღლებს მის პიროვნებას მომავალი თაობების, ისტორიის თვალში!

ეს — ისე, მცირე ლირიკული გადახვევა და ახლა მთავარს დავუბრუნდეთ.

**კოკო გამსახურდია, უბრალოდ, ერთი დეპუტატის შემატება არ იქნება. როგორც ამბობენ, მასზე სამომავლოდ გარკვეულ გათვლებს აკეთებენ, თუნდაც ე.წ. ზვიადისტების არცთუ უმნიშვნელო ნაწილის მიმხრობის კუთხით. იმასაც ამბობენ, რომ ხელისუფლება იზრუნებს მისთვის პარლამენტში ძლიერი ფრაქციის შესაქმნელად და შეიძლება ვიცესპიკერობასაც გამოჰკრას ხელი, აქედან გამომდინარე ყველა სიკეთეებით. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ წელიწადნახევრის „შატალო“ შეიძლება ერთიანად აუნაზღაურონ ხელფასის სახით.**

ერთი სიტყვით, ზვიად გამსახურდია არაფერ შუაშია, თუნდაც, იმიტომ, რომ მისი ნეშთის ხელახალი ექსჰუმაცია გამორიცხულია! ეგეც არ იყოს, რის, რომელი სამართლის დამდგენია ნიკა რურუასა და გიგა ბოკერიას, ზვიად გამსახურდიას დაუძინებელი მტრების პარლამენტი?

**ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა კოკო გამსახურდია გამოჩნდა ქართულ პოლიტიკაში, ჩემთან ინტერვიუში, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა, ზვიადისტობასთან მიმართებაში დასმულ კითხვაზე მიპასუხა — „ჩვენ (მისი პარტია, — ავტ.) არ გვინდა, ვიყოთ მარად გუშინდელნი“.**

კოკო გამსახურდიას საქციელს, რაც უნდა ალიბები ეძებოს, ერთი რამ — საკუთარი გადაფურთხებულის ალოკვა ჰქვია! რითაც იმ უსახურ მასასთან გაიგივდება, რომელსაც ამიერიდან კოკო, გოკა, აკუკი და ა.შ. ერქმევა, რითაც ბატონი კოკო, გუშინდელს ვინლა დაეძებს, გუშინწინდელი გახდა!

**ჰა, რომელი ხართ „ატკაზნიკებიდან“ და შეურიგებლებიდან შემდეგი, რომელს გინდათ კიდევ დეპუტატობა? ვის გინდათ კიდევ მუქთა „ჯიპები“ და კომფორტული კაბინეტები, მუქთა „პაეზტკები“ სტრასბურგსა და ნიუ იორკში? ალიბების ძებნაზე ნუ მოცდებით, რადგანაც მაგას არავინ ჭამს. ყველა ალიბს ერთი ყალიბი აქვს — საკუთარი ფურთხის ალოკვა ან უფრო მოკლედ და კონკრეტულად — ვა-ზე-ლი-ნი!..**

**დავით მხეიძე**

# «ანტიგიურზას» უქონლობას 32 წლის ქალი შეეწირა

**სად იყო ამ დროს სააკაშვილის მიერ ათასგზის „გაპიარებული“ უბნის ექიმი? დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ფიროსმანში სპეციალური შრატის — „ანტიგიურზას“ უქონლობის გამო 32 წლის ნარგიზა ხოზრევანიძე გარდაიცვალა. 32 წლის ქალბატონი გველმა მაშინ დაკბინა, როცა ვენახში ყურძენს კრეფდა.**



**ფიროსმანი საზღვრისპირა სოფელია და რაიონული ცენტრიდან დიდი მანძილით არის დაშორებული. სოფელში საოჯახო მედიცინის ცენტრი ფუნქციონირებს, თუმცა იქ „ანტიგიურზა“, რომელიც გველის დაკბენის შემთხვევაში გამოიყენება, არ აქვთ. ხოზრევანიძე მოგვიანებით დედოფლისწყაროს რაიონულ საავადმყოფოში სასწრაფო სამედიცინო სამსახურის მანქანით გადაიყვანეს. „ანტიგიურზა“ არც სასწრაფო სამედიცინო სამსახურში აღმოჩნდა.**

სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფი ქალბატონი კი იმ დროს გარდაიცვალა, როდესაც კახეთის მედიკოსები „ანტიგიურზას“ შრატს ეძებდნენ.

ეს შრატი შემთხვევით დედოფლისწყაროს საავადმყოფოში აღმოჩნდა და პაციენტსაც გაუკეთდა, სამწუხაროდ, დაგვიანებით.

**საავადმყოფოს დირექტორის, ვანო ნატროშვილის თქმით, ახალგაზრდა ქალბატონს „ანტიგიურზა“ საავადმყოფოში მიყვანისთანავე გაუკეთდა; შემდეგ „კატასტროფის ცენტრი“ გამოიძახეს და ავადმყოფი თბილისში გადაიყვანეს, მაგრამ ის გზაში გარდაიცვალა.**

ნატროშვილმა თავი იმით დაიიმედა, რომ 2009 წელს მათ სამი შემთხვევა ჰქონდათ, როდესაც დაკბენილი პაციენტები დროულად დახმარების აღმოჩენის შედეგად გადაარჩინეს. საერთოდ, რეგიონებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ამ თუ იმ პრეპარატის უქონლობის გამო, ადანიამები იღუპებიან.

**ყველას კარგად ახსოვს პრეზიდენტის პროექტი, რომელიც ჯანდაცის სისტემაში რეფორმებს ითვალისწინებდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ამისთვის სახელმწიფოს არც ფინანსური და არც პროფესიონალური რესურსი არ გააჩნია. მთავრობაში რამდენიმეჯერ დატრიალებული კარუსელის შემდეგაც ჯანდაცვის სისტემას არაფერი ეშველა. სამაგიეროდ ჯანდაცვის სამინისტროს საიტზე სრულად არის ატვირთული იმ რეფორმების ტექსტი, რომლის თუნდაც ნაწილობრივ განხორციელება დღემდე ვერ მოხერხდა.**

საქართველოს პრეზიდენტის დავალებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ქვეყნის სტრატეგიული გეგმის ფარგლებში მომდევნო ოთხი წლისათვის შემუშავდა და საქართველოს მთავრობას წარედგინა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებათა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ჯანდაცვის სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებას, ორგანიზაციული მოწყობის გაუმჯობესებას დაფინანსების მექანიზმების სრულყოფის გზით.

ჯანდაცვის სამინისტროს შემუშავებული (თეორიულად, რა თქმა უნდა) და დეტალურად გაწერილი აქვს ის პუნქტები, რა უნდა გაკეთებულიყო ჯერ კიდევ 2007 წელს. ესენია: ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების სისტემური მოწყობა რაციონალური ფორმის ჯანსაღი ეკონომიკური პრინციპების საფუძველზე; სექტორის მასშტაბით გასატარებელი რეფორმები სამედიცინო მომსახურების ახალი მოდელის ამოქმედებისთვის; და ყველაზე მთავარი, რომლის წარმატებით განხორციელების შემთხვევაშიც 32 წლის ქალბატონი დღეს ცოცხალი იქნებოდა, ეს არის **სამედიცინო დაწესებულებებში მართვის გაუმჯობესების, ხარჯთეფექტურობის ამაღლების, საბაზრო პირობების ჩამოყალიბებისა და ხელშეწყობის მიზნით რეგიონებში პრივატიზაციის დაჩქარება და კონკურენტუნარიანი გარემო.**

შემუშავებულია, მაგრამ დღემდე განუხორციელებელია ამბულატორული მომსახურების გაუმჯობესება, თუმცა ჯანდაცვის სამინისტროს გეგმებზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ფაქტია, რომ ხშირად პრეპარატის დაგვიანებით ან უქონლობით, ექიმთა გულგრილობით ადამიანისათვის ყველაზე მთავარი — სიცოცხლის უფლება — უგულვებელყოფილია.

სოფელ ფიროსმანის მკვიდრნი აცხადებენ, რომ ისინი თავს დაუცველად გრძნობენ. „სოფელში, ძირითადად, ვენახსა და ბაღში მუშაობენ, ამიტომ არავინაა დაზღვეული რომელიმე მცატებელი ცხოველის ან შხამიანი გველის კბენისაგან. გამოდის, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ ვართ განწირული,“ – აცხადებენ სოფელ ფიროსმანის მცხოვრებნი.

ჯანდაცვის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2005 წლიდან ყოველწლიურად იმუშავებს ახალ სამოქმედო გეგმასა და რეფორმების პროექტებს, მაგრამ ისინი დღემდე თაროზე რჩება. სახელმწიფოს მიერ რეფორმების განუხორციელებლობასა და არა ეფექტურ მუშაობას ყოველდღიურად მოქალაქეთა სიცოცხლე ეწირება.

**შორენა გოგოლაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# უძღებ შვილთან განრისხებული მამობილი ჩამოდის






# სააკაშვილმა კაპიტულაციაზე ხელის მოწერით მაკეინს საპრეზიდენტო გეგმები ჩაუშალა

**დასრულდა ამერიკის თავდაცვის მდივნის მოადგილის, ალექსანდრ ვერშბოუს ვიზიტი. უახლოეს დღეებში კი, გავრცელებული ინფორმაციით, რესპუბლიკელი სენატორის, პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის, ჯონ მაკეინის სტუმრობას ველით. ვერშბოუს ვიზიტთან დაკავშირებით ერთი უცნაურობაა თვალში მოსახვედრი: ხელისუფლების მიერ კონტროლირებადმა ელექტრონულმა მედიამ ჩვეულებას უღალატა და, მიუხედავად იმისა, რომ ვერშბოუ ძალიან მაღალი თანამდებობის პირი გახლავთ, მისი სტუმრობიდან რაიმე განსაკუთრებული ამბის შექმნა არ უცდია.**

იყო სამი საკითხი, რომლებსაც სახელისუფლო პროპაგანდა მუდმივად „აწვებოდა“ და რომლებიც ვერშბოუმ მთლიანად გააბათილა. აქ ცოტა იეშმაკა სახელისუფლო მედიამ: მისი განცხადებები ტელეარხებით სულ სხვადასხვა დროს და ცალ-ცალკე გაუშვეს. ამგვარად სცადეს, მათთვის არახელსაყრელი სიმართლე თან გასულიყო, მაგრამ თან მოსახლეობას ვერაფერი გაეგო.

**პირველი:** ხელისუფლების პროპაგანდისტული მანქანა ამტკიცებდა, რომ საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზები იქნება. ვერშბოუმ ეს უარყო. მან ხმამაღლა და კატეგორიულად თქვა, რომ საქართველოში არავითარი ამერიკული სამხედრო ბაზები არ იქნება.

**მეორე:** ამბობდნენ, რომ რაკეტსაწინააღმდეგო ფარი, შესაძლოა, საქართველოშიც განთავსდეს. ვერშბოუმ ნათლად განაცხადა: ანტისარაკეტო სისტემები ნატოს საზღვრებს გარეთ არ განთავსდება. ჩვენ კი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ნატოს წევრები არ ვართ. ჩვენგან განსხვავებით, უკრაინის პრეზიდენტი უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა და წინასწარ განაცხადა, არავითარი ანტისარაკეტო სისტემების უკრაინაში განთავსება არ გვინდაო, თუმცა ისიც თქვეს, ამერიკელებს არც შემოუთავაზებიათო. აქ კიდევ, როგორც ყოველთვის, პრიმიტიული პროპაგანდა იძახდა, ჩვენთან განთავსდებაო.

**მესამე:** ამბობდნენ, შეთანხმება გვაქვს, გუანტანამოდან ტერორისტები უნდა გადმოვიყვანოთო. ამასთან დაკავშირებითაც, ვერშბოუმ ერთმნიშვნელოვნად თქვა: არავითარი მოლაპარაკებები მაგ თემასთან დაკავშირებით არ მიდის. გახსოვთ, როგორ და რას გვატყუებდა ვაშაძე? ასე გამოააშკარავა ვერშბოუმ ჩვენი ხელისუფლების სამი პროპაგანდისტული ტყუილი და, როგორ ფიქრობთ, ტელევიზიები ამ ვიზიტს სერიოზულად გააშუქებდნენ?

ამერიკას ახლა სერიოზული პრობლემები აქვს ავღანეთში. **ვერშბოუ კი იმისთვის იყო ჩამოსული, რომ საჯარისო კონტინგენტის გაგზავნა შეეთანხმებინა. ავღანეთში ჯარების გაგზავნა აღარც ევროპას უნდა, აღარც თვითონ ამერიკაში ახსოვთ ვიეტნამი. სწორედ ამის შესათანხმებლად იყო კაცი ჩამოსული; უნდოდა, გაერკვია, როგორ მიდის ჩვენი ჯარისკაცების მომზადება სასაკლაოებზე გასაგზავნად იმ სტანდარტების შესაბამისად, რომელიც მათ ერაყსა და ავღანეთში სჭირდებათ.**

რაც შეეხება მაკეინის ჩამოსვლას, აქ არის ერთი დეტალი, რომელსაც რატომღაც ყურადღებას არავინ აქცევს. მაკეინი შეიძლება ამერიკის პრეზიდენტი ყოფილიყო. ხოლო იმაში, რომ ის პრეზიდენტი ვერ გახდა, სწორედ სააკაშვილია დამნაშავე იმით, რაც მან აგვისტოში ჩაიდინა.

გავიხსენოთ ბუშის ის ცნობილი სიტყვები, რომლებიც სარკოზიმ გაახმიანა — **„არ ჩაერიო, რუსებმა თბილისი უნდა აიღონო“...**

**ბუშს იმიტომაც არ უნდოდა ჩარევა, რომ, რუსები თუ თბილისს აიღებდნენ, პრეზიდენტი მაკეინი გახდებოდა, რადგან ობამა მუდმივად მშვიდობაზე ლაპარაკობდა და ამ ფაქტით დამტკიცდებოდა, რომ მაკეინის მიდგომა უფრო სწორი იყო, ანუ ომის პარტია და მისი ლიდერი გაიმარჯვებდა. სააკაშვილმა კი დაიწყო ავანტიურა და მერე შეშინებულმა ათ აგვისტოს ხელი მოაწერა კაპიტულაციაზე. ამით მაკეინს საპრეზიდენტო გეგმები ჩაუშალა. წარმოიდგინეთ, როგორ ხასიათზე იქნება მაკეინი და რა დამოკიდებულება ექნება მას სააკაშვილის მიმართ.**

მაკეინი ერთ-ერთი ყველაზე უფრო „წონიანი“ სენატორია და ედვარდ კენედის გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ის სხვა პარტიაში იყო, ამჟამად სენატში ყველაზე გავლენიანად ითვლება... **მაგრამ ისიცაა, რომ ნეოკონსერვატორებს უკვე დაეკარგათ ძველი გავლენა; განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც კონგრესში ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის — დიკ ჩეინის მიმართ გამოძიება დაიწყო, რომელიც ჯორჯ ბუშ უმცროსის პრეზიდენტობის დროს დე ფაქტო ქვეყნის მმართველი იყო და კონგრესთან შეუთანხმებელ ბევრ ოპერაციას ატარებდა.** თუმცა მაკეინს მაინც საკმაო გავლენა აქვს შერჩენილი და ძალიან დაბოღმილია სააკაშვილზე.

**„ვარდების რევოლუციის“ წინ ბევრი მაღალი რანგის სტუმარი ჩამოდიოდა. ცხადია, მაშინაც მოლაპარაკებები მხოლოდ კულუარებში მიმდინარეობდა და არ ვიცოდით, კონკრეტულად რაზე საუბრობდნენ შევარდნაძესთან, მაგრამ ბოლოს ვნახეთ შედეგი — „ვარდების რევოლუცია“.**

**სააკაშვილი მაკეინის აღმოჩენაა. მან წარუდგინა იგი ბუშს და დაარწმუნა, ეს ვარსკვლავთბიჭუნააო. მოკლედ, მისი მენტორი მაკეინია და სწორედ მას წააგებინა სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნები.**

თუმცა მაკეინის ვიზიტიდან მალე, უახლოეს დღეებში, რაიმე განსაკუთრებულს არ ველოდები — რაც უნდა უმტკიცოს და ელაპარაკოს მაკეინმა, ამერიკაში წამოდიო, სააკაშვილი არ წაჰყვება, თავის გრძელ ფეხებს ჯიუტად გაფშიკავს!

**გახსოვთ, შარშან, დეკემბერში, ბუშმა თქვა, ტეხასში პოლიტოლოგიის ინსტიტუტს გავხსნიო და სააკაშვილს და ტონი ბლერს ლექციების წაკითხვა შესთავაზა. იფიქრა კაცმა, ჩემი ფავორიტი იყო და სიკეთეს გავუკეთებო. არადა, უმუშევარმა ტონი ბლერმა, როგორც ჩანს, უკვე ევროკავშირის პრეზიდენტობას გამოჰკრა ხელი და ეს აღარ აინტერესებს. მაგრამ ჩვენს მიშიკოს რა აინტერესებს, პერსონალური თვითმფრინავის გარდა, რომლითაც იტალიაში ფეხბურთის ჩემპიონატის ფინალს დაესწრება? მერე რა, რომ მას არც ერთი იტალიელი მაღალი თანამდებობის პირი არ შეხვდება?**

ის ამას უკვე შეეჩვია! იქნებ, ახლა მაკეინმა გამოიგონოს რაიმე თანამდებობა მისთვის და ჰააგას გადაარჩინოს?!... ჩაუვარდათ პროექტი „სააკაშვილი“ ნეოკონებს და აღარ იციან, რა ქნან; მაგრამ, თუ კი მოჰკიდებენ მას ყურში ხელს და წაიყვანენ, ჩვენ ამერიკელების მიმართ უდიდესი პატივისცემით განვეწყობოდით!

ღმერთმა ქნას, მიხვდნენ და ამ ჩვენს ბედოვლათს სასწრაფოდ ვადამდელი არჩევნების ჩატარება მოსთხოვონ. **თუ გახსოვთ, ზაფხულში ჯო ბაიდენმაც თქვა, საქართველოში დღეს არსებული პარლამენტი ღირსი არ არის, დემოკრატიულ პარლამენტად იწოდებოდეს, ვინაიდან ის, პრაქტიკულად, ერთპარტიულიაო. ეს კი პირდაპირი მინიშნება იყო ვადამდელ არჩევნებზე.**

**მაგრამ უცხოელ ჩინოვნიკთა აზრი რაში გვჭირდება. ეს ჩვენმა პატრიარქმაც, უწმინდესმა და უნეტარესმა, 28 მაისს საჯაროდ დააფიქსირა, რომ საქართველოს ვადამდელი არჩევნები აუცილებლად სჭირდება!**

**და ვინ არის ვიღაც სააკაშვილი, რომ ამას ეურჩება!!!**

**რამაზ კლიმიაშვილი**

# მიშიკო ბენ სააკადენ

**90-იანი წლების შუა პერიოდიდან საქართველო ჩრდილო კავკასიაში მოქმედი რუსეთის ტერორისტებისთვის ზურგის ბაზის ფუნქციას ასრულებდა.**

მათი იარაღით, ასაფეთქებელი ნივთიერებებითა და მედიკამენტებით მომარაგება, ძირითადად, საქართველოს გავლით ხდებოდა. აქ მდებარეობდა სასწავლო ბანაკები და დასასვენებელი ბაზები, აქ გადიოდნენ მკურნალობის კურსს დაჭრილები. ეს თანამშრომლობა იმდენად შორს მიდიოდა, რომ ქართველი სამხედრო მოსამსახურეები უშუალოდ მონაწილეობდნენ ბანდიტების გადაყვანაში. მაგალითად, 2001 წელს რუსლან გელაევის აფხაზეთზე თავდასხმამდე მისი ბოევიკები კოდორის ხეობაში საქართველოს შინაგანი ჯარის მანქანებით გადაიყვანეს. ბანდიდან დარჩენილების ევაკუირება აფხაზეთიდან ქართულმა სამხედრო ვერტმფრენებმა მოახდინეს. დაჭრილ გელაევს ოპერაცია ქართველმა სამხედრო ექიმებმა გაუკეთეს. არის მონაცემები იმის შესახებაც, რომ ჩეჩნეთის პირველი კამპანიისას ქართული ვერტმფრენები ამბოხებულთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე დაფრინავდნენ. პანკისის ხეობა ტერორისტების, ქართული და უცხოური სპეცსამსახურების ერთობლივი მცდელობით ნამდვილ ბანდიტურ ანკლავს დაემსგავსა თავისი დანგრეული ინფრასტრუქტურით. მაგრამ ეს იმდენად თვალნათელი იყო, რომ ბოლოს და ბოლოს ქართულ ხელისუფლებას სერიოზული ზეწოლის ქვეშ მოუხდა ხეობის ტერორისტებისაგან „გასუფთავება“ ან „გასუფთავების“ იმიტირება. რამდენიმე წლის განმავლობაში სიმშვიდე იყო, მაგრამ, როგორც გაირკვა, საქართველოს ხელისუფლება კვლავ დაუბრუნდა ძველს და თავისი ქვეყნის ტერიტორია კვლავ ტერორისტების ბუდედ აქცია. 13 ოქტომბერს მოსკოვში ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის სხდომაზე უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორმა ალექსანდრე ბორტნიკოვმა სააკაშვილის რეჟიმის საერთაშორისო ტერორიზმთან თანამშრომლობის უტყუარი ფაქტები წარმოადგინა. მისი განცხადებით, „ბოევიკებთან აღმოჩენილი აუდიოანგარიშები ადასტურებს, რომ მათ „ალ-ქაიდას“ ემისრებთან ერთად კავშირი ჰქონდათ საქართველოს სპეცსამსახურებთან, რომელთა მონაწილეობითაც მოხდა ტერორისტების მომზადება და ჩეჩნეთში გადაგზავნა. გარდა ამისა, მათი მხრიდან მუდმივად ხდებოდა იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და ფინანსური სახსრების მიწოდების მცდელობა დაღესტნის მაღალი საშიშროების ობიექტებზე, უპირველესად, ნავთობ და გაზსადენებზე დივერსიის მოსაწყობად“. ასე რომ, საქართველო თანამშრომლობს „ალ-ქაიდასთან“, რომელსაც თითქოსდა ებრძვის ნატოცა და მთელი დასავლეთიც. ნუთუ საქართველოს ხელისუფლება, რომელიც არა მხოლოდ იკვებება ვაშინგტონისა და თელავივის ხელიდან, არამედ მკაცრადაც კონტროლირდება ამერიკისა და ისრაელის სპეცსამსახურების მიერ, საიდუმლო კავშირებს აბამს მათ უმთავრეს მტერთან? ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ანუ ეს თანამშრომლობა სანქცირებულია სააკაშვილის პატრონების მიერ, რაც, თავის მხრივ, ქვას ქვაზე არ ტოვებს აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მთელი „ანტიტერორისტული მითოლოგიისაგან“, ვინაიდან დამაჯერებლად მიანიშნებს, რომ „ალ-ქაიდა“ და დასავლეთი მტრები კი არა, დელიკატურად რომ ითქვას, პარტნიორები არიან. სხვათა შორის, ჩრდილო კავკასიაში ტერორისტების გააქტიურება, პრაქტიკულად, ყველა ანტისახელმწიფოებრივი რადიკალური ოპოზიციური ძალის, რელიგიური ექსტრემისტების, სეპარატისტებისა და ანტირუსული მედიის გააქტიურებასთან სინქრონულად ხდება. ამ საოცარ დამთხვევას კი ძალიან მარტივი ახსნა აქვს — ამ ბატონების მომსახურების საფასური ერთი ჯიბიდან მიდის. რაც შეეხება საქართველოს, სააკაშვილის რეჟიმმა ყველა დანაშაულს საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობაც დაუმატა, ეს კი მომავალში მის მიერ ქვეყნის მართვის საკითხს აყენებს, ქვეყნისა, რომელიც მისი ძალისხმევის შედეგად გარშემომყოფთათვის საფრთხის წყაროდ იქცა.

**სერგეი სპირიდონოვი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო



## ვერშბოუს განცხადება ვაშინგტონის პოზიციას არ ასახავს

**ცალკეული ამერიკელი პოლიტიკოსების განცხადებები არ ემთხვევა ვაშინგტონის იმ პოზიციას, რომელსაც ის რუსულ მხარესთან პირდაპირი კონტაქტისას ახმოვანებს, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ანდრეი ნესტერენკომ აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილის — ალექსანდრე ვერშბოუს განცხადების კომენტირებისას.**

საუბარია ვერშბოუს განცხადებაზე, რომლის თანახმადაც ვაშინგტონი მზადაა, ხელი შეუწყოს ნატოში საქართველოს გაწევრებას.

„ასეთი განცხადებები მართლაც გაისმა. ჩვენ გავითვალისწინეთ ისინი, მაგრამ ვთვლით, რომ ცალკეული განცხადებები არ ემთხვევა აშშ-ის ადმინისტრაციის პოზიციის იმ განმარტებებს, რომლებიც ქალბატონ ჰილარი კლინტონისაგან მოვისმინეთ“, — ბრძანა ნესტერენკომ მოსკოვში გამართულ ბრიფინგზე. მისი თქმით, რუსეთში სურთ, იმედი იქონიონ, რომ იმას, რასაც პირისპირ ამბობენ, უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭება მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობების განვითარებისთვის.

## ევროკავშირი ტალიავინის კომისიის დასკვნას მხედველობაში მიიღებს

**ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის — შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კარლ ბილდტის განცხადებით, ევროკავშირი მხედველობაში მიიღებს ევროკავშირის საქართველო-რუსეთის ომის მიზეზების შემსწავლელი კომისიის დასკვნას.**

ეს განცხადება ბილდტმა ლუქსემბურგში საქართველო-ევროკავშირის საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა. ამ სხდომას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ესწრებოდა. ბილდტის აზრით, დასკვნის გამოსატანად, დაინტერესებულმა მხარეებმა ტალიავინის კომისიის დასკვნა სრულად უნდა წაიკითხონ. „საქმე გვაქვს დასკვნის სელექციური წაკითხვის აშკარა მცდელობებთან“, — აღნიშნა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ბასილ კობახიძე:

# მიმიფურთხებია ასეთი

## აქლემი ხარ, პადრე?!



**ის ხალხი, ვინც საპატრიარქოსთან, მის უწმინდესობა საქართველოს პატრიარქთან მიმართებაში აგორებულ სკანდალში ლიბერალური დემოკრატიის ნიღაბაფარებული ცდილობს, რომ ყველაფერი, რაც მოხდა, ერთ კერძო შემთხვევად წარმოაჩინოს და არა მთელი პოსტრევოლუციური წლების ტენდენციად, როგორც ეს სინამდვილეშია, გასაჩერებელია.**
**ბუდარიხა თუთბერიძის პირით გაახმიანეს თავიანთი ბნელი აზრები და ანტიეკლესიური ტენდენციების მიზანმიმართულ კამპანიაში გადაზრდა სცადეს, და არცთუ წარუმატებლად, თორემ თეა თუთბერიძეს, როგორც იტყვიან, თავის გაჭირვება ეყოფა; ამიტომ შეძლებისდაგვარად შევეცდები, აღარ ვისაუბრო ამ ტუტუც გოგოზე.**

**„მიმიფურთხებია ასეთი პრეზიდენტისთვის თავისი ადმინისტრაციით! მიმიფურთხებია ასეთი პატრიარქისა და ქართველი სამღვდელოებისთვის! მიმიფურთხებია ქართული ინტელიგენციისთვის! მიმიფურთხებია ფუნდამენტალისტი და შოვინისტი სტუდენტებისთვის და, აგრეთვე, ნორმალური სტუდენტებისთვისაც, რადგან არასოდეს იღებენ ხმას! მიმიფურთხებია ამ ნაცისტი და კონფორმისტი საზოგადოებისთვის!“**

**ბასილ კობახიძე**

წინამდებარე წერილის მიზანია, სააშკარაოზე გამოვიყვანო სოროსის სახედარზე ამხედრებული ის ვაჟბატონები და, უკაცრავად, ქალბატონები, რომლებიც შეფარვით თუ აშკარად ლიბერალური ლათაიებით ცდილობენ ამ ყველაფრისგან უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფლებისა და საქართველოში ყველაფერი ანტიქართულის, ანტიმართლმადიდებლურის, ყველა ბოროტების სათავე „თავისუფლების ინსტიტუტის“ გამიჯვნას.

### ვინ აღარ ჩართეს ამ წინასწარი მარცხისთვის განწირულ პროცესში, პრეზიდენტის მეხოტბე „მრჩეველი“ გოგი გაჩეჩილაძით დაწყებული, მისი პროტეჟე დოდონა კიზირიათი დამთავრებული.

ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ **ნანა ლეჟავას სკანდალურ „კვირის რეპორტაჟამდე“ დიდი ხნით ადრე თქვენმა მონამორჩილმა წერილით — „გემის კაპიტანმა უნდა იცოდეს, სად არის კლდეები, რომ არ შეეხეთქოს“, როცა ამის შესახებ, შეიძლება ითქვას, ქართულ მედიაში პრაქტიკულად ჩამიჩუმიც არ ისმოდა, 14 ოქტომბრის „საქართველო და მსოფლიომ“ ერთ-ერთმა პირველმა შემოჰკრა განგაშის ზარებს, მაგრამ ხელისუფლება-ოპოზიციაში, სამწუხაროდ, საზოგადოებაშიც, პრაქტიკულად, ყური არავინ შეიბერტყა!**

ნანა ლეჟავას რეპორტაჟის განვითარება იმავე ტელევიზიის შოუში მოხდა, სადაც ვიხილეთ და ვისმინეთ პირველი „ლიბერალურ-დემოკრატიული“ ლათაიები, **სადაც პირველობა არავის დაუთმო „ადამიანის უფლებათა დამცველმა“, ყოფილი ომბუდსმენის — სოზარ სუბარის ყოფილმა მოადგილე ბექა მინდიაშვილმა, რაშიც მას არც თუ უშედეგოდ ეცილებოდა, მგონი, რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციის უფლებადამცველი ქალბატონი ნინო თუ ნანა დანელია.**

ბექა მინდიაშვილის სისულელეების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ მისი პათოსის შესახებ მოგახსენებთ — ის, რაც მოხდა, უწყინარი სიტყვის თავისუფლების, კიდევ უფრო უწყინარი ე. წ. აზრის გამოხატვის თავისუფლება იყო და, ვინც შეურაცხყოფილად გრძნობთ თავს, სასამართლოში იჩივლეთო!

**ერთადერთი, ვინც იმ საღამოს ხმალამოღებული იცავდა მხოლოდ პატრიარქს კი არა, ელემენტარულ, კაცურ პოზიციას, ეს გია იაკობაშვილი იყო — ვინმემ დედა რომ შეგაგინოს, პატრულს უნდა გამოუძახო? ეს იკითხა, რაზეც ყველა ნამდვილი მამაკაცისთვის პასუხი ცალსახაა, მაგრამ არა მინდიაშვილის მსგავსი კაცუნებისთვის!**

ბოლოს, როდესაც სუბარის „ბივში პადელნიკმა“ ლიბერალობაზე საუბრით თავი წაგვჭამა, ისეთი პასუხი მიიღო გია იაკობაშვილისგან, ლამის ტელეეკრანს ვაკოცე.

### მან მარკესის ერთი რომანიდან მოიყვანა პასაჟი, სადაც ერთი ლიბერალი ეკითხება მეორეს: — ლიბერალობა რა არის? — რა და საკუთარ დედასთან დაწოლის უფლება!

ჩემი აზრით, შეუძლებელი მგონია უფრო ზუსტად და შემზარავად იმის შეფასება, რაც თეა-ბუდარიხამ ჩაიდინა — ბარაქალა, შენს გამზრდელს, ჩემო უცნობო მეგობარო, გია იაკობაშვილო!!!

იმ „ბარიერის“ შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, საზოგადოებას გამოფხიზლების ნიშნები დაეტყო. გაზეთებში თუ ტელესივრცეში გაჩნდა ინტელიგენციის წარმომადგენელთა აღშფოთებული კომენტარები და, რაც მთავარია, სტუდენტმა ახალგაზრდობამ ამოიღო დიდი ხნის წინათ დადუმებული ხმა — თბილისის უნივერსიტეტის ეზოში შეიკრიბნენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების თვითმმართველობის წევრები, რომელთაც დაგმეს პატრიარქის, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ კეკლუცა თეას უგვანო გამოხდომები და რუსთაველის გავლით საპროტესტო მსვლელობა მოაწყეს გრიბოედოვის ქუჩაზე, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ოფისთან.

**ასევე, ცნობილი გახდა, რომ სტუდენტები 1 ნოემბერს მასობრივი აქციით მსვლელობის გამართვას აპირებენ, რაც სამების ტაძრის ირგვლივ ცოცხალი ჯაჭვის შემორტყმით უნდა დასრულდეს.**

ხელისუფლება, რომელიც აქამდე აკვირდებოდა და არ ელოდა მოვლენების განვითარების ასეთ სცენარს, აშკარად შეფუცხუნდა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაც გაცხადდა, რაც სულაც არ ნიშნავს პრეზიდენტის განცხადებას, როგორც ეს ზოგიერთებს სურთ, წარმოაჩინონ. **განცხადებაში „ლაითად“ იყო დაგმობილი (ოღონდ ყოველგვარი პერსონიფიცირების გარეშე, მითუმეტეს, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხსენებით???) პატრიარქის შეურაცხყოფა.**

### რაც შეეხება პრეზიდენტს, როგორც არაერთხელ გვინახავს, ახლაც „ჩაუხტა გელათს პატრიარქს“ და მისი უწმინდესობის გვერდით აიტუზა, რითაც, ალბათ, იმის მინიშნება უნდოდა აღშფოთებული საზოგადოებრივი აზრისთვის, რომ ის არაფერ შუაშია და რომ მიშას პატრიარქზე ამოსდის მზე და მთვარე.

მიუხედავად ყველაფრისა, იქედნეს ნაშობი თუთბერიძე არ დაოკდა, თუ ვერ დააოკეს — 22 ოქტომბერს „დონავიზიის“ ეთერში მთელი დღე და ღამე ტრიალებდა ხლისტების გომბიოს მორიგი უტიფართავხედური ინტერვიუ, რაც, შეიძლება, ორი მიზეზით აიხსნას: პირველი — ვიღაცამ „იქ“ ჩათვალა, რომ არ ეგების უკან დახევა და ბოლომდე „აწვებოდნენ პირველ ჩვენებას“; მეორე — შეიძლება „იქ“ უკვე გადაწყვიტეს თეა თუთბერიძის გაწირვა!

სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

23 ოქტომბერს კი კინოს სახლში გაიმართა ინტელიგენციის შეხვედრა. შეხვედრაზე ელიზბარ ჯაველიძემ არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც პატრიარქი მოსკოვს უნდა წასულიყო რუსე-

# პრეზიდენტისთვის!

თის პატრიარქის ინტრონიზაციაზე დასასწრებად, ეს რომ არ დაეშვათ, იგი მოწამლეს და მისი უწმინდესობა 10 საათის განმავლობაში უგონოდ იყო!

ნიშანდობლივი იყო რამაზ კლიმიაშვილის სიტყვა. როგორც მან გვაუწყა, 6 ნოემბერს ქალაქ ბაქოში უნდა გაიმართოს სრულიად კავკასიის მუსლიმანთა შეიხის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება, შეიხის, რომელმაც ჩვენს პატრიარქს კავკასიის სულიერი მამა უწოდა და ამ იუბილეზე ილია II ყოფილა მიწვეული, სადაც, სავარაუდოდ, სხვა მნიშვნელოვანი შეხვედრებიც შეიძლება მოეწყოს რუსეთის პატრიარქთან და არც ისაა გამორიცხული, რომ რუსეთის პრეზიდენტიც ჩავიდეს ბაქოში. აქედან გამომდინარე, ჩვენი ხელისუფლება ყოველნაირად ეცდება, ილია II არ წავიდეს ბაქოს, — ბრძანა რამაზ კლიმიაშვილმა.

ზემოთ ხსენებული შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, რომ, სად იყო და სად არა, სცენაზე პრეზიდენტის „მრჩეველი“, ლიტერატორი გოგი გაჩეჩილაძე გამობრძანდა და, როგორც იტყვიან, დაიწყო მარა, რა დაიწყო...

ამ პატივცემულმა გვამმა ყველაფრის თავდაყირა დაყენება სცადა პათოსით — საიდან მოიტანეთ, რომ მართლმადიდებლობაა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ქვაკუთხედი, ქვაკუთხედიც და ქვეყნის დედაბოძიც მიშა სააკაშვილიაო!

**დედა რომ შვილს არ აიყვანს, ალბათ, იმაზეა ნათქვამი, რაც ამის შემდეგ იქ დატრიალდა. ელიზბარ ჯაველიძე ახლოს რომ ყოფილიყო, ალბათ, ხელსაც შემოჰკრავდა. „უკონტროლო“ რეზო ამაშუკელი აღარ იყო დარბაზში, თორემ, იქნებ, არც ეს ასცდენოდა ცნობილ ლიტერატორს, რომელსაც საბოლოოდ საკადრისი პასუხი მიკროფონით გასცა გოგი ქავთარაძემ.**

მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ? ამ „კინოს“ მეორე და მთავარი სერია იმავე საღამოს „ბარიერში“ გაგრძელდა თითქმის იმავე მონაწილეებით.

ერთ მხარეს სააკაშვილის „მძიმე არტილერია“: ილია ჭავჭავაძის (იგივე გიგი თევზაძის, თეა თუთბერიძის, — ავტ.) უნივერსიტეტიდან ფსიქოლოგი, ვინმე დავით ამირეჯიბი (აფსუს, რა გვარს აფუჭებს!.. — ავტ.), **გოგი გაჩეჩილაძე და მისი კოლეგა, დიდი ხნის პროტეჟე, გაამერიკელებულ-გაფემინისტებული, ერთ დროს ქართველად დაბადებული ქალბატონი დოდონა კიზირია და მეორე მხარეს კინოს სახლის შეხვედრის ორგანიზატორი მალხაზ გულაშვილი; ფსიქოლოგი ქალბატონი, რომლის სახელიც არ მახსოვს, და ერთ დროს სოციალისტი ნანა დევდარიანი ისხდნენ. თოქშოუს დაწვრილებით გადმოცემის არც ადგილია და არც სურვილი, ამიტომ მხოლოდ ძირითად მომენტებზე შევჩერდები...**

როგორც მოსალოდნელი იყო, გოგი გაჩეჩილაძემ პრეზიდენტის მიმართ დითირამბებით დაიწყო, ხოლო, ზოგადად, განხილვის მთავარმა თემამ მონაწილეთა მწვავე დაპირისპირება გამოიწვია.

## საბჭოთა ეკლესია — ასეთი რამ პირველად გავიგე. სწორედ ასე გაშიფრა ჭავჭავაძის უნივერსიტეტის, ხლისტების მთავარი ბუნაგის ფსიქოლოგმა დათო ამირეჯიბმა საქართველოს დღევანდელი ეკლესიის არსი.

აშკარად ამპარტავან პოზაში მჯდომმა ამერიკელმა დოდონა კიზირიამ — აღა მაჰმად ხანს არ მოუტანია იმდენი უბედურება, რამდენიც — ედუარდ შევარდნაძესო!

არც სურვილი მაქვს და არც გამოვდგები შევარდნაძის დამცველად, უბრალოდ, ვიტყვი, „ბარიერის“ მონაწილეთაგან ვინ ვინ არის და საზოგადოებამ, მკითხველმა განსაჯოს.

**ეს ის დოდონა კიზირიაა, რომელმაც იმ საღამოს აღიარა: — 40 წელიწადია, ამერიკაში ვცხოვრობ, მაგრამ საბჭოთა მენტალიტეტიდან ბოლომდე დღესაც ვერ გამოვსულვარ!..**

თუმცა იგივე დრო სავსებით საკმარისი ყოფილა იმისთვის, რომ ქართველობიდან სრულიად დაცლილიყო. **ამ 10-15 წლის წინათ ქალბატონმა დოდონამ ამერიკაში იმისთვის მოიცალა, რომ დიდი ილიას „ოთარაანთ ქვრივი“ განაქიქა (და ეს რბილად ნათქვამია). ილიას შემოქმედების ამ ერთ-ერთი საეტაპო ნიმუშის კრიტიკანობისას ამ გაამერიკელებულმა ქალბატონმა ოთარაანთ ქვრივი ლამის, როგორც რუსები იტყვიან, „ყეკყუთოტნრ რზთქრჩენნძლ“ ქალად წარმოგვიჩინა, რაც, თავის მხრივ, ყოფილა ამ ქალის, ერთი შეხედვით, უკმეხობა-უხეშობის მიზეზი.**

**ერთი სიტყვით, ამ, უკაცრავად და, ლიტერატორმა, საკუთარი ფემინისტური სამრეკლოდან ძირს დასცა და ტალახში ათრია ოთარაანთ ქვრივის როგორც ქართველი დედაკაცის ხატება, რაშიც პავლე ინგოროყვა არა მხოლოდ ოჯახის, ქმარშვილის ერთგულ შეწირულ ქალს, არამედ საქართველოს ხედავდა.**

ისე, ამ ბოლომდე ემანსიპირებულ-ამერიკანიზებულ ქალბატონს, ოთარაანთ ქვრივს რომ აბრალებს, თავად ხომ არ აწუხებს ჰორმონალური უკმარისობა?

თავად დიდი ილიას ნააზრევი დედაკაცობის ტრადიციული ინსტიტუტის მიმართ საყოველთაოდ ცნობილია. ქართველ ვაჟკაცთა უქარქაშო ხმლებთან ერთად, იმაში, რომ საქართველომ, ავად თუ კარგად, დღემდე მოაღწია, დედაკაცებს, ოთარაანთ ქვრივებს, მეტი თუ არა, ნაკლები წვლილი არ მიუძღვით.

**დოდონა კიზირიას მიერ ჩაგდებული თესლი „ნოყიერ ნიადაგში“ აღმოჩნდა და მას ლაშა ბუღაძის, ზურაბ ჭიაბერაშვილის, ზაზა ბურჭულაძისა და სხვათა სახით ღირსეული მემკვიდრეები დაეზარდნენ; პირველი ჩვენს წმიდა მეფე თამარს შეეჭრა საძინებელში, მეორემ ქართვლის დედას ხმლის მაგივრად ხელში ფალოსი დააჭერინა და მესამემ იმის შესახებ დაწერა მოთხრობა, თუ როგორ შევიდა ტუალეტში და დედის სითბოშერჩენილმა უნიტაზმა როგორი ერექცია დამართა.**

ჩემი ასაკისა და ჩემზე უფროს თაობას ემახსოვრება დიდი ქართველი პოეტის შოთა ნიშნიანიძის ლექსი, შემდგომ ამღერებელი: „აი, ასეთი, მხოლოდ ასეთი, მწამს კომუნისტი“... ასეთი კონიუნქტურული ლექსები თუ სხვა რამეები, უკლებლივ ყველა დიდ ქართველ მწერალსა თუ პოეტს დაუწერია, მაგრამ ამით მათ შემოქმედებას არაფერი დაჰკლებია.

**აი, რაც შეეხება ასეთი ნაწარმოებების რეცენზიებს, ამას, როგორც წესი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, სულმდაბალი კარიერისტები სჩადიოდნენ. სწორედ ამ ლექსზე გამოაცხო გოგი ბატონმა არა რეცენზია, რომ იტყვიან, ცაში აიყვანა ის ლექსი. ეს იმის პასუხადაც, მალხაზ გულაშვილს რომ უთხრა — ჩემს ნაწერებში სოცრეალიზმს ვერსად იპოვიო.**

გასულ აგვისტოს, სოფლად ყოფნისას, გოგი გაჩეჩილაძის რადიოინტერვიუს ვუსმენდი, სადაც პრეზიდენტის „მრჩეველმა“ ბრძანა, რომ შარშან აგვისტოში სააკაშვილმა ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო!!! **მერე რა, რომ დე ფაქტოსთან ერთად დე იურეც დავკარგეთ ახალი ტერიტორიები, მერე რა, რომ ასობით ბიჭი შევაწყვიტეთ რუსებს; მერე რა, რომ ათასობით ახალი დევნილი გაჩნდა; მერე რა, რომ მერე რა?.. მთავარი ის არის, რომ შარშანდელი ომით არა თუ გაყინული კონფლიქტები გაალღო, ცეცხლი მოუკიდა მიშამ ამ კონფლიქტებს, რის გამოც საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და ეს ყოფილა მთავარი!!!**

ამაზე უფრო ძვირფასი მარგალიტები მიმოაბნია მიშას „მრჩეველმა“ იმ საღამოს — დღეს მოხდა საქართველოს პრობლემის დეტერიტორიზაცია, ანუ ჩვენზე საქართველოს გარეთ საუბრობენო.

**ერთი სიტყვით, ის, რომ უჩვენოდ სხვები წყვეტენ საქართველოს ბედს, რაც ყველა ნორმალური ადამიანისთვის არანორმალურია, ბატონი გოგისთვის სატაშფანდუროა. ამიტომ ვსვამდი ზემოთ სიტყვა მრჩეველს ბრჭყალებში —**

## ეს კაცი ტრაბახობს, რომ საქართველოს ყველა პრეზიდენტის მრჩეველი ვიყავიო, რითაც ნორმალური ადამიანი იყელყელავებდა კი არა, დამალავდა, რადგან, როგორც ჩანს, წინა ორი პრეზიდენტი ამ მრჩევლის რჩევებს დაუღუპავს და მიშას ოპოზიციის კი არა, გოგია გაჩეჩილაძის რჩევების უნდა ეშინოდეს.

რაც შეეხება ხლისტების ნასხლეტ დათო ამირეჯიბს, მან თეა თუთბერიძის „მართლმადიდებელი კრიმინალებისგან“ დაცვა მოითხოვა. ჰა, როგორი პროვოკაციული დეფინიციაა? რა უნდა უპასუხოს კაცმა ამ პროვოკატორს? ჯერ ერთი, ვის რაში სჭირდება ბუდარიხას ქეციანი თავი? ეგეც არ იყოს, ჯარი ამათ ხელშია და პოლიცია. ჰოდა, დაუნიშნონ დაცვა, ბატონო, და ახლოს ნუ მიაკარებენ „მართლმადიდებელ კრიმინალებს!“

ისე, ცნობისათვის, ინტერნეტში არა მხოლოდ მუქარის მესიჯები მიდის, დამცველებიც გამოუჩნდნენ თეას. ფორუმზე გაჩნდა ვასილ კობახიძის განცხადება. ეს ის ეკუმენისტი ვაჟბატონია, რომელმაც ჯერ კიდევ 2004 წელს დააპირა ჩვენი ეკლესიის შიგნიდან აფეთქება. მაშინ მისი უწმინდესობის პრესცენტრის ხელმძღვანელი გამოვიდა ეკლესიაში ე. წ. დემოკრატიული რეფორმების გატარების მოთხოვნით, რასაც მხარი დაუჭირა „თავისუფლების ინსტიტუტმა“ და სწორედ მაშინ განაცხადა თეა თუთბერიძემ — „კმარას“ საპატრიარქოს კედელზე მივაწერო!

ახლა კი ზემოთ ხსენებულ განცხადებაში განაქიქებს რა პოსტულატს იმის შესახებ, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოება ქართული სახელმწიფოსთვის გამაერთიანებელ ძალას და იდეოლოგიურ საყრდენს წარმოადგენს, საქართველოს მართლმადიდებელ ირანს უწოდებს ეს ანტიქრისტე და ბოლოს აქლემივით იფურთხება. თუ არა და, თავად განსაჯეთ ამ ციტატებიდან:

**„მიმიფურთხებია ასეთი პრეზიდენტისთვის (ყასიდად პრეზიდენტის ფურთხებით იწყებს, — ავტ.) თავისი ადმინისტრაციით!“**

**„მიმიფურთხებია ასეთი პატრიარქისა და ქართველი სამღვდელოებისთვის!“**

**„მიმიფურთხებია ასეთი პარლამენტარებისა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისთვის!“**

**„მიმიფურთხებია ქართული ინტელიგენციისთვის!“**

**„მიმიფურთხებია I არხისთვის!“**

**„მიმიფურთხებია „თავისუფლების ინსტიტუტის“ ქამელეონი წევრებისთვის!“**

**„მიმიფურთხებია ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ცინიკოსი და კარიერისტი „ინტელექტუალებისთვის!“**

**„მიმიფურთხებია ფუნდამენტალისტი და შოვინისტი სტუდენტებისთვის და, აგრეთვე, ნორმალური სტუდენტებისთვისაც, რადგან არასოდეს იღებენ ხმას!“**

**„მიმიფურთხებია პირველი ნოემბრის „ლოცვითი მსვლელობის“ ფაშისტებისთვის!“**

**„მიმიფურთხებია ამ ნაცისტი და კონფორმისტი საზოგადოებისთვის!“**

ამის შემდეგ ეს დუჟმორეული ეკუმენისტი აქლემი ბუდარიხა თუთბერიძეს მიმართავს, მე დაგიცავ და, საერთოდ, სადაც წახვალ, თან გაგყვებიო. ორივეს ჯანდაბამდე გქონიათ გზა!!!

თუ ვინმეს ამბორს აპირებს ეს აქლემი, ალბათ, ნინია კაკაბაძისას, ვინც წინა სტატიებში ჩემი „გრუზინ-გურჯობიდან“ გამომდინარე, დავინდე და არ ვახსენე, რადგან ვიზუალურად ეს მშვენიერი ქალი, დიდი ჭაბუა ამირეჯიბის დისშვილია, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი!

თუმცა, როგორც ჩანს, ნინიას მკრეხელობის გარდა, რომელმაც პროვოკაციულად განაცხადა — ღმერთზე რომ გაგვეკეთებინა იგივე კლიპები, მაშინ რას იზამდითო?

**მიდით, გააკეთეთ შენ და თეამ და ვნახოთ, რას იზამს საზოგადოება! უფრო სერიოზულად კი, ნინიას ის ეყოფა ამქვეყნიურ სასჯელსირცხვილად, რომ თეა ბუდარიხასთან ასოცირდება. დანარჩენი უფალმა მოჰკითხოს.**

როგორც ნახეთ, ჩემო მკითხველო, მხოლოდ ერთ ტუტუც გოგოში არ ყოფილა საქმე. ამ ბუდარიხას არცთუ ცოტა ფარული და აშკარა მომხრე ჰყავს.

## ათეისტი ის ადამიანია, ვისაც ღმერთი არ სწამს, მაგრამ, როგორც წესი, არც სხვის სალოცავებს აგინებს. მოაკელით ამ სიტყვას ერთი ასო და მივიღებთ „თეისტს“, რომელთა მიზანი ყველაფერი წმინდას, საკრალურის განქიქებაა.

**ვნახოთ, რა იქნება ხვალ. ბოლომდე თანმიმდევრული იქნება ჩვენი საზოგადოება თუ, როგორც ხშირად ყოფილა და ქართველთ წესია, უცებ გადაგვივლის აღშფოთება?**

**ისევ სტუდენტი ახალგაზრდობის იმედი მაქვს, რომელმაც, თუ გაიღვიძა, წინ ვერაფერი დაუდგება!..**

**დავით მხეიძე**



## ავღანეთში აშშ მოქალაქეები დაიღუპნენ

**ამ დღეებში ავღანეთში აშშ-ის 14 მოქალაქე დაიღუპა.**

ქვეყნის დასავლეთში, სადაც ბოევიკების წინააღმდეგ ოპერაცია ტარდებოდა, ჩამოვარდა ვერტმფრენი, რომელიც საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა. შედეგად დაიღუპა აშშ-ის 7 სამხედრო მოსამსახურე და ამერიკული სამოქალაქო მისიის სამი თანამშრომელი; 20-ზე მეტმა ადამიანმა, მათ შორის ავღანელებმაც, სხეულის დაზიანებები მიიღო.

ამასთან, ავღანეთის სამხრეთით ორი ვერტმფრენის შეჯახების შედეგად 4 ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა, ორი კი დაშავდა.

## ლეგენდარული კალაშნიკოვის შემცვლელი შექმნილია

**გაისად კონცერნი „იჟმაში“ წარმოადგენს ახალ ავტომატს, რომელიც მიხეილ კალაშნიკოვის ლეგენდარულ AK-47-ს შეცვლის.**

ამის შესახებ ლეგენდარული კონსტრუქტორის 90-წლისთავისადმი მიძღვნილ „მრგვალ მაგიდაზე“ საწარმოს გენერალურმა დირექტორმა ვლადიმერ გროდეცკიმ განაცხადა. მისი თქმით, ახალი იარაღი თავისი მახასიათებლებით 40-50%-ით აღემატება წინა თაობას.

AK-47 უკვე თითქმის 60 წლისაა და მსოფლიოს 55-ზე მეტი ქვეყნის შეიარაღებაშია მიღებული. მსოფლიოში სულ 75 მილიონი ერთეულია გამოშვებული, მათგან 40 მილიონი — რუსეთში. ამ ხნის მანძილზე ის არა მხოლოდ ლეგენდა, არამედ სასროლი კომპლექსების მთელი ოჯახის დამფუძნებლადაც იქცა. სულ 100-ზე მეტი სახეობის ასეთი კომპლექსი არსებობს. ყველა მათგანი უნიფიცირებულია, მუშაობის იდენტური პრინციპი და ავტომატიკის საერთო სქემა აქვს, ეს კი ამარტივებს ჯარისკაცებისთვის სწავლების პროცესს და, როგორც სპეციალისტები ამბობენ, იარაღს „რემონტირებადს“ ხდის — ერთის ნაწილები მეორისთვისაც გამოსადეგია. თანამედროვე AK-47 (და მისი ყველა მოდიფიკაცია) მხოლოდ ავტომატი კი არა, მსოფლიოში ყველაზე ეფექტური და საიმედო მთელი კომპლექსია. მაგრამ მისი დრო მაინც დამთავრდა, ეს წარსულის იარაღია, მასიური და ცუდად გაწვრთნილი ჯარების იარაღი. დღეს ყველა მებრძოლი ინდივიდუალურია და „კალაშნიკოვის“ შემცვლელებიც შექმნილია, როგორიცაა ავტომატი AH-94 და ავტომატი AEK-971. ისინი „კალაშნიკოვზე“ 40-50%-ით უკეთესია. სწორედ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება მოუწევს AK სერიის ახალ იარაღს, რომელიც მომავალ წელს გაივლის გამოცდას.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# Кто он такой, этот потерпевший?!

(ფრაზა ფილმიდან «მიმინო»)

**პარლამენტის ზოგიერთი წევრი საქართველოს მოსახლეობისთვის აბსოლუტურად უცნობია. მართალია, ოჯახის წევრებს ეამაყებათ დეპუტატი შვილი, მამა, ქმარი და, განსაკუთრებით, სიძე, მაგრამ, მხოლოდ მათი გულის გასახარად ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯვა რამდენად მიზანშეწონილია?**
**ამ შეკითხვაზე დადებით პასუხს ვერავისგან მიიღებთ.**
**ეს ხალხისთვის უცნობი „რჩეულები“ არამარტო პარლამენტარის იმუნიტეტს იფარებენ, არამედ, მას შემდეგ, რაც „მოსახლეობის ინტერესების დაცვას“ მოილევენ, ექსდეპუტატის პრივილეგიებსაც შეირგებენ. უკვე ახლა, რაც მეექვსე მოწვევის პარლამენტს ვკვებავთ, იმდენი უცნობი მოქმედი თუ ექსპარლამენტარი გვყავს, სულაც არ გაიკვირვებ, ვინმემ თავი „ხალხის რჩეულად“ რომ შემოგვასაღოს. კი ვიკითხავთ, „Кто он такой, этот потерпевший?!“ მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარია, ხალხი ფიქრობდეს, რომ მასზე ვიღაც ზრუნავს.**
**ეს ზრუნვა კი ხშირად (და უმეტეს შემთხვევაში) უმოქმედობით გამოიხატება.**
**ესეც საქმეა — არაფერს აკეთებენ, მაგრამ, სამაგიეროდ, არც აშავებენ.**
**„საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ ახალ რუბრიკას. ამიერიდან ჩვენ გაგაცნობთ თქვენს რჩეულებს. ისინი ერთობ მოკრძალებული ადამიანები არიან და ძნელად თუ აალაპარაკებთ.**


კადრი ფილმიდან „მიმინო“


მირზა დავითაია

**საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტში 117 „ნაციონალი“ დეპუტატია. 68 — მაჟორიტარი და 49 — პროპორციული წესით არჩეული. 150 მანდატიდან ეს საკმაოდ შთამბეჭდავი ციფრია, მაგრამ, თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ ამ დეპუტატების 80 პროცენტი საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში მხოლოდ ადგილების შესავსებად და პულტზე თითის დასაჭერად დადის, ბევრს არაფერს ნიშნავს.**
**გივი თარგამაძე, დავით ბაქრაძე, პეტრე ცისკარიშვილი, გოკა გაბაშვილი, მიშა მაჭავარიანი, ნუგზარ წიკლაური, აკაკი მინაშვილი და კიდევ ერთი-ორი თითზე ჩამოსათვლელი კანონმდებელნი არიან, რომლებიც საპარლამენტო სესიებზე აქტიურობით გამოირჩევიან, კანონ-პროექტების მიღებაში უშუალოდ მონაწილეობენ, „შინაურ თუ გარეულ“ ოპონენტებს ოპონირებას უწევენ და მასმედიისთვის ნებისმიერ საკითხზე კომენტარს აკეთებენ.**

დანარჩენი დეპუტატები, რომლებიც „ნაც-მოძრაობის“ სინდის-ნამუსს წარმოადგენენ, თითქმის არ ჩანან ფართო საზოგადოების წინაშე და აქტიურ პოლიტიკაში არ არიან ჩართულნი, პოლიტიკოსებად კი იწოდებიან; ისინი თავს არ იწუხებენ სხდომათა დარბაზში მიკროფონთან „ბრწყინვალე აზრების ფრქვევითა“ და არც ჟურნალისტთა კამერების წინ პოზირებით. შეიძლება ითქვას, 117 დეპუტატის მოვალეობას 17 ასრულებს და დანარჩენ 100-ს ერთადერთი მისია — ქვორუმის შევსება აკისრია. ალბათ, სწორედ ამ მიზეზთა გამო საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მათ არ იცნობს. არ იციან, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებსაც „ნაც-მოძრაობის“ მამამთავრებმა პარლამენტში ყოფნის „საპატიო“ მანდატი, კანონ-პროექტებისა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება ანდეს. საზოგადოების დიდ ნაწილს ამ დეპუტატების სახელი და გვარი ყურმოკვრითაც კი არ გაუგიათ.

**მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ვინმემ ცილისწამებასა და „ნაციონალების“ ღირსების შელახვაში რომ არ დაგვდოს ბრალი, გადავწყვიტეთ, მცირე ექსპერიმენტი მოგვეწყო. გაგვერკვია, ხომ არ ვცდებით და ხომ არ გვჭირს ისეთი სიბეცე და სიყრუე, რომ ფართო საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ დეპუტატებს ვერც კი ვამჩნევთ.**

გადავხედეთ რა ფრაქციის — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — სიას და იქ წარმოდგენილი დეპუტატების მწირ და მშრალ ბიოგრაფიულ მონაცემებს, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენის კავალერმა, 34 წლის მირზა დავითაიამ. მას ეს ჯილდო 2007 წელს მიუღია, როდესაც ის ჯერ კიდევ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს რეგიონული დეპარტამენტის დირექტორი და მინისტრის მოადგილე ყოფილა. თუმცა „ბიოგრაფებს“ ყურადღების მიღმა დარჩენიათ, რა დამსახურებისთვის მიანიჭეს მას ეს საპატიო ორდენი.

ბატონ მირზას ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი და, როგორც მმართველი გუნდის წევრების უმრავლესობას, განათლება ევროპაში აქვს მიღებული. ის ნიურნბერგის სამხატვრო აკადემიაში ფერწერას დაეუფლა, ხოლო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობა შეისწავლა.

სამართალმცოდნე ფერმწერი სხვადასხვა დროს მუშაობდა ბერლინში „Cartoon-Film“-ში მხატვარ მულტიპლიკატორად, ჰამბურგში „Penta-TV“-ში — დამდგმელ მხატვრად, ნიურნბერგში „intermeien“-ში — დამდგმელ მხატვარ-დიზაინერად. 2008 წლიდან მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრია, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის წევრი.

თუ პარლამენტის საიტზე გამოქვეყნებულ მონაცემებს დავეყრდნობით, ბატონ მირზას არასაპატიო მიზეზით არასოდეს გაუცდენია კომიტეტის სხდომა და მით უმეტეს სესია.

გულდასმით შევისწავლეთ რა ახალგაზრდა პოლიტიკოსის მოკლე ბიოგრაფიული შტრიხები, ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს მივმართეთ კითხვით, იციან თუ არა, ვინ არის მირზა დავითაია.

**ნუკრი ქანთარია, რეჟისორი:**

**— ბატონო ნუკრი, მაინტერესებს, იცით თუ არა, ვინ არის მირზა დავითაია?**

— კარგი პოეტი მირზა გელოვანი ვიცი, მაგრამ მირზა დავითაია — არა; ვერ ვიხსენებ, რას წარმოადგენს და, იქნებ, შემახსენოთ.

**— მირზა დავითაია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიითაა პარლამენტის წევრი.**

— სამწუხაროდ, არ ვიცი.

**— ის ხალხის მიერ არჩეული დეპუტატია და როგორ ფიქრობთ, რატომ არ იცნობს მას საკუთარი ამომრჩეველი?**

— იმიტომ, რომ საპრეზიდენტო პოსტებს უპასუხისმგებლო ადამიანები იკავებენ და, საერთოდაც, უპასუხისმგებლო ხელისუფლება გვყავს, რომელმაც ადამიანის და ხალხის ფასი არ იცის.

**გელა ნიკოლეიშვილი, ადვოკატი:**

**— ბატონო გელა, იცით თუ არა, ვინ არის მირზა დავითაია?**

— ვერ ვიხსენებ.

**— ის პარლამენტარია და, ალბათ, უმრავლესობის ერთადერთი წევრი არ არის, რომელსაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი არ იცნობს. თქვენი აზრით, რატომ?**

— სამწუხაროდ, საქართველოში არჩევნების ისეთი ფორმაა, რომელიც ლიდერზე და პარტიაზეა ორიენტირებული და არა — პროგრამაზე. მოსახლეობა ირჩევს კონკრეტულ ლიდერს და არ იცნობს საარჩევნო სიის დანარჩენ წევრებს.

**— გასაგებია, რომ საზოგადოება მათ არ იცნობდა არჩევნებამდე, მაგრამ პარლამენტში მოსვლის შემდეგ ამ ადამიანებს ხომ უნდა გასჩენოდათ სურვილი, გაეცნო მოსახლეობას?**

— საბჭოთა პერიოდში, გორბაჩოვის პარლამენტის დროს, დამკვიდრდა ტერმინი: „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა“. დღეს სწორედ ასეთი აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა გვყავს. მათ არ ევალებათ კონკრეტულ საკითხებსა და კანონ-პროექტებზე საკუთარი აზრის დაფიქსირება, პულტზე თითი მორჩილად უნდა დააჭირონ და, საჭიროების შემთხვევაში, ოპონენტების მიმართ იყვნენ აგრესიულები. ისინი ამ როლს ფაქტიურად ასრულებენ, არც კითხულობენ კანონ-პროექტს, ისე აჭერენ პულტზე თითს და ოპონენტების მიმართ განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევიან. ეს მდგომარეობა მოსწონთ კიდეც, იმყოფებიან რა კომფორტულ პირობებში, აქვთ კარგი ხელფასი, სარგებლობენ შეღავათებით და დადიან საზღვარგარეთ.

**რეზო მიშველაძე, მწერალი:**

**— ბატონო რეზო, იცით თუ არა, ვინ არის მირზა დავითაია?**

— არა.

**— ის პარლამენტის წევრია...**

— ჩემდა სამწუხაროდ, არ ვიცნობ მის მიღწევებს ქართულ პოლიტიკაში, კანონ-შემოქმედებაში და ეკონომიურ-პოლიტიკურ საქმიანობაში, მაგრამ მირზა დავითაია გამონაკლისი რომ არ იქნება, ესეც ვიცი. მირზა დავითაიას მსგავსია დღეს საქართველოს პარლამენტარების 80 პროცენტი.

**— ბატონო რეზო, რატომაა ისეთი ტენდენცია, რომ პარლამენტარების 80 პროცენტს ვერ ცნობს საზოგადოება?**

— ბოლო პარლამენტის ეს ტენდენცია, საბედნიეროდ, ჯერ ტრადიციად არაა ქცეული, რადგან დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში ჩატარებული წინა არჩევნებისას ყოველთვის სახელოვან ადამიანებს ეძებდნენ; კარგ სპეციალისტებს, პოლიტიკოსებს, იურისტებს, ეკონომისტებს და, ბუნებრივია, იმ ადამიანებს, ვისაც ერის ჭირისუფლად მოაქვს თავი. ხოლო ერის ჭირისუფლად, უპირველეს ყოვლისა, ხელოვანსა და მწერალს მოაქვს თავი. ამიტომ დიდი სისულელე იყო ზოგიერთი პოლიტიკოსის მიერ ნათქვამი — მწერლებს პარლამენტში რა უნდათო. აბა, გაიხსენოს საქართველომ, გურამ შარაძემ, ელიზბარ ჯაველიძემ და რეზო მიშველაძემ პარლამენტში ყოფნის დროს თუ არ დაამახსოვრეს ჩვენ ხალხს თავი, სწორედ, ეროვნულ სატკივარზე წამდაუწუმ საუბრით. ვარდების რევოლუციის შემდეგ რაკი უარი თქვეს უფროს თაობაზე, ნაჩქარევად ჩამოწერეს დილეტანტების სია. შერჩევის მთავარი კრიტერიუმი საზღვარგარეთ კოლეჯის დამთავრება ან რომელიმე უნივერსიტეტში დაუსწრებლად მიღებული განათლება იყო. სასაცილოა, რომ ვინც კი, თუნდაც, ორწლიანი კურსები დაამთავრა საზღვარგარეთ, ყველა დოქტორს ეძახის თავის თავს. სასწრაფოდ ჩამოიყვანეს ეს ე. წ. დოქტორები, აქციეს საქართველოს სატკივრის მცოდნე სპეციალისტებად და შერეკეს პარლამენტში. დღევანდელი საკანონმდელო ორგანო ფაქტიურად ერთპარტიული პარლამენტია, ქვევრია, რომელსაც რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს.

**ნათია ქადაგიშვილი**

**P.S. მაშ ასე, მირზა დავითაია ერთ-ერთი იმ პარლამენტართაგანია, რომელსაც შეიძლება ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი ვერ ცნობდნენ, ისე უჩუმრად და შეუმჩნევლად გადის მისი საკანონმდებლო ორგანოში ყოფნის არც თუ ისე ხანგრძლივი ოთხი წელიწადი. იმედია, ჩვენი წერილის შემდეგ მისი სახელი და გვარი ზოგს პოეტ მირზა გელოვანს არ გაახსენებს, ზოგს კი — მის მოგვარე ვიცე-სპიკერ პაატა დავითაიას.**

# რივერდანსელების კრახი

## კონცერტზე მისული პოლიტელიტა იმედგაცრუებული დარჩა

**თბილისის მერია თბილისობამდე ორი თვით ადრე ირწმუნებოდა, რომ დედაქალაქში საიუბილეო — 30-ე თბილისობა მოკრძალებულად და ნაკლები პომპეზურობით ჩაივლიდა. მათი პროგნოზი გამართლდა, ერთი გამონაკლისის გარდა.**
**თბილისობამდე ორი კვირით ადრე ქართული ტელეარხების მიერ სხვადასხვა ეფექტის მქონე სარეკლამო რგოლები ვრცელდებოდა, რომ „რივერდანსის“ მოცეკვავეები ნამდვილ ცეცხლოვან შოუს შესთავაზებდნენ თბილისელ მაყურებელს, მაგრამ ადგილზე მისულებმა ცეცხლი კი არა, ნაპერწკალიც ვერ ვნახეთ.**



კულტურის სამინისტროს კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორის, დავით ოქიტაშვილის აზრით, რივერდანსელებმა მაინც მოახერხეს თბილისელი მაყურებლის მოხიბვლა, თუმცა ოქიტაშვილი აღიარებს, რომ ქვეყანაში, სადაც სუხიშვილები ცეკვავენ, რთულია, მაყურებელს თავი მოაწონო.

**„ჩვენ ჩამოვიყვანეთ „რივერდანსის“ მოცეკვავეთა ანსამბლის მხოლოდ ბირთვი. რა თქმა უნდა, ეფექტურია, როდესაც 100 კაცი ერთად ცეკვავს, ამიტომაც საზოგადოების ერთი ნაწილის გულგატეხილობას ამით ავხსნი. თუმცა იმასაც ვაღიარებ, რომ რთულია, ქვეყანაში, სადაც სუხიშვილები, „ერისიონი“ ცეკვავენ, მაყურებელს თავი მოაწონო. რაც შეეხება თანხებს, რომელიც თქვენ განსაკუთრებულად გაინტერესებთ, ამის თქმის უფლება არ მაქვს, რადგან ეს ინფორმაცია საჯარო არაა. ამიტომ ნამდვილად ვერ გეტყვით, თუ რა თანხა დაიხარჯა ამ კონცერტზე. მე რომ ეს გითხრათ, „რივერდანსის“ მოცეკვავეებს დაიჭერენ; უფრო სწორად, კი არ დაიჭერენ, დააჭერინებენ,“** — განაცხადა ოქიტაშვილმა.

თუმცა მაყურებელთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ჩათვალეს, რომ მოცეკვავეთა რაოდენობა არაფერ შუაშია და საქმე არაპროფესიონალიზმს ეხება.

**„რივერდანსის“ კონცერტზე ნამყოფი ვარ და მგონია, რომ ამ კონცერტის პროგრამა სინამდვილეში სულ რაღაც 2 ნომრისგან შედგება, დანარჩე-** ►

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# საქართველოში 300 ათასი ჩინელი ცხოვრობს

**საქართველოში ამჟამად 300 ათასი ჩინელი ცხოვრობს. შესაძლოა, ეს ინფორმაცია არადამაჯერებელი იყოს საზოგადოებისთვის, რადგან ყოველ ნაბიჯზე ჩინელები აღარ სხედან ქუჩაში, მაგრამ ახლა გაცილებით კომფორტულ პირობებში უწევთ მუშაობა. ხელისუფლებაც მათ მაქსიმალურად სასათბურე პირობებს უქმნის.**

## ჩინელებმა ქუჩის ბაზრობებიდან «ლილო სითიში» გადაინაცვლეს

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჩინელი მოვაჭრეების უმეტესობა დიდუბის სავაჭრო ცენტრსა და ლილო სითიშია დაკავებული.

ჩვენ განათლების სამინისტროსგან მოვითხოვეთ ინფორმაცია სკოლაში ჩინელი ბავშვების არსებობის შესახებ, თუმცა მათგან პასუხი ვერ მივიღეთ. სამაგიეროდ, გამოცდებისა და შეფასებების ეროვნულ ცენტრში განგვიცხადეს, რომ ამ დროისთვის მათ ჩინელი სტუდენტები არ ჰყავთ. ეს დაიმედების საშუალებას სულაც არ გვაძლევს, ვინაიდან რამდენიმე წელიწადში ჩინელი ბავშვი, რომელიც საქართველოში დაიბადება და გაიზრდება, ჩააბარებს უმაღლეს სასწავლებელში და მერე ის საქართველოდან წამსვლელიც აღარ იქნება. რამდენიმე თვის წინათ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სამშობიარო საავადმყოფოებიდან მოსული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, თბილისში ყოველი მეათე ახალშობილი ჩინელია. თუმცა ამის დადასტურება ვერ მოვახერხეთ, ვინაიდან სტატისტიკის დეპარტამენტში სატელეფონო ზარს ქრონიკულად არავინ პასუხობს.

ჩვენ ჯანდაცვის სფეროსთან დაკავშირებით სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკის სამართველოს უფროსს, პაატა შავიშვილს მივმართეთ. ორი კვირა საკმარისი დრო იყო იმისთვის, რომ შავიშვილს პასუხი დაებრუნებინა, მაგრამ დღემდე ჩვენს მაილზე არანაირი პასუხი არ მოსულა.

სტატისტიკის დეპარტამენტის არაეფექტიანი მუშაობის მიუხედავად, შევძელით, გაგვერკვია, თუ რამდენი ჩინელი ცხოვრობს დღეს საქართველოში და რა საქმიანობით არიან დაკავებულნი.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს უფროსმა პაატა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ ქვეყანაში ბოლო პერიოდში ჩინელების მოზღვავება შეიმჩნეოდა, თუმცა ახლა ასე აღარ არის.

როგორც პაპუაშვილი აცხადებს, დღეისთვის დაახლოებით 300 ათასი ჩინელი იმყოფება საქართველოში, რომელთა უმრავლესობაც, უმეტესად, რესტორნებსა და ბარებშია დასაქმებული, თუმცა მათ ძირითად საქმიანობად დღემდე მაინც მაღაზიები და სავაჭრო ბიზნესი რჩება.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს ციფრი შეშფოთების საფუძველს არ აძლევს და აცხადებს, რომ ჩინელები კანონმორჩილი ხალხია; „მათ კარგად იციან სამოქალაქო წესები, ამიტომ მათი მხრიდან არანაირი კანონდარღვევა არ შეინიშნება," — აცხადებს პაპუაშვილი. ეს კი საშუალებას აძლევს საქართველოს მთავრობას, ჩინელებს საქართველოს კარი გაუხსნას.

ყველას გვახსოვს, ორი წლის წინათ თბილისში ჩინელების რა ბუმი იყო. მათ კომერციული ფართების 60-70% აითვისეს, ქართველები პანიკაში ჩაცვივდნენ, ხელისუფლება კი უხვ შემოსავალს იღებდა ყოველთვიურად.



სად წავიდნენ ჩინელები? ფაქტია, რომ ქუჩაში ყოველ ნაბიჯზე აღარ გხვდებიან. ესეც ერთგვარი ტაქტიკაა, თვალს მიეფარნენ და ნელ-ნელა ეპატრონებიან ჩვენს ქონებას. საქართველოში ჩინელების ბიზნესს უკავშირდება სკანდალი, რომელიც ჩინელებისთვის 80 ჰექტარი ტყის მიყიდვას ითვალისწინებდა.

რამდენადაც ცნობილია, მაშინ კახა ბენდუქიძის ეს პროექტი, გაესხვისებინა ტყე უვადოდ ჩინელებზე, მაშინდელმა ეკონომიკის მინისტრმა ლაშა ჟვანიამ ჩაშალა.

სწორედ ლაშა ჟვანიას მინისტრობის დროს გაუქმდა ტყეების გრძელვადიანი ლიცენზირება და, თუკი ჩინელებზე გასხვისდებოდა 80 ჰექტარი ტყის ფართობი, მაშინ ეს უკვე კანონდარღვევად ჩაითვლებოდა.

ხშირად ჩინელთა საქართველოში ყოფნა სხვადასხვა ინტერნეტსაიტზე მსჯელობისა და დებატების საბაბი ხდება. ფორუმებიდან ირკვევა, რომ საზოგადოებისთვის მიუღებელია მასობრივი შემოდინება ჩინელებისა, რომლებიც აქ ისე კომფორტულად გრძნობენ თავს, რომ წასვლაზე არც კი ფიქრობენ.

მით უფრო შემაშფოთებელია ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მათი დიასპორის არსებობას ასახავს. საქართველოს მსგავსად, პატარა ქვეყნისთვის მათი დიასპორის არსებობა საქართველოში, ფაქტობრივად, კატასტროფის ტოლფასია.

ყველაზე დიდი ჩინური დიასპორებია მალაიზიაში (95.2 მლნ), ინდონეზიაში (5.2 მლნ), სინგაპურში (2.0 მლნ), ვიეტნამში (1.0 მლნ) და რუსეთში (5 მლნ). თუ ამ სტატისტიკას გადავხედავთ, კმაყოფილი ნამდვილად ვერ დავრჩებით, ვინაიდან, თუ ჩინელთა შემოსვლა ქვეყანაში ისეთივე ტემპით გაგრძელდა, როგორიც დღეს არის, დაახლოებით 2010 წლისთვის საქართველოში ქართველზე მეტი ჩინელი იქნება.

**ლიზა ბენდელიანი**

# ფილარმონიაში





**◀ ნი ყველაფერი არის 2 ნომრის „შეფუთვა"; რაც შეეხება დღევანდელ შემადგენლობას, ვფიქრობ, სუსტია. არ ვიცი, პირველხარისხოვანი, მეორეხარისხოვანი მოცეკვავეები არიან თუ არა, მაგრამ ჩვენ პრეტენზიული მაყურელი ვართ. იმდენად მაღალი დონის ცეკვა გვაქვს, რომ ამ მხრივ პრეტენზიულები ვართ. მე სხავაგანაც მინახავს „რივერდანსის" შოუ, ამიტომ მგონია იგი ერთფეროვანი, ძირითადი აქცენტი გადატანილია ფეხზე, რიტმზე, სხვა დანარჩენი — ტაშტების კვრა და ცოცხები — არის შეფუთვა,"** — განაცხადა ჩვენთან საუბრისას მომღერალმა გიორგი უშიკიშვილმა.

თუმცა რივერდანსელების ცეკვის სისუსტე და არაპროფესიონალიზმი არ გამოჰპარვია არც რიგით მაყურებელს, რომელიც არ არის ხელოვანი და ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მხოლოდ სიამოვნების მისაღებად მივიდა.

**„მე პიარისთვის არ მომისმენია, როგორ იყო ეს რეკლამირებული, მაგრამ ფაქტია, რომ იმედები ვერ გაამართლეს. ალბათ, ჩვენი საზოგადოება ძალიან მაღალი და დახვეწილი გემოვნებისაა, მუსიკით და ცეკვით ქართველების გაკვირვება ძნელია. ამიტომ უნდა ყოფილიყო უმაღლესი სტანდარტის ესთეტიკა, მაგრამ პირდაფჩენილი და გაკვირვებული დავრჩი,"** — აღნიშნავს სინანულით ბიზნესმენი ლევან ვასაძე.

რივერდანსის კონცერტზე საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა მოიყარეს თავი.

აუდიტორია პოლიტელიტის, ბიზნესსექტორის წარმომადგენლებისა და ხელოვანებისგან შედგებოდა, რომლებიც ყურადღებით ადევნებდნენ თვალს საკონცერტო მსვლელობას, იმედგაცრუება ყველას სახეზე ალბეჭდოდა. ხათუნა გოგორიშვილს აზრიც კი არ გაუჩნდა და მთხოვა, სხვისი მოსაზრება ჩამეწერა. ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდა თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით სიხარულიძე.

**„რა შთაბეჭდილება უნდა გითხრათ? ვერ გავაკეთებ კომენტარს!"** — გაგვიბრაზდა სიხარულიძე, თითქოს შთაბეჭდილებისთვის კი არ იყო წარმოდგენაზე მისული.

მიუხედავად კრიტიკისა, მაყურებელი მოცეკვავეთა თითოეული ნომრის დასრულებას აპლოდისმენტებით ხვდებოდა, რაც, ალბათ, უფრო ქართული სტუმარმასპინძლობის დამსახურება უფრო იყო. მომავლისთვის, ალბათ, კულტურის სამინისტრო დაფიქრდება იმაზე, ბევრი ქართული ანსამბლი ფინანსების უქონლობის გამო რომ იხურება და თვეობით ხელფასის მომლოდინე სოლისტები სტუდიებს ტოვებენ.

ამის დროს კი ვმართავთ კონცერტებს, ვიწვევთ მოცეკვავეებს, რომელთაც სცენაზე ცოცხების ფრიალში სოლიდურ თანხას ვუხდით.

**ლიზა ბენდელიანი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

ჯიმი ჯალიაშვილი:

# ვერ გამოვრიცხავ, რომ «ალ-ქაიდას» ჯგუფები საქართველოში გადიან მზადებას

**ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ გვესაუბრება პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯიმი ჯალიაშვილი.**



**— ბატონო ჯიმი, უპირველესად, „ნაცმოძრაობის“ თავკაცთა მისამართით გაჟღერებულ ბოლოდროინდელ განცხადებებზე გკითხავთ: რამდენიმე დღის წინათ რუსეთის „ფედერალური უსაფრთხოების სამსახურმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოს სპეცსამსახურები „ალ-ქაიდასთან“ თანამშრომლობს და დაღესტანში არსებულ ტერორისტულ დაჯგუფებებს ფინანსურად და იარაღით ეხმარება...**

— ვერ ვიტყვი, რომ ეს განცხადება უსაფუძვლო და რეალობას მოკლებულია. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ყველაფერი შესაძლებელია და ვერ გამოვრიცხავ, რომ „ალ-ქაიდას“ ჯგუფები საქართველოში ემზადებოდნენ.

ამ ვერსიას რეალობასთან კიდევ უფრო აახლოებს წარსულიც: როცა გავყვიროდით, რომ არავითარი დივერსიული ჯგუფები საქართველოში არ არსებობსო, შემდეგ აღმოჩნდა, რომ პანკისის ხეობაში ჩეჩენი აჯანყებულები იყვნენ განლაგებულნი...

**არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, საქართველოსთან მორიგი სამხედრო დაპირისპირება დღესდღეობით კრემლის ინტერესებში არ შედის და, შესაბამისად, ის არ გადადგამს ისეთ ნაბიჯებს, რომ კონფრონტაციამ ამ ორ ქვეყანას შორის კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღოს, თუმცა, თუ საქართველოც იმავე პოლიტიკით არ იხელმძღვანელებს, რუსეთი, ბუნებრივია, უკიდურეს ზომებზე უარს არ იტყვის, რაც ჩვენთვის არამც და არამც არ იქნება დადებითი შედეგის მომტანი...**

რაც უფრო დაიძაბება ურთიერთობა რუსეთსა და ჩვენ შორის, მით უფრო შეილახება ჩვენი ქვეყნის პრესტიჟი საერთაშორისო ასპარეზზე, მით უფრო უმნიშვნელო და ნაკლებად „მიმზიდველი“ გახდება საქართველოს საკითხი თუნდაც ამერიკისთვისაც, რომელიც დღესდღეობით ყველაზე მეტ ინტერესს იჩენს ჩვენდამი და, ზოგადად, კავკასიის რეგიონისადმი...

**— რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის განცხადებას ექსპერტთა ერთი ნაწილი გუანტანამოს ტყვეების საქართველოში შესაძლო განთავსებას უკავშირებს. მათი აზრით, მოსკოვი ვაშინგტონს აფრთხილებს, რომ ტყვეების საქართველოში ჩამოყვანით ტერორისტული აქტების საფრთხე შეექმნება როგორც კავკასიას, ისე ევროპას და, გარკვეულწილად, თვითონ ამერიკასაც...**

— სავსებით რეალური მოსაზრებაა, მაგრამ, როცა ლაპარაკია საფრთხეზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს საფრთხე ჯერ ჩვენ გვემუქრება და შემდეგ — სხვა რეგიონებს.

თუ გვინდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ეს ჭორაობა — ვის რა საფრთხე ემუქრება და არის თუ არა ტერორისტული აქტები მოსალოდნელი — რუსეთს კარი უნდა გავუღოთ. ლაპარაკია ერთობლივი სტრუქტურის შექმნაზე ტერორიზმის წინააღმდეგ, ურომლისოდაც კავკასია ყოველთვის იქნება ცხელი წერტილი, ანუ სამიზნე გარკვეული დაჯგუფებებისთვის.

**მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა რუსეთისგან ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სწორედ რუსეთთან უნდა ვითანამშრომლოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არავითარი პერსპექტივა ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე არ აქვს და ვერც ექნება, რადგან ჩვენს გეოპოლიტიკურ სივრცეში დომინანტი რუსეთია და მასთან დაპირისპირება ქვეყნის საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევას გულისხმობს.**

**— ბოლო დროს გახშირებულ აფეთქებებზე რა აზრის ხართ? ხომ არ ფიქრობთ, რომ ამის უკანაც ჩვენი სპეცსამსახურები დგანან?**

— ყოველ შემთხვევაში, უაზრობად მიმაჩნია იმის მტკიცება, რომ აფეთქებებს რუსეთის დივერსიული ჯგუფები აწყობს, რაშიც ხელისუფლება დაჟინებით გვარწმუნებს. უფრო რეალური კი, რა თქმა უნდა, ის მოსაზრებაა, რომ ამ ყველაფრის უკან ისევ ჩვენი სპეცსამსახურები დგას, თუმცა ეს უკვე ძალიან ყავლგასული და იაფფასიანი პოლიტიკაა.

როცა ასეთი ინციდენტები ხდება და ისმის ურთიერთბრალდებები, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველო არ არის მშვიდობიანი პოლიტიკის მატარებელი დემოკრატიული სახელმწიფო. მას არ სურს ან, შეიძლება ითქვას, არ შესწევს ძალა, რეგიონში მშვიდობის დამყარებას ხელი შეუწყოს და ეძებს იმ გზას, გამოსავალს, რომელიც მისთვის ყველაზე ხელსაყრელია. ეს არის სწორედ ის აფეთქებები, დივერსიები და მუდმივი განცდა, რომ მშვიდობის მიღწევა ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში ჯერჯერობით შეუძლებელია.

**თუ ეს პოლიტიკა არ შეიცვალა, საქართველოს დაქუცმაცება გაგრძელდება და პროცესი მანამ არ შეწყდება, სანამ ქართველი ხალხი არ აირჩევს გონიერ ხელისუფალს. ეს კი უნდა მოხდეს უაღრესად გონივრული, მშვიდობიანი საშუალებებით და თანაც დროულად, თორემ შორს არ არის ის დრო, როცა საქართველო, როგორც სახელმწიფო, საბოლოოდ წაიშლება მსოფლიო რუკიდან...**

**— რაც შეეხება ჩვენი მეზობელი სომხეთისა და თურქეთის დაახლოებას; როგორ ფიქრობთ, როგორ შეიძლება აისახოს საქართველოზე ამ ორი სახელმწიფოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა?**

— უკვე აისახა, იმ თვალსაზრისით, რომ საქართველო ჩამოსცილდა რეგიონულ პროცესებს. დღესდღეობით აბსოლუტურად თამაშგარე მდგომარეობაში ვიმყოფებით, რაც, ბუნებრივია, ჩვენთვის ძალიან ცუდია, უწინარესად, იმიტომ, რომ საერთოდ არ ვმონაწილეობთ და არც მეზობელ სახელმწიფოებს სურთ, ვაქტიურობდეთ რეგიონის უსაფრთხოების დაცვის პროცესში.

რაც შეეხება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ უთანხმოებას, ეს კონფლიქტი, რა თქმა უნდა, უმტკივნეულოდ ვერ მოგვარდება, მაგრამ ორივე სახელმწიფო ძალიან ნორმალურ, მშვიდობიან პოლიტიკას ატარებს და დღეს უკვე აშკარაა, რომ მათი დაახლოების პროცესი მშვიდობიანად დასრულდება.

თუმცა ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია თურქეთსა და რუსეთს შორის შეთანხმება, ანუ მათ უნდა მოძებნონ იმ მსხვერპლის რაიმე სანაცვლო, რომელიც ყარაბაღის სახით შეიძლება მიიღოს ან ერთმა, ან მეორე მხარემ.

ის, რომ სომხეთმა გამონახა საერთო ენა თურქეთთან და აზერბაიჯანთან, ეს მის გონივრულ პოლიტიკაზე მეტყველებს. მან იპოვა გამოსავალი და შეძლო, თავი დაეღწია იმ ჩიხური, დამღუპველი მდგომარეობიდან, რასაც ჩაკეტილ სივრცეში ყოფნა ჰქვია... რამდენჯერმე გვთხოვეს, ნეიტრალიტეტი გამოგვეცხადებინა, მაგრამ ჩვენ ეს მაშინ არ გავიგეთ, არც ის გავიგეთ, საით მიდიოდა რეგიონის პროცესები, რა აქტივებს აგროვებდა თურქეთი, როცა ჩვენთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე აფხაზეთში ვაჭრობდა და ახლაც ვაჭრობს... სწორედ ამ ყველაფერმა მიგვიყვანა ამ ვითარებამდე, ამ უფუნქციო მდგომარეობამდე, რომელშიც ახლა ვიმყოფებით.

რაც შეეხება სომხეთს, როგორც გითხარით, მისი პოლიტიკა ძალიან ფრთხილი და რეგიონში არსებული ვითარების ადეკვატურია, რის გამოც მას აქვს საერთაშორისო და, რაც მთავარია, რუსეთის მხარდაჭერა. უფრო მეტიც, თუ ვინმემ რაიმე წვლილი შეიტანა სომხეთისა და თურქეთის ერთმანეთისთვის ხელისჩამორთმევაში, უპირველესად, იყო რუსეთი, რადგან ყველაზე მეტად ამით ახლა სწორედ რუსეთია დაინტერესებული...

**— დასასრულ, „თავისუფლების ინსტიტუტის“ „შემოქმედებაზეც“ გკითხავთ. რას ფიქრობთ იმ შეურაცხმყოფელ ვიდეომასალაზე, რომელიც ამ ორგანიზაციის სულისჩამდგმელმა — თეა თუთბერიძემ კათოლიკოს-პატრიარქზე ინტერნეტში განათავსა?**

— ამ ერთობ ვანდალური და შეურაცხმყოფელი ქმედების არსი მე ასე მესმის: ეს განპირობებულია არა კონკრეტული პიროვნებების, ვთქვათ, თუთბერიძის ინტერესებით, არამედ იმ გლობალური პოლიტიკით, რომელიც დღესდღეობით მთელ მსოფლიოში ბატონობს. ამიტომ, როცა ამ თემაზე ვსაუბრობთ, უნდა მივიდეთ საწყის წერტილამდე, საიდანაც ეს პოლიტიკა მოდის, სადაც თუთბერიძე და მისნაირი ადამიანები, როგორც დაკვეთის შემსრულებლები, ჩნდებიან და გარკვეულ ძალაუფლებას იღებენ.

ეს არის გლობალიზაციის პროცესი, რომლის მიზანია ფასეულობათა ცვლილება, რათა მთელი მსოფლიო და, განსაკუთრებით, მცირერიცხოვანი ერები დასავლური, უფრო სწორად, ამერიკული ცივილიზაციის იდენტური იყოს არა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით, არამედ კულტურით, მენტალობით, კანონმდებლობით, ცხოვრების წესითა და ყველა სხვა არსებითი პარამეტრებით.

ამ სენს, ამ უბედურებას გადავურჩებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებულ პრობლემას სწორად გავიაზრებთ და გამოსავალსაც სწორად განვსაზღვრავთ, თუმცა ბოლო დროს ისეთი განცხადებები მესმის, სიმართლე გითხრათ, ეჭვი მეპარება, ჩვენს მოწინავე საზოგადოებას — ინტელიგენციას ვგულისხმობ — ამის უნარი შესწევდეს. მით უფრო მიმძაფრდება ეს ეჭვი, როცა ვისმენ, რომ ეს პრობლემა რუსეთიდან მომდინარეობს, რომ თითქოს რუსეთი ყოფილა გლობალიზაციის სათავე... ეს ყველაფერი ეჭვქვეშ აყენებს ჩვენს მართლმადიდებლობას, ჩვენს ტრადიციულობას...

ბოლოს და ბოლოს, ლოგიკურად რომ დავფიქრდეთ, რაში სჭირდება რუსეთს „თავისუფლების ინსტიტუტი“? თუ კი მას რაიმე აწუხებს, სწორედ მსგავსი ინსტიტუტებია და თითოეულ მათგანს, მათ შორის, სოროსის ფონდსაც, როგორც მოსისხლე მტერს, ისე დევნის. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მაქვს მხედველობაში, რუსეთი გაცილებით უფრო ახლოსაა მართლმადიდებლობასთან, ვიდრე ჩვენ და ჩვენი ხელისუფლება. უფრო მეტიც, იქ ხალხისა და ხელისუფლების მიდგომა რელიგიის საკითხისადმი აბსოლუტურად იდენტურია, ჩვენგან განსხვავებით, სადაც მმართველი ძალა ლამის დაუფარავად უპირისპირდება სარწმუნოებას.

**ასე რომ, იმ მოსაზრების არსებობა, თითქოს გლობალიზაციის სათავე და მართლმადიდებლობის უპირველესი მტერი რუსეთია, მარწმუნებს, რომ ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ პრობლემის არსი და, შესაბამისად, ვერც გამოსავალს მოვძებნით...**

რა იქნება ამის საბოლოო შედეგი, გაფიქრებაც კი შემზარავია. მით უფრო, ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს და იმდენად სწრაფი, იმდენად შეუქცევადია, თუ ახლო მომავალში რაიმე არ შეიცვალა, მალე საქართველოს და ქართველ ხალხს ეროვნული იდენტურობის არანაირი ნიშანი აღარ შერჩება...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**



# ევროპას ზამთარში კვლავ უგაზოდ დარჩენის ეშინია

**ევროპელებს რუსეთ-უკრაინის გზის მიწოდებასთან დაკავშირებული კონფლიქტი ადარდებს. ისინი დარწმუნებულნი არ არიან, რომ ამ ზამთარს გაზს ნამდვილად მიიღებენ. უნგრეთის ეკონომიკის მინისტრ იშტვან ვარგის ამ მოსაზრებას გერმანიის გაზის უმსხვილესი იმპორტიორის — „Eon Ruhrgas“-ის შესყიდვებისა და ვაჭრობის მმართველობის წევრი იოჰან ვაიზეც ეთანხმება.**

რუსეთსა და უკრაინას შორის ურთიერთობების საგრძნობლად გაუარესების ფონზე ის ახალი საგაზო კრიზისის ალბათობას არ გამორიცხავს.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ვაიზე მაინც თვლის, რომ გერმანიაში საბოლოო მომხმარებელთა გაზით მომარაგება უკვე გარანტირებულია. საცავები 97%-ით შევსებულია. დაახლოებით მსგავსი სიტუაციაა სხვა დასავლეთევროპულ ქვეყნებშიც. მაგრამ ეს არც თუ ისე ბევრია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. გერმანიის 46 საცავს მოსახლეობის გაზით უზრუნველყოფა ზამთარში მხოლოდ 40 დღის განმავლობაში შეუძლია.

უკრაინის გვერდისავლით გამავალი გაზსადენების „ჩრდილოეთ ნაკადისა“ და „ნაბუკოს“ პროექტებს დასრულებისათვის კიდევ 3-4 წელი სჭირდება. ევროპას კი ჯერ კიდევ კარგად ახსოვს შარშანდელი ცივი ზამთარი.

იცხაკ გერბერგი (ისრაელის ელჩი საქართველოში):

# ქალბატონი ტალიავინი ჭკვიანი და ინტელიგენტი ქალია, ასე რომ, მცდარ შეფასებას ვერ გააკეთებდა



**ისრაელის საელჩოში უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები აქვთ მიღებული. საელჩოში სტუმრად მისულებს ჯერ დეტექტორში მოგვიხდა გავლა, შემდეგ სპეციალურ ოთახში შეგვიყვანეს, სადაც ფეხსაცმლის გახდა მოგვთხოვეს, რომელიც შემდეგ სპეციალურ მოწყობილობაში შეამოწმეს. შემოწმება გაიარა იმ ნივთებმაც, რაც თან გვქონდა. ამის შემდეგ სტუმრის ბარათი მოგვაწოდეს და მოკლე ხანში მეგზურთან ერთად იმ კიბეს ავუყევით, რომელსაც ელჩის კაბინეტამდე უნდა მივეყვანეთ. ცნობისთვის: ჩვენს სტუმრობამდე პატარა გაუგებრობა მოხდა. როცა ინტერვიუს ვათანხმებდით, გვითხრეს, რომ ნებისმიერი ნივთი, მათ შორის, ჩამწერიც, დაცვასთან უნდა დაგვეტოვებინა, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდა და ელჩთან ინტერვიუც შედგა. ისრაელის ელჩი ИЦХАК ГЕРБЕРГИ ხალისიანი რესპონდენტი აღმოჩნდა. უკვე ერთი წელია, რაც ის საქართველოში თავის ქვეყანას წარმოადგენს. ჩვენთან აგვისტოს ომის დროს ჩამოვიდა. ამბობს, რომ ასეთ დროს იმ ქვეყანაში ყოფნა, სადაც მომავალში დიპლომატიური მისიის შესრულება მოუწევდა, მეტად მნიშვნელოვანი იყო.**

**— არ გკითხავთ, საქართველოში ჩამოსვლამდე იცნობდით თუ არა ჩვენს ქვეყანას, რადგან საქართველოსა და ისრაელს შორის 26-საუკუნოვანი მეგობრობა ყველასთვის კარგად ცნობილია. საინტერესოა, ელჩობამდე თუ გქონდათ კავშირი ჩვენს ქვეყანასთან?**

— მხოლოდ პირადი კონტაქტების საფუძველზე. ისრაელში მცხოვრებთაგან ბევრს ვიცნობ, ვინც საქართველოშია დაბადებული. აქ ჩამოსვლამდე სხვაგვარი კონტაქტი საქართველოსთან არ მქონია.

**— გვიამბეთ თქვენი დიპლომატიური წარსულის შესახებ. საქართველოში ჩამოსვლამდე სად მოღვაწეობდით, როგორ შეეჩვიეთ აქ მუშაობას და ცხოვრებას?**

— საკმაოდ ვრცელი ისტორიაა. გეტყვით, რომ ჩემი კარიერა 1984 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყო; სხვადასხვა დროს ვიყავი კონსული ჩინეთში, ფილიპინებში, ბომბეიში და ელჩად ვიმსახურე ზიმბაბვეში, მოზამბიკში, ნამიბიაში, ბოტსვანასა და მალავიში. მოგვიანებით ვიყავი საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველი და ეროვნული თავდაცვის კოლეჯში ვკითხულობდი ლექციებს.

როგორც ისრაელის დიპლომატისთვის, ელჩისთვის აქ მოღვაწეობა და საქმიანობა ძალზე ადვილია, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა მეგობრული და გულღიაა. მიადვილდება ურთიერთობა ხელისუფლებასთან, ოფიციალურ სტრუქტურებთან. რაც ყველაზე მეტად მახარებს, ვგრძნობ ისრაელის მხარდაჭერას არა მხოლოდ მთავრობის, არამედ ხალხის მხრიდან.

**— რა არის ელჩის პრიორიტეტული საქმიანობა?**

— უპირველეს ყოვლისა, ორ ქვეყანასა და ხალხს შორის ურთიერთობის გაღრმავება. ჩვენს ქვეყნებსა და ხალხს შორის ურთიერთმხარდაჭერა და საუკუნეებით გამყარებული მეგობრობაა, რასაც განმტკიცება და გაფრთხილება სჭირდება.

რაც შეეხება იმას, კონკრეტულად რას ვსაქმიანობ, ეს არის სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაღრმავება. მნიშვნელოვანია, რომ

**ბოლო წლების მანძილზე ისრაელის ტურისტებისთვის საქართველო ერთ-ერთ ყველაზე სასურველ მარშრუტად იქცა. ძალიან ბევრი ტურისტი, ბიზნესმენი, ინვესტორი ჩამოდის.**

ისრაელის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი „მაშავი" აქტიურად ეხმარება საქართველოს და უზიარებს ისრაელის გამოცდილებას მთელ რიგ დარგებში. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. საქართველოდან საშუალოდ წლის მანძილზე 100-მდე სპეციალისტი იგზავნება კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

**— ისრაელსა და საქართველოს შორის ორმხრივი და მრავალგვარი ხელშეკრულებებია დადებული, მათ შორის, საკანონმდებლო ორგანოთა ურთიერთობის მხრივ. იქნებ, უფრო ვრცლად გვესაუბროთ ამის შესახებ?**

— ისრაელსა და საქართველოს პარლამენტებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს.

აგვისტოს ომის შემდგომ საქართველოში კნესეტის 4 წევრი ჩამოვიდა თანადგომისა და თანაგრძნობის გამოსახატავად. მას მერე გადაწყდა, საქართველოს პარლამენტში ჩამოყალიბებულიყო ისრაელი-საქართველოს მეგობრობის საპარლამენტო ასოციაცია. საქართველოს მხრიდან ამ ასოციაციას ფრიდონ თოდუა თავმჯდომარეობს. იგივე ასოციაცია ჩამოაყალიბეს კნესეტის წევრებმაც.

ახლო მომავალში ქართული საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი იგეგმება ისრაელში.

**— რას უკავშირდება მათი ვიზიტი?**

— ეს იქნება გაცნობითი ხასიათის ვიზიტი; ქართველი პარლამენტარები გაეცნობიან ისრაელის სტანდარტებს საკანონმდებლო ორგანოში, კანონის მიღებასა და საკანონმდებლო სისტემის მუშაობის პროცესს. ორმხრივი ვიზიტები იძლევა საფუძველს, ვთქვათ, რომ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა და მეგობრული ურთიერთობა მყარდება.

**— ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ერთ-ერთი ხელშეკრულება ისრაელში საქართველოს კულტურული ძეგლების დაცვას ითვალისწინებს. რამდენად დაცულია ისრაელში მსგავსი კულტურული ძეგლები? სამწუხაროდ, ახლო წარსულში არცთუ ისე სახარბიელო ფაქტები მოხდა, და რამდენად წარმოჩინდება საქართველოში ისრაელის კულტურა?**

— ისრაელში ქართული კულტურული ძეგლები დაცულია ისრაელის კანონმდებლობით. ჩვენს ქვეყნებს შორის არსებობს კულტურული შეთანხმება, რომლის მიხედვით, ორივე ქვეყანა ცდილობს წარმოაჩინოს თავისი მხარე.

**— კულტურიდან პოლიტიკაში გადავინაცვლოთ. საინტერესოა, როგორ აფასებს ელჩი ჯერ კიდევ ცხელ თემას — ტალიავინის დასკვნას?**

— ტალიავინის დასკვნაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, რამდენადაც არ წამიკითხავს და არ მაქვს სრული მონაცემები, რაც ტალიავინს ჰქონდა, როცა ამ მოხსენებას წერდა. მეორეც,

**ჩემთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, რა შედეგს მოიტანს ტალიავინის დასკვნა. მოხსენება საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გამოსწორებას.**

შედეგის მიხედვით ადვილი იქნება მოხსენების შეფასება. თავად ქალბატონი ტალიავინი ჭკვიანი და ინტელიგენტი ქალია, ასე რომ, მცდარ შეფასებას ვერ გააკეთებდა.

**— ამბობთ, რომ დასკვნის მეშვეობით უნდა დარეგულირდეს რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა...**

— ოფიციალური ისრაელის მიდგომის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია. პრობლემის გადასაჭრელად აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კვლავ უნდა აღდგეს საქართველოს იურისდიქციაში. მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა მიმართულია ამ საკითხის გადაწყვეტაზე.

**კარგად იცით, რომ ყველა საერთაშორისო მექანიზმი ამოქმედდა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდეს და დაიწყოს ტერიტორიული პრობლემის მოგვარება.**

**— აქტიურად წარიმართა საუბრები იმის შესახებ, რომ ისრაელი საქართველოს შეიარაღების მხრივ უზრუნველყოფდა...**

— ისრაელი, როგორც სახელმწიფო, არასოდეს ამარაგებდა საქართველოს იარაღით. საქართველოს მთავრობა ისრაელის იარაღის მწარმოებელი კომპანიებისგან კონტრაქტის საფუძველზე ყიდულობდა იარაღს. თუ მომავალშიც ექნება მხარეებს თანამშრომლობის სურვილი, ისრაელის სახელმწიფო კერძო ბიზნესის მუშაობაში არ ჩაერევა.

**— დაბოლოს, რას იტყვით ისრაელსა და ირანს შორის გართულებულ ურთიერთობაზე?**

— ირანთან, როგორც სახელმწიფოსთან, ორი პრობლემა გვაქვს. პირველი ის რომ, ირანის პრეზიდენტი არ აღიარებს ჰოლოკოსტის არსებობას, მეორე — ირანი აწარმოებს ბირთვულ იარაღს, რაც საფრთხის შემცველია არა მხოლოდ ისრაელისთვის, არამედ მთლიანად რეგიონისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის. ასევე, ირანი აფინანსებს და ხელს უწყობს სამხედრო ტექნიკის თვალსაზრისით ტერორისტულ ორგანიზაციებს, მათ შორის, ჰამასს.

ისრაელი მუდმივად ცდილობს, ირანის საკითხი საერთაშორისო ტრიბუნებზე გაიტანოს. რიგ შემთხვევებში ჩვენი დიპლომატია წარმატებასაც აღწევს. ვიმედოვნებთ, რომ სანქციები, რომლებსაც ირანს საერთაშორისო თანამეგობრობა აკისრებს, აიძულებს, შეწყვიტოს ბირთვული შეიარაღება.

ურანის გამდიდრება მხოლოდ ისრაელის ან რეგიონის გამოწვევა აღარაა, ირანის ბირთვული შეიარაღება თანამედროვე მსოფლიოს მუდმივი საფრთხეა.

ესაუბრა
**სალომე გოგოხია**

# დეკანოზი დავით ფიფია ზვიად გამსახურდიას რუსეთთან ნორმალური დამოკიდებულების აღდგენას სთხოვდა

**1991 წლის 27 ნოემბერს ზუგდიდელმა ღვთისმსახურმა დეკანოზმა დავით ფიფიამ საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას მიმართვის წერილი გაუგზავნა. ამ წერილის გაგზავნის მოტივი იყო ის ჩვენება, რომელიც დეკანოზმა 1991 წლის 12 აპრილს იხილა. ეს წერილი იმითაც არის საინტერესო, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ეხება, რომელიც ძალიან აქტუალურია ამჟამად. დეკანოზი დავით ფიფია რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა. ,,საქართველო და მსოფლიოს" მისი წერილი მისმა შვილმა, ეროვნული მოძრაობის აქტიურმა წევრმა — რევაზ ფიფიამ გადასცა.**

აი, რას წერდა დეკანოზი საქართველოს პირველ პრეზიდენტს: **„თქვენი გეგმა დამოუკიდებლობისა — ეს დიდი საქმეა, მაგრამ დიდი სახიფათო საქმეცაა, იმიტომ, რომ აუცილებლად ხელს შეუწყობს მსოფლიოში მუსლიმანთა ნატვრას, რათა დაეცეს საქრისტიანო, დაიშალოს, დასუსტდეს და მერე ადვილად დაიმორჩილოს, ე.ი. პრაქტიკულად ქრისტიანობას (მართლმადიდებლობას) დაღუპვით ემუქრება და შესაძლებელია, საქართველოსთვის საბედისწერო აღმოჩნდეს. 9 აპრილის მესამე დღეს მომეცა ჩვენება — ავფრინდი ზეცად, ავედი და დავდექი ზეცის ტრაპეზის წინაშე. ჩემ წინაშე იდგა წმიდა ტრაპეზი, ჩემს მარცხნივ — მთავარანგელოზი და მითხრა ბრძანების კილოთი: აი, კავკასია! აი, შენი საქართველო! ტრაპეზზე იდო კოლოფი დამწვარი, მთლიანად შავი, წინა და უკანა გვერდები მოჭრილი და ზედა ფენიდანაც გვერდი ამოჭრილი. კოლოფი იყო ცარიელი და დანახშირებული – ჩვენება იყო ცნობად, რომ დამოუკიდებელი საქართველო დაიწვება, როგორც სანთელი და წარიწყმიდება როგორც ერი, ისე ბერიც.**

**თქვენი პირველი პლატფორმა იყო და არის ბრძნული და კეთილი, მაგრამ სამწუხაროა, რომ თქვენ აღარ მოგეცათ მისი გატარების საშუალება. თქვენს გვერდით აღმოჩნდნენ ხელის შემშლელები, თორემ აგრე აღარ გამწვავდებოდა საქართველოს საქმე და ბედი. მაპატიეთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, თქვენ თუ ვერ შეძლებთ საქართველოსა და რუსეთს შორის ნორმალური დამოკიდებულების აღდგენას, საქართველო ნამდვილად დაიღუპება. აი, ეს ჩვენება იმიტომაც მომეცა, რომ მეთქვა და არ დამემალა თქვენთვის. ბევრჯერ მოვინდომე, მაგრამ ვერ მეყო გამბედაობა თქვენთვის დღემდე მომეწერა ეგე საქმე ყოველი. მე ვვედრი უფალს, ღმერთსა ჩვენსა და დედა მშობელსა, საქართველოს საქმე გადაწყდეს საბედნიეროდ, ისე, როგორც ღმერთს გაეხარდება. ვინატრით, ღვთის მადლით, ყოველივე კარგად გაკეთდეს და საქართველო გადარჩეს".**

რა რეაქცია ჰქონდა ზვიად გამსახურდიას, უცნობია, თუმცა მას ბევრი არ დასცალია, მალე იძულებული გახდა, საქართველო დაეტოვებინა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კი ყოველწლიურად უარესდებოდა და 2008 წლის აგვისტოში კულმინაციასაც მიაღწია, რამაც საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობა მკვეთრად გააუარესა.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

28 ოქტომბერი - 3 ნოემბერი, 2009 წელი. №35
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო



## რუსეთი გაეროში საქართველოს „ალ-ქაიდასთან“ თანამშრომლობაში დაადანაშაულებს

**ახმედ ზაკაევის მტკიცებით, უახლოეს მომავალში რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს გადასცემს დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც, ქართულ სპეცსამსახურებს „ალ-ქაიდასთან“ თანამშრომლობაში დაადანაშაულებენ.**

ზაკაევის ინფორმაციით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გაეროს გადასცემს დოკუმენტებს, რომლებშიც „კავკასიის ემირატი“ (ხელმძღვანელი იჩქერიის პრეზიდენტი დოკუ უმაროვი) „ალ-ქაიდას“ ტერორისტული ქსელის ნაწილად იქნება წარმოჩენილი. ამ დოკუმენტს კი, ზაკაევის თქმით, თან დაერთვება მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, ქართული სპეცსამსახურები დოკუ უმაროვთან თანამშრომლობენ.

ზაკაევის მტკიცებით, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის — ალექსანდრე ბორტნიკოვის მიერ 13 ოქტომბერს გაკეთებული განცხადება, რომლის მიხედვითაც, ქართული სპეცსამსახურები ალ-ქაიდასთან თანამშრომლობენ, ზემოხსენებული პროცესის პრელუდიაა.

## უკრაინა-უნგრეთის საზღვარზე საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს




**უკრაინა-უნგრეთის საზღვრის მუკაჩევსკის მონაკვეთზე უკრაინელმა მესაზღვრეებმა საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს.**

მესაზღვრეების ინფორმაციით, ინფრაწითელმა თბოვიზორმა საზღვრის მიმართულებით უცნობი პირების მოძრაობა დააფიქსირა. სპეცრაზმმა „ვილოკმა“ საზღრიდან 200 მეტრის დაშორებით საქართველოს მოქალაქეები დააკავა.

დაკავებულების ჩვენებით, ისინი ბელორუსიდან, სადაც თბილისიდან ჩაფრინდნენ, უკრაინაში უცნობმა პირებმა გადაიყვანეს. საქართველოს მოქალაქეებს უნგრეთის გავლით საფრანგეთში მოხვედრა სურდათ.

### ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# აფხაზეთისა და ოსეთის დაკარგვით საქართველოს დაშლის პროცესი არ დამთავრებულა

**ქართველი პოლიტოლოგები თითქმის ერთხმად აღიარებენ, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის ციურიხში გაფორმებული ხელშეკრულება სამხრეთ კავკასიისთვის მეტად წინგადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა იქვე იმ საფრთხეებზე საუბრობენ, რაც ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებასა და საზღვრის გახსნას შეიძლება მოჰყვეს. მათი აზრით, ერთგვარად შეიცვლება სომხეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და ის აღარ იქნება ისეთი რევერანსული, როგორიც აქამდე იყო. ასევე, მოსალოდნელია, რომ სარქსიანმა მხარი დაუჭიროს სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომეხი მოსახლეობის მრავალწლიან მოთხოვნას ამ რეგიონისთვის ავტონომიის მინიჭების თაობაზე.**
**თურქეთსა და სომხეთს შორის ახალი პოლიტიკური ურთიერთობების დაწყებას ზოგი პოლიტოლოგი ამერიკულ პროექტსაც უწოდებს, რომელიც მიზნად ისახავს, სომხეთი რუსეთის ორბიტას ჩამოაშოროს.**
**აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კი რა შეიცვლება საქართველოსთვის და ეს ხომ არ შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებას, ამის გარკვევა პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილთან ვცადეთ.**



**— ბატონო ჰამლეტ, თუკი ციურიხში ანკარასა და ერევანს შორის დადებული ხელშეკრულების შედეგად გაიხსნება საზღვრები თურქეთსა და სომხეთს შორის, ანუ სომხეთი აღარ იქნება საქართველოზე დამოკიდებული, ხომ არ დადგება დღის წესრიგში „ჯავახეთის საკითხი“?**

— ჩვენთვის გასათვალისწინებელია ის საკითხი, რომ 1992 წლიდან სომხეთი, ფაქტობრივად, ჩაკეტილი სივრცე იყო და ერთადერთი გზა, რომელიც სომხეთს რუსეთთან აკავშირებდა, საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა. 1992 წელს რკინიგზის ვაგონების ძარცვის საბაბით და სომხეთში მიმავალი ტვირთების გადარჩენის მოტივით შევარდნაძის ხელისუფლება შეიჭრა აფხაზეთში და დაიწყო ომი. ამას მოჰყვა სარკინიგზო მიმოსვლის გაუქმება. სამიოდე წლის წინათ ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის რეკონსტრუქციის მიზეზით რუსულმა მხარემ ლარსი ჩაკეტა. მართალია, ჩრდილოელმა მეზობელმა ის უკვე აღადგინა, მაგრამ საქართველო ჯერჯერობით არ აპირებს ამ სასაზღვრო პუნქტის გახსნას. სხვათაშორის, მინდა, ისიც გითხრათ, რომ, როცა მიხეილ სააკაშვილი სომხეთში ბრძანდებოდა, ის ორდენით დააჯილდოვეს. ეს ორდენი ერთგვარი ავანსი იყო იმ დაპირების შესასრულებლად, რომელიც ჩვენმა პრეზიდენტმა სომხებს მისცა. მან განაცხადა, რომ ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნის წინააღმდეგი არ იქნებოდა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. რკინიგზა არ მუშაობს, საგზაო მიმოსვლა, ფაქტობრივად, შეწყვეტილია და ერთადერთი გზა, რომლითაც სომხეთი რუსეთს უკავშირდება, ეს შავ ზღვაზე გასასვლელია საქართველოს ტერიტორიის გავლით. ამ სატრანზიტო მიმოსვლაში სომხეთი საკმაოდ სერიოზულ თანხებს იხდის და უკმაყოფილოცაა, რადგან მიაჩნია, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით გაცილებით მაღალი ტარიფებია დაწესებული.

**— თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენასა და საზღვრის გახსნას რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის?**

— თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვრის გახსნის შემთხვევაში, საქართველოში ტვირთბრუნვა 30-35 პროცენტით შემცირდება, რაც ბიუჯეტში თანხების შემცირებას ნიშნავს. არ გაივლის ტვირთი — არ იქნება შემოსავალი. როდესაც სააკაშვილი მილიონობით ტურისტზე საუბრობს, არ ახსენებს, რომ უცხოელი ტურისტების 90 პროცენტი სომეხია და ქართულ ტურისტულ ყულაბას, ძირითადად, სომხები ავსებენ. აჭარაში, სადაც ყოველ წუთს ზეცას უნდა უყურო — გაწვიმდება თუ არა, დასასვენებლად არ ჩამოდიან ამერიკელები და ფრანგები. რუსეთთან ურთიერთობა არ გვაქვს. უკრაინელებს კი გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ ყირიმის კურორტებზე. ცხადია, როცა თურქეთთან საზღვარი გაიხსნება, 2010 წლის ტურისტულ სეზონზე სომხებს შანსი ექნებათ, აჭარის ნაცვლად დაისვენონ თურქეთის შავი და ხმელთაშუა ზღვის კურორტებზე, იმ ცნობილ კურორტებზე, სადაც, სხვათაშორის, ქართველებს უყვართ სიარული. სომხებს იქ დასვენება გაცილებით იაფი დაუჯდებათ, ვიდრე — აჭარაში. საქართველოს ბიუჯეტში ესეც გამოიწვევს ფულადი შემოსავლების კლებას.

**— ორ ქვეყანას შორის საზღვრის გახსნა მხოლოდ ქართულ ეკონომიკაზე აისახება?**

— როდესაც სომხეთსა და თურქეთს შორის საკომუნიკაციო კავშირები დამყარდება, სომხეთი საქართველოს მიმართ აღარ იქნება ისეთი რევერანსული, როგორიც აქამდე იყო. ის უკვე მყარად დასვამს მთელ რიგ საკამათო საკითხებს და გულადად ილაპარაკებს იმ პრობლემებზე, რაც ჯავახეთში არსებობს. ამასწინათ სარქსიანმა განაცხადა, რომ სამცხე-ჯავახეთში სომხური რეგიონული ენა უნდა იყოს. ამ განცხადებას პოლიტიკოსებმა კრიტიკა და ვაი-უშველებელი მოაყოლეს. თუმცა, თუ არ ვცდები, პარლამენტმა ამის თაობაზე გადაწყვეტილებაც მიიღო. საგულისხმოა ისიც, რომ აქ მხოლოდ ენის საკითხზე არაა ლაპარაკი. **მოსალოდნელია, სარქსიანმა სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხების მრავალწლიან მოთხოვნას ავტონომიის თაობაზე მხარი დაუჭიროს. ღმერთმა უწყის, რას დაარქმევენ, მაგრამ პირველსაწყისზე ეს იქნება სამცხე-ჯავახეთის ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში. მერე ამას შეიძლება მოჰყვეს ისედაც დაქუცმაცებული საქართველოს კიდევ უფრო დანაწევრება. სხვათაშორის, არაერთხელ მითქვამს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვით საქართველოს დაშლის პროცესი არ დამთავრებულა, ის ახლა დაიწყო. თუკი სომხები კატეგორიულად მოითხოვენ ავტონომიას, არა მგონია, ვინმემ წინააღმდეგობა გაუწიოს.**

**— რატომ?**

— უპირველეს ყოვლისა, ევროსაბჭო მყავს მხედველობაში. სამცხე-ჯავახეთში საქმისწარმოება რომ სომხურ ენაზე ყოფილიყო, ეს ევროსაბჭოს კატეგორიული მოთხოვნა იყო.

**— თუკი სომხური რეგიონული ენა გახდება, ეს ხომ კიდევ უფრო გაართულებს ადგილობრივი მოსახლეობის საქართველოსთან ინტეგრაციას?**

— როგორც ჩანს, საქართველოს ეს არ აინტერესებს. არც ერთ ხელისუფლებას — არც შევარდნაძის, არც სააკაშვილის და არც მათ წინამორბედს (საბჭოთა კავშირი მაქვს მხედველობაში) საამისოდ არაფერი გაუკეთებია. ქართული ენის პედაგოგის გაგზავნაც კი პრობლემად იყო ქცეული. არ ხერხდებოდა ქართული ტელერადიოგადაცემების მიღება და ა.შ. გასულ წელს ანკარაში კავკასიის ქვეყნების პოლიტოლოგთა და მეცნიერთა შეხვედრას ვესწრებოდი. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები არ ბრძანდებოდნენ იქ, მაშინ, როცა სომხური და აზერბაიჯანული დიასპორის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. აღნიშნულ შეხვედრაზე სომხური დიასპორის წარმომადგენელმა კატეგორიულად მოითხოვა ავტონომია არა მხოლოდ სომხებისთვის, არამედ აზერბაიჯანელებისთვისაც. აქედან გამომდინარე, მინდა, გითხრათ, რომ ქართულ სახელმწიფოს დასაფიქრებლად აქვს საქმე და კუვეიტში სირბილს ამ პრობლემების მოგვარების გზების ძიება სჯობია. რომ არ დაგვეწყო ომი და არ ყოფილიყო 7-8 აგვისტო, ეს საკითხები ასეთი სიმძაფრით არ დაისმებოდა. **რაკი სერიოზული ბზარი გაჩნდა და ხომალდმა, რომელსაც საქართველო ჰქვია, ჩაძირვა დაიწყო, ყველა ცდილობს, ამ ქვეყანას რაც შეიძლება მეტი წაჰგლიჯოს. ეს ჩვეულებრივი ამბავია და სამწუხაროა, რომ ამ პროცესებს სერიოზულად არავინ უყურებს.** ამასწინათ ქართულ მასმედიაში დიდი ზარ-ზეიმით გაშუქდა, თუ როგორ მოუგეს ქართველმა პარლამენტარებმა რუსებს სტრასბურგის დიპლომატიური ომი, როგორ ჩამოართვეს ხმა რუსეთის დელეგაციას და სხვა ზღაპრები, **თუმცა არაფერი თქმულა, როგორ დატოვეს უპასუხოდ რუსეთის დუმის წევრის — კოსტანტინ კოსაჩოვის განცხადება იმის თაობაზე, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ქართველებს სტალინმა აჩუქა. ეს ინფორმაცია რუსული პრესიდან შევიტყე.**

**— ჩვენი მასმედია ტრადიციულად დუმდა...**

**— ჩვენმა პრესამ ამაზე ყურადღება არ გაამახვილა, ისევე, როგორც უყურადღებოდ დატოვა ე.წ. ოპოზიციონერმა გიორგი თარგამაძემ, ვიღაც სულელმა აკოფ მინაშვილმა, თვალებგადმოკარკლულმა გაბაშვილმა და ა.შ. დღესდღეობით სომხები დაბეჯითებით ბეჭდავენ წიგნებს, ბროშურებს, რუკებს ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებზე, სადაც თბილისიც კი სომხეთის შემადგენლობაშია; გადაშლი ენციკლოპედიას და ნახავ, რომ სამცხე-ჯავახეთი თურმე სომხეთი ყოფილა და ა.შ. დღეს, შეიძლება, არავინ გვართმევს თბილისს და სომხეთს არ აკუთვნებს, მაგრამ ეს ყველაფერი ხალხის მეხსიერებაში ილექება, პასუხს კი არავინ სცემს.** სომხეთ-თურქეთის ურთიერთობიდან გამომდინარე, რაც მოგახსენეთ, ერთ-ორ თვეში ნათელი იქნება. სომხეთის ხელისუფლება საკუთარ მოთხოვნებში უფრო მტკიცე იქნება. პოლიტიკა და დიპლომატია ძალიან სწრაფად იცვლება და თუ ფეხს ვერ აუწყობ, წაგებული აღმოჩნდები.

**— ბატონო ჰამლეტ, ჩვენ, ძირითადად, სომხურ ფაქტორზე ვისაუბრეთ... როგორც ცნობილია, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე აფხაზეთში იმყოფებოდა. ხომ არ დადგება დღის წესრიგში თურქეთის მიერ აფხაზეთის აღიარება?**

— ჯერჯერობით ეჭვი მეპარება, რომ თურქეთმა ეს ნაბიჯი გადადგას, მაგრამ პოლიტიკაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თურქეთს რომ აფხაზეთთან ურთიერთობა სურს, ამას წყალი არ გაუვა. სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები აქვს კიდეც. არ არის გამორიცხული, საკმაოდ დიდი თანხაც ჩადოს აფხაზეთის განვითარებისთვის, ქართული მხარის წინააღმდეგობის მიუხედავად. თურქეთს კავკასიის მოწესრიგების საკუთარი გეგმა აქვს და ეს გულისხმობს ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თანამშრომლობას აფხაზეთთან, საქართველოსთან, სამხრეთ ოსეთთან, რუსეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ყოველგვარი კინკლაობის გარეშე, ანუ თურქეთს სურს სამშვიდობო ზონის შექმნა ამ ტერიტორიაზე... თუმცა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს სულაც არ განიხილავს საქართველოს შემადგენლობაში. მისი პოზიცია უახლოვდება რუსეთის პოზიციას. მეგობრობა და ძმობა პოლიტიკაში არ არსებობს. პოლიტიკაში არის ინტერესები და თურქეთი ყოველთვის გაუწევს ანგარიშს რუსეთს, განსაკუთრებით, ისეთ საკითხებში, როგორიც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთია.

**მოგეხსენებათ, ზოგიერთი პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის დაწყებული ურთიერთობა ამერიკული პროექტია და მიმართულია იქით, რომ სომხეთი რუსეთის ორბიტას ჩამოაშორონ. შესაძლოა, ეს იყოს კიდეც ამერიკულ გეგმაში. მაგრამ საკმაოდ რთული პროცესია და ნაკლებსავარაუდოა, რომ შტატებმა ეს შეძლოს. ქართველებისგან განსხვავებით, სომხები სხვა ყაიდის პოლიტიკოსები არიან, პოლიტიკური ბალანსის შენარჩუნება უყვართ და შეეცდებიან, კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ რუსეთთანაც და თურქეთთანაც.** ამ ეტაპზე შეიძლება სომხეთს დააბრუნებინონ აზერბაიჯანისთვის წართმეული ტერიტორიები და ყარაბაღის საკითხი გაიყინოს. არ არის გამორიცხული, თურქეთის ზეგავლენით აღდგეს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კომუნიკაციები და ეკონომიკური კავშირები. თუ ეს ასე მოხდა, საქართველო დაკარგავს არამარტო ტურიზმიდან და ტრანზიტით მიღებულ შემოსავლებს, არამედ შესაძლოა, — ენერგეტიკული ტრანზიტიც სომხეთის გავლით შეირჩეს.

**— ნაბუკოს პროექტს გულისხმობთ?**

— არ არის გამორიცხული. როგორც სპეციალისტები წერდნენ, ეს პროექტი 12 მილიარდზე მეტი ჯდება და ეკონომიკური კრიზისის დროს ძნელია ამხელა თანხების მოძიება. მხარეები შეეცდებიან, უფრო იოლი დერეფანი მოიძიონ და ასეთ დერეფნად სომხეთი ჩათვალონ.

ესაუბრა
**ნათია ქადაგიშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ზურაბ გაგნიძე:

# გაზულუქებულმა თემურ იაკობაშვილმა სახელმწიფო მუნდირის ღირსება გააუფასურა

**დღეს საუბარი გვექნება საქართველოს სახელმწიფო მინისტრზე რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილზე, რომლის ფსიქოპორტრეტის წამყვან და ძირითად მახასიათებლებს გაგვაცნობს ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, რა არის თემურ იაკობაშვილის ფსიქოწყობის მთავარი ატრიბუტი, არის თუ არა მკვეთრად ჩამოყალიბებული ინდივიდი?..**

— სახელისუფლებო გუნდის წევრებს ახასიათებთ ემოციური არასტაბილურობა, ინფანტილურობა, მიდრეკილება სიცრუისადმი, ეფექტისადმი. მათი უდიდესი ნაკლია იმპულსურ ემოციაზე დაყრდნობილი ცალმხრივი ლოგიკა, პათოლოგიური ეჭვიანობა საკუთარი სამწყსოს მიმართ, იპოქონდრია და რეფორმატორობისაკენ მიდრეკილება, მაგრამ ერთიანდებიან აქტიური, ცხოვრებისეული პოზიციით.

ფანატიკურ დამოკიდებულებას რეგალიებისადმი ვერც თემურ იაკობაშვილი გადაურჩა. მის ბიოგრაფიაში კომაროვის სახელობის სკოლისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გვერდით თვალს მოგჭრით დიპლომატიური კურსების გავლა ოქსფორდის, ბირმინჰემისა და იელის უნივერსიტეტებში, კენედის სახელობის მთავრობის სკოლა და ჰარვარდის უნივერსიტეტი, დამატებითი საქმიანობის მყვირალა დასახელებები.

მის ფსიქოპორტრეტში თვალშისაცემია მისი გულგრილი, ინდიფერენტული დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი; მტკივნეულ საკითხებზე მსჯელობისას ინტონაციასმოკლებული, მონოტონური როლი, რომელშიც არასოდეს დებს ემოციურ მუხტსა და რეფორმატორის პათოსს. ოპონირებისას კი ბრძნული თავშეკავებით იმდენად ინარჩუნებს წონასწორობას, ხაზი გაუსვას, რომ მისი მოკამათენი შარლატანები არიან.

ამ სუბიექტის ფსიქიკამ უდიდესი სახეცვლილება განიცადა ეტაპობრივად. თავდაპირველად პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე „თამაშობდა“ წინასწარ დასახული გეგმით, აწონილი და გაანალიზებული სვლებით, დიდი სტრატეგიული ჩანაფიქრით, ყველა მიმდინარე მოვლენას „მეს“ გადასახედიდან აფასებდა, ხოლო საზოგადოების რეაქცია მდაბიურ გააზრებად მიაჩნდა. ამგვარი მიდგომებით გახდა სახელმწიფო მინისტრი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკი. 2007 წელს, როდესაც პრეზიდენტს გადაუჭრელი წინააღმდეგობა შეხვდა და ამ სიმძაფრის შენელება მხოლოდ ვადამდელ არჩევნებს შეეძლო, თემურ იაკობაშვილმა მოახერხა, ამ სიტუაციაში პრეზიდენტისთვის ფრიად საჭირო კაცი გამხდარიყო. ეს კი მიგვითითებს მის გონიერ გათვლებზე, მზაკვრულ სვლებზე. „მეს“ გამოსავლენად ის „აპრავებს“ გაყალბებულ არჩევნებს, აფიქსირებს და აკანონებს სიცრუეს და ხელსაც აწერს. მის „გმირობას“ კი პრეზიდენტი გულუხვად ასაჩუქრებს. ავანტიურისტი-კარიერისტი კი მოჩვენებითი იერით ირგებს ნაბოძებ სამოსელს. ამ პერიოდიდან მისი საუბრები და ანალიზი მიზნობრივად ნორმებით რეგლამენტირებული გახდა, თორემ ერთი თვის წინათ მიცემულ ინტერვიუში ის არ ერიდება მთავრობის კრიტიკას: „ის, რაც საქართველოში მოხდა, სისტემის კრიზისმა გამოიწვია, ძალზე საყურადღებოა ისიც, რომ ჩვენმა მთავრობამ მენეჯმენტი არ იცის“. ამ კაცის შესაცნობად არანაკლებ საინტერესოა მისი იმდროინდელი მოსაზრება საპრეზიდენტო არჩევნებზე: „არჩევნები არ ხდება საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის, არჩევანი კეთდება შემდეგზე, ვაძლევთ თუ არა მიხეილ სააკაშვილს მანდატს“. ამ სიტყვებით მან იუველირის სიზუსტით განსაზღვრა მაშინდელი

**ამ კაცს შეუძლია უტყუარი ანალიზისა და დასკვნის გაკეთება, მაგრამ მასში ინსტინქტური საწყისი იმარჯვებს შერყვნილი სულიერების ხარჯზე**

არჩევნების არსი. ეს გვიჩვენებს, რომ ამ კაცს შეუძლია უტყუარი ანალიზისა და დასკვნის გაკეთება, მაგრამ მასში ინსტინქტური საწყისი იმარჯვებს შერყვნილი სულიერების ხარჯზე. ამით ის უკვე ენათესავება სულიერად მმართველ გუნდს, მათი გვარისაა და მისი ნატურისთვის სრულიად არაა უცხო ვულგარული უკიდურესობანი. მის ფსიქოწყობას საფუძვლად უდევს სარგებლიანობის პრინციპი — მღვრიე წყალში თევზის დაჭერა. პირწავარდნილი კარიერისტია. ამას მოწმობს მის ინტერვიუში დასახელებული ერთი კონკრეტული ფაქტი: „გიგა ბოკერიამ და დავით უსუფაშვილმა შეძლეს, „ენჯეოშნიკობიდან“ პოლიტიკაში გადასულიყვნენ და პოლიტიკოსები გამხდარიყვნენ“. აქედან აშკარაა მისი სწრაფვა, მის ქვეცნობიერში ჩალექილი შური იმათ მიმართ, ვინც მოახერხა, გავლენიან ფიგურად ქცეულიყო და გულწრფელი სინანული, რომ თავად ვერ შეძლო (ჯერჯერობით). ესაა სახალხოდ გამოფენილი მწუხარება სხვათა მიღწევებზე. ღირსეული კაცი თავისი წინამორბედის განქიქებას არ იწყებს. მდაბალი კი მზადაა, უპირატესობა დაამტკიცოს: „ვინ არის გოგა ხაინდრავა?.. მე რომ მკითხოთ, ის პოლიტიკოსია და, ამავე დროს, არასამთავრობო ორგანიზაციას — „თანასწორობის ინსტიტუტს“ წარმოადგენს“.

**— ბატონი თემური სხვადასხვა ეტაპზე ქამელეონივით ახალ ფსიქოშტრიხებს ამჟღავნებს. საინტერესოა, როგორია ახლად დანიშნული რეინტეგრაციის მინისტრის ფსიქოგანწყობა?**

— ამ პოსტის დაკავებისთანავე აძლევს გუნდურ სიმღერას ბანს: „თავს შევიკავებ კონკრეტული საუბრისაგან“ ან „დღეს საქართველოს გააჩნია ახალი პრიორიტეტი და ეს არის ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“. ცხადია, ის ტრანსფორმაციას განიცდის, რადგან ამაზეა დამოკიდებული მისი უფლებამოსილების გაძლიერება და ადგილი გუნდში. თავგამოდებით ილტვის, მოიპოვოს „სოლო პარტიის“ შემსრულებლის როლი. ამისათვის თავის ინტერვიუებში უკვე კამერული ჩარჩოებით იზღუდება: „შეიცვალა რეალობები, საქართველო უკვე აღარ არის ის, რაც ადრე იყო, არც ეკონომიკური და არც სხვა თვალსაზრისით“. ნეტავ, მართლა საქართველო შეცვლილიყო და არა სკამს დაბღაუჭებული ავანტიურისტი მინისტრის ფსიქოდამოკიდებულება რეალობასთან.

მასში მძლავრობს გაფუყული ამპარტავნობა: „ჩემი მინისტრობის პერიოდში ყველაფერი შედეგებზეა ორიენტირებული“. ფსიქოანალიზით ამპარტავნობა ეუფლება ადამიანს დაუმსახურებელი ან იოლად მოპოვებული დროებითი ავტორიტეტით, მიღწეული კეთილდღეობით. მას ბრიყვივით უკვირს თავისი მდგომარეობა, სიმდიდრე, სიმაღლე და შინაგანად საკუთარ ღირსებებს ხოტბას ასხამს. ამ უპირატესობის შეგრძნებით „მთვრალი“ კი თანდათან კარგავს თვითკონტროლს და ველარ ერკვევა ავსა და კარგში. თემურ იაკობაშვილის ამპარტავნობას მედიდურობა ჰქვია, რომელიც მის სახესა და ქცევაში დაკვირვებული თვალისთვის ადვილი შესამჩნევია, თუმცა დილემური აზროვნების ელემენტები მის გონებაში მაინც რჩება.

რეინტეგრაციის მინისტრი აცხადებს: „ჩვენი ნატოში ინტეგრაცია არის ერთ-ერთი სერიოზული ნაბიჯი კონფლიქტების გადასაჭრელად. ნატოში შესული საქართველო — ეს არის გაცილებით უფრო დემოკრატიული, ნორმალური და ფუნქციონირებადი საქართველო, რომელიც მიმზიდველი იქნება როგორც ოსებისთვის, ასევე აფხაზეთისთვის“. ამ ინტერვიუს ქვეტექსტში ჩანს მინისტრის ქვეცნობიერში არსებული დაეჭვების ფარული მოტივი. მან ქვეცნობიერი იმპულსებით იცის, რომ გლობალურ მსოფლიოში ვცხოვრობთ, რომელიც სავსეა ანტაგონისტური ძალებით, ზესახელმწიფოთა ვნებებითა და ინტერესებით, რომელთა შეჯახების სარბიელი მათი მორჩილი და მეხოტბე ქვეყნები ხდებიან. მას კი ქვეყანა ნაკლებ აინტერესებს, მისი ზრუნვის მოტივი საკუთარი ხვედრია. მის შინაგან არსში დომინირებული „ეგო“ იმდენად მასშტაბურია და იმგვარი ვნება-სურვილებით აღსავსე, რომ სრულიად დაკარგა სახელმწიფოებრივი აზროვნება და ქვეყნის ბედზე ზრუნვის სურვილი. შეძენილი მედიდურობა კი უკვე ხელს უშლის, შეგნებულად დამდაბლდეს და გამდაბიურდეს ხალხის მოთხოვნებამდე ან ლტოლვილებზე იზრუნოს. მათდამი მხოლოდ ცრუ დაპირებებით იფარგლება. „ჩვენი მიზანია... საქართველოს მთლიანობის აღდგენისკენ გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები. აფხაზები და ოსები დარწმუნებულები უნდა იყვნენ იმაში, რომ ჩვენ არ ვართ მტრები და ვართ მოყვარეები და მათი ცხოვრებაც გვენაღვლება“. მთავრობას მათი ცხოვრება როგორ ენაღვლება, დავინახეთ... სწორედ ამ მედროვე სნობმა-პოლიტიკოსებმა ჩაკეტეს და, იქნებ, სამუდამოდაც თავიანთი გააზრებელი პოლიტიკითა და ცრუ დაპირება-დაქადნებით ოსეთისა და აფხაზეთისაკენ მიმავალი ნდობისა და შერიგების გზა.

**— ჯიუტ ფაქტებს გვერდს ვერცერთი მკვლევარი ისტორიკოსი ვერ აუვლის. თემურ იაკობაშვილი კი, სხვებთან ერთად, საპირისპიროს გვიმტკიცებს. რით ახსნით ამ ფსიქოასპექტს?**

— მარცხის აღიარება ფსიქოლოგიაში სულიერი გმირობის ტოლფასია. შემდგარი პიროვნება გამარჯვებასა და დამარცხებას ადეკვატურად ხვდება. სიცრუე ჩვენი მარცხის თავი და თავია. სანამ ილუზიური ტყვეობიდან და ფსევდოგამარჯვებულის როლიდან არ გამოხვალ, სიტუაციას ვერ შეაფასებ.

იაკობაშვილის ფსიქოლოგიამ დიდი სახეცვლილება განიცადა. სულ რაღაც ორი წლის წინათ ამბობდა: „რუსებს აუცილებლად შეუძლიათ პოზიტიური როლი ითამაშონ. ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ რუსები უნდა გავყაროთ, არ არის მართებული“. მოგვიანებით კი აცხადებს: „გაფაშისტებული რუსეთი თავისი ბირთვული იარაღითა და ენერგორესურსებით გაცილებით საშიში და მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი ქვეყნის ურთიერთობა საქართველოსთან“. „ნებისმიერი ქვეყნის ურთიერთობაში“ ბატონი მინისტრი ამერიკასა და ნატოს ხომ არ გულისხმობს? — განა სულ ცოტა ხნის წინათ არ გაიძახოდა — თუ გადაგვარჩენს და პრობლემებს მოგვიგვარებს, ეს „ჩვენი ნატოში ინტეგრაციააო“. დიახ, პოლიტიკური კურსის გაურკვევლობამ და არათანმიმდევრულმა, უპრინციპო პოლიტიკურმა ნაბიჯებმა გამოიწვია დღევანდელი ჩვენი გასაჭირი.

თემურ იაკობაშვილი თვალთმაქცობს, თვალებში ნაცარს მხოლოდ ერთადერთი მიზნით გვაყრის, რადგან სინამდვილე მის კარიერისტულ მიზნებს არ შეესაბამება და ეს ფსიქოასპექტიც ამით აიხსნება. თვითონ კი ასე ხსნის: „ტალიავინის მისიის დასკვნაში არ არის ნათქვამი, რომ ომი ქართულმა მხარემ დაიწყო... მეტიც, აქ წერია, რომ ომი 7-8 აგვისტოს არ დაწყებულა და დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა“. ვთქვათ, დაგიჯერეთ და მაინც გვინდა, გკითხოთ: რატომ არ მიიღეთ პრევენციული ზომები მის შესაჩერებლად? ბატონო მინისტრო, თქვენ ამასაც ამბობთ: „ამ დოკუმენტში წამოყენებულია თეზა, რომ საქართველომ აღმატებული ძალა გამოიყენა ცხინვალზე. რაც არასწორია, რადგან ჩვენ გვქონდა სრული საფუძველი იმისა, რომ ჩვენი მოსახლეობის დასაცავად გადაგვედგა ნაბიჯი“. თქვენივე სიტყვებით გიპასუხებთ: „ყველა ნაბიჯი რეზულტატზეა ორიენტირებული, ჩვენ კი რა მივიღეთ?.. დანგრეული ქართლი, აყრილი, ლტოლვილად ქცეული მოსახლეობა; უდიდესი, დღემდე დაუზუსტებელი მსხვერპლი, საერთაშორისო არენაზე ავტორიტეტის შელახვა და საქართველოს რუკაზე ორი ახალი სახელმწიფო“.

მძიმე არაა „მონომახის ქუდი“ მაშინ, როდესაც პასუხისმგებლობის გრძნობა არ გაწუხებთ, როცა გამოლმა შედავების პრინციპით მოღვაწეობთ. ყველაზე მეტად თქვენი გაიძვერული ბუნება გამოჩნდა იმ ინტერვიუში, როცა ნიანგის ცრემლებს ღვრით რუსეთის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. და ეს მაშინ, როცა თვით საქართველო ზის დემოგრაფიულ ნაღმზე. იქნებ, ვერ მიგიხვდით და გიხარიათ?! ერთი კი ცხადია, მის ამგვარ შეფასებებს ფსიქოჭრილში პოლიტიკური დალტონიზმი ჰქვია. ვიცით, ხელშეუხებლობის გარანტიის გამო, ილუზიების ბადეში ნებელობით გაეხვიეთ, მაგრამ თქვენი თვალთმაქცობა, მზაკვრობა ყველაფერში ტოვებს ხელოვნურობის ადვილად შესამჩნევ კვალს.

შეიცვალა თემურ იაკობაშვილის რწმენა, შეხედულებები, მიდგომები, რადგან მისმა ფსიქიკამ პოლიტიკური ცხოვრების მკაცრ გამოცდას ვერ გაუძლო, მისი ფსიქოსტრუქტურის საყრდენი კარიერისტული ზრახვა იყო. ამიტომ მან სამართლიან ოპონირებას შეგუება, გულარხეინობა, ყურთბალიშზე უდარდელად თავის მიდება არჩია. ამან კი მის ფსიქიკაში მსაჯულად ცნობილი სინდისი მიაძინა და თვითკონტროლი დაკარგა. გაზულუქებულმა ზანტი რეაქციებით, ზემდგომთა ტაშის დაკვრაზე აცუნდრუკებით, სიყალბით, ავზნიანობით სახელმწიფო მუნდირის ღირსება და ავტორიტეტიც გააუფასურა.

პიროვნული სიმწიფე კი ჯანმრთელი ფსიქიკაა, მტკიცე ნებისყოფა, სინათლისკენ, სიმართლისკენ სწრაფვა, მისკენ შინაგანი სულიერი სისუფთავე, გონებრივი ძლევამოსილება და ღირსების მაღალი გრძნობა მიგიძღვის, რაც, სამწუხაროდ, დღევანდელ პოლიტიკურ ბაზარზე დეფიციტია.

**ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# პატრიარქის მზიანი ღამე და მამარდაშვილის კოდი, ანუ რამდენიმე სიტყვა ქართულ ბუშმაიმუნებზე, ბნელიტაზე, ავადგარდზე და ქალაქიელებზე...





*„ცხადია, შეიძლება მოვისმინოთ, ერთი ქართველი რომ ეუბნება მეორეს:* ***რაღაც ძალიან კარგად იცი რუსული!*** თუმცა ეს არ ვრცელდება ქართველებში, რადგან, **თუ საქართველო დაკარგავს იმ ადამიანებს, ვინც ასე არ ფიქრობს, ის საერთოდაც ყველაფერს დაკარგავს...**

რადგან სწორედ ისინი, ყველასა და ყველაფრის მიუხედავად, ნებისმიერ გარემოებაში, აგრძელებდნენ ცხოვრებას და რაღაცას ქმნიდნენ: მღეროდნენ, მეგობრობდნენ, თხზავდნენ, ანუ ქმნიდნენ! და ინარჩუნებდნენ უმთავრეს **ქართულ ღირებულებას – სიმსუბუქეს, ტრაგიკულ სიმსუბუქეს.**

მასში კი ერთი **კოდირებული ელემენტია** — მას **მხიარულ ტრაგიზმს** ვუწოდებდი.“

**მერაბ მამარდაშვილი**



ეპიგრაფში მე-20 საუკუნის გენიალური ფილოსოფოსის ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუს ფრაგმენტი გულგრილს ვერ დაგტოვებს: ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობა დაგეუფლება — **დიდი მამულიშვილის თანამემამულეობით გამოწვეული სიამაყე და წუხილი დღევანდელი საქართველოს გამო...** მერაბ კონსტანტინეს ძე (იქნებ, მისთვის საბედნიეროდ!) ვერ მოესწრო იმ დღეს, როცა მისი ყველაზე ცუდი ვარაუდი გამართლდა: **ქართველების მთავარმა ღირებულებამ — მსუბუქმა ტრაგიზმმა** — ქართველებს შავი დღე დააყენა: **სიმღერების თხზვასა და ცეკვაში გართულებმა ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ ნელ-ნელა დავკარგეთ ყველაფერი ქართული — ტრადიციები, ტოლერანტობა, სიკეთე, ისტორია, მეგობრები... ვერ შევამჩნიეთ რუსების წასვლა საქართველოდან, ვერ შევამჩნიეთ, როგორ დავივიწყეთ რუსული ენა, ვერ შევამჩნიეთ, ჯერ როგორ გვაიძულეს რუსების დავიწყება, დღეს კი გვაძალებენ მათ შეძულებას... ვერ შევამჩნიეთ, როგორ შევწყვიტეთ ქართველობა!**

**დაგვრჩა მხოლოდ ჩვენი მაცხოვრის, უფალი იესო ქრისტეს მართლმადიდებლური ჯვარი — მტკიცე საყრდენი, რომელიც ჯერ კიდევ ბურჯად უდგას საქართველოსა და ერთმორწმუნე რუსეთს შორის გადებულ ხიდს; იმ ერთმორწმუნე რუსეთისა, მილიონნახევარი ქართველისთვის სამშობლოდ რომ იქცა! ჯვარმა გაუძლო მაშინაც კი, როცა 2008 წლის აგვისტოში მასზე ტანკებმა გადაიარეს, თუმცა საქართველოს განმანათლებლის, მოციქულთასწორი წმიდა ნინოს ჯვრის ვაზის დარად, მძიმე ტვირთის ქვეშ გაიღუნა...**

მაგრამ **მამარდაშვილის** მიერ აღმოჩენილი **ქართველი ერის კოდი — მხიარული ტრაგიზმი,** რომელიც ჩემი ღრმა რწმენით, ტოლფასია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის **ილია II**-ის მეტაფორისა — **მზიანი ღამე,** უძლური აღმოჩნდა **გლობალიზმის პანდემიისა** და **ბუშის ბაქტერიების** წინაშე, განზრახ რომ შემოიტანეს **ივერიის მადლიერი მიწის** *(ზეციური დედოფლის, წმიდათაწმიდა ქალწულის, მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრის)* **სამხედრო ბაზად** და ექსპერიმენტულ ლაბორატორიად, **ხოლო ქართველებისა და აქ უძველესი ხანიდან მცხოვრები სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა საცდელ კურდღლებად გადასაქცევად! პროექტ „GEORGIA“-ს** საავტორო კოლექტივმა **(რაისი, ჩეინი, მაკეინი, ფრიდი, ბრაიზა)** და მათმა აღზრდილებმა **(ბოკერია, კიწმარიშვილი, ლომაია, დარჩიაშვილი, გაბაშვილი, რამიშვილი, თუთბერიძე, შაშკინი)** ეს თითქმის მოახერხეს, მაგრამ... ისე მოხდა, რომ **პროექტის ხელმძღვანელი — მისტერი ბუშმისტერი** — დიდი ხნის დამსახურებულ პენსიაზე გაუშვეს, ხოლო აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა **პროექტის** მიმართ, მისი არარენტაბელობისა და კონტრპროდუქტიულობის გამო, ინტერესი არ გამოიჩინა.

**რაღა რჩებათ ზემოჩამოთვლილ ბუშმაიმუნებს, რომ პროექტი დახურვისგან, ხოლო საკუთარი თავი მართლმსაჯულებისგან ეხსნათ? მორიგ ჯერზე და უკანასკნელად უმოკლეს ვადაში დასახული მიზნისათვის მიღწევა** (ამჯერად წინასწარი გასამრჯელოს გარეშე, **„პოსლეზე“), რათა გაამართლონ მათ დივერსიულ სპეცმომზადებაზე გახარჯული თანხები** (სხვათაშორის, **ამერიკელ გადასახადის გადამხდელთა** ხარჯზე)**!**

ამიტომ, როგორც ვვარაუდობდი, პუბლიკაციაში **„ნატოწალებულნი...“** (ყოველკვირეული გაზეთი ***„საქართველო და მსოფლიო“***, 2009 წლის 14 ოქტომბერი geworld.net) **საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა (IRI)** გააქტიურა თავისი საქმიანობა საქართველოში და წინა კვირას **(2009 წლის 23 ოქტომბერს)** მის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა, რომელთა თანახმადაც საქართველოში **ყველაზე სასურველ პოლიტიკოსად** ქვეყნის პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** დასახელდა (რესპონდენტთა 70 %); **ყველაზე პოპულარულ პარტიად** კი — მმართველი **„საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** (რომლის სასარგებლოდაც, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში, ხმას მისცემდა ამომრჩეველთა 43 %); მეორე ადგილზეა **პროექტ „GEORGIA“**-ს ხელმძღვანელობის მიერ ავარიულ რეჟიმში შექმნილი „საბრძოლო რეზერვი“ — **„ალიანსი საქართველოსთვის“** (9 %) და მისი ლიდერი, სააკაშვილის დუბლიორი **ირაკლი ალასანია** («**Hollywood**» არაფერს წააგებდა, ხოლო ქართველი გადასახადის გადამხდელები მხოლოდ მოგებულნი დარჩებოდნენ, ახალ კინოფილმში საქართველოს პრეზიდენტის როლზე, **ენდი გარსიას** ნაცვლად, **ირაკლი ალასანია** რომ მოეწვიათ! უფრო მეტიც — **ეს იქნებოდა ერთადერთი ნამდვილად დამაჯერებელი ეპიზოდი ფილმში...**).

დავძენ, რომ **(IRI)**-მ დაადგინა ქართველი საზოგადოების ოპტიმიზმის ხარისხიც — გამოკითხვის შედეგების თანახმად, **ოპტიმისტურადაა განწყობილი 76 % (ტრაგიკული სიმსუბუქე!** – *იხ. ზემოთ*).

გარდა ამისა, სოციოლოგიურმა გამოკითხვამ დაადგინა, რომ **საქართველოში გამოკითხულთა 93% ეკლესიას ენდობა, ამიტომაც ბუშმაიმუნებმა მათ გზაზე უკანასკნელ ციტადელზე** — **საქართველოს მართლმადიდებლურ სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიასა და სრულიად საქართველოს პატრიარქზე გადამწყვეტი იერიში დაიწყეს: „თავისუფლების ინსტიტუტის“** ხელმძღვანელის მოადგილემ და არასამთავრობო ორგანიზაცია **„სკოლების დირექტორთა ასოციაციის“** აღმასრულებელმა დირექტორმა **თეა თუთბერიძემ** წინა კვირას ინტერნეტში (თავისი **facebook**-ის გვერდზე) განათავსა საზიზღარი პაროდიების შემცველი, წარმოუდგენლად უხამსი კლიპები **პატრიარქზე**, ხოლო თავის ინტერვიუებში მას ***„სიმსივნური წარმონაქმნი, რომელსაც ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატებით კი არ უნდა უმკურნალონ, არამედ უნდა ამოკვეთონ“,*** უწოდა. ასეთ პრეპარატებად მიაჩნია მას საქართველოს ხელისუფლების მიერ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისთვის ნაჩუქარი 25 მლნ დოლარი, „ჯიპები“ — „პიკაპები“ და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბოლო განცხადებაც კი, რომელიც თითქოსდა მოწოდებულია, **პატრიარქი** მისგან მიყენებული პირადი შეურაცხყოფისგან დაიცვას. ***„თავისი განცხადებებით პატრიარქმა მიაფურთხა მთელ ერსა და იმ ხალხს, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომამდე ე. წ. ერთმორწმუნე რუსებმა გაანადგურეს! ჩვენ ვაშენებთ სეკულატიურ სახელმწიფოს, ხოლო პატრიარქი თავს უფლებას აძლევს, ჩაერიოს და თავისი აზრი გამოთქვას! საპატრიარქო პოლკოვნიკებითა და რუსეთის ჯაშუშებით გაივსო! რუსებმა ვერ მოახერხეს ქართული ოპოზიციის გადაბირება და ამიტომ ახლა ყველაზე სენსიტიურ, მგრძნობიარე ადგილს — მართლმადიდებლობასა და ქართულ სარწმუნოებას იყენებენ!“*** — უაპელაციოდ დაასკვნა **თეამ, რომელსაც ცერე-უ იყენებს,** და **საქართველოს პატრიარქი პრაქტიკულად რუსეთის მიერ დავერბოვკებულ აგენტად გამოაცხადა, რომელიც მის გარემოცვასთან ერთად დასაპატიმრებელია** (საქართველოში **ჟირინოვსკი** ბევრს **„კრემლის რუპორად“** მიაჩნია: უნდა მივიჩნიოთ თუ არა ასეთ შემთხვევაში **თუთბერიძე „სააკაშვილის რუპორად“**, კაბაში გამოწყობილ **ქართველ ჟირინოვსკიდ?!** იქნებ, მისი ბოლო გამოხდომა საქართველოს პრეზიდენტის **საიდუმლო თანხმობით** განხორციელდა, რომლის დასტურის გარეშეც აქ არაფერი ხდება, იმ მიზნით, რომ **განისაზღვროს ქართველი საზოგადოების მოთმინების ზღვარი?!**)

არადა, ჯერ კიდევ **2009 წლის 24 იანვარს** პუბლიკაციაში **„საწყენი და სამარცხვინოა!“** (გაზეთ ***«Свободная Грузия»***-სა და **რუსეთში ქართველთა კავშირის** საიტზე

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

georgians.ru) საზოგადოებას ვაფრთხილებდი: ***„დაიწყო პირდაპირი იერიში მართლმადიდებლობასა და საქართველოს პატრიარქზე იდეოლოგიური იარაღის გამოყენებით: „30 ვერცხლად“ ნაყიდი ტელეჟურნალისტები, de facto სამთავრობო მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები თავს გვახვევენ რუსი და ქართველი ხალხებისთვის უმთავრეს ღირებულებათა გადაფასებას!*** ამ მიზნით:

— წმიდა სამების ეკლესიიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლეს პირდაპირი ტრანსლაცია **წყდება თოქ-შოუთი;**

— გვთავაზობენ პროექტს „დიდი ათეული“, სადაც ქართველი წმინდანები „კასტინგზე“ გამოუყვანიათ და ტელემაყურებელმა უნდა გადაწყვიტოს — **რომელი „უფრო წმინდაა“ მათ შორის;**

— ყველანაირად ცდილობენ დაგეგმილი მისიის — სრულიად საქართველოს პატრიარქის მოსკოვში ვიზიტის მნიშვნელობის დაკნინებას მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის ალექსი II-ის აღსასრულთან დაკავშირებით, რომელთანაც მას მრავალწლიანი მეგობრობა და ურთიერთგაგება აკავშირებდა და რომლის ხელმძღვანელობითაც უწმინდესმა სინოდმა, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდეგაც, არ მიიღო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მართლმადიდებლური ეკლესიები რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის შემადგენლობაში, **რითაც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ერთიანობა აღიარა;**

— რუსეთის პატრიარქის გარდაცვალებიდან 40 დღეც არ იყო გასული, როცა ტელეარხებმა სპეციალურად მომზადებული სიუჟეტებით ალექსი II და უწმინდესი სინოდის ბევრი წევრი **კა-გე-ბეს აგენტებად,** რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია კი **კრემლის ადმინისტრაციის განყოფილებად, აგრესორად და რუსული მილიტარისტული მანქანის იარაღად გამოაცხადეს;**

— მორიგი ასეთი სიუჟეტი ტელეეთერში ა. წ. 19 იანვარს გავიდა, როცა მართლმადიდებელი ქრისტიანები, როგორც ყოველთვის, ერთად დღესასწაულობდა წმიდა ნათლისღებას, თანაც სიუჟეტის ანონსი თბილისში, წმიდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის ფონზე იყო გადაღებული, **რომლის მრევლიცა და ბერიც, როგორც ქართველები, ასევე რუსები არიან.“**

2009 წლის 26 აგვისტოს კი პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრე ჭაჭია** პოპულარულ საინფორმაციო-ანალიტიკურ ინტერნეტგამოცემასთან «Сегодня.Ру» (segodnia.ru) ინტერვიუში — **„საქართველო და რუსეთი ერთმანეთს დაუბრუნდებიან!“** — გვაფრთხილებდა: ***„საქართველოს პატრიარქის ფიგურა ქართველ საზოგადოებაში პატივისცემით სარგებლობს იმის გამოც, რომ ის ერთადერთია, ვინც ასახიერებს შემორჩენილ ტრადიციას — მართლმადიდებლობის, სულიერების, ეროვნული ტრადიციების დაცვის, წარსულთან უწყვეტი კავშირის იდეას. საზოგადოება ხედავს, რომ ხელისუფლება ამერიკელების მითითებებით წაახალისებს სექტების, ნიჰილიზმის, პორნოგრაფიისა და პროსტიტუციის, გარყვნილების გავრცელებას, მართლმადიდებლობაზე აშკარა თავდასხმას, ადამიანებში მართლმადიდებლური ცნობიერების აღმოფხვრას! ამიტომ საქართველოში ეკლესიის გარშემო კონსოლიდაციის სურვილი ძლიერდება. შემთხვევით როდი გეგმავს საქართველოს ხელისუფლება ილია II-ის წასვლის შემდეგ საპატრიარქოს სათავეში ისეთი ადამიანის დაყენებას, ვინც მთლიანად ესადაგება ამერიკის ადმინისტრაციისა და საქართველოს ამჟამინდელი ელიტის მოთხოვნებს. ეს საქართველოსთვის ტერიტორიების დაკარგვაზე ნაკლები ტრაგედია როდი იქნება!“***

მაგრამ „ამნეზიადამართულმა“ ქართულმა **ელიტა-ბნელიტამ** (რომელსაც „ერთ ცხვარსაც“ ვერ ვანდობდი...) **მაშინ ყურიც არ გაიბარტყუნა!** დღეს კი ჩვენმა **პირფერმა ინტელიგენციამ,** თავს რომ ერის სინდისად აცხადებს და, უკვე მერამდენე წელია, მიჩვეულია ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკს, ისტერიკა მოაწყო: ***„ვინ გვიგდია ეს თეა თუთბერიძე?! მასზე ლაპარაკიც კი მეტისმეტად დიდი პატივია მისთვის!“*** ალბათ, დაავიწყდათ, რომ სწორედ **„კმარას“** აქტივისტი თეა თუთბერიძე 6 წლის წინათ სალებავებით თხუპნიდა სამთავრობო დაწესებულებებს, აკრავდა პროკლამაციებს, კეტავდა გზებს და აწყობდა მიტინგებს, **სანამ სააკაშვილსა და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან ერთად, 2003 წლის 23 ნოემბერს შევარდნაძის ხელისუფლება არ დაამხო!** ასე რომ, ჩვენი **ბნელიტა** — მხატვრები, მუსიკოსები, რეჟისორები, მსახიობები და ათასი ჯურის სამეფო კარის ტაკიმასხარები — **სახელმწიფო შეკვეთებითა** და **ინდაურებით** მოსყიდულები, **ჩვეულებრივი მოღალატენი არიან!**

და განა მარტო ისინი, — **ქართული ოპოზიციის ავადგარდს — გაჩეჩილაძეებს, ბურჯანაძეს, ზურაბაშვილს, ბესელიას, გამსახურდიას კომპანიას — რატომ არ დაუდგამს საკნები, არ ჩაუტარებია არც ერთი მიტინგი „თავისუფლების ინსტიტუტის“, სოროსის ფონდის, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ოფისების წინ მაშინ, როცა პარლამენტთან, სახელმწიფო კანცელარიასთან, პრეზიდენტის სასახლესა და საზოგადოებრივ ტელევიზიასთან ისინი ათობით და ასობით დადგეს ა. წ. ზაფხულში საპროტესტო აქციების დროს?! რა არის ეს, თუ არა ორმაგი სტანდარტი?!** (დღევანდელი გადასახედიდან, იმედია, გასაგებია, რით შეიძლებოდა დასრულებულიყო **პატრიარქისთვის** ა. წ. 27 მაისის აქცია, რომელიც, პრაქტიკულად, არსებული ხელისუფლების დამხობის მცდელობად შეფასდა! **ხელისუფლებას ეს არ დავიწყებია და არც უპატიებია, ისევე, როგორც პატრიარქის მოწოდება ვადამდელი არჩევნების ჩატარების თაობაზე!)**

მაშ, **რატომაა, რომ ქართლი მიწის მადლცხებულად, ქართული ტრადიციების მცველებად თავშერაცხილმა და თავისი ტფილისური წარმოშობით „მოკაჩავე“ „ქალაქიელებმა“ ამ წლების განმავლობაში არ შეუქმნეს მაქსიმალური დისკომფორტის რეჟიმი ზემოთ ნახსენებ „სოროსელ ვირთხებს“?!** რატომაა, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შეურაცხმყოფელი საფრთხობელა **თუთბერიძე** და მისნაირი უწმინდურები უშიშრად და არხეინად ცხოვრობენ ჩვენთან ერთად ქვეყანაში, სადაც 87% მართლმადიდებელია, სუნთქავენ იმავე ჰაერით, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ და მრავლისმნახველი ტფილისის ქუჩებში დაიარებიან?! განა ნათელი არაა, რომ სახელმწიფო ბრძანებულებით გასულ კვირას ლიკვიდირებული **შრომის წიგნაკები** ისევ **თუთბერიძისა და მისი გუნდის** ინტერესებს ემსახურება, რომლებმაც **თავიანთი ძირგამომთხრელი სამუშაოს შესრულება (შესაბამისად, შრომის წიგნაკების გახსნა!) პარლამენტში, სახელმწიფო კანცელარიაში, სამინისტროებში, თავისუფლების ინსტიტუტებში, სოროსის, მაკარტუროვის ფონდებში, რესპუბლიკურ ინსტიტუტებში ან „ნაცმოძრაობაში“ დაიწყეს?!** რათა **თეას** არასდროს არავინ ჰკითხოს: ***„როგორ მოხდა, ძვირფასო, რომ მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ წყალობით, უმაღლესი განათლების სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომმილებული, რაღაც ორიოდე წლის შემდეგ ამავე უნივერსიტეტის პროფესორი გახდი?!“***

ხოლო, თუ ვიღაცის **„გაფუჭება“** გახდება საჭირო, **მას შრომის წიგნაკსაც მოჰკითხავენ, კომუნისტურ წარსულსაც შეახსენებენ, თანამშრომლობა-დასმენასაც აიძულებენ და უმუშევარსაც დატოვებენ (ლუსტრაციის შესახებ** კანონის საფუძველზე) და **სატელეფონო მოსმენის ჩანაწერებსაც აუფრიალებენ („პატრიოტის აქტის“** საფუძველზე)!

**P.S.** ***„ჩვენ, ქართველები ვართ ჰაერი და არა — მიწა...***

გვეკრძალება, რომ საკუთარი ბედ-იღბლისა და უბედურების სიმძიმე სხვების მხრებს ვატვირთოთ. არ შეიძლება წუწუნი; უნდა ვიმღეროთ და ვიმხიარულოთ! **უკანონო სიხარულის,** ანუ სიცოცხლის ტალანტი კულტურის ერთ-ერთი ისტორიული ფასეულობაა. აქვთ ქართველებს სიხარულის ნიჭი და რა გაეწყობა! **ნამდვილად უკანონო სიხარულისა, რადგან არაფერი გვაქვს იმისათვის, რომ ის იყოს, ანდა ყველაფერია იმისათვის, რომ არ იყოს...**

ბოთლი ღვინო და პურის ნატეხი თუ გაქვს, სუფრასაც გაშლი. ლხინის ინსცენირება ხდება. არავის აქვს მიზეზი მოლხენისა, ჩვენ კი ვკითხულობთ: ნუთუ მოსალხენად მიზეზია საჭირო? **ჩვენ ვართ და ჩვენ ვართ ყველაფრის მიუხედავად, გესმით?!“**

— ესეც **მამარდაშვილის** იმავე ინტერვიუს ამონარიდია. **მაშ, დადგება თუ არა დრო, რომ ჩვენი სიხარული კანონიერი გახდეს, ანუ როცა სიხარულისთვის მყარი საფუძველი** გვექნება და **მზიან ღამეს** ნანატრი **მზიანი განთიადი შეცვლის?!**

ვფიქრობ, რომ ჟამი, როცა ქართველი ხალხი საბოლოოდ გამოფხიზლდება და **საკუთარი ისტორიის სუბიექტად იქცევა,** კარს მოგვდგომია...

# ასპინძის მუზეუმის უნიკალურ ექსპონატებს ზაზაძეები ოჯახში ინახავენ, კულტურის სამინისტრო კი ბრმაყრუობას აგრძელებს

**ლადო გუდიაშვილის, უჩა ჯაფარიძის, კოკა იგნატოვის, მოსე თოიძისა და სხვა მხატვართა ცნობილი თუ უცნობი ნამუშევრები, რომლებზეც შოთა რუსთაველი და „ვეფხისტყაოსნის“ გმირებია ასახული, ასპინძის მუზეუმის კუთვნილებაა. დღეს ცოტამ თუ იცის, რა სიმდიდრის მფლობელია ამჟამად არარსებული მუზეუმი და რა პირობებში ინახება უნიკალური შედევრები.**




მუზეუმის ექსპონატების ნაწილს, უკვე ათი წელია, მუზეუმის ყოფილი დირექტორის — ნუგზარ ზაზაძის ოჯახში ინახავენ. ზაზაძეები ამბობენ, რომ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ძველი მუზეუმის შენობა დაინგრა. აწ გარდაცვლილი დირექტორის მეუღლე ნორა გაბუნია იმ დროის ამბებს იხსენებს:

**„მიწისძვრისგან შენობა ძალიან დაზიანდა. ჩემი მეუღლე შიშობდა, რომ მალე დაინგრეოდა, ამიტომ ძვირადღირებული ექსპონატები სახლში გადმოიტანა და უკვე ათი წელია, აქ ვუვლით; დანარჩენი ნივთები კი სტამბის შენობაში წაიღეს. ხელისუფლების მხრიდან დღემდე არავინ დაინტერესებულა იმით, თუ რას ვინახავთ. მხოლოდ ერთხელ იყო კულტურის სამინისტროს კომისია მოსული; ჩემმა მეუღლემ ყველაფერი აჩვენა და აღწერილობის დოკუმენტიც წარუდგინა“.**

ძვირადღირებული ექსპონატების სახლში შენახვა ზაზაძეებს ეშინიათ, რადგან **„სახლი დაცული არ არის და ვაითუ თავს დაგვესხან, ამიტომ სახლს ვერ ვტოვებთ,“** — ამბობს ნორა გაბუნია.

ნ. ზაზაძის გარდაცვალების შემდეგ, მუზეუმის დირექტორის მოვალეობას მისი ვაჟი — გიორგი ასრულებდა. ის ექსპონატების ამბის გახმაურების წინააღმდეგია, რადგან ფიქრობს, რომ, შესაძლოა, ექსპონატები თბილისში წაიღონ და რაიონმა საერთოდ დაკარგოს ისინი.

შოთა რუსთაველის მუზეუმის შექმნა 1986 წელს მგოსნის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით გადაწყდა. ასპინძის მაშინდელმა ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირში შემავალი თხუთმეტივე რესპუბლიკის კულტურის სამინისტროებს რუსთაველთან დაკავშირებული ყველა ტიპის მასალის მოძიება სთხოვა. ასე აღმოჩნდა ვილნიუსიდან ასპინძაში კოკა იგნატოვის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ 14 ილუსტრაცია და 2 ტილო — „დავითი“ და „თამარი“, თუმცა ილუსტრაციები დღეს სად ინახება, გაურკვეველია.

მხატვარი რეზო გვირჯიშვილი შეშფოთებულია შექმნილი მდგომარეობით:

**„იყო ბერძენიშვილის, ონიანის მიერ შექმნილი ქანდაკებები; იგნატოვის, გუდიაშვილის, ჯაფარიძის ორიგინალი ტილოები. ოჯახურ პირობებში ნამუშევრები არ უნდა ინახებოდეს, მაგრამ მაშინ სხვა გზა არ იყო. მუზეუმის დირექტორმა სახლში გადაიტანა უნიკალური ექსპონატები და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ დღეს ეს შედევრები არსებობს“,** — აღნიშნავს მხატვარი.

რეზო გვირჯიშვილს უჭირს ნამუშევრების შეფასება, მაგრამ ამბობს, რომ ისინი საკმაოდ ძვირადღირებულია. მისგან განსხვავებით, ასპინძის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის საბუღალტრო წიგნში **უჩა ჯაფარიძის „შავი ნესტანი“ 600 ლარად, ხოლო ვახტანგ ონიანის „ოქროს ხანა“, რომელზეც ახალგაზრდა რუსთაველია გამოსახული, ყველაზე „ძვირად“ — 658 ლარად შეუფასებიათ.**

2000 წლის მონაცემებით, ასპინძის მუზეუმში 300-ზე მეტი დასახელების წიგნი, ტილო და ფერწერული ნამუშევარი ინახებოდა. მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსის — ოთარ ცინაძის განცხადებით, ექსპონატები დაუცველია.

**„ექსპონატები სტამბის შენობაშია გადატანილი, თუმცა იქ არანაირი სამუზეუმე პირობა არ არსებობს. ფაქტია, რომ ისინი დაუცველია; მტვერი, ჭუჭყი და ბაქტერია ედება, რაც დროთა განმავლობაში მათ დააზიანებს. ნაწილი სურათებისა ოჯახშია გადატანილი. კულტურის სახლის შენობაში ოთახის გამოყოფას ვაპირებთ და ყველა ექსპონატს იქ გადავიტანთ“.** — ამბობს ოთარ ცინაძე და კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას, — **ჩვენ კიდევ ერთი პრობლემის წინაშე ვდგავართ: მუზეუმები აღარ არსებობს. მუზეუმი რომ ჩამოყალიბდეს, ამისთვის საჭიროა, ჩამოყალიბდეს არასამეწარმეო იურიდიული ორგანიზაცია. ამ ყველაფერს სჭირდება შენობა, რომელიც სამი წლის წინათ ააშენეს და თანაც ისე „კარგად ააშენეს“, რომ... დაინგრა. ამის გამო შენობის გარეშე დავრჩით. როცა მუზეუმი აშენდება, ორგანიზაციაც ჩამოყალიბდება და გვექნება დაფინანსება, რომლითაც განისაზღვრება რესტავრირების ხარჯები. ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანაა, როგორმე შევინახოთ ექსპონატები“.**

რაც შეეხება ნამუშევრების რაიონიდან გატანასა და დაკარგვას, ცინაძე ამბობს, რომ მათ რაიონიდან კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მაშინ გაიტანს, თუ მუზეუმის აშენება ვერ მოხერხდება, თუმცა სამინისტროს კონკრეტული ვადები არ დაუწესებია.

თავის მხრივ, კულტურის სამინისტროში აცხადებენ, რომ რაიონებში არსებული მუზეუმები არასამეწარმეო იურიდიული ორგანიზაციებია და ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, სწორედ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ან კონკრეტულად ამ მუზეუმის ხელმძღვანელობამ უნდა მიხედოს ნახატებს.

ვინაიდან ასპინძის მუზეუმის აშენებაზე დიდძალი თანხა დაიხარჯა და ის აშენებიდან ერთ თვეში დაინგრა, ძნელი წარმოსადგენია, რომ მუზეუმი ასპინძაში ხელმეორედ ააშენონ. პატარა რაიონს, იმის ფუფუნება ნამდვილად არ აქვს, რომ ყოველწლიურად 40 ათასი ლარი მუზეუმების აშენებაზე ხარჯოს.

გუდიაშვილის „თამარის ფრესკა“, უჩა ჯაფარიძის „დავით აღმაშენებელი“ და „შავი ნესტანი“, ბერძენიშვილის, მიქატაძისა და სხვათა ნამუშევრები ყურადღებასა და მოვლას საჭიროებს. რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე და მუზეუმის დამაარსებელი ავთანდილ ბერიძე პასუხს ხელისუფლებას სთხოვს.

**„იმდენად უნიკალური ექსპონატებია, რომ ისინი შეუფასებელია. მუზეუმის შენობა დაინგრა და დღეს ყველაფერი ღია ცის ქვეშაა დარჩენილი. თუ დროზე არ მიხედეს, ექსპონატები განადგურდება. მათ გადარჩენაზე ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს“,** — გვითხრა ავთო ბერიძემ.

უსინათლოებისთვის ბრაილის შრიფტით შედგენილი „ვეფხისტყაოსანი“ ღია ცის ქვეშ არის დარჩენილი.

როგორ უნდა მიხედონ ამ შედევრებს ერთ პატარა რაიონში, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია. როდემდე დარჩება უნიკალური ექსპონატები და გუდიაშვილის ბევრისთვის უცნობი ფრესკა არასათანადო პირობებში ჩაკეტილი და დაუცველი, ჯერჯერობით უცნობია. მათზე ზრუნვა, ალბათ, წლების განმავლობაში ისევ ზაზაძეების ოჯახს მოუწევს.

**მაგდა კლდიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ირმა ინაშვილი:

# მართლმადიდებლურ ეკლესიასა და პატრიარქზე შეტევა ხუთი წლის წინათ დაიწყო «თავისუფლების ინსტიტუტმა»

**„ვარდების რევოლუციის“, ანუ მას შემდეგ, რაც ლიბერალთა ერთმა ჯგუფმა დემოკრატიული ღირებულებების დეკლარირებით სახელმწიფო ძალაუფლება ხელში ჩაიგდო, მართლმადიდებელ ეკლესიაზე შეტევის დროც დადგა. მათ კარგად ესმოდათ ამ ბრძოლის სირთულე. ხალხის სარწმუნოებისკენ შემობრუნება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და ეკლესიის დიდი ავტორიტეტი, რასაც აშშ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის გამოკითხვებიც ადასტურებდა, მათთვის საფრთხესაც შეიცავდა და კიდევ უფრო აშფოთებდა ულტრალიბერალურად განწყობილ „დემოკრატებს“.**

## სახელმწიფო ტელევიზიას წმიდა სინოდის დისკრედიტაციას ავალებდნენ

მაგრამ ეს საფრთხე მათ კიდევ უფრო მეტ ჟინს აღუძრავდა, გააფთრებით ებრძოლათ ეკლესიის წინააღმდეგ. რაკი იცოდნენ, რომ ღია ბრძოლა მართლმადიდებელი ქართველების (და არა მარტო მათ!) აღშფოთებას გამოიწვევდა, ეშმაკობას მიმართეს და ხალხის იდეოლოგიური დამუშავება დაისახეს მიზნად.

პირველი ნაბიჯი იყო სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე სპეციალური გადაცემების მომზადება. ამ საკითხს საგანგებო თათბირები — „რელიგიის თათბირები“ მიუძღვნეს, რომლის მიზანი იყო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება საქართველოს საპატრიარქოსა და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ.

პირველ არხს კომპლექსურად უნდა გაეშუქებინა ეს თემა, „მოამბის“ საინფორმაციო გამოშვებებით დაწყებული და დოკუმენტური ფილმების ციკლით დამთავრებული, რაც ჟურნალისტ ირმა ინაშვილსა და პუბლიცისტიკის ჯგუფს ევალებოდა. ამ გეგმის ავტორი იყო „თავისუფლების ინსტიტუტი“. 2004 წლის ზაფხულში ამ ჯგუფმა თათბირზე მიიტანა ე.წ. პიარ-გეგმა სათაურით **„ძირითადი მესიჯები“**:

1. საქართველოს საპატრიარქო — აისახოს, რა ვითარებაა სინოდში. უნდა ითქვას, რომ სინოდი გახლეჩილია რამდენიმე ნაწილად, რომ პატრიარქი ველარ მართავს პროცესებს, რადგან დაბერდა!.. სინოდი უნდა წარმოჩინდეს, როგორც უუნარო ორგანო, როგორც კორუმპირებული მეუფეების ჯგუფი, რომელთა ერთი ნაწილი ფანატიკოსია, მეორე — მექრთამე, მესამე — ეკლესიაში ცვლილებების დამკვიდრების მსურველი;

2. უნდა მომზადდეს დოკუმენტური ფილმი, რომელიც ასახავს სამონასტრო ცხოვრებას. ამ ფილმში უნდა ითქვას, რომ დედაოები გათხოვებაზე ოცნებობენ, ხოლო მამები მამათმავლები არიან. ეს უნდა ითქვას „ლამაზ ფორმებში“;

3. უნდა მომზადდეს ფილმი, რომელშიც აისახება, რომ მრევლი აბსოლუტურად ბრმა და უცოდინარია. ფერიცვალების დღეს უნდა მივიდეთ ეკლესიებთან და ვკითხოთ მრევლს: იცით, რა არის ფერისცვალება? და ვნახავთ, რომ უცოდინარნი არიან ეს ადამიანები;

4. უნდა გაშაირდეს ჯოჯოხეთი და სამოთხე. ამ ბლოკს პირობით „რეპორტაჟი ჯოჯოხეთიდან“ ეწოდება;

5. ქართული და ბერძნული საგალობლების თემა. წირვის არქიტექტონიკა — ყველაფერი არის გადასახალისებელი და შესაცვლელი. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ეკლესია „ძველ დროში“ დარჩა და არ ნერგავს სიახლეებს, ანუ ჩამორჩენილია;

6. როგორ ავიწროებს მართლმადიდებლობა სხვა კონფესიებს, როგორ დაანგრიეს მართლმადიდებლებმა ჯავახეთში კათოლიკური ეკლესია. ასეთი ფაქტები მსუყედ უნდა წარმოვაჩინოთ!

7. ეკუმენიზმის გაანალიზება, პროპაგანდა. რატომ გამოვიდა პატრიარქი მსოფლიო ეკლესიათა საბჭოდან; რომ ეს იყო არასწორი, ანუ უნდა გავაკრიტიკოთ პატრიარქი!

8. მოუნათლავი ბავშვების ჯოჯოხეთში მოხვედრის თემა!

ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა „თავისუფლების ინსტიტუტელებს“ პირდაპირ უთხრა, რომ ეს კამპანია მიზნად ისახავდა დედა-ეკლესიის დისკრედიტაციასა და პატრიარქის ჩამოგდებას!

ბუნებრივია, 2004 წელს სახელმწიფო ტელევიზიაში „თავისუფლების ინსტიტუტის“ საბოლოოდ გაბატონების შემდეგ ირმა ინაშვილი ტელევიზიიდან დაითხოვეს. იგი ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივს“ ხელმძღვანელობს და პერიოდულად ამზადებს დოკუმენტურ ფილმებს, რომლებშიც დღევანდელობა პირუთვნელად არის ასახული. ახლა, როცა გააფთრებით უტევენ პატრიარქსა და ქართულ ეკლესიას, ირმა ინაშვილის რედაქციაში მოწვევა გადავწყვიტეთ და ხუთი წლისწინანდელი პერიპეტიების გახსენება ვთხოვეთ.



**ამ კამპანიით მიხეილ სააკაშვილმა ისარგებლა და ერთდროულად რამდენიმე კურდღელიც დაიჭირა.**

**— ირმა, არაერთხელ გითქვამს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებამ და მისმა იდეოლოგიურმა შტაბმა იერიში საქართველოს ეკლესიაზე მიიტანეს...**

— 2004 წლის აგვისტოში, როდესაც ჯერ კიდევ საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე პუბლიცისტიკის ჯგუფის ხელმძღვანელად ვმუშაობდი, ჩემს კოლეგებთან ერთად დამიბარეს ტელევიზიის სათათბირო დარბაზში. როდესაც „საგანგებო თათბირზე“ შევედი, დარბაზში დამხვდნენ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელები და მხარდამჭერები: ლევან რამიშვილი, გიგი თევზაძე, სოზარ სუბარი, ლაშა ბუღაძე, ბექა მინდიაშვილი, ნოდარ ლადარია, ბასილ კობახიძე, მამუკა ხერხეულიძე, თამარ კინწურაშვილი... ამ ადამიანებმა, ანუ ჩვენი ქვეყნისა და ერის დიდმა „მოსიყვარულეებმა“ პირდაპირ დაგვირიგეს გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციას. პიარ-გეგმის თანახმად, პირველი არხის გადამღებ ჯგუფებს მონასტრებში მოღვაწე დედები და მამები მაქსიმალურად ნეგატიურ ჭრილში უნდა წარმოგვეჩინა, რათა ამას გამოეწვია საზოგადოების უნდობლობა და ზიზღი ეკლესიისადმი. ჩვენ უნდა გვეჩვენებინა საპატრიარქო, როგორც შურიან, მოქიშპე მღვდელმსახურთა ბუდე. უნდა გაგვეკრიტიკებინა ქართული საეკლესიო გალობა, წირვა; ხაზი უნდა გაგვესვა, რომ მრევლი გაუნათლებელია და არ იცის კონკრეტული საეკლესიო დღესასწაულების ისტორია და არსი.

ახლოვდებოდა ფერისცვალების დღესასწაული. „თავისუფლების ინსტიტუტის“ „ლიდერშიფი“ გვაძლევდა რეკომენდაციას, — გამოგვეკითხა მრევლი და გვეჩვენებინა, რომ დიდმა ნაწილმა არ იცის, რას ნიშნავს ფერისცვალება.

მინდა, ექსკლუზიურად თქვენს გაზეთს გადავცე ის ნაბეჭდი მასალა, რაც მესიჯების სახით მოიტანა „თავისუფლების ინსტიტუტმა“.

**— ამ თათბირის მონაწილე ტელევიზიის თანამშრომლებმა რა უპასუხეთ?**

— ტელევიზიის თანამშრომლებმა ამ თათბირებს უწოდეს „რელიგიის თათბირები“. ყველამ გაიგო, რაც ხდებოდა საქტო დარბაზში, ყველა ხედავდა „თავისუფლების ინსტიტუტის“ ლიდერებს, ყველა გრძნობდა საშიშროებას და გვთხოვდა, ანტიეკლესიური ფილმები არ მოგვემზადებინა.

**— შემდეგ როგორ განვითარდა პროცესები?**

— მე ღიად დავუპირისპირდი „თავისუფლების ინსტიტუტის“ გუნდს და ვთქვი, რომ არ გავაკეთებდი ამ ფილმებს, თუ პატრიარქის კურთხევას არ მივიღებდი... მართლაც, წავედი საპატრიარქოში და შევხვდი მამა გიორგი გამრეკელს (ამჟამად მეუფე იოანეს) და ყველაფერი ვუამბე. პატრიარქმა ამის შესახებ როცა შეიტყო, განაცხადა: „თუ იქნება ღვთის ნება, ეს ფილმები არ გაკეთდება“... მოკლედ, დაიწყო მზადება გადაღებებისთვის.

**— ეს ერთი თათბირი საკმარისი იყო და მეტად აღარ „დაუმუშავებიხართ“?**

— „რელიგიის თათბირები“ გაგრძელდა. ერთ-ერთ თათბირზე პირდაპირ მივახალე ბასილ კობახიძეს: „თქვენ პატრიარქის ადგილის დაკავება გინდათ. აქ მზადდება შეთქმულება ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ. ჩემი ჯგუფი მოამზადებს ისეთ ფილმებს, რომლებშიც აისახება სიმართლე და არა თქვენი მახინჯი ფანტაზია“. ატყდა ერთი აურზაური... „ფანატიკოსი მორწმუნე ყოფილა,“ — ამბობდნენ ჩემზე... სხვათაშორის, „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრებს ღიად დაუპირისპირდა, ასევე, „მოამბის“ მთავარი რედაქტორი თაკო ფხაკაძე. დანარჩენები გეგმის განხორციელებას დათანხმდნენ. ამ კამპანიის წინააღმდეგი იყო ზაზა შენგელიაც, რომლის წინაპრებიც სასულიერო პირები იყვნენ, მაგრამ ზაზა ახერხებდა სიტუაციის დაბალანსებას... ყოველ თათბირზე ხმამაღლა ვაპროტესტებდი „თავისუფლების ინსტიტუტის“ მამებისა და დედების ზეწოლას. სიტუაცია გახმაურდა და სკანდალში გადაიზარდა, ერთ მშვენიერ დღეს კი ყველაფერი ჩაწყნარდა. „თავისუფლების ინსტიტუტმა“ პიარ-სტრატეგია მხოლოდ რამდენიმე გადაცემაში განახორციელა; ისიც, უშედეგოდ. მოკლედ, „გეგმა“ ჩავარდა.

**— „თავისუფლების ინსტიტუტი“ მარცხს ასე ადვილად შეეგუა?**

— რას შეეგუა, მთელი ტელევიზია ხელში ჩაიგდეს. ზაზა შენგელიას თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, პირველი არხის გენერალური დირექტორის პოსტი თამარ (მაია) კინწურაშვილმა დაიკავა. გაირკვა, რომ პირველი არხი ხელისუფლებამ „თავისუფლების ინსტიტუტს“ გადასცა. სწორედ მაშინ ჩავატარე საგანგებო ბრიფინგი და ვამხილე „თავისუფლების ინსტიტუტის“ ანტიეკლესიური შეთქმულება. დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ტერმინმა: „რეპორტაჟი ჯოჯოხეთიდან“, რომელიც (როგორც ხედავთ) „საპროგრამო თეზისებშია“ წარმოდგენილი. როცა ეს ტერმინი ვახსენე, ყველა ტელეარხმა აქცენტი მხოლოდ მასზე გადაიტანა, ტერმინი კონტექსტიდან ამოიღო და გამოვიდა, თითქოს ერთი გიჟი ჟურნალისტი „ჯოჯოხეთიდან რეპორტაჟებზე“ საუბრობდა.

**— მხოლოდ პირველი არხი აქტიურობდა, თუ სხვა ტელევიზიებიც ჩართეს ამ ანტიმართლმადიდებლურ და ანტიეკლესიურ ბრძოლაში?**

— იმავე დღეებში „რელიგიის თათბირების“ თემას მიეძღვნა ეკა ხოფერიას თოქ-შოუ „რუსთავი 2“-ზე და ინგა გრიგოლიას გადაცემა „იმედზე“. ორივე წამყვანს და მათ პროდიუსერებს ვთხოვე, სტუდიაში მივეწვიე, რაზეც უარი განმიცხადეს.

**— კი მაგრამ, გადაცემები შენს ბრიფინგს მიეძღვნა და არაფერი გკითხეს, სტუდიაშიც არ მიგიწვიეს?**

— ეკა ხოფერიას პროდიუსერმა მითხრა, რომ ლევან რამიშვილს ამისი სურვილი არ აქვსო. მოკლედ, მე ვიყავი თემის მთავარი გმირი და ისე მამკობდნენ „გიჟის“ იარლიყით, კომენტარის გაკეთების საშუალებაც არ მომცეს... აი, ასე ესმით თავისუფალი მედია და დემოკრატია ჩვენს კოლეგებსაც და „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგებსაც.

**თუ კარგად დააკვირდებით, „თავისუფლების ინსტიტუტის“ მთელი ძველი და ახალი თაობა სამკურნალოა.**

**— დღეს საქართველოში „ჩვენი დროის გმირი“ თეა თუთბერიძეა და ზოგიერთი მის დაცვასაც არ თაკილობს...**

— დღეს თეა თუთბერიძეს რომ იცავენ, — არიქა ვინმემ არ მოკლას და ცემოსო, 2005 წელს „თავისუფლების ინსტიტუტი“ რომ დამესხა, ვინმემ იფიქრა ჩემი უფლებებისა და ღირსების შელახვაზე?.. მხოლოდ საქართველოს პატრიარქმა დამიფარა — უმძიმეს დღეებში, როცა ცილს მწამებდნენ და გიჟს მეძახდნენ, უწმინდესმა მიმიღო და დამლოცა. „როცა სარწმუნოების დასაცავად გიჟს გიწოდებენ, ეს დიდი მადლია, ნეტარებაა...“ — ასე მითხრა.

**— ირმა, განა მოულოდნელი იყო ამ ხალხისგან საპატრიარქოსა და მედიაზე შეტევა? ჩვენ ხომ კარგად ვიცოდით, ვინც იყვნენ და რა მიზნებიც ამოძრავებდათ?**

— „ვარდების რევოლუციონერები“ ადამიანებს არწმუნებდნენ, რომ შევარდნაძის რეჟიმი ახალმა, დემოკრატიულმა ძალამ შეცვალა. 2004 წლის ზაფხულში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ხელისუფლებაში მოვიდა ბოროტი ძალა და მე ვიყავი პირველი ჟურნალისტი, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმს უწოდა „ბოროტი“. როცა ანტიეკლესიური გეგმა გავახმაურე, მარტო დავრჩი... 2004 წელს საზოგადოების დიდი ნაწილი ან შეშინებული იყო, ან აღტაცებული სააკაშვილის გუნდით. ზოგმა დამცინა, ზოგმა არ დაიჯერა. ვინც დაიჯერა, სიმამაცე არ ეყო, რომ ხმამაღლა და ღიად დაეჭირა მხარი. დღეს კი 2009 წელია... მთელი ხუთი წელი დასჭირდა საზოგადოებას გამოღვიძებისთვის... ბევრმა „რევოლუციონერმა“ ბოდიშიც მოიხადა: „დემოკრატია გვინდოდა და დიქტატურა გამოგვივიდაო“. თქვენ კი იხდით, ბატონებო, ბოდიშს, მაგრამ ამით ჩემს ქვეყანას რა?..

**— ვის გულისხმობ?**

— მაგალითად, ლევან ბერძენიშვილსა და რესპუბლიკურ პარტიას, რომლებიც თავის დროზე მოძღვრავდნენ „თავისუფლების ინსტიტუტის“ სახეებს და ქმნიდნენ ამ იდეოლოგიას... მათი აღიარებების მოსმენაში ჩემი თაობის საუკეთესო წლები გავიდა... წავიდნენ, დაისვენონ, იქნებ უფრო ეშველოს ქვეყანას...

**— პატრიარქის წინააღმდეგ ამ დღეებში აგორებულ კამპანიაზეც უნდა გკითხო...**

— ჩემი აზრით, ამ კამპანიით მიხეილ სააკაშვილმა ისარგებლა და ერთდროულად რამდენიმე კურდღელიც დაიჭირა. ჯერ ერთი, მას შემდეგ, რაც ახალაიების მამიკოს ორდენი გადაეცა, საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა და ეკლესიის იმიჯი სერიოზულად შეილახა. საჭირო იყო იმიჯის რეაბილიტაცია, რადგან სააკაშვილს ავტორიტეტული ეკლესიის მხარდაჭერა სჭირდება.

მეორეც, სააკაშვილი ნელნელა ემიჯნება „თავისუფლების ინსტიტუტს“, რომელმაც რესურსი ამოწურა. ამიტომ ხელისუფლებამ ჯერ წაახალისა თუთბერიძე, შემდეგ — დაგმო მისი გამოსვლა! ამით სააკაშვილი საზოგადოების თვალში წარმოჩინდა, როგორც პატრიარქისა და ეკლესიის დამცველი პრეზიდენტი.

და მესამე, იკვეთება ტენდენცია: თუთბერიძე გამოცხადდეს მსხვერპლად. თუთბერიძეზე შესაძლო თავდასხმით დაინტერესებულია მხოლოდ შსს, რომელიც იტყვის, რომ „ქალბატონ თეას თავს „ფანატიკოსი მრევლი“ დაესხა“. თუ თუთბერიძეზე ფიზიკური ზეწოლა მოხდება, რამიშვილ-ლადარიას ტანდემიც დაფიქრდება, ის ხომ არ იქნება შემდეგი? თან, მრევლიც აგრესიიდან აქცენტს მიტევებასა და ლოცვაზე გადაიტანს... მოკლედ, სააკაშვილი, ყველა შემთხვევაში, მოგებული რჩება... ამიტომ მიმაჩნია, რომ აქცენტები უნდა შეიცვალოს — პატრიარქის მხარდასაჭერად თეატრალიზებული წარმოდგენების, მსვლელობებისა და აქციების გამართვა საჭირო არ არის!

ესაუბრა
**ბონდო მძინარაშვილი**

### დალი კალატოზიშვილი:

# არც დედა მყავს, არც მამა, არც შვილი და არც ქმარი, რომ რაღაცით დამაშინონ

**რატომ დაიხურა და გაუქმდა თენგიზ ჩანტლაძის სახელობის სატირისა და იუმორის თეატრი? იმიტომ ხომ არა, რომ წლების განმავლობაში თეატრის დასი ქვეყანაში მიმდინარე მანკიერ პროცესებს ლაღი, ღრმა ქართული იუმორით აქტიურად ეხმიანებოდა? ანდა იმიტომ ხომ არა, რომ იუმორის ჭეშმარიტი ქართული დანიშნულება მდარე, უგემოვნო „შოუ იუმორის" ფონზე ზედმეტად ხარისხიანი ჩანდა? „ვარდების ხელისუფლების" კიდევ ერთი მსხვერპლი, სატირისა და იუმორის თეატრი დღეს ლიკვიდირებულია; არადა, იყო დრო, როცა სპექტაკლებზე დასასწრები ბილეთების ყიდვა თითქმის შეუძლებელი და დარბაზში მოხვედრაც „ზემოდან ზარის" გარეშე წარმოუდგენელი იყო! დიდი ქართველი სატირიკოსის, უბრწყინვალესი მსახიობის, ბავშვივით გულწრფელი და ღვთითბოძებული ნიჭით დაჯილდოებული თენგიზ ჩანტლაძის მიერ ნათამაშები როლებიდან ფრაზები — „დაგაპატიმრებ, არ ვიცი, როგორ დაგაპატიმრებ!", „იგრე გავიბოტები, როგორც შვინდა მოზვერი", „სარაჯიშვილი ხარ, ბიჭო, და ოპერასთან სიმღერისთვის როგორ დაგაპატიმრო?!" — დღესაც „ხმარებაშია", თუმცა ვისი შემოქმედების ნაყოფია და ვინ ასრულებდა ამ როლებს, დღევანდელი თაობა, სამწუხაროდ, ვერ გიპასუხებთ!**

**„საქართველო და მსოფლიოს" სტუმარია გაუქმებული თეატრის აწ უკვე ყოფილი მთავარი რეჟისორი დალი კალატოზიშვილი, რომელიც დეტალურად გვიამბობს, რა გახდა მიზეზი იმისა, რომ ეს უნიკალური თეატრი, 40 მსახიობ-თანამშრომლით, დღეს ქუჩაშია გამოგდებული.**

**ვდგამდით სპექტაკლებს, მსახიობების შრომის ანაზღაურებასაც ვახერხებდით, მაყურებელიც კმაყოფილი გვყავდა, მაგრამ შემდეგ შემოღებულმა თეატრის „მმართველების კონკურსმა" დაგვღუპა! თენგიზ ჩანტლაძის მეუღლემ, ქალბატონმა ზაირამ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი იმეცადინა კონსტიტუციაში, მმართველობის „ხელოვნებასა" და ათას სხვა დადგენილ დისციპლინაში, გამოცდაზეც გავიდა და წარმატებითაც ჩააბარა ყველაფერი — მაინც გვითხრეს „არაო"...**

## ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ რუსული კლასიკური ლიტერატურის კითხვა სამშობლოს ღალატია



## ჩემი მოსწავლეები ასობგერა «ვ»-ს უკვე დაბლიუთი, ანუ ამერიკული აქცენტით წარმოთქვამენ...

**— რატომაო?**

— გამოცდის შემდეგ ქალბატონ ზაირას უთხრეს: შესანიშნავად ჩააბარეთ ყველაფერი, ყველა „ნორმა" დააკმაყოფილეთ და პასუხს რამდენიმე დღეში გაცნობებთო, მაგრამ, როგორც შემდეგ ჩვენი წყაროებით გავარკვიეთ, კულტურის სამინისტროს ჩვენი თეატრის ბედი ერთი თვით ადრე ჰქონია გადაწყვეტილი, ანუ გარკვეული მიზეზების გამო — სალიკვიდაციო სიაში შეტანილი, რაც განახორციელეს კიდეც მოგვიანებით!

**— როცა ბატონი თენგიზის მეუღლე, ზაირა ჩანტლაძე კულტურის სამინისტროს მიერ ჩატარებულ „გამოცდაზე" ხელოვნურად „ჩაიჭრა", თეატრის დასმა ეს ამბავი არ გააპროტესტეთ?**

— თქვენ წარმოიდგინეთ და არა!.. ანდა, რა აზრი ჰქონდა პროტესტს მაშინ, როცა იცი, რომ არავინ მოგისმენს? ერთადერთი ის იყო, რომ ავედი კულტურის მაშინდელი მინისტრის მისაღებში და, რაც საჭირო იყო, ხმამაღლა იმაზე მეტი ვთქვი... ბატონ გაბაშვილს კარი ღია ჰქონდა და მშვენივრად გაიგონა ყველაფერი, მაგრამ რა? კარგი, მე ჩემი პოზიცია ამ ხელისუფლების მიმართ მკაფიოდ მაქვს ჩამოყალიბებული და ყველამ იცის, რომ „ამათ" ვერ ვიტან, მაგრამ თეატრი რა შუაშია? ვიდრე ბატონი თენგიზი ცოცხალი იყო და ვიდრე ჭეშმარიტი ხელოვნების ფასი იცოდნენ, გვერდში ედგნენ ჩვენს თეატრს, მაგრამ გარდაიცვალა თუ არა იგი, ნელ-ნელა მის თეატრსაც შეუქმნეს პრობლემები და ბოლოს გააუქმეს კიდეც. როგორც ეტყობა, თენგიზ ჩანტლაძის სახელს და ავტორიტეტს „ამათთვის" ყავლი გაუვიდა, თორემ, აბა, სხვა რას უნდა მივაწეროთ ის, რაც „ამათ" იკადრეს?

**— აღარც კი მახსოვს, რამდენი ხანია, ვიცნობთ ერთმანეთს და რატომღაც მგონია, რომ მხოლოდ თქვენმა ფაქტორმა განაპირობა იმ თეატრის ბედი, რომელიც ადრე აგრერიგად გვიყვარდა ქართველ მაყურებელს. დავიჯერო, თქვენი თანამშრომლებისგან მაინც არ მოგისმენიათ საყვედური — შენი პოზიციის გამო მოხდა ყველაფერიო?**

— გულახდილად გეტყვით: პირდაპირ ეს არავის უთქვამს ჩემთვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასე ფიქრობდნენ! რა ვქნა, მითხარი, ასეთი ვარ, ვერ ვიტან უსამართლობას, ძალადობას, ცინიზმს, უტვინობას... და ამიტომაც ვარ აქტიური, როგორც მოქალაქე! მე იმ კატეგორიის ადამიანებს არ ვეკუთვნი, რომლებიც ყველაფერს ეგუებიან! არც დედა მყავს, არც მამა, არც შვილი და არც ქმარი, რომ რაღაცით დამაშინონ.

**— საზოგადოების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიასა და მის საჭეთმპყრობელ ილია მეორეზე სულ ახლახან დაწყებული ხელახალი შტურმი სააკაშვილის ხელისუფლების აღსასრულია, თუმცა პოლიტოლოგები მიშას ხელისუფლებიდან გასტუმრებას, დეკემბრის შემდეგ, უკრაინაში იუშჩენკოს ხელისუფლებიდან წასვლის მერე, პროგნოზირებენ, ანუ „ფერადი რევოლუციების" ლიდერებს ერთდროულად წაიყვანენ მათი „პატრონებიო", თქვენც ასე ფიქრობთ?**

— ღმერთმა ქნას, ასეც მოხდეს, თუმცა ერთს კი დავძენ: როცა იმ უბედური თეა თუთბერიძის გამონათქვამებზე ერთად არ იხუვლა ქართველობამ, იმ დღესვე არ გამოვიდა ქუჩაში პროტესტის დასაფიქსირებლად და მხოლოდ ინტერნეტით დაიწყო პასუხის გაცემა და მიმოწერა მსგავს უხამსობაზე, მაპატიე, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ჩვენ უნარი შეგვწევს, რაიმე სასიკეთოდ შევცვალოთ ამ ქვეყანაში... საერთოდ კი, მინდა, გითხრა, რომ ხელისუფლების შესაცვლელად რეალური ოპოზიციაც არ არსებობს, ჩვენდა სამწუხაროდ!

**— ქალბატონო დალი, კალატოზიშვილები კინოსა და თეატრში სახელგანთქმული გვარია. დიდი მიშა კალატოზიშვილი რუსეთში მოღვაწეობდა, მისი პირდაპირი შთამომავალი კი სულ ახლახან გარდაიცვალა მოსკოვში, სადაც დიდი პატივით დაიკრძალა ქართველი და რუსი ხელოვანების ცრემლითა და მწუხარებით. იქნებ გვითხრათ, ასეთი არაადამიანური, არაქრისტიანული დამოკიდებულება ერთმორწმუნე ქართველებსა და რუსებს შორის როდემდე უნდა გაგრძელდეს და, საერთოდ, რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს ჩვენს სამშობლოს ასეთი ვითარების გამო?**

— იცით, რას გეტყვით? ბაბუაჩემი 16 წლის რომ წავიდა, 39 წლის დაბრუნდა პეტერბურგიდან, მაგრამ იგი სრულებითაც არ იყო გარუსებული! პირიქით, კახური ქუდით დადიოდა და ვაჟა-ფშაველას პოემებს (!) მასწავლიდა. მე ვთვლი, რომ რუსული და ქართული ხელოვნება, მწერლობა სულიერად იმდენად ახლოს დგას ერთმანეთთან, რომ, მიუხედავად შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა, მათ შორის ხელოვნური ბარიერებისა და მრავალი გარემოებებისა, ვერაფერს დააკლებს ამ სიახლოვეს! აი, სწორედ ამ ვითარებაში მიმაჩნია სწორად, ხელოვნების წინ წამოწევა, ხელოვნების მუშაკებისთვის საშუალების მიცემა საიმისოდ, რომ ამხელა რუსულმა აუდიტორიამ თვითონ ნახოს, რა იქმნება აქ, რა პრიორიტეტები არის წამოწეული წინა პლანზე და ა.შ. ბოლოს და ბოლოს ამხელა ეკონომიკური ბაზრის დაბრუნება, გლეხკაცის ნაოფლარის რეალიზაციას რომ თავი დავანებოთ, ადამიანური, პიროვნული ურთიერთობების აღდგენა არ უნდა დაიწყოს? მე ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ რუსული კლასიკური ლიტერატურის კითხვა სამშობლოს ღალატია და რომ კატეგორიულად არ შეიძლება რუსული ენის შესწავლა იმიტომ, რომ რუსეთი „ჩვენი მტერია". იცით, ჩემი მოსწავლეები ასობგერა „ვ"-ს უკვე დაბლიუთი გამოთქვამენ, ანუ ამერიკულად და ძალიან ვთხოვ ყველას, ნუ შემრისხავენ, თუკი ასეთ „უნებლიე" წვრილმანებზე აღშფოთებას გამოვთქვამ ხოლმე! ძალიან კარგი, ნიჭიერი, ნათელი გონების ახალგაზრდობა წამოვიდა, მაგრამ სამწუხაროა, რომ მათ არათუ თენგიზ ჩანტლაძე, იპოლიტე ხვიჩია, სანდრო ჟორჟოლიანი არ იციან, არამედ არ იციან ვერიკო ანჯაფარიძე და ხშირად იგი სესილია თაყაიშვილში ეშლებათ! ესეც რუსეთის ბრალია? იქნებ, ის არის რუსეთის ბრალი, რომ ჩვენთან საგანმანათლებლო სისტემა ძირფესვიანად ნადგურდება? ან, იქნებ, „ჩვენთან „თავისუფლების ინსტიტუტის" მოძლიერებაა რუსეთის ბრალი და თეა თუთბერიძისნაირების „გაჯეჯილება"? აბა, დამისახელეთ თუნდაც ერთი ქვეყანა, სადაც ქვეყნის სულიერ ლიდერზე ასე საუბრობენ და საზოგადოება მდუმარედ შესცქერის ამ უმსგავსობას? ვერ დამისახელებთ და იცით, რატომ? უნიკალურები ვართ ყველაფერში — ომშიც, ლხინშიც და ლანძღვა-გინებაშიც, მუდამ სხვაზე გადაბრალებით საკუთარ მანკიერებებს ვმალავდით და სადამდეც მივედით, ხომ ვნახეთ.

ესაუბრა
**ირინე გოგოსაშვილი**

# შტატებს რეიტინგის დაწევით ემუქრებიან

**ამერიკას მაქსიმალური სუვერენული რეიტინგის „Aaa" დაკარგვის საფრთხე ემუქრება. ეს რომ არ მოხდეს, შტატებმა უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში ბიუჯეტის დეფიციტი უნდა შეამციროს.**

სწორედ ამგვარი განცხადება გააკეთა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს „Moody's" მთავარმა ანალიტიკოსმა სტივენ ჰესმა. ამ ეტაპზე აშშ რეიტინგი უცვლელად რჩება, ეს კი ნიშნავს, რომ უახლოესი 18 თვის მანძილზე ამ მხრივ ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. ამ ეტაპზე სააგენტო მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლა.

საკრედიტო რეიტინგის მაქსიმალური დონიდან კლება შტატებისთვის იმით გამოიხატება, რომ ქვეყანა ინვესტორების გარკვეულ ნაწილს დაკარგავს.

საქმე ისაა, რომ ცენტრალური ბანკები და მრავალი ქვეყნის ფონდები ვალდებულნი არიან, სახსრები მხოლოდ მაქსიმალური რეიტინგის მქონე სახელმწიფო ქაღალდებში დააბანდონ.

2009 წლის ფინანსური წლის ბოლოს, რომელიც 30 სექტემბერს დამთავრდა, აშშ ბიუჯეტის დეფიციტმა 1,417 ტრილიონი დოლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი აქტიურად აბანდებს ფულს ამერიკულ სახელმწიფო ობლიგაციებში.

ზოგიერთი წყაროს ცნობით, 2009 წელს შტატებში რუსული ინვესტიცია 121,6 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

**რუსეთის საერთაშორისო რეზერვებში ამერიკის ფასიანი ქაღალდების წილი დაახლოებით 30%-ს შეადგენს.**

# ბარაკ ობამა ტოპ-მენეჯერებს პრემიებს ართმევს

**ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ტოპ-მენეჯერების განკულაკებას შეუდგა. სახელმწიფოსგან დახმარების მიმღებმა ამერიკულმა კორპორაციებმა პრემიების ნაწილი უკანვე უნდა დააბრუნონ.**

ობამას პრემიების ჩამორთმევის საქმეში პრეზიდენტის ადმინისტრაციის განსაკუთრებული ჩინოვნიკი, „ხელფასების მეფე" კენეტ ფეინბერგი დაეხმარება.

კრიზისის პერიოდში უზარმაზარი ბონუსების გამო აღშფოთების ფონზე პრეზიდენტმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა, კომპანიების ხელმძღვანელების უდიდესი პრემიების საქმეში ჩაერიოს.

საუბარია შვიდ კომპანიაზე, რომელთაც სახელმწიფოსაგან მნიშვნელოვანი დახმარება მიიღეს კრიზისიდან თავდასაღწევად.

ამჯერად პრეზიდენტს ხელში კომპანიების — Citigroup, Bank of America, AIG, General Motors, Chrysler — და კიდევ ორი ავტომწარმოებლის მენეჯერები მოჰყვნენ.

სახელმწიფომ მოითხოვა, რომ მათი წლევანდელი ანაზღაურება 90%-ით შემცირდეს. ამრიგად, ბიუჯეტს მათთვის გადახდილი პრემიების, სულ მცირე, ნახევარი დაუბრუნდება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# საქართველოში სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტებმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია

## იური ვაზაგაშვილი: მხოლოდ მაშინ გავჩუმდები, როცა ჩემი შვილივით მეც ჩამცხრილავენ

**ქვეყანაში სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის აღდგენის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მიზნობრივი ჯგუფების „ერთიანი ფრონტი" შეიქმნა. ფრონტში გაერთიანებულია საზოგადოებრივი მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლე", არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „ჩვენი უფლებებისთვის", ჟურნალისტთა გაერთიანება „ობიექტივი", ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი, ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირები და სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფები, რომლების წევრთა უმრავლესობას მუხროვანის ამბოხში ბრალდებულთა ოჯახის წევრები და სხვები წარმოადგენენ.**







გაერთიანების ძირითადი არსი გახმაურებული მკვლელობების ობიექტურ გამოძიებასა და დამნაშავეების დასჯას წარმოადგენს. მკვლელებმა, ვინც უნდა იყოს ის, კანონის უზენაესობის წინაშე პასუხი უნდა აგონ, — ასე ფიქრობენ ერთიანი ფრონტის წარმომადგენლები. გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის, გამცემლიძის მკვლელობებში ლომის წილი სამართალდამცველებს მიუძღვით. **ეს ის მცირედი ჩამონათვალია, რომელთა შესახებ საზოგადოებამ მეტნაკლებად იცის. სამწუხაროდ, დახოცილთა რაოდენობა ამ მწირი ჩამონათვალით არ შემოიფარგლება.**

„გადაარჩინე სიცოცხლის" წარმომადგენელთა აქტიურობით ბევრ უსამართლობას აეხადა ფარდა. როგორ წარმოუდგენლადაც უნდა მოგვეჩვენოს, სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტებმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ჩვენს ხელთ არსებული არასრულყოფილი სიით ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა მიერ სიცოცხლის მოსპობის ფაქტმა 80-ს გადააჭარბა. ყველა ეს მკვლელობა ბურუსით იყო მოცული. დაღუპულთა ოჯახები ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ, მაგრამ დღეს ისინი ერთად დგანან და ცდილობენ, სამართალიც ერთიანი ძალით იპოვონ. „ჩვენ არ გავჩერდებით", „უსამართლობის წინაშე სამართლიანად ვიბრძოლებთ", — ამბობენ შვილმკვდარი ოჯახები.

„საქართველო და მსოფლიო" დაღუპულთა ოჯახებსა და მათი „ერთიანი ფრონტის" წარმომადგენლობას დაუკავშირდა. სამართალი მათთვის დღემდე სამართლიანად არ აწონილა. ფარ-ხმალს მაინც არ ყრიან და მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებას მიმართავენ. **მათი ცხოვრების მთავარი არსი შვილების წინაშე ვალის მოხდაა. ამიტომაც მზად არიან, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოლონ სიმართლის დასადგენად და შურის საძიებლად**; შურისძიება — არა პირადი ანგარიშსწორებით, არამედ — კანონის უზენაესობის აღსრულებით. **მართლმადიდებლური მორალი არ აძლევთ საშუალებას, მათი შვილების მკვლელი სიკვდილითვე დასაჯონ.**



## სოსო რობაქიძე: ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, უნდა იცოდეს, რომ სააკაშვილ-მერაბიშვილის ხროვა დასასჯელია და, თუ ამას არ იზამს, ის მიშა მეორე იქნება



**იური ვაზაგაშვილი** (კორტეჟთან ჩაცხრილული ზურა ვაზაგაშვილის მამა):

— დიდი ხანია, გაუბედურებულმა ოჯახებმა დავაარსეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „გადაარჩინე სიცოცხლე!" ამით დარჩენილი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე გვინდა, გადავარჩინოთ სხვისი შვილების სიცოცხლე, თორემ ჩვენსას რომ არაფერი ეშველება, ისედაც ცხადია. მშობლები ჩვენი შვილების სულების წინაშე ვალში ვართ და მჯერა, რომ, თუ ამ უსამართლობის წინაშე სამართლიანად ვიბრძოლებ, რომ იმქვეყნად ზურას თვალებში პირნათლად ჩავხედო. საუბედუროდ, დღეს ამასაც მისპობენ. უკვე დაიწყო ქართული ეკლესიის ღია დაპირისპირება და შეურაცხყოფა. ამით ისინი რწმენას დაუპირისპირდნენ. გაუბედურებული ოჯახები შვებას და ხსნას ეკლესიაში ვპოულობთ, იქაც კი ცდილობენ, საზოგადოებას ბზარი გაუჩინონ, ეკლესია ბინძურიაო.

გვერდით გვედგნენ და ახლაც მხარს გვიბამენ ადვოკატთა პროფკავშირები. ისინი უანგაროდ ემსახურებიან გაუბედურებულ ოჯახებს. ნელ-ნელა მოდის საზოგადოებაც. შემოგვიერთდნენ მუხროვანის ამბოხებაში ბრალდებულთა ოჯახები, პოლიტპატიმართა ოჯახები, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის", მოძრაობა „7 ნოემბერი", სამხედრო ექსპერტები და ა.შ. მათ არავითარი ამბიცია არ აქვთ, გარდა ერთისა — ყველას სურს, ქვეყანაში აღდგეს სამართლიანობა, ამ უსამართლობას არ შევეგუებით! ერთი რამ ცხადია, არავითარი შანტაჟი ჩვენ არ შეგვაშინებს. პირადად ჩემს ოჯახზე მეცხრამეტე დღიდან დაიწყო ზეწოლა, ოჯახურ ბიზნესსაც კი შეეხნენ, მაგრამ მაინც ვერ გამაჩუმეს. გულწრფელად გეტყვით, რომ **ზურას შემდეგ ჩემთვის არანაირ ქონებას და სიმდიდრეს აზრი არ აქვს**. ჩვენი ოჯახისთვის ყველაფერი გაუფასურდა. მანქანა, რომელშიც შვილი ჩამიცხრილეს, ნივთმტკიცების სახით დღემდე იქ ჰყავთ, ხომ მორჩა საქმე, საინტერესოა, რატომ არ მიბრუნებენ? ჯერ ერთი, იმ საშინელებას რა შემახედებს, მაგრამ მანქანას ალტერნატიული ექსპერტიზის გამოვითხოვ. ზურა კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა მომიკლეს. ერთ-ერთი მკვლელთაგანი — ოთარ მირზოევი, დააწინაურეს. შემიძლია დოკუმენტური მასალებით გაჩვენოთ, როგორ მონაწილეობდა მირზოევი სისხლიან ოპერაციაში. არაერთხელ ეცადნენ ჩემს დაშინებას, მაგრამ — ამაოდ. როგორც ჩანს, უკვე დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ მაშინ გავჩუმდები, როცა ჩემი შვილივით მეც ჩამცხრილავენ. სხვა მხრივ, ჩემი გაჩუმება და გაჩერება არ იქნება. ჩემ გვერდით ჩემსავით ბევრი გაუბედურებული ოჯახია. ყველა მათგანი კარდაკარ შემოვიარე, ჩავიწერე, რაც მასალები ჰქონდათ, გადავიღე. გაკეთდა ფილმი, გავაკარით პლაკატები. საზოგადოებას ვაცნობეთ აჭარელი და ქუთაისელი ბიჭების დახოცვის ამბავი. ეს არის ჩვენი ბრძოლა! ვცდილობთ, ფარდა ავხადოთ სამართალდამცველთა მხრიდან განხორციელებულ არაერთ უმსგავსობას. საზოგადოებამ ეს არ იცის, მაგრამ ჩვენი დახმარებით გაიგებს. **ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ვანო მერაბიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს ჰყავთ გარკვეული ბანდები პოლიციაში, რომლებსაც ყოველგვარ სიბინძურეს ასრულებინებენ და სისასტიკითა და ბოროტებით აუბედურებენ უდანაშაულოთა ოჯახებს**, კლავენ უდანაშაულოებს და ამით შიშს თესავენ. ბუტა რობაქიძე ქუჩაში იმიტომ დახვრიტეს, რომ ხალხი მიზანმიმართულად დაეშინებინათ. ზურას შემთხვევა განზრახ მკვლელობა იყო. ნავთლუღის ბიჭები ციხის ბუნტის წინ ამოხოცეს იმ მიზეზით, თითქოს ციხიდან გაქცევის ორგანიზატორები იყვნენ. სამივე ბიჭი ერთ-ერთის მამასთან ერთად თურქეთში ფიზიკურად მუშაობდა და ხელები დაკოჟრილი ჰქონდა. ისინი საახალწლოდ ჩამოვიდნენ. **შვილის მოკვლით ყველაფერი წამართვეს, სიცოცხლე აღარ მინდა!** ეკონომიკური მდგომარეობა არ მაინტერესებს. გამაუბედურეს, საშინელ მდგომარეობაში ჩამაგდეს და გავჩერდე?! **ვიღაც გარეწარმა ჩემს შვილს სიცოცხლე მოუსპო და ამით ჩვენც, მშობლებიც დაგვხოცა.** ყველა დაღუპულის უკან ხომ დგას ოჯახი და ხალხი. ჩვენ ზურასთან ერთად დავასრულეთ სიცოცხლე! ბოლომდე ვიბრძოლებ და სიმართლეს მაინც გავიტან. მერწმუნეთ, იმდენი მტკიცებულება გვაქვს, კუთხეში მოვიმწყვდევთ ნებისმიერ პროკურორსა და მოსამართლეს. ამიტომაც შეწყვიტეს ძიება. მე კი განვაგრძობ: ევროპის სასამართლოში გავასაჩივრე და ბოლოს აღვნიშნე, „თხოვნით მოგმართავთ" — არანაირ კომპენსაციას არ ვსაჭიროებ.

რაც შეეხება შურისძიების მომენტს, ამ ეტაპზე გვინდა, მკვლელები საპატიმრო სკამზე დავსვათ. მთავარია, საზოგადოებამ **მკვლელები უნდა მოიცილოს, მათ გვერდზე ცხოვრება შეუძლებელია.** ერთიანად უნდა ვებრძოლოთ ამ ტირანიას და უსამართლობას. წავა ეს ხელისუფლება და მყავს პოლიციელები, რომლებიც მპირდებიან თავის დროზე სიმართლის თქმას.

**სოსო რობაქიძე** (პატრულის მიერ მოკლული ამირან რობაქიძის მამა):

— სანამ სააკაშვილი პრეზიდენტია, ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება. ეს ვიცით, მაგრამ მაინც არ გავჩერდებით! მათრახი ყოველთვის ხელში უნდა გვეჭიროს. ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, უნდა იცოდეს, რომ საა-

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ჯამბულ გამცემლიძე:

# უდანაშაულო შვილი არაფრის გამო მომიკლეს და ეს ვაპატიო სააკაშვილს?!



კაშვილ-მერაბიშვილის ხროვა დასასჯელია და თუ ამას არ იზამს, ის მიშა მეორე იქნება. ,,ერთიანი ფრონტი" ბევრ ძალას აერთიანებს. **თუ ახლანდელ შანსს არ გამოიყენებს ხელისუფლება და დამნაშავეებს, მკვლელებს შესაფერისად არ დასჯის, სერიოზულ, ფართომასშტაბიან აქციებს დავიწყებთ**. თავის დროზე შურისძიების მომენტი ხელიდან გავუშვით, და ეს მაშინ, როცა სამართლიანობაზე დავიწყე საუბარი. ჩემი მხრიდან ეს უკვე დაგვიანებულია. ახლა გვინდა, სამართალმა იზეიმოს.

მანქანის დიდი სიჩქარით მართვას შეეწირა 31 წლის ახალგაზრდის, გიორგი გამცემლიძის სიცოცხლე. მას სამი მცირეწლოვანი შვილი და მეუღლე დარჩა. გარდაცვლილის მამა ჯამბულ გამცემლიძე დღემდე ითხოვს შვილის მკვლელის კანონიერ გასამართლებას, თუმცა — უშედეგოდ. როგორი დაუჯერებელიც უნდა იყოს, პატრულის თანამშრომელს, გიორგის მკვლელ ვახტანგ გაბუაშვილს ორი წელი მიუსაჯეს.

**ჯამბულ გამცემლიძე, გიორგი გამცემლიძის მამა:**

— ჩემი შვილი არაფრის გამო მოკლეს. გიორგის მანქანის სწრაფად ტარება უყვარდა, ამის გამო დამისაჯეს. გამწარებული ვარ. შვილის მკვლელს ორი წელი მიუსაჯეს.

გიორგი წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის ერთ-ერთი განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა. რომ არ ყოფილიყო სააკაშვილი, მერაბიშვილი და ადეიშვილი, ჩვენი შვილები ცოცხლები იქნებოდნენ. პროკურატურასთან ჩავატარეთ აქცია და მხოლოდ ორმოცამდე ადამიანი გამოცხადდა.

**ეს სირცხვილია. ყველას სახლის წინაა დაჩოქილი სიკვდილის ქურქში გახვეული აქლემი და არავინ იცის, ვის კარზე დააკაკუნებს.** პატარა ბიჭუნას მკვლელობის გამო მთელი საბერძნეთი და საფრანგეთი გარეთ გამოვიდა. ჩვენ ულამაზესი ბიჭები, მთელი გენოფონდი დაგვიხვრიტეს და არავის ადარდებს. **მოვიპოვეთ ქუჩაში დახვრეტილი 70-ზე მეტი ახალგაზრდის მონაცემები** და თუ ამაზე თუ ჩვენმა საზოგადოებამ ხმა არ ამოიღო, ერის სირცხვილი იქნება. შურისძიების მომენტი არანაირად არ მაქვს, რადგან ქრისტიანი ვარ, დავდივარ ეკლესიაში და ვეზიარები, მაგრამ შვილის მკვლელთან შეხვედრას არ ვინატრებდი. ვერ გეტყვით, რას მოვიმოქმედებ. ვფიქრობ, რომ დღეს შერცხვენილი ვარ. ხელისუფლებამ მომაფურთხა, დამცინა ღირსება ამყარა, დამამცირა. გაიძახოდნენ — ნულოვანი ტოლერანტობაო. რა ჰქონდა ჩემს შვილს მისატევებელი?! ანგელოზივით ბიჭი დადიოდა და სრულიად უსამართლოდ, უსაფუძვლოდ მოუსპეს სიცოცხლე. დამნაშავე აღიარებს, რომ მოკლა გიორგი გამცემლიძე, მაგრამ თურმე უნებლიეთ გაუვარდა იარაღი და ორი წელი მიუსაჯეს. პატრულმა რატომ არ გააკეთა ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა?! მოკლეს გარეთ, შეათრიეს შიგნით და ათასი უბედურება ჩაიდინეს. თვითმხილველი კი ჩვენებიდან ამოაგდეს. სამწუხაროდ, ბევრია ჩემს დღეში. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი სიმართლე გავიტანოთ. ვითხოვ ობიექტურობას. არსებული მასალების ფონზე, სამართლიანი განაჩენით, მკვლელს, სულ ცოტა, თხუთმეტი წელი მაინც უნდა მიუსაჯონ. ეს არის განზრახ მკვლელობა. გამოეკიდა ჩემს შვილს, დაეწია, ესროლა, მოკლა... უდანაშაულოდ... და ეს ვაპატიო სააკაშვილს?!

**ესაუბრა**
**ირმა ჩიტაია**

# სიცოცხლის უფლების ხელყოფა საქართველოში

## ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა მიერ სიცოცხლის მოსპობის ფაქტების არასრული სია

# 2003–2009 წლები

### 2003 წელი

1. **დავით საყვარელიძე** — გარდაიცვალა თბილისში, გორგასლის ქუჩაზე ჯავშანტრანსპორტიორთა შეჯახების შედეგად;
2. **ეთერ წულიაშვილი** — გარდაიცვალა თბილისში, გორგასლის ქუჩაზე ჯავშანტრანსპორტიორთა შეჯახების შედეგად (ამავე ავარიაში მისი 3 მცირეწლოვანი შვილიც დაზიანდა);
3. **გიორგი ინასარიძე** — თბილისში, შსს-ს წინასწარი დაკავების იზოლატორში ჩამომხრჩვალი იპოვეს.

### 2004 წელი

1. **ოთარ გველუკაშვილი** — მოკლეს გურჯაანის რაიონში, სოფ. კარდენახში სპეცოპერაციის განხორციელებისას;
2. **ანტონ კუკულავა** — მოკლეს თბილისში დაკავებისას;
3. **დიკო ბარქაია** — მოკლეს ზუგდიდის რაიონში სპეცოპერაციის განხორციელებისას;
4. **ზაზა ფანცქელაძე** — მოკლეს ზუგდიდის რაიონში სპეცოპერაციის განხორციელებისას;
5. **ევგენი აფრასიძე** — მოკლეს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში სპეცოპერაციის განხორციელებისას;
6. **ომეხ აფრასიძე** — მოკლეს მესტიის რაიონის სოფელი ეცერში სპეცოპერაციის განხორციელებისას;
7. **ხვიჩა კვირიკაშვილი** — თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რ-ნში, დაკავების შემდგომ პოლიციელების მიერ სახლში მიყვანიდან ნახევარ საათში გარდაიცვალა;
8. **ალექსანდრე გომაშვილი** — მოკლეს კახეთში დაკავებისას;
9. **ამირან (ბუტა) რობაქიძე** — ხელებაწეულ მდგომარეობაში მოკლეს თბილისში, წერეთლის გამზირზე პატრულ-ინსპექტორის მიერ;
10. **მურთაზ ქარდავა** — ოფიციალური ვერსიით, მოკლა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელმა — ენრიკო სიმონიანმა მის ოჯახზე თავდასხმისას;
11. **თემურ ხუბუნაია** — ოფიციალური ვერსიით, მოკლა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელმა ენრიკო სიმონიანმა მის ოჯახზე თავდასხმისას;
12. **სულხან ლომიძე** — მოკლეს ხელვაჩაურის რაიონში სპეცოპერაციის დროს.

### 2005 წელი

1. **ვლადიმერ ხოშტარია** — მოკლეს თბილისში დაკავებისას;
2. **აკაკი კორკოტაშვილი** — მოკლეს გურჯაანის რაიონში სპეცოპერაციისას;
3. **ავთო გუმაშვილი** — მოკლეს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში სპეცოპერაციისას;
4. **ვახო გუმაშვილი** — მოკლეს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში სპეცოპერაციისას;
5. **ვახტანგ მარგოშვილი** — ოფიციალური ვერსიით, მოკლეს ქვემო ქართლში, სოფ. ვახტანგისთან საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისას;
6. **რევაზ ცალანი** — მესტიის რაიონში სპეცრაზმელების მიერ სასტიკად ცემის შემდეგ ლოგინს მიეჯაჭვა;
7. **ვარლამ ნემსიწვერიძე** — მოკლეს თბილისში მძევლის გათავისუფლებისას;
8. **ნესტორ ესებუა** — მოკლეს აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავებისას;
9. **გია ოკუჯავა** — მოკლეს აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავებისას;
10. **თემურ ცეკვავა** — მოკლეს აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავებისას;
11. **თამაზ კურკუმელი** — მოკლეს თბილისში, მუხიანის დასახლებაში სპეცოპერაციისას;
12. **ალექსანდრე თაბაგარი** — მოკლეს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩონჩხათში;
13. **ხვიჩა მელაძე** — მოკლეს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩონჩხათში;
14. **გიორგი კვირიკაშვილი** — მოკლეს თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე;
15. **გიორგი მანჯავიძე** — მოკლეს თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე;
16. **ლევან გულუა** — მოკლეს თბილისში, გამსახურდიას გამზირზე დაკავებისას;
17. **რეზო სარჯველაძე** — მოკლეს თბილისში დაკავებისას;

### 2006 წელი

1. **მურად გორგაძე** — მოკლეს თბილისში, მეტრო „სამგორის" მიმდებარე ტერიტორიაზე;
2. **რომან სურმანიძე** — მოკლეს თბილისში, მეტრო „სამგორის" მიმდებარე ტერიტორიაზე;
3. **მარად ართმელაძე** — მოკლეს თბილისში, მეტრო „სამგორის" მიმდებარე ტერიტორიაზე;
4. **სანდრო გირგვლიანი** — გარდაიცვალა თბილისში, ოქროყანაში, შსს-ს თანამდებობის პირთა ჯგუფის მიერ მიყენებული მრავლობითი ჭრილობების შედეგად;
5. **გია (გიორგი) თელია** — მოკლეს თბილისში სპეცოპერაციისას;
6. **ჯემალ ჩაფიძე** — მოკლეს თერჯოლის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთში, პოლიციის მიერ დაკავებისას;
7. **ზვიად ბაბუხადია** — მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას;
8. **ბუთხუზ კიზირია** — მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას;
9. **ვალერი ბენდელიანი** — მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფ. ვარციხეში სპეცოპერაციისას;
10. **ზურაბ ვაზაგაშვილი** — მოკლეს თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტებთან, სპეცოპერაციისას, რომელშიც 100-ზე მეტი პოლიციელი და შსს-ს სხვა თანამშრომლები მონაწილეობდნენ;
11. **ალექსანდრე (საშა) ხუბულოვი** — მოკლეს თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტებთან, სპეცოპერაციისას, რომელშიც 100-ზე მეტი პოლიციელი და შსს-ს სხვა თანამშრომლები მონაწილეობდნენ;
12. **მიხეილ (მიშიკო) ბერძენიშვილი** — მოკლეს საგარეჯოში დაკავებისას;
13. **გელა ცინდელიანი** — მოკლეს მესტიის რაიონის სოფ. ჭუბერში სპეცოპერაციისას;
14. **ჯაბა ჯაბანიშვილი** — დაჭრეს ბორჯომში 21 ივლისს ჩატარებული სპეცოპერაციისას, რის შედეგადაც გარდაიცვალა;
15. **ხვიჩა კოკაია** — მოკლეს ხობის რაიონში სპეცოპერაციისას;
16. **ვალერი (ვარლამ) ფხაკაძე** — გარდაიცვალა ქუთაისში დაკავებისას მიყენებული ჭრილობის შედეგად, რადგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში პოლიციელებმა არ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება.

### 2007 წელი

1. **მიხეილ კირაკოსიანი** — მოტოციკლის გაჩერების მოთხოვნის შეუსრულებლობის შემდეგ მოკლა საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა ახალციხის რაიონში;
2. **გიგა ჭარბაძე** — თელავში დაეჯახა ავტომანქანა, რომელსაც პატრულ-ინსპექტორი მართავდა;
3. **ალექსანდრე ხოსიტაშვილი** — გარდაიცვალა თბილისში, სოფელი დიღომში, პოლიციელთა მიერ ცემის შემდგომ;
4. **ოლეგ მესხიძე** — მოკლეს ოზურგეთში სპეცოპერაციისას;
5. **ჯუმბერ ნაგერვაძე** — ოფიციალური ვერსიით, თავი ჩამოიხრჩო ბათუმის იზოლატორში.

### 2008 წელი

1. **თენგიზ გოგია** — მოკლეს სენაკის რაიონის სოფ. მენჯში, სპეცოპერაციისას (ოფიციალური ვერსიით, თითქოს თავი აიფეთქა);
2. **როლანდ მახარაძე** — მოკლეს ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მძევლების გათავისუფლებისას;
3. **გიორგი გამცემლიძე** — თბილისში, მეტრო „რუსთაველთან" დაკავებისას მოკლა პატრულ-ინსპექტორმა;
4. **რონი შავაძე** — ოფიციალური ვერსიით, მოკლეს გაქცევის მცდელობისას ქობულეთში, ქაქუთის საავტომობილო გზაზე, სასტიკად ნაწამებია;
5. **ნატა ჯიჭონაია** — ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხში ცოცხალ ჯაჭვში მდგომს დაეჯახა ავტომანქანა, რომელსაც ნასვამი პოლიციელი მართავდა;
6. **ალექსანდრე კვეზერელი** — ოფიციალური ვერსიით, გურჯაანის რაიონის სოფ. ზიარში შელაპარაკების ნიადაგზე მოკლა ოთარ ბოლლოციშვილმა, შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მე-6 განყოფილების ყოფილმა უფროსმა;
7. **ზურაბ მათნაძე** — მოკლეს თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, დაკავების შემდეგ; ოფიციალური ვერსიით, დაიღუპა საპატრულო მანქანის ავარიის შედეგად;

### 2009 წელი

1. **გია კრიალაშვილი** — მოკლეს თბილისში, გლდანში (თიანეთის გზატკეცილი) სპეცოპერაციისას;
2. **ჯიმი მეგრელიძე** — მოკლეს ზუგდიდში დაკავებისას;
3. **მამუკა ჩარჩხალია** — გარდაიცვალა თბილისში, ნუცუბიძის პლატოს III მკრ-ის ასახვევთან თავის არეში მიყენებული ჭრილობით.

### სასჯელაღსრულების სისტემა

2006 წლის 27 მარტს მეხუთე საპყრობილეში ე. წ. ციხის ბუნტის ჩახშობისას ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად მოკლეს 7 პატიმარი.

### სასამართლო სისტემა და პროკურატურა

ერთწლიანი პატიმრობის შემდეგ საპროცესო გარიგების შედეგად გათავისუფლდა როდიონ კირაკოსიანი, განზრახ მკვლელობაში ბრალდებული.

28 ოქტომბერი - 3 ნოემბერი, 2009 წელი. №35
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ფიცით ან აღთქმით შემცოდეს საკადრისი მიეზღვება

**ხატთან ტყუილზე დაფიცება და უფლის წინაშე დადებული აღთქმის დარღვევა ცოდვაა, რის გამოც ადამიანი საკადრისად ისჯება. ქრისტიანს გადაარჩენს მხოლოდ თავისი სათნოებანი — უბიწობა, მორჩილება, მოწყალება, სიქველე, მშვიდობისმოყვარეობა და სხვ., ხოლო განუკითხველობისთვის ცოდვები მიეტევება. სწორედ ამის შესახებ გვესაუბრება წმიდა ნიკოლოზის ტაძრის მოძღვარი მამა ზურაბი.**





**— ზოგიერთები ხატთან ტყუილზე დაფიცებასაც ბედავენ. ამის შესახებ რას გვეტყვით?**

— ერთ ამბავს მოგიყვებით კიევო-პეჩორის მონასტრის ბერის, ზაქარიას ცხოვრებიდან... მამამისს, იოანეს, დიდგვაროვან ბოიარს, ჰყავდა მეგობარი სერგი. მათ ერთმანეთს ძმობა აღუთქვეს პეჩორის ეკლესიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე. როცა იოანე გარდაიცვალა, მეგობარს დაუტოვა თავისი 5 წლის ვაჟი და დიდძალი ქონება, რომელიც შემდგომ მისი შვილისთვის უნდა გადაეცა.

15 წლის ზაქარიამ სერგის მემკვიდრეობა მოსთხოვა, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო.

**— რატომ არ შეასრულა მომაკვდავი მეგობრის თხოვნა?**

— ცდუნდა და ქონების დაბრუნება აღარ მოისურვა. საბრალო ზაქარიამ ტირილი დაიწყო, ნახევარი მაინც მომეციო, ბოლოს მეათედზეც თანახა იყო, მაგრამ სერგის სიხარბით გაქვავებული გული ვერ მოალბო.

**— დაკარგა ქონება?**

— არა, სერგისთან მივიდა, უთხრა: თუ ჩემი მემკვიდრეობა არ მიგიღია, წამოდი და პეჩორის ეკლესიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატთან დაიფიცე, რომლის წინაშეც მამაჩემს ძმობა აღუთქვიო.

**— გაბედა ხატთან ტყუილზე დაფიცება?**

— დიახ, დაიფიცა, ზაქარიას კუთვნილი ოქრო-ვერცხლი არ ამიღიაო, მაგრამ, როცა ხატზე მთხვევა დააპირა, ვერ მოახერხა, შეშინდა და ეკლესიიდან გამოსულმა აღიარა, ზაქარიას ქონება სახლში მაქვს დამალულიო.

**— ზოგიერთები ღმერთსაც იფიცებენ ტყუილზე...**

— სამწუხაროდ, ასეა, ცდუნებას ყველა ვერ უძლებს. ბერი გიორგი მოწმე გახდა, თუ როგორ დაისაჯა მწყემსი ბიჭი ღმერთის სახელის ტყუილზე დაფიცებისათვის.

**— ვინ მოატყუა მწყემსმა?**

— ქვრივი ქალი, რომელმაც მას თავისი ცხვარი ჩააბარა, ბიჭმა კი სამ ვერცხლად გაყიდა.

**— ქვრივს რა უთხრა, ცხვარი სად არისო?**

— მოატყუა, მგელმა შეჭამაო. როცა ქვრივმა ჰკითხა, სიმართლეს თუ მეუბნებიო, მწყემსმა მიუგო, ღმერთს გეფიცები, მართალს ვამბობო. მაშინ ქალმა უთხრა: თუ ეს სიმართლე არ არის, ღმერთი და წმიდა გიორგი მოგკითხავენ, რადგანაც იმ ცხვრის ღარიბებისთვის შეწირვა მქონდა აღთქმული გიორგობა დღესო.

**— რით დაისაჯა მწყემსი?**

— შხამიანმა გველმა უკბინა და კვდებოდა, ირგვლივ არავინ იყო, მიწაზე იწვა უპატრონოდ. სწორედ ამ დროს გამოეცხადა ბერს თეთრ ცხენზე ამხედრებული კაცი და მწყემსის ადგილსამყოფელი მიასწავლა, დახმარება სჭირდებაო.

**— როგორ გადაარჩინა ბერმა ბიჭი?**

— ხის ჯვარი წყაროს წყლით დაასველა, ყმაწვილს პირი გაუღო, წყალი ჩააწვეთა და თქვა: „ყოვლადწმიდა სამების სახელით ღვთის მსახური დიდმოწამე გიორგი გკურნავს შენ!“ ამის თქმაზე მწყემსმა თავი წამოსწია, პირიდან გველის შხამი ამოანთხია და წამოდგა.

**— ბერს სასწაულებრივი კურნების ნიჭი ჰქონდა?**

— არა, ისე მოიქცა, როგორც ხილვის დროს გამოცხადებულმა თეთრ ცხენზე ამხედრებულმა კაცმა დაარიგა. ყმაწვილი გონს რომ მოეგო, ბერმა მისი დანაბარებიც გადასცა: „ამიერიდან აღარავინ, არც ღვთისა და არც წმიდანების სახელი არ დაიფიცო, უსამართლოდ არავის მოექცე. ღარიბ ქვრივს ცხვარი დაუბრუნე, რომ უარესი არ შეგემთხვასო“.

**— მოინანია მწყემსმა ცოდვა?**

— ამ სიტყვების გაგონებაზე ბერს მუხლებში ჩაუვარდა: შემინდე მამაო, ვცდუნდი, შევცოდე. ილოცე ჩემთვის ღვთისა და წმიდა გიორგის წინაშე, რათა მომეტევოსო. იმ ქალს გიორგობაზე სამ ცხვარს მივცემ და ამ დღესასწაულზე მიღებული შემოსავლის მეათედს გლახაკებს დავურიგებო.

**— ვიცი, რომ აღთქმის დარღვევაც არ არის სასურველი უფლისთვის...**

— მართალი ბრძანდებით, ამის მაგალითიც უამრავია. ერთმა დიდგვაროვანმა ომში წასვლის წინ აღთქმა დადო, თუ შინ მშვიდობით დავბრუნდები, უვნებელი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ორ გირვანქა ოქროს მივცემ და მის ხატს ოქროს გვირგვინს დავადგამო.

**— შინ მშვიდობით დაბრუნდა?**

— დიახ, მტერი დაამარცხეს და სხვებთან ერთად გამარჯვებული დაბრუნდა, თანაც ჯანმრთელი, ბრძოლაში არ დაჭრილა, მაგრამ ღვთისმშობლის წინაშე დადებული აღთქმა დაავიწყდა.

**— არ შეასრულა დანაპირები?**

— შინ დაბრუნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, შუადღისას, ნამძინარევს ძახილი შემოესმა და გაეღვიძა.

**— ვინ ეძახდა?**

— ღვთისმშობლის ხატი, რომელიც გამოეცხადა, ხმას გამოსცემდა: რასაც შემპირდი, რატომ არ შეასრულეო და გაუჩინარდა.

**— როგორ მოიქცა მეომარი?**

— შეშინებულმა დანაპირები შეასრულა და ხატი ოქროს გვირგვინით შეამკო.

**— ალბათ, უამრავმა ადამიანმა ვერ გაუძლო ცდუნებას და ცრუ ფიცი დადო ანგარების გამო. სამწუხაროდ, მათ შორის ქრისტიანებიც არიან...**

— ერთმა ებრაელმა ქრისტიან მეგობარს შორეულ მოგზაურობაში წასვლის წინ ოქროს მონეტებით სავსე სკივრი მიაბარა. იგი დიდხანს დარჩა უცხო მხარეში და, როცა დაბრუნდა, თავისი ოქრო მოითხოვა.

**— არ დაუბრუნა მეგობარმა?**

— არა! წარმოდგენაც კი არ მაქვს, რაზე მელაპარაკები, ჩემთვის არაფერი მოგიციაო. გაწბილებულმა ებრაელმა ქრისტიანს უთხრა: „ძმაო, ღვთის გარდა არავინ უწყის, მე რომ ოქროს მონეტებით სავსე სკვირი მოგაბარე შესანახად; რადგანაც ამ ფაქტს უარყოფ, კეთილი ინებე და ფიცითაც დაამტკიცეო“.

**— მიიღო ებრაელმა ქრისტიანის წინადადება?**

— დიახ, მიიღო. ორივე წავიდა ეკლესიაში და ქრისტიანმა დაიფიცა, შესანახად ფული არ მიმიღიაო. ამის მერე ერთად გამოვიდნენ ტაძრიდან და ცხენებზე ამხედრდნენ, მაგრამ ქრისტიანის ცხენი გაგიჟდა, აღვირი გაწყვიტა და პატრონი ქვეშ მოიყოლა. ძირს დავარდნილს ხელიდან ბეჭედი წასძვრა, ხოლო ჯიბიდან გასაღები ამოუვარდა.

**— შენიშნა ებრაელმა?**

— ვერაფერი გაიგო, მაგრამ ცოტა ხანში თავს მსახური დაადგა, რომელსაც ერთ ხელში ებრაელის სკივრი ეჭირა, მეორეში — ბეჭდიანი გასაღები.

**— როგორ მოხვდა მსახურთან?**

— ქრისტიანიც გაოგნდა და მსახურს მოსთხოვა, ამიხსენი, რა ხდებაო.

**— რა თქვა მსახურმა?**

— ბატონო, თქვენს მეუღლესთან ერთი მრისხანე მხედარი მოვიდა, ბეჭდიანი გასაღები მისცა და უბრძანა: „სასწრაფოდ მიუტანეთ ქმარს ებრაელის სკივრი, რაიმე უბედურება რომ არ შეემთხვესო“. ამ შემთხვევის მომსწრე ებრაელი სასწაულმა გააოცა და ქრისტიანად მოინათლა, ხოლო მისი მეგობარი სინანულში ჩავარდა და უფალს პატიება სთხოვა.

**— თქვენ მიერ მონაყოლ ამბებში ყველგან ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ფიცით ან აღთქმით შემცოდეს, შესაძლოა, თავს რაიმე უბედურება დაატყდეს. ამაზე რას გვეტყვით?**

— ფიცით და აღთქმით შემცოდენი საკადრისად დაისჯებიან, თუ, რა თქმა უნდა, სინანულში არ ჩავარდებიან და უფალს პატიებას არ შესთხოვენ.

**— რა გადაარჩენს ქრისტიანს, უფრო სწორად, მის უკვდავ სულს?**

— სათნოებანი, კერძოდ: უბიწოება, მორჩილება, მოწყალება, სიქველე, მშვიდობისმოყვარეობა, განუკითხველობა და სხვა. მორჩილება ეშმაკს ამარცხებს, ხოლო მოწყალება იმდენად სათნოა ღვთისათვის, რომ შესაძლოა, მორწმუნე სასულიერო იერარქიის უმაღლეს საფეხურზეც აიყვანოს.

**— რეალურად თუ მომხდარა ამგვარი შემთხვევა?**

— მაგალითად მოგიყვანთ VI საუკუნეში მოღვაწე მღვდელმთავარ გრიგოლ დიოლოღოსს, რომელსაც მთხოვნელებისთვის არაფერი ენანებოდა, უკანასკნელსაც კი გაიღებდა ხოლმე. ერთხელაც მამა გრიგოლი სენაკში იჯდა და ჩვეულებისამებრ წიგნს კითხულობდა. მაშინ იგი მონასტრის იღუმენი იყო.

**— რომელი მონასტრის?**

— მამა გრიგოლმა რომში წმიდა მოციქულ ანდრიას სახელზე დააარსა მონასტერი, რომლის იღუმენიც თავად იყო... ჰოდა, წიგნის კითხვაში გართულს, მათხოვარი ეახლა და სთხოვა: „შემიწყალე, ღვთის მსახურო, რამე მიბოძე, ჩემი ხომალდი ჩაიძირა, ყველაფერი დავკარგე, რაც მებადა“.

**— რა უწყალობა იღუმენმა მათხოვარს?**

— გრიგოლმა გულით შეიცოდა იგი. თავისთან იხმო ერთ-ერთი ბერი და უთხრა, ექვსი ოქროს მონეტა მიეციო. მთხოვნელმა მიიღო მოწყალება და წავიდა, მაგრამ იმავე დღეს დაბრუნდა მონასტერში ნეტართან.

**— რისთვის?**

— მამა გრიგოლს განუცხადა: „მომიტევე, მაგრამ მე ბევრი დავკარგე, შენ ცოტა მომეციო“.

**— როგორ მოიქცა ამჯერად იღუმენი?**

— კიდევ ექვსი ოქრო მისცა, ასე რომ, თორმეტი მონეტა წაიღო.

**— მესამედაც ხომ არ მივიდა?**

— დიახ, ისევ მიაკითხა, მაგრამ ოქრო აღარ ჰქონდათ ბერებს და გრიგოლმა დედამისის მიერ გამოგზავნილი ვერცხლის თასი მისცა, რათა დამწუხრებული არ წასულიყო. გავიდა ხანი. გრიგოლი რომის პაპი გახდა და ხაზინადარს სადილად თორმეტი ყარიბი დააპატიჟებინა, მაგრამ შენიშნა, რომ სუფრასთან ცამეტი სტუმარი იჯდა და გაკვირვებულმა ხაზინადარს ჰკითხა, მიზეზი. მან მხრები აიჩეჩა და უპასუხა, ნამდვილად თორმეტი კაციაო. აღმოჩნდა, რომ მეცამეტეს, პაპის გარდა, ვერავინ ხედავდა.

**— ვინ აღმოჩნდა დაუპატიჟებელი სტუმარი?**

— როცა გრიგოლმა ვინაობა ჰკითხა, მან უპასუხა: „ჩაძირული ხომალდის მეპატრონე ვარ. მინდა, იცოდე, რომ უფალმა სწორედ მაშინ განგაწესა თავისი წმიდა ტაძრის პირველმოსაყდრედ, როცა ყველაფერი მომეცი, რისი მოცემაც შეგეძლო“. მეცამეტე სტუმარი უფლის ანგელოზი აღმოჩნდა. იგი ღმერთმა მათხოვრის სახით მოუვლინა გრიგოლს, რათა გამოეცადა იგი, კაცთმოყვარეობით იქმოდა მოწყალებას თუ ამპარტავნებით. წმიდა პაპი სიცოცხლის ბოლომდე ჰმადლობდა უფალს და კიდევ უფრო გულმხურვალედ გასცემდა მოწყალებას.

ესაუბრა
**ნინო გოძიაშვილი**

წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარი **მამა ზურაბი (სირაძე)** აქტიურად თანამშრომლობდა ჩვენს გაზეთთან. მისი უაღრესად საინტერესო ინტერვიუები მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის აქტუალურ თემებზე მკითხველთა ფართო საზოგადოების მოწონებით სარგებლობდა. სამომავლოდაც დიდი გეგმები გვქონდა დასახული, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მისი უკანასკნელი ინტერვიუა...

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წმიდა ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარი

**მამა ზურაბი (სირაძე)**

და სამძიმარს უცხადებს როგორც განსვენებულის ოჯახის წევრებს, ასევე მის მრევლს.

## ერეკლე მეორის საზოგადოება ჰელოუვინის დღესასწაულის წინააღმდეგ

ერეკლე მეორის საზოგადოება ეხმაურება მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის ღვთისნიერ ინიციატივას ჰელოუვინის წარმართული, სატანისტური დღესასწაულის დაგმობის შესახებ და საქართველოს მოსახლეობასა და მთელ მართლმადიდებლურ სამყაროს მოუწოდებს, მხარი დაუჭირონ საქართველოს მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის ინიციატივას და არანაირი ფორმით არ მიიღონ მონაწილეობა უმსგავსო, ანტიქრისტიანულ ორგიებში, რომლის ჩატარებასაც სატანისტური ორგანიზაციები ამა წლის 31 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე გეგმავენ. ერეკლე მეორის საზოგადოება, ასევე, მიმართავს საქართველოს მოსახლეობას, სიფრთხილით მოეკიდოს და არ მიიღოს მონაწილეობა ახალდამკვიდრებულ ისეთი ტიპის დღესასწაულებში, როგორიცაა ჰელოუვინი, ვალენტინობა და მართლმადიდებლობისთვის უცხო სხვა დღესასწაულები.

ღვთის მადლით, უფალმა იესო ქრისტემ და მოციქულებმა მრავალი ჭეშმარიტი დღესასწაული დაგვიწესეს, რომლებსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ აღვნიშნავთ.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მათთვის, ვინც სატანურ ხიბლშია ჩავარდნილი

**მამა პაისს ერთი ლაგამამოუდებელი ცოდვილი ესტუმრა და უთხრა, ღვთისმშობელი გამომეცხადაო. წმიდა მარიამს მისთვის დაუვალებია: „შვილო ჩემო, ხალხს განუცხადე, რომ თესალონიკი ზღვაში ჩაიძირება და ყველა დაიხრჩობაო“. ცოდვილს აღმოხდენია: „ჰოი ყოვლადწმიდაო! თუ ადამიანებს დახრჩობა ემუქრებათ, მე გადავარჩენ მათ მოსესავით“. ღვთისმშობელს „კურთხევაც“ მიუცია და ნიშანიც, იმის დასტურად, რომ „დიდი მისია“ დააკისრა: „შვილო ჩემო, მთელ სამყაროს გაბარებ. წადი ვერიაში მავანთან და მავანთან. ის ჯვარს მოგცემს, მსოფლიო მონათლო და იხსნაო“. ვერიაში ეშმაკი იმ კაცსაც გამოეცხადა ღვთისმშობლის სახით და უბრძანა, ამა და ამ კაცს ჯვარი მიეციო. მოკლედ, ერთმა მოხიბლულმა მასთან მისულ მეორე მოხიბლულს — ცრუმესიას ჯვარი მისცა კაცთა მოდგმის გადასარჩენად.**



მამა პაისი

საბედნიეროდ, „კაცობრიობის მხსნელი“ მამა პაისთან მივიდა კურთხევის ასაღებად და ყველაფერი უამბო. საბრალო, უკვე სულიერად იყო ავად. იმის ნაცვლად, რომ ცოდვები მოენანიებინა უფლის წინაშე, ეშმაკი იპოვა და მის მახეში გაება.

საერთოდ, კაცთა მოდგმის მტერი ცდილობს, ადამიანი ცრუხილვებით სატანურ ხიბლში ჩააგდოს და წარწყმიდოს. ამიტომ მსგავსი ხილვების დროს შეიგრძენით საკუთარი არარაობა და ბოროტს თამამად უთხარით: „დაბრუნდი, წყეულო, ბნელსა მას გარესკნელისა, რამეთუ არ მჭირდება არც ხილვები, არც სხვა არაფერი, გარდა ჩემი უფლის კეთილგანწყობისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შუამდგომლობისა“. მაშინაც კი, როცა ფიქრობ, რომ ხილვები უფლისგანაა, შეეცადე, განიშორო, როგორც შეგიძლია. არ გეგონოს, მათი უარყოფით ღმერთს განარისხებ. ხილვა თუ მართლაც ღვთისგანაა, მან ისიც იცის, რომ სიფრთხილე გამოიჩინე და შეურაცხყოფად არ ჩაგითვლის. ვინც მადლს მდაბალთ აძლევს, არ წაართმევს იმ საქმის გამო, რაც სიმდაბლით აღესრულება.

სამწუხაროდ, იმის ნაცვლად, რომ ადამიანები ღმერთს შეუერთდნენ, ამაყდებიან, იხიბლებიან და სხვებს განიკითხავენ, თავს წმიდანებს უტოლებენ. ღმერთი მათზე სასჯელს უშვებს — ისეთ სამარცხვინო ცოდვას ჩაიდენენ, რომლის სიმძიმეც აზრზე მოიყვანთ, შეინანებენ და გამოსწორდებიან, მაგრამ ზოგჯერ არც ეს შველით და სამუდამოდ იღუპებიან.

უნდა გეშინოდეთ განსაცდელისა, რომელიც წმიდად ცხოვრების წრეგადასული სურვილითაა გამოწვეული. შესაძლოა, გინდოდეთ, ყველას აჯობოთ ასკეტიზმში, ძალიან მკაცრად იმარხულოთ, განმარტოებით იცხოვროთ, მაგრამ გეშინოდეთ განსაცდელისა, რომელიც მართალ ფიქრებს ეფარებიან. თუ ხაფანგში მოხვდებით, დაიღუპებით.

# რის გამო გიჭირთ პირველად აღსარების თქმა?

**არაეკლესიურად მცხოვრებ ადამიანს ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ბოროტ სულზე — ეშმაკზე. ზოგს საერთოდ არ წამს მისი არსებობა. მხოლოდ სულიერი გამოცდილების მქონე ქრისტიანმა იცის ეშმაკის ხრიკების შესახებ, იცნობს მასთან ბრძოლის მეთოდებს და თავის დაცვის უნარიც აქვს.**



ადამიანს ეშმაკი სწორედ მაშინ უცხადებს ნამდვილ ომს, როცა ის გადაწყვეტს, იესოს მოწაფე, ანუ ქრისტიანი გახდეს. სატანურ ძალებთან ბრძოლა ჩვენი სულიერი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარია. ბოროტი განსაკუთრებით მძვინვარდება, თუ ადამიანს დიდი მადლის მიღება, ანუ ღმერთთან ურთიერთობა სურს. გამორჩეულად არ უყვარს ეშმაკს, როცა უკვე ზრდასრული, ასაკში შესული პიროვნება გადაწყვეტს, პირველად თქვას აღსარება და ნამდვილი სინანული გამოხატოს, რადგანაც ბოროტი სული მონანულზე ძალაუფლებას კარგავს, ამიტომაც განსაკუთრებულად ებრძვის, ეკლესიამდე არ უშვებს, რის გამოც ბევრს უჭირს აღსარების თქმა პირველად.

ამგვარ შემთხვევებში მოძღვრის როლი უდიდესია. ამიტომ გირჩევთ, მას მერე, რაც ღმერთი მოგიწოდებთ, მასთან ურთიერთობა მოძღვრის შერჩევით დაიწყოთ. მღვდელი მოგამზადებთ აღსარებისთვის, რაც ეშმაკთან ბრძოლას შეასუსტებს. გახსოვდეთ, სულიერი ცხოვრება მოძღვრის შერჩევით იწყება და არა — აღსარებით. როცა ფიქრობ, ღმერთმა განმიშორაო, იცოდე, იმ დროს უფრო ახლოს ხარ მასთან. უფალს მხოლოდ შენი სიმტკიცისა და მხნეობის დამოცდა სურს, ამიტომაც ნუ შეწყვეტ ვედრებას, ითხოვე და მოგეცემა.

# კიბოთი გარდაცვლილი ქალის მკვდრეთით აღდგინება

## ყოფილი პარტმუშაკის, კლავდია უსტიუჟანინას მონათხრობი

**„მე ათეისტი ქალი ვიყავი, ვგმობდი ღმერთსა და მის ეკლესიასაც ვდევნიდი, როგორც ძალზე აქტიური კომუნისტი. ცოდვიან ცხოვრებას ვეწეოდი და სულიერად მკვდარი ვიყავი. მაგრამ უფლის მოწყალებამ არ დაუშვა მისი ქმნილების საბოლოო დაღუპვა და სასწაულებრივად მომიწოდა სინანულისათვის. მე კიბო აღმომაჩნდა და სამი წელი ვიავადმყოფე. უკანასკნელი ექვსი თვე ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი და ისე დავუძლურდი, რომ წყლის დალევაც არ შემეძლო, ძლიერი პირღებინება მტანჯავდა. ამიტომ საავადმყოფოში დამაწვინეს და, რაკი აქტიური კომუნისტი ვიყავი, ჩემთვის მოსკოვიდან გამოიძახეს პროფესორი ოპერაციის გასაკეთებლად.**

### (ეს მოხდა 1964 წელს ქალაქ ბარნაულში)

1964 წლის 19 თებერვალს, დღის 3 საათზე ოპერაცია გამიკეთეს. მთელი ჩემი გულ-მუცელი უკვე ავთვისებიანი სიმსივნით იყო მოცული — კუჭი, ნაწლავები. ოპერაციის დღეს მე მოვკვდი. როცა მუცელი გამიჭრეს, ორ ექიმს შორის ვიდექი და შეძრწუნებული დავყურებდი ზემოდან საკუთარ სენს. ვუყურებდი და ვფიქრობდი: რატომ ვარ ორი — ვდგავარ და ვწევარ? ექიმებმა თქვეს, ჯანსაღი არაფერი დარჩენია, ყველაფერი გახრწნილია კიბოთი. ოპერაცია გამიკეთა ებრაელმა პროფესორმა იზრაილ ისაიას ძე ნეიმარკმა, ათი სხვა ექიმის თანდასწრებით. როცა ჭრილობა გამიკერეს, ექიმებმა თქვეს: დამწყებ მედიკებს გადავცეთ პრაქტიკისთვისო. როცა ჩემი სხეული საცხედრეში (მორგში) მიჰქონდათ, მე მას უკან მივყვებოდი და მიკვირდა: რატომ ვართ ორნი? დავინახე ჩემი ძმა და შვილი ანდრიუშა. ბიჭუნა შუბლზე მკოცნიდა, მწარედ ტიროდა და მეუბნებოდა: რატომ მოკვდი, მე ხომ ჯერ პატარა ვარ, როგორ ვიცხოვრო უშენოდ, მამაც არ მყავსო. ბავშვს მოვეხვიე და ვაკოცე, მაგრამ ანდრიუშა ყურადღებას არ მაქცევდა. ჩემი ძმაც ტიროდა.

მერე უცებ სახლში აღმოვჩნდი. მოვიდნენ ჩემი დედამთილი (პირველი კანონიერი ქმრის დედა) და ჩემი ღვიძლი და. პირველ ქმართან გაწყვეტილი მქონდა ურთიერთობა, რადგან იგი ღვთისმორწმუნე იყო. დაიწყეს ჩემი ნივთების გაყოფა. დედამთილი ეხვეწებოდა, ბიჭუნასთვის დატოვე რამეო, მაგრამ ჩემმა დამ არაფერი მისცა და ლანძღვა-გინებაც დაუწყო. როცა ჩემი და ილანძღებოდა, ეშმაკები დავინახე, რომელნიც თითოეულ მის სიტყვას იწერდნენ და უხაროდათ, მერე კი წავიდნენ. ჩემმა დამ უზარმაზარი შეკვრაც წაიღო თან. მე კი, ცოდვილი კლავდია, ოთხ საათზე ზევით გავფრინდი და ძალზე მიკვირდა, რომ ბარნაულის თავზე მივფრინავდი. შემდეგ ქალაქი გაქრა და ჩამობნელდა. სიბნელე დიდხანს გაგრძელდა. გზაში მიჩვენებდნენ იმ ადგილებს, სადაც ოდესმე ვყოფილვარ, დაწყებული სიყმაწვილიდან. როგორ და რით მივფრინავდი, ამის ახსნა არ შემიძლია. უეცებ განათდა, ისე რომ რაიმეს დანახვა შეუძლებელი იყო.

მერე დავინახე, შორიახლოს ქალი მოდიოდას, იშვიათი სილამაზის, გრძელ მოსასხამში. მას ჭაბუკი რაღაცას ევედრებოდა და თან ძალიან ტიროდა, ქალი კი ყურადღებას არ აქცევდა. გავიფიქრე: ეს რანაირი დედაა? — ის ტირის, დედა კი ყურსაც არ ათხოვებს მის ვედრებას. როცა ქალი მომიახლოვდა, ჭაბუკი მის ფერხთით დაეცა და კვლავ შესთხოვა რაღაც, მაგრამ მე ვერაფერი გავიგე.

მინდოდა, მეკითხა, სადა ვარმეთქი, მაგრამ უცებ ქალი ჩემთან მოვიდა და თქვა: უფალო, საით ესე? მას ხელები გულზე დაეკრიფა და თვალნი ზე-აღეპყრო. ელდა მეცა, რადგან გავაცნობიერე, რომ მოვმკვდარიყავი, ჩემი სული ცაში იყო, სხეული კი — მიწაზე; იმასაც მივხვდი, რომ უამრავი ცოდვა მაქვს ჩადენილი და პასუხი უნდა ვაგო ყველაფრისათვის. მინდოდა, უფალი დამენახა, მაგრამ ვერ შევძელი. მისი ხმა გავიგონე: დააბრუნე ქვეყნად, ჯერ არ არის მაგისი წასვლის დრო! მამამისის სათნოებამ და განუწყვეტელმა ლოცვებმა აღძრეს მაგის შეწყალებისთვის.

და მხოლოდ მაშინ გახდა ნათელი ჩემთვის, რომ ეს ქალი — ზეციური დედოფალია, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, ხოლო ჭაბუკი — ჩემი მფარველი ანგელოზი. უფალი ამბობდა: თავი მომაბეზრა მაგისმა ღვთისგმობამ და ბილწმა ცხოვრებამ. მნებავდა შეუნანებელი აღმეგავა პირისაგან ქვეყანისა, მაგრამ მამამისმა შემვედრა იგი! შემდეგ უფალმა თქვა: ანახეთ ის ადგილი, რომელსაც იმსახურებს! და ერთ წამში ჯოჯოხეთში აღმოვჩნდი. ტანზე მაცოცდებოდნენ საშინელი ცეცხლოვანი გველები, გრძელი ენები ჰქონდათ, საიდანაც ცეცხლი იფრქვეოდა. ყველანაირი ქვემძრომი იყო. ენით გამოუთქმელი სიმყრალე იდგა. თითის სიმსხო პატარა გველები შემიძვრნენ ნესტოებში, თვალებში, ყურებში, პირში, ყველგან... მე არაადამიანური ხმით დავიწყე კივილი, მაგრამ წყალობას და შეწევნას იქ ვერავისგან მიიღებ.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

# სულისთვის სასარგებლო რჩევები



● ყველა ცოდვა, ბილწსიტყვაობისა და მრუშობის გარდა, დაწვრილებით გაიხსენეთ, რადგანაც ეს მორჩილებაში შეგიყვანთ. რაც შეეხება ბილწსიტყვაობასა და მრუშობას, გახსოვდეთ, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ თავი უნდა იქენჯნოთ.

● წმიდა სამებისა და სარწმუნოების შესახებ მსჯელობა განაშორებს კაცთა თვალთაგან ცრემლს, გულთაგან — სინანულს, ხოლო მამათა ცხოვრების მოსმენა და კითხვა გონებას გაგინათლებს და სინანულისკენ მოგვაქცევს.

● ჭეშმარიტი ქალწული თავს უბიწოდ იცავს ზეციური სიძისთვის, ჭეშმარიტი ცოლი, მასთან შერწყმით, სულიერ ნაყოფს მოიმკის, ჭეშმარიტი ქვრივი კი, ოდეს ამქვეყნიურ საზრუნავს ელევა, საკუთარ თავისუფლებას მარადისობისთვის ინახავს.

● სიყვარულის ორი სახე ორგვარ მოქალაქეობას გვანიჭებს: ღვთის სიყვარული ზეციური ქალაქის — იერუსალიმის მოქალაქეობას, ამა სოფლისა — ბაბილონის, ცოდვილთა ქალაქის. ასე რომ, ყველამ საკუთარ თავს ჰკითხოს, რა უყვარს და გაიგებს, რომელი ქალაქის მკვიდრია.

● გეშინოდეს ღვთისა და კიდევ ისეთი ადამიანის, რომელსაც უფლის არ ეშინია.

● თუ გულის სიტყვა გებრძვის და ათასნაირ საჭმელს გთხოვს, ნურაფერს მისცემ, აჭირვე, დაამშიე და იქამდე მიიყვანე, რომ გევედროს, პური მაინც მაჭამეო.

# კითხვა-პასუხი

**როდის შეიძლება ახალშობილის მონათვლა?**

— ახალშობილის მონათვლა ყოველთვის შეიძლება. ტრადიციისამებრ, მეორმოცე დღეს, ხოლო ბავშვის უძლურებისა და ავადმყოფობის ჟამს, როცა მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, სასწრაფოდ ნათლავენ. სცოდავენ მშობლები, რომელთაც დიდი წვეულების გამართვა სურთ და შეგნებულად არ ნათლავენ ბავშვებს, რითაც საკუთარ შვილებს უფალთან მისვლის საშუალებას უსპობენ.

**რამდენად მნიშვნელოვანია ქრისტიანულ საიდუმლოებათა აღსრულებაში მონაწილეობა?**

— ვინც წმიდა საიდუმლოებებს გაურბის, ის მადლისგან განძარცვულია, ე.ი. მასში სულიწმიდა არ არის, ხოლო ვისთანაც სულიწმიდა არ არის, ის არც ქრისტესია.

**შემიძლია თუ არა ურწმუნოს რწმენის შესახებ ვესაუბრო?**

— ურწმუნოს რწმენაზე უნდა ელაპარაკოს ის, ვინც მყარად იცის სარწმუნოება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება, ურწმუნომ დააზიანოს მასთან მოსაუბრის სული.

**როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი სიყვარული ქრისტიანული სწავლების თანახმად?**

— თუ გსურთ, სრულ სისპეტაკესა და ღვთის ჭეშმარიტ სიყვარულს მიაღწიოთ, საჭიროა, განეშოროთ ყველა სხვა სიყვარულს, მათ შორის სულიერსაც. გულში ნუ დაიტოვებთ კაცის ან ნივთის სიყვარულს. თითოეული ადამიანი შეიყვარეთ სრულყოფილად, როგორც საკუთარი თავი, ოღონდ მიკერძოების გარეშე. რაც იმას ნიშნავს, რომ არ უნდა გსურდეთ განუწყვეტლივ მისი ხილვა, მის გვერდით ყოფნა, არ უნდა გენატრებოდეთ და მასზე ფიქრით თავს არ უნდა იტკბობდეთ.

**ჯვარცმაზე მაცხოვრის ფეხქვეშ რატომ გამოსახავენ თავის ქალას?**

— მაცხოვარი ჯვარს აცვეს გოლგოთაზე. სახელის „გოლგოთა“ (თხემის ადგილი) ეტიმოლოგია ადასტურებს გადმოცემას, რომლის თანახმადაც ადამის თავის ქალა სწორედ გოლგოთაზე იყო დაკრძალული. მაცხოვრის ჯვარცმა ადამის დაკრძალვის ადგილის სიმბოლურად მის გამოხსნას, ჯოჯოხეთიდან ამოყვანას, ცხონებას აღნიშნავს. ამიტომ ჯვარცმის ხატზე მაცხოვრის ფერხთა ქვეშ თავის ქალის გამოსახვა უფლის მიერ ადამის გამოხსნასა და ამით მისი ყოველი მემკვიდრის, ანუ ცოდვით დაცემული კაცობრიობის, თითოეული ჩვენგანის გადარჩენას ნიშნავს.

რუბრიკას უძღვება **ნინო გოძიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აშშ რუს სამხედროებს ბირთვულ ობიექტებზე შეუშვებს



**აშშ ხელისუფლება რუს სამხედროებს თავისი ბირთვული ობიექტების ინსპექტირების ნებას აძლევს. წინასწარ შეთანხმებას ამის თაობაზე აშშ სახელმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — სერგეი ლავროვის მოსკოვური შეხვედრისას მიაღწიეს.**

ბირთვულ სფეროში მსგავს დათმობებს აშშ აქამდე არასდროს დათანხმებულა, ახლანდელი შეთანხმების მიხედვით კი, რუსები არა თუ დაიშვებიან ამერიკის ბირთვულ ობიექტებზე, არამედ იქ არსებულ ბირთვულ ჭურვებსა და რაკეტმზიდებს გადაითვლიან.

შეგახსენებთ, რომ სტრატეგიული თავდასხმითი იარაღის შემცირებისა და შეზღუდვის შესახებ 1994 წლის 5 დეკემბრიდან ძალაში შესულ შეთანხმებას სსრ კავშირმა და შტატებმა 1991 წლის 31 ივლისს მოაწერეს ხელი. შეთანხმების მოქმედების ვადა 2009 წლის 5 დეკემბერს იწურება, შემდეგ კი ის შეიძლება ხუთი წლით გაგრძელდეს ან ახალი შეთანხმებით შეიცვალოს, მაგრამ ორივე შემთხვევაში მოლაპარაკებები ამის თაობაზე, სულ მცირე, ერთი წლით ადრე უნდა დაიწყოს.

შეთანხმება თითოეულ მხარეს ავალდებულებს, 40%-ით შეამციროს ბირთვული ჭურვების რაოდენობა (6 ათას ერთეულამდე) და 30%-ით — მათი სტრატეგიული მზიდების რაოდენობა (1600 ერთეულამდე). 2001 წლისთვის ამერიკამ და რუსეთმა ეს ვალდებულებები შეასრულეს.

6 ივლისს მოსკოვში რუსეთისა და აშშ პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ჩარჩო-ხელშეკრულებას, რომელიც სტრატეგიული თავდასხმითი შეიარაღების ახალი ხელშეკრულების საფუძველი გახდება. მოსკოვური სამიტის პირველ დღეს ხელმოწერილ დოკუმენტში რუსეთიცა და ამერიკაც კისრულობს ვალდებულებას, ბირთვული ჭურვების რაოდენობა 1500-1675-მდე შეამციროს, რაკეტმზიდებისა კი — 500-1100-მდე. მონაცემები შემდგომ ეტაპებზე საბოლოოდ დაკონკრეტდება.



ახალი მოლაპარაკებების პროცესში მთავარი საკამათო პუნქტი გახდა შემცირებაში მოყოლილი ჭურვების საკითხი. რუსეთში მათ ანადგურებენ, ამერიკაში კი შლიან. ენერგეტიკის სამინისტროსთან არსებული ბირთვული უსაფრთხოების ეროვნული სამმართველოს თანამშრომელთა განცხადებით, ჭურვების ლიკვიდაციას 15 წელიწადი დასჭირდება, მათგან დარჩენილი პლუტონის ატომური ელექტროსადგურების საწვავად გადამუშავებაზე კი — 21 წელიწადი. გასანადგურებელი ჭურვების ზუსტი რაოდენობა გასაიდუმლოებულია. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, მონაცემები დაახლოებით 4200-ის ფარგლებში მერყეობს.

გარდა ამისა, პენტაგონს აქვს 2700 ოპერატიულად დაშლილი და 2500 სარეზერვო ჭურვი. ისინი საწყობებში ინახება და საჭიროების შემთხვევაში შეიძლება უსწრაფესად დაყენდეს ავიაბომბებზე ან ბალისტიკურ რაკეტებზე.

სერგეი ლავროვთან ზემოხსენებული მოსკოვური მოლაპარაკებების შემდეგ ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ აშშ აღნიშნულ საკითხებში გამჭვირვალე იქნება, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ახლა მოსკოვსა და ვაშინგტონში იმედოვნებენ, რომ სტრატეგიული თავდასხმითი შეიარაღების ძველი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, ანუ 5 დეკემბრამდე, შესაძლოა, ახალ შეთანხმებასაც მოეწეროს ხელი.

# რუსულ ჯარს მთელ მსოფლიოში გამოიყენებენ

**რუსეთის სახელმწიფო დუმამ საბოლოო მესამე მოსმენით მიიღო პრეზიდენტ მედვედევის მიერ შეთავაზებული შესწორებები „თავდაცვის შესახებ“ კანონში.**

ეს შესწორებები მნიშვნელოვნად გაზრდის რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საზღვრებს გარეთ ოპერატიული გამოყენების შესაძლებლობებს. ექსპერტების აზრით, ახალი კანონის მიხედვით, მოსკოვს, ფაქტობრივად, მთელ მსოფლიოში აქვს სამხედრო ძალის გამოყენების უფლება.

ამ მომენტისათვის მოქმედი კანონი „თავდაცვის შესახებ“ რუსული ჯარის ქვეყნის საზღვრებს გარეთ გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ სამ შემთხვევაში: აგრესიის მოგერიების, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის დაცვისა და საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებისათვის.

ახლა კი ჯარის ამოცანებში შედის საზღვრებს გარეთ დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის ან სხვა ქვეყნების კონტინგენტებზე თავდასხმათა მოგერიება, სხვა ქვეყნის მიმართ აგრესიის მოგერიება ან აღკვეთა, საზღვარგარეთ მყოფი რუსეთის მოქალაქეების დაცვა და საზღვაო მეკობრეობასთან ბრძოლა.

კანონპროექტის თანახმად, სამხედრო ძალების ოპერატიული გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას ფედერაციის საბჭოს შესაბამისი დადგენილების საფუძველზე რუსეთის პრეზიდენტი მიიღებს.

რუსეთის საკანონმდებლო შტოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებათა ობიექტური კონტროლისათვის საჭირო სამართლებრივი მექანიზმი ექნება.



# ბრიტანეთის ეკონომიკა კვლავ ეცემა



**2009 წლის მესამე კვარტალში ბრიტანეთის საერთო შიდა პროდუქტმა წინა კვარტალთან შედარებით 0,4%-ით იკლო. ეს ანალიტიკოსებისათვის ცალსახად არასასიამოვნო მოულოდნელობა იყო, ვინაიდან ისინი 0,2%-იან ზრდას ელოდნენ. ბრიტანეთის ეკონომიკა, უკვე ექვსი კვარტალია, მხოლოდ კლებას განიცდის, ეს კი 1955 წლიდან დღემდე ყველაზე ხანგრძლივი რეცესიაა.**

ფინანსთა მინისტრმა ალისტერ დარლინგმა გასულ კვირას განაცხადა, რომ ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის ძალების კონცენტრირებაზე იზრუნებს, რათა მომავალი წლის 5 ივნისს დანიშნული საყოველთაო არჩევნებისათვის ეკონომიკა სტაბილურად აღდგენილი იყოს.

ახალი მონაცემები ძლიერ ზეწოლას მოახდენს ინგლისის ბანკის ხელმძღვანელ მერვინ კინგზე, რომლისგანაც ობლიგაციების გამოსყიდვის პროგრამის გახანგრძლივებას მოითხოვენ. პროგრამა წელს 5 ნოემბერს მთავრდება და მის ფარგლებში ინგლისის ბანკი 175 მილიარდი ფუნტის აქტივების გამოსყიდვას გეგმავს.



# გერმანელები გადასახადების გაზრდას ითხოვენ

**გერმანიის მდიდარი მოქალაქეების ჯგუფმა ქვეყნის ხელისუფლებას მდიდარი მოქალაქეებისთვის გადასახადების გაზრდის თხოვნის პეტიცია გაუგზავნა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ თხოვნის ავტორებს იმაზე მეტი ფული აქვთ, ვიდრე სჭირდებათ და ეს სახსრები სოციალური პროგრამებისა და სახელმწიფო ეკონომიკის გაცოცხლებას უნდა მოხმარდეს.**



გზავნილს ბოლოში 44 ადამიანის ხელმოწერა ერთვის. სულ მალე მას გერმანიის კვლავარჩეული კანცლერი ანგელა მერკელი იხილავს. მანამდე კი გერმანელი მდიდრები ირწმუნებიან, რომ მათთვის თუნდაც 5%-ით გადასახადების გაზრდის ხარჯზე ბიუჯეტი ზედმეტ 100 მილიარდ ევროს მიიღებს. მათივე განცხადებით, მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა მკვეთრად გაზარდა უმუშევრობა, სიღარიბე და სოციალური უთანასწორობა. მაგრამ, მათი აზრით, ეკონომიკის გასაცოცხლებლად თუნდაც მნიშვნელოვანი სახსრების გამოყოფის ბანალური პრაქტიკა არ ამართლებს და არასაკმარისია. მდიდრებმა გადაწყვიტეს, ამ საკითხისადმი სახელმწიფოს მიდგომა მთლიანად შეცვალონ.

„კრიზისიდან გამოსვლის პროცესს თან უნდა ახლდეს სერიოზული ფულადი დანახარჯები და ინვესტიციები ქვეყნის ეკოლოგიაში, განათლების სისტემასა და სოციალურ სფეროში. ისინი, ვინც დიდი ქონება დააგროვა შეუპოვარი შრომით, ინვესტირებით, საკუთარი წარმატებული ბიზნესით ან სულაც მემკვიდრეობის მიღებით, ქველმოქმედებით უნდა დაკავდნენ და მეტი დახარჯონ გადასახადებში, რათა ქვეყანამ უფრო იოლად და სწრაფად დაძლიოს კრიზისი“, — წერია პეტიციაში.

თხოვნის ხელმომწერთაგან ერთ-ერთმა დიტერ ლემკულმა ინტერვიუში ადგილობრივ ჟურნალისტებს უამბო, რომ ახლა გერმანიაში ცხოვრობს 2,2 მილიონი ადამიანი, რომელთა ქონებაც ნახევარ მილიონ ევროზე მეტადაა შეფასებული. ამიტომ ასეთი ადამიანებისათვის გადასახადების გაზრდიდან სულ რაღაც ნახევარი წლის შემდეგ ქვეყანა უდიდეს დამატებით შემოსავალს მიიღებს.

კიდევ ერთმა ხელმომწერმა განაცხადა, რომ გულწრფელად უერთდება ამ ინიციატივას, ვინაიდან აქვს ძალიან ბევრი ფული, რომელიც დიდი ხანია, უბრალოდ, აღარ იცის, რაში დახარჯოს. მისი აზრით, ეს იდეა სოციალურად მისაღები და სიცოცხლისუნარიანია, რაც მთავარია, ის ქვეყანას რეცესიიდან თავის დახსნაში დაეხმარება.

გასულ კვირას აქტივისტთა ჯგუფმა ბერლინის ცენტრში უკვე მოაწყო დემონსტრაცია. ისინი სუვენირული ფულის კუპიურებს ჰაერში ისროდნენ და ამით საკუთარი გეგმებისადმი ხელისუფლების ყურადღების მიპყრობას ცდილობდნენ.

# შტატებში წელს რიგით მეასე ბანკი დაიხურა

**ამერიკის ფინანსურმა რეგულატორებმა 23 ოქტომბერს წლის დასაწყისიდან რიგით მეასე ბანკი დახურეს. წარსულს ჩაბარებულ მეასე ამერიკულ ბანკად ფლორიდის შტატის „Partners Bank“ იქცა. 2009 წელს ბანკების დახურვა ანაბრების დაზღვევის ფედერალურ სააგენტოს უკვე 25 მილიარდ დოლარზე მეტი დაუჯდა.**



შეგახსენებთ, რომ 2008 წლის განმავლობაში შტატებში სულ 25 ბანკი დაიხურა, 2007 წელს კი — მხოლოდ სამი. აშშ უახლეს ისტორიაში ბანკების დახურვის რეკორდად 1989 წელი რჩება, მაშინ ფუნქციონირება 534 ფინანსურმა დაწესებულებამ შეწყვიტა.

ექსპერტების პროგნოზით, უახლოეს რამდენიმე წელიწადში შტატებში კიდევ 400 ბანკი დაიხურება. ეს კი ანაბრების დაზღვევის ფედერალურ სააგენტოს 100 მილიარდი დოლარი დაუჯდება.

ყველაზე დიდი საფრთხე უძრავი ქონების ბაზარზე მომუშავე ბანკებს ელით.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ბლერი ევროკავშირის ხელმძღვანელობის შანსს კარგავს

**ევროკავშირის ქვეყნებმა კავშირის ისტორიაში პირველი პრეზიდენტის კანდიდატურასთან დაკავშირებით კონსულტაციები დაიწყეს. კანდიდატურა ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიკაციის დასრულების შემდეგ დაკანონდება. ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი, რომელიც ცოტა ხნის წინათ აღნიშნულ თანამდებობაზე მთავარ ფავორიტად ითვლებოდა, გამალებით კარგავს შანსებს.**



ევროკავშირის მრავალი ქვეყანა უკმაყოფილოა ბლერის კანდიდატურით და ამის უმთავრეს მიზეზთა შორის სახელდება ბლერის მიერ თანამდებობაზე ყოფნისას მიღებული გადაწყვეტილება, რომ აშშ-თან ერთად ჩართულიყო ერაყის წინააღმდეგ ომში. ბლერის წინააღმდეგ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ის წარმოადგენს ევროპის ერთ-ერთ უმსხვილეს ზესახელმწიფოს — გაერთიანებულ სამეფოს, რომლის გავლენაც ევროკავშირში ისედაც საკმაოდ დიდია. პატარა სახელმწიფოები შიშობენ, რომ დიდი ქვეყნები მთლიანად მიითვისებენ ევროკავშირის მუშაობაზე კონტროლს.

ახლა ბლერის წინააღმდეგ ევროკავშირში საერთო ფრონტი იქმნება. რამდენიმე დღის წინათ ნიდერლანდებმა, ბელგიამ და ლუქსემბურგმა გამოხატეს ერთობლივი პოზიცია, რომელიც ბრიტანეთის ექს-პრემიერის ევროკავშირის პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევის შესაძლებლობას გამორიცხავს.

ბლერის კანდიდატურის წინააღმდეგია გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელიც და საამისოდ სერიოზული მოტივებიც აქვს. მისი თანხმობის გარეშე კი ამ უმაღლეს თანამდებობაზე ვერც ერთი კანდიდატურა ვერ გავა.

სიტუაციის სირთულის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ თავად ბლერს ჯერ კიდევ არ განუცხადებია ოფიციალურად, რომ ევროკავშირის პრეზიდენტობისათვის აპირებს ბრძოლას. ახლა კავშირის მომავალი პრეზიდენტის არჩევის საქმეში ევროპარლამენტიც ჩაერია, მისი დეპუტატების დადგენილებით, 11 ნოემბერს კანდიდატურებისა და ევროკავშირის პრეზიდენტის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით სპეციალური დებატები მოეწყობა.

ევროკავშირის პრეზიდენტად ტონი ბლერის არჩევის ინიციატივით გასულ წელს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი გამოვიდა. ახლა მას სურს, როგორმე მიაღწიოს ევროკავშირის სამიტის დანიშვნას, რათა ბრიტანელი ყოფილი პრემიერის კანდიდატურა დამტკიცდეს. ევროკავშირის პრეზიდენტის თანამდებობა ლისაბონის ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული.

შექმნილ მდგომარეობაში სულ უფრო იზრდება ალტერნატიული კანდიდატის, ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრ იან პეტერ ბალკენენდის შანსები. გარდა ამისა, ბლერის კანდიდატურის ირგვლივ წარმოშობილი წინააღმდეგობრივი სიტუაციის გამო ევროკავშირის პრეზიდენტობის პრეტენდენტი ხდება ესპანეთის ექს-პრემიერი ფელიპე გონსალესიც.

პრეზიდენტობის კანდიდატურების განხილვა 29-30 ოქტომბერს ევროკავშირის საშემოდგომო სამიტზე მოხდება.

# მსოფლიოს «ვალებიფლაცია» ელის



**საინვესტიციო ბანკმა „Morgan Stanley“ გამოაქვეყნა მოხსენება სახელწოდებით „ვალებიფლაცია“, რომელშიც ირწმუნება, რომ ეკონომიკაში ფულის ანტიკრიზისული ჩატენით ინფლაცია გაიზრდება, მაგრამ სწორედ ეს დაეხმარება სახელმწიფოებს, გადაიხადონ გაუფასურებული უზარმაზარი ვალები.**




ეკონომიკის რეანიმაციისათვის ცენტრალურმა ბანკებმა და ხელისუფლებებმა წამოიწყეს ფულადი მხარდაჭერის მასშტაბური პროგრამები: კიდევ ერთ უდიდეს დეპრესიას ისევ ინფლაცია ამჯობინეს. უახლოეს მომავალში მაღალი ინფლაცია მოსალოდნელია კიდევ ერთი მიზეზით: ის აუფასურებს ვალებს, რომლებიც განვითარებული ქვეყნების ხელისუფლებებს საკმარისზე მეტი დაუგროვდა. ან დეფოლტი, ან ინფლაცია — მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამ ორს შორის არჩევანი უკვე გაკეთებულია და ისიც ცხადია, რომლის სასარგებლოდ.

ახლანდელმა კრიზისმა მრავალი აქამდე ურყევი დოგმა დააყენა ეჭვქვეშ. ზემოხსენებული მოხსენების თანაავტორის, სპიროს ანდრეოპულოსის თქმით, დღის წესრიგიდან ყოველგვარი განხილვის გარეშე უარით ვეღარავინ გაისტუმრებს საკითხს, უნდა შეუწყონ თუ არა ხელი „გარკვეულ ინფლაციას“ ცენტრალურმა ბანკებმა, რათა ამით ხელისუფლებებს უზარმაზარი ვალების გადახდაში დაეხმარონ.

ახლა სახელმწიფოთა ვალების მოცულობა მსოფლიო ომების პერიოდებს ედრება. აშშ სახელმწიფო ვალი მეორე მსოფლიო ომის დროს საერთო შიდა პროდუქტის 100%-ს აჭარბებდა. მაშინ ეკონომიკამ სწრაფად დაიწყო ზრდა, მაგრამ ახლა სახელმწიფო ვალის „ეროზია“ სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხარჯზე ნაკლებმოსალოდნელია.

ფედერაციული სარეგისტრაციო სამსახურის ბანკებმა 1,45 ტრილიონი დოლარის ღირებულების იპოთეკური ქაღალდების გამოსყიდვის პროგრამა გააგრძელეს, 2010 წლისათვის კი რეცესიის გამეორებაა მოსალოდნელი, რის გამოც ბანკებს სტიმულირების შეჩერება ჯერჯერობით არ სურთ.

# ესპანეთი ევროკავშირში უმუშევრობის ლიდერია





**ესპანეთში მესამე კვარტალში უმუშევრობამ 17,93%-ს მიაღწია და ეს მაჩვენებელი ევროკავშირის მასშტაბით კვლავ კონკურენციის გარეშეა. წინა პერიოდებთან შედარებით, მდგომარეობა არამც თუ გამოსწორდა, გაუარესდა კიდეც. ამ მაჩვენებლის წყალობით ევროკავშირში უმუშევრობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. შარშანდელთან შედარებით, წელს ესპანეთში 1,5 მილიონით მეტი უმუშევარია, სექტემბერში მათმა საერთო რაოდენობამ 4,123 მილიონს მიაღწია.**

ესპანეთი რეცესიის ზონაში 2008 წლის დასასრულს შევიდა. ევროპაში მოცულობის მიხედვით მეხუთე ადგილზე მყოფ მის ეკონომიკას მსოფლიო კრიზისმა უძლიერესი დარტყმა მიაყენა. პროგნოზების მიხედვით, გაისად ამ ქვეყანაში უმუშევრობა მხოლოდ გაიზრდება. ანალიტიკოსთა ჯგუფის მიერ გაკეთებული გათვლების მიხედვით, თუ ესპანეთი უფასო სამედიცინო დახმარებაზე დანახარჯებს, პენსიებსა და უმუშევართა დახმარებებს არ შეამცირებს, 2060 წლისათვის საამისო სახსრები, უბრალოდ, აღარ ექნება.

უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელია ლატვიაშიც (18,3%), ყველაზე კარგად საქმე ამ მხრივ ნიდერლანდებსა (3,5%) და ავსტრიას (4,7%) აქვთ.

# ვინ გახდა რვენზურურუს სამეფოს მონარქი?

**ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ამერიკელი სანიტარი ჩარლზ უესლი მუმბერე, არც მეტი, არც ნაკლები, უგანდის რვენზურურუს სამეფოს მონარქი გახდა.**





კორონაციის ცერემონიაში, რომელსაც 60 ათასზე მეტი ადამიანი დაესწრო, თვით უგანდის პრეზიდენტი იოვერი მუსევენი მონაწილეობდა. წესის თანახმად, მან ახალ მეფეს მარცხენა მხარზე დაადო ორივე ხელი, შემდეგ კი სამეფოს პარლამენტს სიტყვით მიმართა.

**„სამეფო უკვე აღვადგინეთ, მაგრამ ჯერ დეტალურად არ შევთანხმებულვართ, როგორ უნდა იმუშაონ მათ ხელისუფლებასთან შეთანხმებით“,** — განაცხადა პრეზიდენტმა.

მუსევენიმ ქვეყნის შიგნით ტრადიციული სამეფოს აღდგენის ნებართვა გასცა, სამეფოსი, რომელიც მისმა წინამორბედმა 1967 წელს აკრძალა. პრეზიდენტის ამგვარი მოწყალების ერთ-ერთი პირობა მონარქების მხრიდან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაურევლობის აღთქმა გახდა. ამჟამად უკვე მეფე მუმბერე გამეფებამდე დიდხანს მუშაობდა სანიტრად აშშ პენსილვანიისა და მერილენდის შტატებში, მის თანამშრომლებს კი წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ ყოველდღიურად ნამდვილ მონარქს ხვდებოდნენ. შეგახსენებთ, რომ უგანდაში 20-წლიანი სამოქალაქო ომი 2008 წლის თებერვალში დასრულდა.

# ობამას რეიტინგი რეკორდული ტემპით ეცემა



**აშშ პრეზიდენტ ბარაკ ობამას რეიტინგი უკანასკნელი 50 წლის მანძილზე დაფიქსირებული ვარდნის ტემპების მიხედვით რეკორდს ამყარებს. პრეზიდენტის რეიტინგის მკვეთრი ვარდნა ივლისში დაიწყო. მაშინ მის მოღვაწეობას ამერიკელთა 57% იწონებდა. მესამე კვარტალში კი მისი რეიტინგი 53%-მდე დაეცა, რაც აპრილის მაჩვენებელთან — 62%-თან შედარებით ვარდნის საკმაოდ სწრაფი ტემპია.**

არადა, თეთრ სახლში ობამა 78%-იანი რეიტინგით მივიდა. ახლა მისი რეიტინგი უფრო დაბალია, ვიდრე პრეზიდენტობის ამავე ეტაპზე თეთრი სახლის რომელიმე ხელმძღვანელს ჰქონია.

სოციოლოგების აზრით, ამ ყველაფრის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი პრეზიდენტის მიერ ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების აქტიური ლობირებაა. გარდა ამისა, უკანასკნელ პერიოდში შტატებში უმუშევრობა ლამის 10%-ით გაიზარდა. ამერიკელთა უკმაყოფილებას იწვევს ავღანეთში შემდგომ მოქმედებებთან დაკავშირებით ხელისუფლების ყოყმანიც.

ობამას წარუმატებლობებმა შესაძლოა, მთელი დემოკრატიული პარტიაც დააზარალოს. ნოემბერში დემოკრატებს ნიუ-ჯერსისა და ვირჯინიის შტატებში ერთბაშად ორი გუბერნატორის დაკარგვის საშიშროება ელით. არადა, სწორედ ამ შტატებში შარშანდელი საპრეზიდენტო არჩევნებისას ობამამ თავის მოწინააღმდეგეს, რესპუბლიკელ ჯონ მაკეინს მოუგო.



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## როზა აბასადოევი:

# ჩემი შვილი იმდენად სასტიკად იყო მოკლული, რომ ცხედარს ნახევარი თავი არ ჰქონდა



**სამგორის რაიონში, „ზეემკის“ დასახლებაში მდებარე სასაფლაოზე 32 წლის ალეკო აბასადოევი, მეტსახელად „რუსო“, მოკლული იპოვეს. მას დანით სხეულზე 32 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.**

მკვლელობაში ეჭვმიტანილი, მოკლულის მეზობელი, 46 წლის არსენ მამუჩიშვილი პოლიციამ ორ დღეში მეგობრის სოფელში დააკავა. მას დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერებაც აღმოაჩნდა.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სს კოლეგიამ მამუჩიშვილს 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ ბრალდებული მკვლელობას არ აღიარებს და თავს დამნაშავედ არ სცნობს.**

მომხდარი მკვლელობის დაფარვისთვის დააკავეს, ასევე, მათი მეზობელი ისმაილ ყეინაშვილი. პოლიციამ მამუჩიშვილის წინააღმდეგ სს საქმე განზრახ მკვლელობისა და ნარკოტიკების შენახვისთვის აღძრა, ხოლო ყეინაშვილის წინააღმდეგ — დანაშაულის დაფარვისა და ნარკოტიკების შენახვისათვის.

პროცესზე დაზარალებული მხარის ადვოკატი ოლგა გეჯაძე წარდგენილი მუხლის გადაკვალიფიცირებას ითხოვდა, რადგან, მისი თქმით, აბასადოევი მოკლული იყო განსაკუთრებული სისასტიკით. **„მას 32 ჭრილობა აქვს მიყენებული და ჩვენ მიგვაჩდა, რომ ეს არის დანაშაული, რომელიც 109-ე მუხლით გათვალისწინებულ სასჯელს ითვალისწინებს, მაგრამ ჩვენი მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.“**

**არსენ მამუჩიშვილი, ისმაილ ყეინაშვილი და „რუსო“ აბასადოევი „ზეემკის“ დასახლებაში ცხოვრობდნენ. ისინი მეზობლები იყვნენ.**

**„2008 წლის 1 თებერვალს დილით ისმაილი მოვიდა და თავის ნათესავთან წაყოლა მთხოვა. სანამ გამოვიდოდი, ცოტა დავლიეთ, სასაფლაოს გზით წამოვედით. გზაზე შემთხვევით „რუსო “ შეგვხვდა და წამოგვყვა. ჩვენ იქ უნდა დავლოდებოდით, მაგრამ „რუსომ“ თქვა, მე ვერ დაგელოდებით და მერე უბანში განახავთო. მას შემდეგ არ მინახავს. მისი მკვლელობის შესახებ დაახლოებით ხუთ საათზე მიკროავტობუსების მძღოლებმა მითხრეს. მე ვიცოდი, რომ ეჭვს ჩემზე მოიტანდნენ, რადგან ჩვენ კონფლიქტი გვქონდა, ამიტომ გადავწყვიტე, დავმალულიყავი, სანამ მის მკვლელს დაიჭერდნენ,“** — განაცხადა სასამართლო პროცესზე მამუჩიშვილმა.

მისი თქმით, აბასადოევთან კონფლიქტი წინა დღეს უბრალო შელაპარაკებით დაიწყო. **„ნასვამები ვიყავით. რაღაც უმნიშვნელოზე წავკამათდით. იმან თავში „უგოლნიკი“ ჩამარტყა. ამ დროს მამაჩემი მოვიდა გასაშველებლად, „რუსომ“ კი დანით ხელი გაუჭრა. მამაჩემმა ამის შესახებ პოლიციას შეატყობინა. მერე კი შევრიგდით, მაგრამ კარგი ურთიერთობა არ გვქონდა. ამის შემდეგ ბევრჯერ ყოფილა ჩემთან სახლში და ჩაიც დაგვილევია. მე რომ მისი მოკვლა მნდომოდა, ჩემს სახლში მოვკლავდი? ის ისეთი შარიანი იყო, რომ სხვასაც შეეძლო მოეკლა,“** — ამბობს ბრალდებული.

მამუჩიშვილისა და აბასადოევის შეხვედრას უფრო დეტალურად იხსენებს ისმაილ ყეინაშვილი. **„აბასადოევი არსენას დაელაპარაკა და უთხრა, საქმე მაქვსო. მე წინ მივდიოდი, ისინი – უკან. ჩვენ რომ ლოდინი დავიწყეთ, აბასადოევი წავიდა. მერე მე და არსენაც დავშორდით. საღამოს 5-6 საათი იქნებოდა, როდესაც მეორედ ავედი არსენასთან და**

**მითხრა — მუწუკი მოვაშორე სოფელს და აქედან უნდა წავიდეო. რომ ვკითხე, როგორ მოკალი-მეთქი, მითხრა, ახლა ვერ გეტყვი, მაგის თავი არ მაქვსო.**

**ამის მერე ორივენი ჩემი ბიძაშვილის სახლში, თეთრიწყაროს რაიონში, სოფელ ქსოვრეთში წავედით, სადაც 3 თებერვალს დაგვაკავეს,“** — იხსენებს ყეინაშვილი.

სასამართლოზე მოწმის სახით ყეინაშვილის რძალი — ასმათ ჟიჟიაშვილიც იყო გამოძახებული. **„ყეინაშვილი არის ჩემი ქმრის ბიძაშვილი. ჩვენთან სტუმრად მეგობართან ერთად მოვიდა და, რა თქმა უნდა, მივიღე. ჩემთვის არაფერი უთქვამთ. პოლიცია რომ მოვიდა, მერე გავარკვიე, რომ მკვლელობა ჰქონდათ ჩადენილი. როცა მოვიდნენ, განსაკუთრებული არაფერი შემინიშნავს. უბრალოდ, ყეინაშვილი გვერდს იტკიებდა, მამუჩიშვილს კი ხელზე ჭრილობა ცხვირსახოცით ჰქონდა შეხვეული. მე არ მინახავს არანაირი ნარკოტიკები, მაგრამ პოლიციამ მათი ქურთუკებიდან რაღაც ამოიღო,“** — განაცხადა მოწმემ.

ბრალდებული მამუჩიშვილი კატეგორიულად უარყოფს აბასადოევის მკვლელობის ფაქტს და იმასაც, რომ ნარკოტიკები ჰქონდა. **„ხელი მანქანაზე მიწოლისას გავიფხაჭნე, გზა მოყინული იყო და არ მიდიოდა. ის, რომ ჩემი ჯიბიდან ნარკოტიკები ამოიღეს, სისულელეა. ნარკოტიკები რომ მქონოდა, ჭაჭის არაყს კი არ დავლევდი.“**

თუმცა ყეინაშვილმა პროცესზე აღნიშნა, რომ სამი დღის წინათ უცნობი პიროვნებისგან შეიძინა ნარკოტიკები და ჯიბეში შეინახა. პროკურორი ყეინაშვილის ადვოკატის შუამდგომლობას დაეთანხმა და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. აქედან იგი 2 წელს ციხეში გაატარებს, 4 წელი კი პირობით გამოსაცდელ ვადად ჩაეთვლება. გარდა ამისა, დაეკისრა ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით.

პროკურორმა სასამართლოზე მამუჩიშვილის სასჯელის ზომად 17 წელი მოითხოვა. სასამართლომ კი მას 15 წელი მიუსაჯა. მოკლულის დედა, როზა აბასადოევი განაჩენით უკმაყოფილო დარჩა:

**„ჩემი შვილი იმდენად სასტიკად იყო მოკლული, რომ ძლივს ვიცანი. ცხედარს ნახევარი თავი არ ჰქონდა. ქვაც ჰქონდა თავში ჩარტყმული და დანაც; მთელი სხეული დანით ჰქონდა დაჩეხილი. ამ სისასტიკის ჩამდენი უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებდა.“**

# ქურდ დამლაგებელს 6 წელი მიესაჯა

**იმ სახლის გაქურდვა, სადაც სირანუშ ხაჩატუროვა დამლაგებლად მუშაობდა, ცოლ-ქმარს ძვირად დაუჯდა. დიასახლისმა შეიტყო რა ძვირფასეულობისა და თანხის დაკარგვის თაობაზე, ეჭვი მაშინვე პატიოსანი დამლაგებლის სახელს ამოფარებულ ხაჩატუროვაზე მიიტანა, რადგან თანხის შესახებ მხოლოდ დაზარალებულმა ცოლ-ქმარმა იცოდა. სამართალდამცავებმა დამნაშავე საკუთარ ბინაში, მეუღლესთან ერთად დააკავეს.**



საბედისწერო ქურდობა შარშან, 10 იანვარს თბილისში, ონიაშვილის ქუჩაზე, თინათინ ნაკაიძის საცხოვრებელ სახლში მოხდა, სადაც სირანუშ ხაჩატუროვა დამლაგებლად მუშაობდა. თინათინ ნაკაიძე ოჯახთან ერთად ერთი წლის ჩამოსული იყო ამერიკიდან, სადაც ისინი 15 წელი მუშაობდნენ და ცხოვრობდნენ. ის თანხაც, რომელიც მათ ხაჩატუროვამ მოჰპარა, ამერიკიდან ჩამოიტანეს.

თ. ნაკაიძის თქმით, ამერიკიდან ჩამოტანილი თანხით ოჯახი ბინის ყიდვას აპირებდა, რადგან საკუთარი საცხოვრებელი არ გააჩნდა. ფულის დაკარგვის შესახებ მან 10 იანვარს შეიტყო, როდესაც შენახული თანხა ჩემოდანში აღარ დახვდა. ოჯახის წევრებმა ეჭვი მაშინვე დამლაგებელზე მიიტანეს, რადგან, დაზარალებულის თქმით, თანხის არსებობა მხოლოდ მისთვის და მისი მეუღლისთვის იყო ცნობილი. თინათინ ნაკაიძემ მაშინვე დაურეკა თავის დამლაგებელს, რომელმაც განუცხადა, რომ მეორე დღეს სამსახურში ვერ მივიდოდა, რადგან გზები მოყინული იყო. ხაჩატუროვას თქმით, სამსახურში იგი მხოლოდ 12 იანვარს მივიდოდა, თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა — დაზარალებულს დამლაგებელი მეტად აღარ უნახავს.

**„თანხა ბოლოს 9 იანვარს ვნახე. არ გადამითვლია, რადგან შობას ჩემმა ქმარმა გადათვალა. შევცდი, რომ თანხა ბანკში არ შევინახე. 10 იანვარს, საღამოს, ფული უნდა ამეღო და აღმოჩნდა, რომ თანხა აღარ იყო. ამ ფულის არსებობის თაობაზე დედაჩემმაც კი არ იცოდა. ეს თანხა ჩემი შრომით მქონდა მოპოვებული. სირანუშს დავურეკე. მეორე დღეს მოსვლას დამპირდა, მაგრამ აღარ მოსულა,“ — განაცხადა პროცესზე დაზარალებულმა და ისიც დასძინა, რომ თანხასთან ერთად მას ოქროს ბეჭედი, ოქროს ძეწკვი და ჯვარიც მოჰპარეს.**

სამართალდამცავებმა ცოლ-ქმარი — სირანუშ ხაჩატუროვა და თეიმურაზ არდაზიშვილი — თავის ბინაში დააკავეს. მათ დაკავებისთანავე აღიარეს დანაშაული. პოლიციამ ბინის ჩხრეკისას 21 835 ევრო, 19 400 დოლარი, ერთი ოქროს ძეწკვი და ჯვარი, ხოლო პირადი ჩხრეკისას 20 დოლარი და 275 ლარი ამოიღო. ვერ იქნა ამოღებული 165 ევრო, 13 600 დოლარი და 700 ლარი. სწორედ ამ თანხის ანაზღაურებას ითხოვდა დაზარალებული. როგორც დამლაგებელი ამბობს, ხსენებული თანხა მან ოთახის დალაგებისას იპოვა. მოგვიანებით, ამის შესახებ მეუღლეს, თეიმურაზ არდაზიშვილს უამბო. ქმარმა ცოლს თანხის მოპარვა და საზღვარგარეთ წასვლა შესთავაზა.

**„ამის შემდეგ მარჯვე შემთხვევას ვეძებდი. იმ დღეს სამსახურში მარტო ვიყავი. ბავშვები გარეთ იყვნენ (დაზარალებულს ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს). შევედი საძინებელში და ეს თანხა ავიღე, ჩანთაში ჩავდე და სახლში წამოვედი. ფული არ დამითვლია, ის კონვერტში იდო. ჩემი მეუღლე მეტრო „ვარკეთილთან“ დამხვდა. მეორე დღეს წავედით და მანქანა ვიყიდეთ. დარჩენილი თანხა სად წავიდა, არ ვიცი, ჩვენ არ დაგვიხარჯავს. მანქანის გარდა არაფერი შეგვიძენია და ბაზრობაზე ერთი-ორი შარვალი ვიყიდეთ, რაც, ალბათ, 300 ლარამდე დაჯდა,“** — განაცხადა პროცესზე სირანუშ ხაჩატუროვამ.

თავის მხრივ, დამნაშავედ ცნო თავი თეიმურაზ არდაზიშვილმაც: **„თანხის შესახებ სირანუშმა მითხრა. მარტო მანქანა ვიყიდეთ, მეტი არაფერი. დანარჩენი ფული არ დაგვიხარჯავს.“**

პროცესის მსვლელობისას განსასჯელების ადვოკატმა, გივი ბიბილაძემ სასამართლოს თხოვნით მიმართა, გაეთვალისწინებინა ის გარემოებები, რომ ცოლ-ქმარი ახალი დაქორწინებული იყვნენ და პრობლემები ჰქონდათ; ამასთან, წარსულში არც ერთი მათგანი ნასამართლევი არ ყოფილა.

**„ჩემი აზრით, მათ გათვითცნობიერებული არ ჰქონდათ, თუ რა დანაშაული ჩაიდინეს და რა შედეგი შეიძლებოდა დამდგარიყო. ამაზე ის ფაქტიც მიანიშნებს, რომ მოპარული ფული კი არ გადამალეს, მეორე დღესვე მანქანა შეიძინეს, რაც მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის ნივთმტკიცებას წარმოადგენდა. მათ შეეძლოთ, საერთოდ გადაემალათ ფული და არც დანაშაული ეღიარებინათ,“** — განაცხადა ადვოკატმა, რომელმაც მოითხოვა, იმ თანხის გარდა, რაც განსასჯელებს აღმოაჩნდათ და დახარჯეს, სხვა თანხა ბრალდებაში არ შეეტანათ.

მიუხედავად ადვოკატის მოთხოვნისა, მოსამართლემ ცოლ-ქმარს 165 ევროს, 8 800 დოლარისა და 700 ლარის გადახდა მაინც დააკისრა. საბოლოოდ, 22 ათასი ევროს, 33 ათასი დოლარისა და 1 200 ლარის ოქროულობის ქურდობისთვის სასამართლომ ცოლ-ქმარს, სირანუშ ხაჩატუროვასა და თეიმურაზ არდაზიშვილს ერთნაირად — 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამასთან, მოსამართლემ მათ დახარჯული თანხის ანაზღაურებაც დააკისრა დაზარალებულისთვის, რაც 165 ევროს, 8 800 დოლარსა და 700 ლარს შეადგენს. თუმცა, ცოლ-ქმრის მტკიცებით, მათ მოპარული თანხის მხოლოდ მცირე ნაწილი დახარჯეს; კერძოდ, 4 800 დოლარად ავტომანქანა შეიძინეს და ბაზრობაზე ტანსაცმელი (300 ლარამდე).

პროცესზე ვაკე-საბურთალოს პროკურორმა ვოვა ვექილიანმა განსასჯელებისთვის 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა, მაგრამ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# წერილი საპატიმროდან

## ქურდული სამყაროს წევრობისთვის ციხის 5 თანამშრომელი, 2 პატიმარი და მათი ახლობლები გაასამართლეს

**გასულ კვირას „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციამ საპატიმროდან წერილი მიიღო. მსჯავრდებული გივი ყურაშვილი ოცდაოთხიდან ერთ-ერთია, რომელიც სასამართლომ ქურდული სამყაროს წევრობისთვის გაასამართლა. ღია წერილში პატიმარი მათ მიმართ გამოტანილი განაჩენის უკანონობასა და იმ ყოფაზე საუბრობს, რომელში დღეს აღმოჩნდა. სანამ უშუალოდ წერილს გაგაცნობთ, ამ საქმის მოკლე ისტორიას გიამბობთ.**

ქურდული სამყაროს წევრობისთვის გასულ წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ 24 პირი გაასამართლა. როგორც გასამართლებულების ადვოკატები ირწმუნებიან, მოსამართლე რეზო ნადოიმ განაჩენი წაშლილი ნივთმტკიცების საფუძველზე გამოიტანა; ფარული სატელეფონო მოსმენების საფუძველზე პროკურატურამ 2007 წლის 9 აგვისტოს 24 პირი დააკავა. მათ შორის, 2 პატიმარი და 5 — ციხის თანამშრომელი; დანარჩენები პატიმრების ოჯახის წევრები და ახლობლები არიან.

**საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულები ე. წ. ქურდული ობშიაკისთვის შესატან თანხებს აგროვებდნენ, რაც შემდეგ ციხის თანამშრომლებს პატიმრებისთვის შეჰქონდათ. ამის სანაცვლოდ ისინი გარკვეულ გასამრჯელოს იღებდნენ. პროკურატურამ ეს ყველაფერი ფარული სატელეფონო მოსმენების საფუძველზე დაადგინა; თუმცა პროცესზე მთავარი მტკიცებულების სახით მოტანილი დისკები, რომლებიც დაკავებულების ბრალეულობას დაამტკიცებდა, არ გაიხსნა, რაც პროკურატურამ ტექნიკური ხარვეზებით ახსნა. ხოლო ხარვეზებისა და ეჭვის საფუძველზე ხელის ერთი მოსმით ადამიანების ბედის გადაწყვეტა როგორ შეიძლება, ეს ცალკე საკითხია.**

დაკავებულებიდან ათთან პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გააფორმა. მათ ბრალი აღიარეს და გოჩა ბერიძეს, ლევან გურგენიძეს, ირაკლი კესარელს, ქეთევან მარგველანს, მიხეილ მექვევრიშვილს, შალვა ჩითინაშვილს, სოფო ლეშკაშელს, რევაზ მელაშვილს, მამუკა ზანდუკელსა და სერგო ჯოხაძეს სასამართლომ 5-5 წლით პირობითი სასჯელი და ჯარიმა – 5000-5000 ლარი დააკისრა; მიხეილ მექვევრიშვილს — 7000, ხოლო მელაშვილს — 10 000 ლარი.

დანარჩენებთან პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება არ გააფრომა, რადგან ისინი დანაშაულს არ აღიარებენ. მოსამართლემ ნოდარ ფსიტიძეს — 5 წლით და 6 თვით, გიორგი მეცხვარიშვილს — 7 წლით, სულიკო ბურჭულაძეს, დავით გენებაშვილს, ირაკლი და ტარიელ კანდელაკებს — 5-5 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ქურდული სამყაროს წევრობის გარდა, მათ ქრთამის მიცემაც ედებოდათ ბრალად.

რაც შეეხება ციხის თანამშრომლებს – გივი ყურაშვილს, ვეფხია ხუბუას, ზაზა უსტიაშვილს, ხვიჩა ოქრუაშვილსა და ზაურ ჯავახიშვილს, ისინი ქრთამის აღების ბრალდების ნაწილში გაამართლეს და საბოლოოდ სასამრთლომ მათ 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა; ამასთან, ჯარიმის – 4000-4000 ლარის გადახდა დააკისრა.

გლდანის მე-8 საპყრობილის პატიმრებს: აკაკი კიკვაძეს — 10 წლით, 3 თვითა და 10 დღით, ხოლო ზურაბ კანდელაკს — 7 წლითა და 17 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს (ახალ სასჯელს ძველი სასჯელის ნაწილიც დაემატა).

მართალია, პროკურატურამ განსასჯელები ფარული სატელეფონო მოსმენების საფუძველზე დააკავა, მაგრამ, ადვოკატების თქმით, პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ფარული მოსმენების ჩანაწერები დისკებზე მიზანმიმართულად წაშალეს.

მსჯავრდებულების ოჯახებმა საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს, თუმცა მეორე ინსტანციამ განაჩენი ძალაში დატოვა. ამჟამად საქმე უზენაეს სასამართლოშია გასაჩივრებული, მაგრამ საქმის განხილვა ჯერაც არ დაწყებულა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რედაქციამ ამ საქმის ერთ-ერთი მსჯავრდებულისგან — გივი ყურაშვილისგან წერილი მიიღო. დაკავებამდე იგი პენიტენციარულ სისტემაში მუშაობდა. მოსამართლის გადაწყვეტილებისამებრ, ყურაშვილს 7 წლით პატიმრობა მიუსაჯეს და ჯარიმა – 4 000 ლარი დააკისრეს.

მის წერილს უცვლელად გთავაზობთ:

**„თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა, ვაუწყო საზოგადოებას კიდევ ერთი უკანონოდ გამოტანილი განაჩენის თაობაზე. მინდა, დაგანახოთ იმ თავაშვებული სამართალდამცავი თუ სხვა სტრუქტურების საქმიანობა, რომელთა უშუალო მონაწილეობითაც ჩამოყალიბდა დიდი რეპრესიული მანქანა. კერძოდ, მინდა, მოგითხროთ ჩემი დატუსაღებისა და შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ. დაახლოებით 20 წელი ვემსახურე პენიტენციარულ სისტემას, სანამ ერთ ავბედით დღეს სახლში არ გამომეცხადნენ ჩვენი საამაყო ნიღბიანი სპეცრაზმელები, რომლებმაც განმიმარტეს, რომ ეჭვმიტანილი ვიყავი საქ. სსკ 223-ე მუხლით, რომლის არსიც ქურდული სამყაროს ხოტბის შესხმაში, ქურდული ტრადიციების მიმდევრობაში მდგომარეობს. ვინაიდან ჩემი პერსონა არ იყო საკმარისი მტრის ხატის შესაქმნელად, გადაწყვიტეს, ჩემთან ერთად კიდევ დაეპატიმრებინათ 24 ადამიანი — როგორც მამრობითი სქესის წარმომადგენლები, ასევე, ქალბატონები. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 24 კაციდან 5 თანამშრომელი ვიყავით; დანარჩენები კი — რიგითი მოქალაქეები და მათი ოჯახის წევრები. ოცდაოთხივეს მიმართ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბრალდება შემოიფარგლა 223-ე მუხლით, მაგრამ, როდესაც მიხვდნენ ბრალდების უსუსურობას, მზაკვრულ ხერხს მიმართეს და დაკავებული პირების ნაწილს შანტაჟისა და დანაშაულის პროვოცირების გზით აიძულებდნენ დანაშაულის აღიარებას, სანაცვლოდ კი თავისუფლებას ჰპირდებოდნენ. აღნიშნულმა შეთავაზებამ, რაღაც ასპექტში შეღავათი გამოიღო და თავისუფლების სანაცვლოდ აღიარეს შეთითხნილი ბრალდება, რასაც შედეგად მოჰყვა ჩვენი — 14 კაცის გრძელვადიანი დატუსაღება. განსაკუთრებით ულმობლად მოგვექცნენ ყოფილ მოხელეებს, ვინაიდან დანარჩენი თანამშრომლებისთვის ყველაფერი გასაგები ყოფილიყო, რადგან შემდგომში კანონდარღვევაზე და უზნეობაზე თვალი დაეხუჭათ.**

**არც ის გარემოება მინდა დარჩეს თქვენი ყურადღების მიღმა, რომ აგერ უკვე მესამე წელი ხდება, რაც ყველანაირი კანონის უხეში დარღვევით, დანაშაულებრივი გადაწყვეტილებებით სასჯელს ვიხდით ე. წ. კრიტში. ეს არის საპყრობილე, სადაც ათავსებდნენ სამუდამო პატიმრობამისჯილებს ან რეჟიმის არაერთგზის დამრღვევებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ, საერთაშორისო კონვენციის თანახმად, ამ საპყრობილეში განთავსებული პატიმარი გათანაბრებულია წამებულ პიროვნებასთან, მაგრამ ამაოდ, „სად ვიჩივლო, რუსთაველი მკვდარია“.**

**ჩვენს სასამართლოს კი რეფორმა ნამდვილად მოუხდა, განა ობიექტურობის თვალსაზრისით, არამედ ფასადურად. სად გაგონილა, როცა არც პატიმარი და არც მისი ოჯახის წევრები პრეზიდენტისგან შეწყალებას არ ითხოვენ, ვინაიდან თავს დამნაშავედ არ ვცნობ და მოსამართლე პროცესის მსვლელობის დროს იგებს, რომ შეწყალებული ვიყავით ციხის 5 თანამშრომელი და გაგვინახევრდა სასჯელი. ამ წერილის დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ ჩემი და ჩემნაირი ადამიანების მიმართ ასეთი მოპყრობა გამოვიდეს მზის სინათლეზე და მეტი ყურადღება დაუთმოს მას ქართული საზოგადოების გონიერმა ნაწილმა, რადგან აქედან უსამართლოდ გასული ადამიანები მარტო პროკურორისა და მოსამართლის მტრად კი არა, სახელმწიფოს მტრადაც ყალიბდებიან. მე ნამდვილად არ მინდა ცხოვრება ისეთ სახელმწიფოში, რომელიც იქნება ჩემი და ჩემი ოჯახის დამანგრეველი და მტერი.**

**დაინტერესების შემთხვევაში, ჟურნალისტთა კორპუსს მოვუწოდებ, თვალი ადევნონ ჩემი საქმის წარმოებას, სადაც განა მარტო ჩემდამი უსამართლო მოპყრობას აღმოაჩენთ, არამედ უამრავი უდანაშაულო ადამიანების მიმართაც, რომელთა ხმაც თქვენამდე, საზოგადოებამდე ვერ აღწევს, ვინაიდან სისტემა არის შეუღწევადი და კარგად შეფუთული. ნუთუ არ არის დაინტერესება ჟურნალისტებისა, რომლებიც არ განიცდიან ხელისუფლებისგან ზეწოლას. წინ გვაქვს უზენაესი სასამართლო და სტრასბურგი.**

უკანონო პატიმარი
**გივი ყურაშვილი**

# 6000 ლარი ცოლის გაუპატიურებისთვის

**სასამართლო პრაქტიკაში კურიოზული ფაქტებიც გვხვდება, თუმცა კურიოზული რამდენად შეიძლება ეწოდოს ქვემოთ მოყვანილ ისტორიას, ეს თავად მკითხველმა განსაჯოს. ყოფილი ცოლის — ანა გამრეკელის (გვარ-სახელები შეცვლილია) გაუპატიურებისთვის მართლმსაჯულებამ მისი ყოფილი მეუღლე გაასამართლა. სასამართლომ იგი საკმაოდ მკაცრად დასაჯა და ფულადი ჯარიმაც დააკისრა.**



ყოფილ ცოლ-ქმარს ერთმანეთთან ცხრაწლიანი ქორწინება და ორი შვილი აკავშირებს. 31 წლის გოგი გომიაშვილს განქორწინებიდან ექვს თვეში ცოლყოფილმა გაუპატიურებისთვის უჩივლა. ანა გამრეკელის ნაამბობის მიხედვით, ყოფილმა ქმარმა იგი სახლში მოტყუებით შეიყვანა და გააუპატიურა, თუმცა ამ ფაქტს თავად ქმარყოფილი უარყოფს. იგი ამბობს, რომ ყოფილ ცოლთან ინტიმური კავშირი განქორწინების შემდეგაც ჰქონდა და ეს ნებაყოფლობით იყო. ინტიმური კავშირის შემდეგ ანა გამრეკელი პოლიციაში გამოცხადდა და ყოფილ ქმარს უჩივლა. გომიაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 137-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა (გაუპატიურება ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, რაც 4-დან 6 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს).

საქმის მასალების მიხედვით, შემთხვევა 2007 წლის 30 მარტს მცხეთაში მოხდა. **„30 მარტს გოგი გომიაშვილმა, მასთან საუბრის მიზნით, სახლში ყოფილი მეუღლე დაიბარა. ქმრის ბინაში მისვლისას ანამ შენიშნა, რომ ყოფილი ქმარი ნასვამი იყო; უკან გამობრუნება დააპირა, მაგრამ ფიზიკური ძალის გამოყენებით გოგიმ ბინაში შეიყვანა, სადაც, ასევე, ფიზიკური ძალადობით ტანსაცმელი გახადა და მისი ნების საწინააღმდეგოდ, ძალის გამოყენებითა და მუქარით გააუპატიურა.“**

ექსპერტიზის დასკვნით, ქალს შუბლისა და ბარძაყის არეში დაზიანება აღენიშნებოდა. ექსპერტიზამ, ასევე, დაასკვნა, რომ ყოფილ ცოლქმარს შორის ინტიმური კავშირი შედგა, ოღონდ ნაწილობრივ.

**„დაახლოებით დილის 9 საათზე გოგის მესიჯი მომივიდა; შეხვედრასა და ინტიმურ კავშირს მთხოვდა. სამსახურში წასვლას ვაპირებდი, მე კი მასთან ურთიერთობის საბოლოოდ გარკვევა მინდოდა და ამიტომ ვუთხარი, რომ დაახლოებით ორის ნახევარზე მივიდოდი. მის სახლში რომ მივედი, ნასვამი დამხვდა, სადარბაზოსთან იდგა. უკან წამოსვლა დავაპირე, მაგრამ თმაში ჩამავლო ხელი და სახლში, მეორე სართულზე ამათრია. ხალხს საშველად ვუხმობდი, მაგრამ გარშემო არავინ იყო. საძინებელში შემათრია. ინტიმურ კავშირს მთხოვდა. საწოლზე დამაგდო. წინააღმდეგობას ვუწევდი, მაგრამ ის მაისურს მახევდა, რაც ვერ შეძლო. შემდეგ შარვალი და ქვედა საცვალი გამხადა. სქესობრივი კავშირის დამყარებას ცდილობდა, რა დროსაც ბარძაყში ხელით დაზიანება მომაყენა. ვეხვეწებოდი, თავი დაენებებინა, ვუკბინე კიდეც, მაგრამ მაინც აგრძელებდა. შემდეგ ძალა გამომეცალა. მან კავშირის დამყარება შეძლო, მაგრამ ბოლომდე ვერა. ამ დროს მამამისი მოვიდა. გოგის შეეშინდა და ჩაცმა დაიწყო. ამ დროს მეც გამოვიქეცი და მაშინვე პოლიციას მივმართე,“** — ამბობს ანა გამრეკელი.

სასამართლოს განსხვავებული ჩვენება მისცა გოგი გომიაშვილმა. მისი თქმით, ანა გამრეკელმა სთხოვა ინტიმური კავშირი:

**„იმ დილით, შეხვედრა რომ ვთხოვე, უარი მითხრა. მეც სამსახურში წავედი, სადაც ერთი ბოთლი ლუდი დავლიე. დაახლოებით პირველი საათი იქნებოდა, დამიმესიჯა, სახლში მოვალო. როდესაც ანა მოვიდა, უკვე ლოგინში ვიწექი. ზარი რომ დარეკა, დავიყვირე — კარი ღიაა-მეთქი. ოთახში რომ შემოვიდა, გაიხადა და ისიც ლოგინში ჩაწვა. ერთადერთი ის მითხრა, ცოტა დრო მაქვს და მალე მოვრჩეთო. კონტაქტს რომ ვამყარებდი მაჩქარებდა. ჩემგან თავის გათავისუფლებას ცდილობდა, ტირილი დაიწყო, მარცხენა მხარზე მიკბინა; ფეხზე დაზიანება შემთხვევით მივაყენე. ამ დროს მამაჩემი მოვიდა, მაგრამ ის პირდაპირ სამზარეულოსკენ წავიდა. ამის შემდეგ ანაც გავიდა სახლიდან. მოგვიანებით მისი სახლისკენ წავედი, რომ მომეკითხა. ანა აივანზე დამხვდა, მისაყვედურა, რატომ იძალავე, ამის გამო პოლიციაში განცხადება შევიტანეო. გამიკვირდა, გაუპატიურების ბრალდებით რომ დამაკავეს,“** — განაცხადა გომიაშვილმა. მისივე თქმით, მათი გაყრის მიზეზი ანას საეჭვო მესიჯები გახდა.

**„ჩვენი გაყრის მიზეზები მისი საეჭვო მესიჯები იყო. სწორედ ამ მიზეზით წამოვედი მისგან. მშობლები ჩვენს შერიგებას ცდილობდნენ, მაგრამ შერიგების ნაცვლად, ანამ განქორწინებაზე სასამართლოში განცხადება შეიტანა. სასამართლო პროცესზე მე უარი ვთქვი გაყრაზე. ამის გამო მოსამართლემ 6 თვე მოგვცა მოსაფიქრებლად. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ პერიოდულად ვხვდებოდით. მეგობრული ურთიერთობა და სექსი გვქონდა; საქმე ისაა, რომ ანას ჩვენი შვილების საზღვარგარეთ წაყვანა უნდოდა და გაუპატიურების პროვოკაციაც სწორედ ამიტომ მოაწყო,“** — ამბობს ქმარყოფილი.

საბოლოოდ, პროკურატურამ გოგი გომიაშვილთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა და მას 4 წლით პირობითი სასჯელი შეუფარდეს. ამასთან, სასამართლომ მას ჯარიმა — 6000 ლარის გადახდაც დააკისრა. თავდაპირველად პროკურატურამ მისთვის 5 წლით პატიმრობა მოითხოვა, რაც გომიაშვილს 4 წლით პირობით გამოსაცდელი ვადით შეეცვალა.

გვერდები მოამზადეს **სალომე გოგოხიამ და მაკა ქობალიამ**

გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სამების მთა

## ალგეთის ხეობა

**არქეოლოგიური კვლევების თანახმად, ჩვენი სამშობლო ყველაზე „ხნიერი“ სწორედ თრიალეთის ქედის სამხრეთითაა. ამიტომ გაზეთის მკითხველისათვის მოულოდნელი არ უნდა იყოს ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობა ალგეთის ხეობაში, რასაც, აგერ უკვე, მე-7 წერილი ეძღვნება.**


ვაკის ეკლესია


ტბისის „ღვთისმშობელი“

სოფელ გუდარეხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ტყიან ბორცვებში ჩამჯდარი პატარა სოფელი მოჩანს. მას **ვაკე** ჰქვია. ამ სოფლამდე შორი არაა, მაგრამ გუდარეხიდან ისეთი რთული გზაა, რომ თავბედს დაიწყევლი. სანაცვლოდ ამისა ვერაფერი შეედრება სიამოვნებას, რომელსაც ვაკეში მოხვედრა განგაცდევინებთ. ეს მცირე დასახლება ერთგვარი სამოთხეა: იდეალური წყაროს წყლები, ტყეც და სათიბიც, ბაღიც და ბოსტანიც... ახლა ვაკე, უმეტესად, სააგარაკო ალაგია, ადრე კი მკვიდრი და ძველი სოფელი ყოფილა. მის ჩრდილო-დასავლეთ უბანში, ძველ სასაფლაოზე დგას სუფთად გათლილი ქვით ნაგები დარბაზული საყდარი, რომლის აღმოსავლეთ ფასადზე, ჩუქურთმებიანი სარკმლის თავზე 9-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა. წინადადებების დიდი ნაწილი, ქვის დნობის გამო, დაზიანებულია, მაგრამ ფრაგმენტები მაინც იკითხება. ტაძრის ამგები ყოფილა ვინმე **ასფან სავთძელის ასული,** აგების თარიღი კი მეფეთ-მეფე გიორგის დრო, ინდიქტიონის 27-ე წელი. ამდენად, ძეგლის ხუროთმოძღვრული ნიშნებიდან და ინდიქტიონიდან გამომდინარე, წარწერაში ნახსენები მეფეთ-მეფე გიორგი უთუოდ **გიორგი ბრწყინვალეა,** ხოლო ტაძრის აგების ჩვენეული თარიღი — **1339 წელი.** თეთრიწყაროს რაიონში ეს XIV საუკუნის ერთადერთი ზუსტად დათარიღებული ძეგლია.

ტაძრის დეტალური გადაღების შემდეგ საფლავის ქვებსაც მივხედეთ. ძველთაძველ საფლავის ლოდებს წარწერები აღარ ეტყობა, შედარებით ახალზე კი, მხედრული ასოებით, სოფლის ბოლოდროინდელ მკვიდრთა გვარები, უმეტესად მელაძეები, იკითხება. ერთ-ერთ მათგანს 110 წელი უცხოვრია. თუ ვაკის სამოთხისებრ ბუნებას გავითვალისწინებთ, ეს გასაკვირი სულაც არაა. აკი, უფალმა, წარღვნის შემდგომ, ადამიანის მაქსიმალურ ასაკად 120 წელი დაადგინა...

თეთრიწყაროსკენ სხვა, შედარებით იოლი, გზით ვბრუნდებით, მდინარე ალგეთს გადავდივართ, კოდა-მანგლისის ტრასაზე ავდივართ და გზაჯვარედინზე სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებას ვირჩევთ. აქ, წყალსაცავის შემდეგ, გზის ორსავე მხარეს, სოფელი ტბისია, რომელიც ძველ საბუთებში პირველად 1523 წელს იხსენიება. ამ დროიდან აქ უმსხვილესი მებატონენი გერმანოზოშვილები და გოსტაშაბიშვილები ყოფილან. ამ უკანასკნელთა მიერ 1683 წელს აშენებული მოზრდილი, სამკაულებიანი ეკლესია მანგლისისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარესაა და სანახევროდ კლდეშია შეჭრილი. გარდა ამისა, ტბისში კიდევ სამი ეკლესიაა, მაგრამ


ჩხიკვთას „სიონი“

მათ შორის ყველაზე უფრო ძველი და საგულისხმო ხუროთმოძღვრული ძეგლი გზიდან სამხრეთით, ასიოდ მეტრში, ბორცვზე მდგარი „ღვთისმშობელია“. იგი სიგრძეში, დაახლოებით 8 მეტრია, სიგანეში კი — ამის ნახევარი. ქვის თლისა და წყობის მანერით, საკურთხევლის აფსიდის ნალისებრი ფორმით, შიდა სივრცის განათების პრინციპითა და სხვა ნიშნებით ტაძარი VIII-IX საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს. აქვე უძველეს საფლავთა რამდენიმე საინტერესო ქვაა — ისეთი, როგორიც ალგეთის ხეობისთვისაა დამახასიათებელი.

ტბისიდან ფარცხისის ციხემდე არმისულები კვლავ აგლეთის მარჯვენა სანაპიროზე გადავდივართ და ნელ-ნელა ვუახლოვდებით სამების მთას, რომელსაც ორი დღეა, გარშემო ვუტრიალებთ. ეს მთა ოთხივ მხრივ უჭვრეტს სოფლებს: გუდარეხს, ხოპისს, ვაკეს, ქსოვრეთს, აბელიას, მაწევანს, გოლთეთს, ფარცხისს, საღირაშენს, ტბისს და, რაღა თქმა უნდა, ჩხიკვთას, რომელიც მის ფერხთითაა გაშლილი.


ჩხიკვთას „ყველაწმინდა“

სოფელ ჩხიკვთის ტერიტორიაზე 7 ეკლესიაა. მათ შემოვლას სოფლის ჩრდილოეთ უბანში, ძველ სასაფლაოზე მდგარი „წმიდა გიორგით“ ვიწყებთ. ეს ეკლესია დარბაზულია და ნაგებია მსხვილი რიყის ქვით, თუმცა კონსტრუქციულ ნაწილებში თლილი ქვაც არის გამოყენებული. საყდრის დასავლეთ კედელთან საფლავის ლოდად შეკაზმული ცხენის ქანდაკებაა დადგმული. ტაძარი XVI-XVII საუკუნეებისა უნდა იყოს, როცა სოფელში (1543 წლიდან) ფარიშატ ბარათაშვილის შთამომავლები და საგინაშვილები ბატონობდნენ.

ერთ-ერთი საგინაშვილი, ქრისტეფორე, XVII საუკუნის 70-იან წლებში რუსთველი ეპისკოპოსიც ყოფილა და ამ დროს (1699 წლამდე) სოფელი ჩხიკვთა რუსთავის ეპარქიაში მოქცეულა. სწორედ ქრისტეფორე ეპისკოპოსის თაოსნობით არის აგებული ჩხიკვთას სამხრეთ საზღვრებში „სიონის“ დარბაზული, შვერილაფსიდიანი ეკლესია. ეს XVII საუკუნის ერთ-ერთი ჩინებული, მკვიდრად ნაგები დარბაზული საყდარია ქვემო ქართლში. ტაძრის სამხრეთ კარის ტიმპანზე (ეკლესიას დასავლეთის კარიც აქვს) არსებული დაზიანებული მხედრული წარწერა ასე იქნა აღდგენილი: **„ქრისტე. შეწევნითა ღმრთისაითა [და მეოხებითა ღმრთისმშობლისათა აღვაშენე ესე ეკლესია მე] კურთხეულმა რუსთველ [ეპისკოპოზმან ქრისტეფორე სა]გინაშვილმა [საოხად სულისა მამისა და დედისა, შვილისა] და თანამეცხედრისა [მისისა] და ჩემთა ძმათა. აშენდა ქორონიკონს ტნზი“** (ე.ი. 1679 წელს). ამ ნაკლულ-დაზიანებული წარწერის შევსებაში ნაწილობრივ გვეხმარება სხვა წარწერები. სამხრეთის ლავგარდანის ქვეშ ვკითხულობთ: **„ამის აშენებელს რუსთველ ეპისკოპოსს ქრისტეფორეს შეუნდვენ ღმერთმან“.** საკურთხევლის ერთ-ერთ ნიშში წერია: **„ღმერთო ყოვლისა მპყრობელო მოიხსენე რუსთველ ეპისკოპოსი ქრისტეფორე საგინაშვილი და მამანი და ძმანი მისნი“.** მეორე ნიშის წარწერა ასეთია: **„მოიხსენე ქრისტე მეუფეო რუსთველი მთავარეპისკოპოზი ქრისტეფორე საგინაშვილი, რომლისა მიერ აღეშენა საყდარი ესე ქორონიკონსა ტნიზ“** (ე.ი. 1679 წელს). ტაძრის პერანგზე სხვა სახელებიცაა ამოკვეთილი.

სამების მთის ძირში, ძველი საავტომობილო გზის პირზე, დგას XII-XIII საუკუნეების „ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის“ ძლიერ დაზიანებული ეკლესია, რომელსაც აქვს მეორე სახელიც — „მწვანე მონასტერი“. ის, რაც დღეს არის შემორჩენილი (თანაც, კედლების ორი მესამედით), ეკლესიის მთავარი დარბაზის ნაშთია (10X6,5 მ), საუკუნის წინათ კი, როცა ტაძარი ექვთიმე თაყაიშვილს უნახავს, სამხრეთისა და ჩრდილოეთის შელახული მინაშენებიც ჰქონია. სამხრეთის მინაშენი, თურმე, მთელ სიგრძეზე გასდევდა მთავარ დარბაზს, ჩრდილოეთისა კი — ნახევრამდე (სიგანეში, შესაბამისად, 3,6 და 4 მეტრი). საყდარი მთლიანად ნაგები ყოფილა კარგად გათლილი რუხი, მოწითალო და მომწვანო ბაზალტის კვადრებით. მთავარი დარბაზის შიდა სივრცე გაშლილია. კამარის დამჭერი თაღები იმპოსტებს ეყრდნობოდა და სამ ნაწილად ყოფდა დარბაზს. ფასადური ლაპიდარული წარწერებიდან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ **„მიქაელ ხუცესი“,** რომელიც სამხრეთის კედელზეა ამოკვეთილი, მშვენიერ ჯვართან ერთად.

...სამების მთაზე ავდივართ. მის ტყიან თხემზე მოხვედრა ძნელი არაა, იგი საკმაოდ მოზრდილია. ცენტრში, მოშიშვლებულ ადგილზე, თეთრი შროშანივით თავს იწონებს ერთხელ XVIII საუკუნეში და ერთხელაც სულ ახლახან აღდგენილი სამების ეკლესია. უზარმაზარი თეთრი ლოდების აბჯარში ჩამჯდარი ტაძარი მწვანე გარემოში იმდენად მოხდენილად არის ჩაწერილი, რომ ერთდროულად ძალიან ჰაეროვანიცაა და ძალიან მონუმენტურიც. ამასთანავე, არ კარგავს XI საუკუნის განცდას. სავარაუდოა, რომ სამების ადგილზე XI საუკუნემდე უფრო მცირე ტაძარი იდგა, სულ ადრე კი წარმართული საზორავი. საქმე ის არის, რომ მთის თხემი შემოზღუდულია უძველესი ციკლოპური ქვების გალავნით. აი, რას ამბობს ამის თაობაზე ვახუშტი ბატონიშვილი: **„ჩხიკუთის სამხრით არს ეკლესია სამება, წმიდისა გიორგისა, მაღალს გორასა ზედა ნაშენი, არამედ საკურველი, რამეთუ დიდროვანითა ლოლთა შენი, რომელი კაცთაგან არა შესაძლებელი არს მისი ქმნა, რომელი ავლია ზღუდედ. ძირს მისსა არს წყარო დიდი და ფრიად კარგი. ძველად ეწოდა გმირთნაკვეთი და იყო ციხე, ხოლო აწ ეკლესია“.**

სახელწოდება „გმირკვეთილი“ ცნობილია, ასევე, ბარათაშვილთა ბეთანიური გუჯარიდან. ბარათაშვილებს მიაჩნიათ, რომ მათი გვარის ფუძემდებელი — **ბირიან აბაში** — თავდაპირველად სამშვილდესა და სამების ციხეებს ფლობდა. ექვთიმე თაყაიშვილს ხანდაზმული ჩხიკვთელებისაგან ასეთი ლეგენდა მოუსმენია „გმირკვეთილის“ შესახებ: **უძველეს დროში თურმე ამ მთას ერთმანეთს ეცილებოდნენ დევი და წმინდა სამება (შესაძლოა, ეს ფშავის წარმართულ ღვთაებათა პანთეონში შემონახული „სანებაც“ კი იყოს). სამებას დევისთვის უთქვამს, ამ მთას იმ პირობით დაგითმობ, თუ გათენებამდე ციხეს აიშენებო. დევს მისი და წამოშველებია და მახლობლად აღმართულ საწურბლის მთაზე ასულა, სადაც გიგანტური ლოდები ყოფილა მიმობნეული. და დევს ძმა დევისთვის ლოდების სროლა დაუწყია, ამ უკანასკნელს კი — ციხის შენება. საქმეს თურმე ისეთი პირი უჩანდა, რომ დევი გათენებამდე აუცილებლად აიშენებდა ციხეს. მაშინ სამებას ხერხი გამოუყენებია და ცაში წითელი ქსოვილის ნაჭერი აუსვრია, ნაჭერი მამლად ქცეულა, დაუყივლია და ნაადრევად გაუთენებია. დევები დამარცხებულან და იქაურობას გაცლიან. მთა სამებას დარჩენია და ლოდების ერთი ნაწილით გალავანი შეუქმნია, მეორე ნაწილით კი — ეკლესია.**

ექვთიმე თაყაიშვილი ამ ლეგენდაში დუალიზმს ხედავს: დევი ზოროასტრის ბოროტი ძალაა, სამება კი სინათლის ღვთაების — აჰურამაზდის განსახიერება, რომლის ცეცხლოვანი სიმბოლო სწორედ წითელი მამალია. მთელი ეს ლეგენდა ზოროასტრულ რელიგიაზე ქრისტიანობის გამარჯვების გამოხატულებაა — ზოროასტრული საზორავი ქრისტიანულმა საყდარმა შეცვალა! სხვათაშორის, ექვთიმე თაყაიშვილის დაკვირვებით, გმირთნაკვეთის ერთ-ერთი ლოდი, რომელიც ეკლესიის მახლობლადაა გაშოტილი, წარმართული სამსხვერპლო ქვაა, რომელზეც კურატებს და მისთანებს წირავდნენ.

აი, ასეთ საინტერესო ალაგზე დამკვიდრებულა ბარათაშვილთა უშორესი წინაპარი ბირიან აბაში.


ჩხიკვთას „სამება“

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# საქართველოს საკითხი პარიზის კონფერენციაზე

**პირველი მსოფლი ომის შედეგები შეაჯამა და ომის შემდგომი მსოფლიოს პოლიტიკური რუკა დაადგინა პარიზის საზავო კონფერენციამ, რომელიც გამარჯვებულმა ქვეყნებმა (ანტანტამ) მოიწვიეს. პარიზის კონფერენცია მიმდინარეობდა 1919 წლის 18 იანვრიდან 1920 წლის 21 იანვრამდე.**

კონფერენციის მუშაობაში წამყვან როლს თამაშობდნენ ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. საბჭოთა რუსეთი პარიზის საზავო კონფერენციაზე არ მიუწვევიათ. 1919 წლის პარიზის კონფერენციამ მოიწონა საერთაშორისო ორგანიზაციის — ერთა ლიგის — წესდება, რომელსაც დასავლეთის ევროპის ქვეყნებთან წინააღმდეგობის გამო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ხელი არ მოაწერა.

**თუ პარიზის კონფერენცია არასგზით არ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მაშინ საქართველოს დელეგაცია უნდა დათანხმებულიყო რომელიმე ევროპული ქვეყნის პროტექტორატს.**

**მიუხედავად დიპლომატიური მუშაობისა, პარიზის საზავო კონფერენცია არ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას. მთავარ როლს ამ შემთხვევაში ინგლისი ასრულებდა. მისი პოზიცია 1919 წლის 14 ნოემბერს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა ასე ჩამოაყალიბა: საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი დაკავშირებულია *ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოების საკითხთან, ხოლო ამ უკანასკნელებისა — რუსეთის პრობლემის გადაწყვეტასა და თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებასთან.***

ბოლოს და ბოლოს, 1919 წლის 24 დეკემბერს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო მემორანდუმი ამიერკავკასიის შესახებ. ინგლისის მთავრობის პოზიცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე ასეთი იყო:

**პირველი** — საქართველოს მოთხოვნა მისი დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ აზერბაიჯანთან შედარებით უფრო საფუძვლიანი იყო.

**მეორე** — მიუხედავად ამისა, ძალზე ძნელი იყო საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხისადმი სხვადასხვაგვარად მიდგომა. თუ რუსეთი აზერბაიჯანს დაიკავებდა და ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის ერთ ბოლოს დაეუფლებოდა, მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნებოდა;

**მესამე** — თუ ინგლისი საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს ერთდროულად გადაწყვეტდა დადებითად, მაშინ ინგლისს უნდა გაერკვია:

ა) რამდენად იყო ინგლისი მზად დენიკინთან დასაპირისპირებლად;

ბ) რამდენად მნიშვნელოვანი იყო ინგლისისათვის ირანსა და რუსეთს შორის ბუფერული სახელმწიფოების (საქართველო, აზერბაიჯანი) შექმნა;

**მეოთხე** — შეიძლებოდა თუ არა საქართველოსა და აზერბაიჯანის დაუყოვნებლივ ცნობა მოკავშირე სახელმწიფოების (ანტანტის) მიერ. თუ ეს მოხდებოდა, მაშინ ორივე ქვეყნის მანდატი უმოკლეს დროში უნდა გადასცემოდა ინგლისს ან ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამ შემთხვევაში მანდატის მფლობელ სახელმწიფოებს მოუწევდათ დენიკინთან დაპირისპირება. საერთოდ, მანდატის აღება მოითხოვდა ისეთ პასუხისმგებლობას, რომელსაც შექმნილ ვითარებაში ვერც ერთი მოკავშირე სახელმწიფო ვერ იკისრებდა;

**მეხუთე** — არსებობდა საქართველოსა და აზერბაიჯანის საკითხის გადაჭრის კიდევ ერთი გზა: დენიკინის არმიის მდგომარეობის საბოლოოდ გარკვევამდე, ამ ქვეყნების ცნობისაგან თავის შეკავება. ამასთან, აუცილებელი იყო დენიკინზე გავლენის მოხდენა, რათა იგი თავს არ დასხმოდა საქართველოსა და აზერბაიჯანს.

**ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს მემორანდუმი უპირატესობას მაინც (დენიკინის არმიის მდგომარეობის გარკვევამდე) საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გადადებას ანიჭებდა. ასევე, ცნობილია, რომ ინგლისის გეგმით, საქართველოსა და აზერბაიჯანს საბჭოთა რუსეთსა და ანტანტას შორის ბუფერის როლი უნდა ეთამაშა.**

1920 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ერთა ლიგის მუდმივ სამდივნოსთან მოლაპარაკებისა და მიმოწერის გზით ქართველმა დიპლომატებმა მიაღწიეს იმას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთა ლიგაში მიღების საკითხი მისი საერთო კრების დღის წესრიგში იქნა შეტანილი. ერთა ლიგის საერთო კრებამ საქართველოს საკითხი განიხილა 1920 წლის 16 დეკემბერს. კენჭისყრაში 24 სახელმწიფო მონაწილეობდა. ერთა ლიგაში საქართველოს მიღებისათვის აუცილებელი იყო 16 სახელმწიფოს მხარდაჭერა.

ერთა ლიგის წესდების მეათე მუხლის თანახმად, მისი წევრი ქვეყნები ვალდებულებას იღებდნენ, პატივი ეცათ და დაეცვათ ორგანიზაციის ყველა წევრის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. სწორედ ამიტომ **საქართველოსათვის ერთა ლიგაში შესვლას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.**

ნორვეგიის წარმომადგენელმა ნანსენმა და სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელმა სესილმა მხარი დაუჭირეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთა ლიგაში მიღებას. **ინგლისის წარმომადგენელმა ფიშერმა განაცხადა, რომ ნანსენისა და სესილის განცხადებანი სწორია, მაგრამ საქართველოს დაცვა ერთა ლიგას გაუჭირდება. გარდა ამისა, ფიშერმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და ბალტიის რესპუბლიკათა ერთა ლიგაში გაწევრების საკითხების გამოცალკევება არ შეიძლებოდა. საქმე ის იყო, რომ საქართველოს საკითხის განხილვამდე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი წინააღმდეგი გამოვიდა ერთა ლიგაში ბალტიის რესპუბლიკათა მიღებისა.**

ინგლისის მთავრობის პოზიცია არ იყო მოულოდნელი. ამ დროისათვის საბჭოთა რუსეთისა და ინგლისის დაახლოება აშკარა და თვალშისაცემი იყო. **მზადდებოდა ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულება. ინგლისის მთავრობას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რუსეთის მხრიდან გარკვეული დათმობის სანაცვლოდ, ეცნო საბჭოთა რუსეთის ინტერესები ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე და, კერძოდ, საქართველოში. ინგლისს რომ ერთა ლიგაში საქართველოს მიღებისათვის დაეჭირა მხარი, ეს შეაფერხებდა ინგლის-რუსეთის დაახლოებას და სავაჭრო ხელშეკრულების დადებას, რასაც დაჟინებით მიესწრაფოდა ინგლისი.**

ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციამ გადაწყვიტა საქართველოს ბედი. კენჭისყრაში მონაწილე 24 ქვეყნიდან ერთა ლიგაში საქართველოს მიღების მომხრე აღმოჩნდა მხოლოდ 10 სახელმწიფო. საქართველო ერთა ლიგის წევრი ვერ გახდა.

**1920 წლის 30 დეკემბერს ევგენი გეგეჭკორი პარიზში შეხვდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურ მდივანს — ბერტელოს. შეხვედრაზე ევგენი გეგეჭკორმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაუყოვნებლივ ცნობისა და იარაღით დახმარების საკითხი დააყენა. საუბრისას გაირკვა, რომ საფრანგეთისაგან განსხვავებით, ინგლისს საქართველოს დე იურე ცნობასთან დაკავშირებით შემდეგი პოზიცია ჰქონდა:**

**1) ინგლისი ნაადრევად თვლიდა ამ აქტს;**

**2) არა მარტო ნაადრევად, არამედ სახიფათოდაც, რადგან საქართველო-რუსეთის ურთიერთობა არასტაბილური იყო.**

1920 წლის მიწურულსა და 1921 წლის დამდეგს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უაღრესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

**პირველი.** ინგლის-რუსეთის დაახლოება დამთავრდა იმით, რომ ინგლისმა ცნო საბჭოთა რუსეთის ინტერესები საქართველოში, ე.ი. ინგლისი წინ არ აღუდგებოდა რუსეთს, თუკი იგი აზერბაიჯანისა და სომხეთის შემდეგ საქართველოსაც დაიპყრობდა. ინგლისის პოზიციამ განსაზღვრა მოკავშირე სახელმწიოების (ანტანტის) გადაწყვეტილება.

**მეორე.** პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ ინგლისისა, და საერთოდ ანტანტის, დაპირისპირებამ თურქეთთან, ეს უკანასკნელი აიძულა, მოკავშირეობა საბჭოთა რუსეთისათვის ეთხოვა, რის სანაცვლოდაც რუსეთმა აიძულა თურქეთი, ეცნო მისი ინტერესები ამიერკავკასიაში და, მათ შორის, საქართველოშიც.

**ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დიპლომატიურ იზოლაციაში მოექცა.**





## გამოვიდა ჟურნალ «ისტორიული მემკვიდრეობის» პირველი ნომერი

ჟურნალის სახელწოდება უკვე ნათელყოფს მის პროფილს.

პირველივე ნომრიდან ჩანს, რომ ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს. ჟურნალის მთავარი რედაქტორია თემურ ქორიძე.

## უნივერსალური წყალი „ისიდა“

## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა



**სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს და შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს დღიური ნორმის ოდენობით:**

**იოდი** — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

**ფტორი** — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

**მანგანუმი** — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

**კალციუმი** — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

**კალიუმი** — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

**მაგნიუმი** — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

**ნატრიუმი** — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

**თუთია** — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკონ თბილისში: 899-16-30-219 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**



**არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ოფიციალური მონაცემებით, დსთ-ს მასშტაბით, საქართველოში უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და მისი მოგვარების გზაც არ ჩანს. ამის გამო რიგით მოქალაქეებს თავის გადარჩენის ყველაზე პრაგმატულ გზად უცხოეთში გადახვეწა მიაჩნიათ. ერთ-ერთი გადახვეწილი ქართული ოჯახის შესახებ გვიამბობს ამ ოჯახის ახლო ნათესავი **ლამარა ჯავახაძე.**

# ლამარა ჯავახაძე: «გრინქარდის» მოპოვებამ ოჯახი გამიუბედურა



**— ქალბატონო ლამარა, უპირველესად, გმადლობთ, რომ ჩვენს გაზეთს ასეთი გულისყურით კითხულობთ და აფასებთ. თქვენ მითხარით, რომ დიდი ტკივილის გამხელის მოთხოვნილება გაქვთ. გისმენთ...**

— ჩემი დის ოჯახი 15 წელია, რაც ამერიკაში გადაიხვეწა. დრო მიდის, წლები მემატება, ალბათ, მათ უნახავად მოვკვდები. ზოგს ტკივილის გამხელა შვებად მიაჩნია, მე კი გულის მოოხება მგონია.

ჯერ კიდევ 1995 წელს ჩემს კალთაში გაზრდილმა ჩემმა დისშვილმა ცისიამ ამერიკაში წასვლა გადაწყვიტა. ისე გვიჭირდა, რომ არავის გვახსოვდა, გასათხოვარი ქალის ოჯახიდან გაშვება ამხელა გზაზე ჩვენთვის მიუღებელი რომ იყო. დაწყებითი სკოლის პედაგოგი ვარ. ვიცი, მოხეტიალე ერი თავის სახეს დიდხანს ვერ შეინახავს და ვერც თავის მიწაზე შექმნის ძლიერ სახელმწიფოს.

ცისიას ყოველ დარეკვაზე ჩემი და აკანკალებული ხელით იღებდა ყურმილს და ცრემლად იღვრებოდა.

**ცისია, პრინციპში, თავის ხუთსულიან ოჯახს ინახავდა თბილისში — დედას, ცოლშვილიან ძმას; ახლო ნათესავებსაც შეძლებისდაგვარად პატივს გვცემდა. ერთხელაც ცისიას სატელეფონო ზარს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, თურმე მწვანე ბარათი აიღო და არალეგალურ გადამთიელებში აღარ ითვლებოდა. ჩემი დის ოჯახს ეს ამბავი ძალიან გაუხარდა და სურდა, მეც ამ აღტაცების თანაზიარი ვყოფილიყავი. მიმაჩნია, რომ ეს „გრინქარდიც“ სიმუხთლითა და ვერაგობით გათვლილი ერთგვარი სატყუარაა ემიგრანტთათვის, რაც მათ სამშობლოში დასაბრუნებელ კვალს უშლის. ამ საბუთით სახელმწიფო კისრულობს უცხო ქვეყნის შვილთა დაცვისა და შეწყალების ფუნქციას. დედამიწის ზურგზე კი ამას უანგაროდ არავინ აკეთებს. ამ საკითხზე მე და ჩემს დას ბევრი გვიკამათია, ის ზესახელმწიფოს ამგვარ ნაბიჯს კეთილმეგობრობაში უთვლის. მე კი ეჭვი მქონდა და მაქვს, რომ ამ დაინტერესებაში რაღაც ქვეტექსტი დევს.**

ცისიას მოპოვებული „გრინქარდის“ წყალობით, ცისიას ძმა ოჯახით მალე ამერიკაში გაემგზავრა. ბავშვები პატარები იყვნენ, ლევანი და დარე — ჯერ კიდევ ახალგაზრდები. დარჩა ჩემი საწყალი და მარტო. მატერიალურად ბევრ ჩემნაირ პენსიონერზე უკეთეს მდგომარეობაში, მაგრამ — სულიერად გაძარცვული, დღედაღამ სატელეფონო ზარის მომლოდინე.

ახალ, 2003 წელს ჩემს ოჯახში შეხვდით. ჩემს დას შვილებმა დაურეკეს. მან რაღაც შეიცხადა და მეც მის გვერდით გავჩნდი. მიშველეო! — შემომტირა. ვიცოდით, რომ წლების მანძილზე ლევანმა სამსახური ვერ იშოვა, სამაგიეროდ, მეუღლე მუშაობდა. **ბიჭებს იქაურობასთან ადაპტაცია არ გაძნელებიათ.**

**მეტიჩარა ცისია მეუბნებოდა: ამერიკელებისგან ვერც ერთს ვერ გაარჩევო. ლევანზე კი ჩიოდა — ერთთავად ნაღვლიანია, უიმედო... შთაბეჭდილება მრჩება, შეგნებულად გადგა განზე. ისეა ჩაღამებული და დადუმებული, ჩამქრალი, თითქოს ენერგია სულმთლად გამოაცალესო. ხმას თუ ამოიღებს, თბილისშია ჩარჩენილი. მარტო საქართველოს ამბების გაგებისას ცოცხლდება.** ამერიკასა და ჩვენს ქვეყანას შორის სულ მსგავსებას ეძებს. საქართველოს მონატრება მისთვის ავადმყოფობად იქცა. ამ რობოტების ქვეყანაში მისი განცდების თანაგრძნობისთვის არავის სცალია. დარე გათენებიდან დაღამებამდე შრომობს, რათა ბავშვების სწავლის ფული გადაიხადოს და ლუკმაპური არ მოაკლოს. ლევანის უქმად ყოფნა აუტანლად აღიზიანებს და არც მალავს. მეც ვბრაზდები, ვერაფრით მოიცილა პროვინციული საქართველოს მტვერი და აქაურობას ვერ შეეთვისა. **ბავშვებს რა უჭირთ... მამის მიერ სამშობლოს მონატრება მათთვის სრულიად უცხო ახირებაა და ჩუმ-ჩუმად დასცინიან კიდეც. ეუბნებიან — ღმერთს მადლობა შესწირე, რომ გაგიმართლა და შენს დახავსებულ სამშობლოს მოგაცილა და ნამდვილი ცხოვრება გაჩვენაო. მეც კონსერვატორს ვეძახი.**

ასე დადიოდა ჩემი ლევანი ნიუ იორკის ფართო ავენიუებზე ათასი ჯურის ადამიანის მხარდამხარ უცხო და დამუნჯებული ენის უცოდინარობის გამო. პასიურად ესმოდა, მაგრამ კონტაქტში ვერ შედიოდა. ერთ დღეს კი ნიუ იორკის უზარმაზარი მეტროპოლიტენის ერთ სადგურში გონემიხდილი იპოვეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს. რამ მიიყვანა ახალგაზრდა კაცი ამ მდგომარეობამდე, ვერავინ გაარკვია. ოჯახმა მოითხოვა, ჩემი და შვილის მოსავლელად ნიუ იორკში წასულიყო. გამგზავრების თანხაც გამოუგზავნეს.

**— როგორ შეხვდით ამ ამბავს, ლევანი არ გამოჯანმრთელდა?..**

— უკვე ასაკში შესული, თმაჭაღარა, შავ სადა კაბაში გამოწყობილი ჩემი და დარდისგან მუშტისხელა გამხდარიყო ამ მზადების პერიოდში. თვალებში იმხელა სევდა ედგა, მისი ცოდვა ქვასაც აატირებდა. ასეთი გავაცილე აეროპორტში. არ ვიცი, რატომ, მაგრამ გულმა მითხრა, რომ ჩემს დას უკანასკნელად ვხედავდი, მდუღარე ცრემლი წამსკდა...

**ჩემს დას შვილი აპარატზე შეერთებული დახვდა. იმედი არ დაუკარგავს. შუბლშეკრული, წარბშეუხრელი, უდიდესი ნებისყოფით თავგანწირული დედა მთელ კლინიკას აოცებდა. დაჟინებით იბრძოდა, ბიჭი ლეთარგიიდან გამოეყვანა. ბავშვობაში ნასწავლ ლექსებს უკითხავდა, ჩადენილ ცუღლუტობებს ახსენებდა, ქართულ სიმღერებს უმღეროდა, მარტოს არასოდეს ტოვებდა. ლევანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ძალიან ძვირი ჯდებოდა, მაგრამ შედეგი არ ჩანდა.**

პესიმიზმმა ჩემშიც იძალა. საკმარისია, ორი დღე გავიდეს, მათი ამბავი რომ არ გავიგო, გული განგაშით მევსება. რა უნდათ ასე შორს, ერთმანეთთან ახლოს ხომ ჭირიც გვიადვილდება და ლხინიც, ერთურთის გატანაც და შველაც...

ლევანის მდგომარეობის უცვლელობამ ჩემი დაც გატეხა. მის საწოლთან თვეობით გაქვავებული იჯდა, ხან თავისთვის ბუტბუტებდა, ხან ტიროდა. ტელეფონით ხშირად ვესაუბრებოდი. ბოლოს მითხრა: რა გვინდა აქ, ჩემთვის ყველა და ყველაფერი უცხოა და სხვისი. დავიღალე, უსაშველოდ დავიღალე...

ჩემი და კიბოთი დასნეულდა. მკერდი მოკვეთეს, ისიც კლინიკაშია. ლევანის ავადმყოფობა და ჩემი დის მდგომარეობა ცისიასა და დარესთვის მუდმივი უსიამოვნების წყაროდ იქცა. მათი მოვლა და შენახვა მძიმე ხარკია ოჯახისთვის. იქ ყველაფერს ცეცხლის ფასი აქვს, ქვეყანა კი უსულგულო ადამიანებით დასახლებული ჯოჯოხეთია, რომლის კარს მხოლოდ ფული აღებს. რა შეუძლიათ ღარიბ ემიგრანტებს?..

ასე დაემართათ პირადული კომფორტის მაძიებელ ჩემს ახლობლებს. ასე გამოიკეტა ვერაზე ჩემი დის ოჯახის კარი. ჩემი დის დღეები დათვლილია. ვიცი, როგორც ცისიას საუბრებიდან ჩანს, ჩემს დას აქეთ გზა არც მკვდარს და არც ცოცხალს აღარ აქვს. ლევანის მდგომარეობაც უიმედოა. ბიჭი ნოსტალგიის მსხვერპლია. ჩვენ კი ვდუმვართ და ამ ტკივილით ვაგრძელებთ ცხოვრებას, ნაცვლად იმისა, რომ დაურიდებლად გავაშიშვლოთ იმ ბოროტების ფესვები, რამაც გამოიწვია ჩვენი წარუმატებლობა და ადამიანთა გადახვეწა.

ნუთუ შესაძლებელია, ასე მშვიდად ვუყურებდეთ ქვეყნის დაცლა-გადაგვარებას. უნდა შევიკრიბოთ, ერთად დავდგეთ და ბოროტმოქმედს ქვეყნის სასიკვდილოდ მომართულ მახვილზე ხელი დროზე ავუკრათ.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

# დევნილობის 19 წელი და ტრიბუნის ქვეშ, ნესტიან ოთახში, გატარებული ორსულობა



**ბასილიძეების, ბალახაძეებისა და შერაზადაშვილების ორი ოჯახი გორის მუნიციპალური სტადიონის ერთ-ერთი მოუწესრიგებელი ტრიბუნის ქვეშ უკვე 19 წელია ცხოვრობს. რატომ არ მისცა დღემდე ხელისუფლებამ აფხაზეთიდან დევნილებს ნორმალური თავშესაფარი და რა პირობებში უწევს ბასილიძეების ოჯახს ჩვილის გაზრდა? ჩამონგრეული ჭერი, ორი საწოლი, პატარა ძველი მაგიდა, სამი ფეხმოტეხილი სკამი, ერთი ტანსაცმლის ძველებური და ერთიც ჭურჭლის კარადა — სულ ეს არის ბასილიძეების 6-სულიანი ოჯახის მთელი ავლა-დიდება. წვიმის დროს, მათთანაც ისევე წვიმს, როგორც გარეთ...**

ეს ოჯახი უკვე 19 წელია ასე ცხოვრობს. აფხაზეთიდან დევნილებს წლების შემდეგ გორში იგივეს განცდა თუ მოუწევდათ, ვერ წარმოედგინათ. ყველაზე სამწუხარო კი მათ ამბავში ისაა, რომ დღემდე საკუთარი ჭერი არ აქვთ.

ერთ ოთახში ცხოვრობს თინა შერაზადაშვილის 7-სულიანი ოჯახიც; სონა შერაზადაშვილსა და ხვიჩა ბალახაძეს შედარებით გაუმართლათ — მათ ოჯახის წევრები არ ჰყავთ და მარტო, „თავისუფლად“ ცხოვრება „ფუფუნებაა“... დევნილები ამბობენ, რომ ბევრჯერ მიმართეს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, გორის მუნიციპალიტეტსაც, მაგრამ პასუხი არსაიდან მიუღიათ.

**„კანალიზაცია ფუჭდება ყველაზე ხშირად. ადრე რამდენჯერმე იყვნენ მოსულები და გააკეთეს, თუცმა ახლა გვითხრეს, რომ აღარ მოვლენ და აღარ გააკეთებენ მოძველებულ სისტემას“,** — ამბობს ელისო ბასილიძე.

იმის გამო, რომ კანალიზაციის მილები დახეთქილია და წყალი გადმოდის, საცხოვრებელ ოთახებშიც ნესტია. ხეები ამოსული იმ ადგილას, რომელსაც მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს საპირფარეშო. ეს „დაწესებულება“ ანტისანიტარიის კერაა და თუ მალე არ მიეხედა, შესაძლოა, რაიმე დაავადების გავრცელების კერადაც იქცეს.

**დევნილებს გაზი უკვე რამდენიმე წელია არ აქვთ. როგორც ისინი ამბობენ,**



**სტადიონს, ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი გადაუხდელობის გამო ჩაუჭრეს, შუქის გამოყვანა ბევრი წვალების შემდეგ, ისევ შეძლეს, ზამთარში კი წვალებით ნაყიდი შეშით თბებიან.**

ბასილიძეების ოჯახში არავინ მუშაობს. ქალბატონი ელისო ომამდე ავტოსატრანსპორტო კოლონაში (ატეკაში) მუშაობდა. ახლა ის უმუშევარია იმიტომ, რომ სოფლები — **კეხვი, დისევი და ერედვი,** სადაც მათი სამსახური ავტობუსებს გზავნიდა — დღეს ოკუპირებულია და ქართულ მხარეს მათზე კონტროლი დაკარგული აქვს.

**ელისო ბასილიძე: „ერთი პერიოდი, ალეკო ქარელის გამგებლობის დროს, ჩვენს გაყრას აპირებდნენ სტადიონიდან. შემდეგ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში ვიღაცამ სიტყვა შეგვაწია და დაგვტოვეს. იმის შემდეგ ჩვენი აქედან გასახლება აღარ უცდიათ“.**

ტრიბუნის ქვეშ შესახლებული დევნილებისთვის ბაყაყები და ქვეწარმავლები უცხო არ არის. როგორც ბასილიძეების რძალი ამბობს, ზაფხულში ოთახის შესასვლელთან გველი მოკლეს, ბაყაყების ყიყინს კი სახლში ნებისმიერ დროს გაიგონებთ.

**ლტოლვილები დღესაც დავიწყებული ჰყავს ხელისუფლებას.**

## აფხაზეთიდან დევნილები ამბობენ, რომ სუბელიანმა მათი ამბავი „ზეპირად“ იცის, თუმცა მათ დასახამარებლად რომ არავინ არაფერს აკეთებს, ფაქტია.

ნესტის გამო ბასილიძეების რძალს — სოფიკო კასრაძეს ორსულობის პერიოდში პლევრიტი განუვითარდა, რის გამოც მას რთული ოპერაცია გაუკეთდა და ფილტვიდან წყალი ამოუღეს. ტუბერკულოზით არიან დაავადებულები შერაზადაშვილების ოჯახის წევრებიც. ერთადერთი დახმარება, რაც მათ აქვთ სახელმწიფოსგან, სამედიცინო დაზღვევის პოლისია. სწორედ ამ პოლისის საშუალებით მოახერხა ბასილიძეების რძალმა ოპერაციის გაკეთება, თორემ ძნელი წარმოსადგენელი არ უნდა იყოს, რით დასრულდებოდა ფეხმძიმე ქალის ავადმყოფობა. პლევრიტის გარდა, სოფიკო კასრაძეს ჩიყვიც აქვს, რაც ხანგრძლივ მკურნალობასა და დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

ამდენ უბედურებასთან ერთად, მას არც დევნილობის სტატუსი აქვს მინიჭებული. როგორც სოფო ყვება, ის აჩაბეთიდან სოფელ ქვემო ხვითში, მამიდასთან იყო გაგზავნილი აღსაზრდელად, ამიტომ ლტოლვილის სტატუსს არ ანიჭებენ.

ახლა აფხაზეთიდან დევნილებს დაჰპირდნენ, რომ რუსული ინტერვენციის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის აშენებულ ბინებში გადაიყვანენ, თუმცა **„გვეუბნებიან, რომ ჭალაში გადაგიყვანთ, საბავშვო ბაღშიო, მაგრამ არ მჯერა... ვიდრე ხელში გასაღებს არ დავიჭერ, სიტყვებს აღარ ვენდობი“,** — ამბობს ელისო ბასილიძე.

**მაგდა კლდიაშვილი**

# სანდო ბანკი

**თუ გსურთ თქვენი დანაზოგის საიმედოდ შენახვა და მაქსიმალური სარგებლის მიღება, ვითიბი ბანკი დაგეხმარებათ, გააკეთოთ თქვენთვის საუკეთესო არჩევანი.**

## რატომ უნდა გახსნათ ანაბარი?

**პირველ რიგში იმიტომ, რომ თქვენი დანაზოგი საიმედოდ იქნეს შენახული და მაღალი სარგებელი დაერიცხება. ასევე, ის რაც ინფლაციის დროს შეიძლება დაიკარგოს, ბანკში არ დაგეკარგებათ.**

ანაბარს, რომელსაც თქვენ „ვითიბი“ ბანკში შეიტანთ, ყოველთვის მოაქვს რეალური შემოსავალი. რაც უფრო მაღალია დეპოზიტის თანხა და ვადა, საბოლოოდ მით მეტ სარგებელს მიიღებთ. საპროცენტო შემოსავალი პირდაპირკავშირშია დეპოზიტის ვადასა და მოცულობასთან და ანაბარს ყოველთვიურად დაერიცხება.

ანაბრის სახეობის მიხედვით შეგიძლიათ გაიტანოთ საპროცენტო სარგებელი როგორც წინასწარ, ასევე ყოველთვიურად ან ანაბრის ვადის ბოლოს მთლიანი დაგროვილი თანხა გაიტანოთ.

საპროცენტო სარგებლის მიღება, ისევე როგორც ძირითადი თანხის გატანა, ვადის ბოლოს შეგიძლიათ როგორც „ვითიბი“ ბანკის ნებისმიერ ფილიალსა თუ სერვის ცენტრში, ასევე ამ ბანკის ნებისმიერ ბანკომატში. ამაში თქვენ საბანკო ბარათი დაგეხმარებათ.

იმისათვის, რომ ანაბარი გახსნათ, საჭიროა, ბანკში წარადგინოთ პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

## რა არის ანაბარი მოთხოვნამდე?

**მოთხოვნამდე ანაბარი თქვენი ფინანსების ზრდის, განკარგვისა და შენახვის საუკეთესო საშუალებაა. თქვენ მიერ ანაბარზე განთავსებულ დანაზოგს ერიცხება მაღალი საპროცენტო განაკვეთი და, ამასთან, იგი ყოველთვის ხელმისაწვდომია.**

მისი უპირატესობაა მაღალი საპროცენტო სარგებელი; დამატებითი შენატანის რაოდენობა და თანხის მოცულობა შეუზღუდავია; ასევე, შეუზღუდავია ანაბრის თანხის გატანა. მინიმალური თანხა, რომლითაც შეძლებთ ანაბრის გახსნას, შეადგენს 100 ლარს, დოლარს, ევროს;

ანაბრის მოქმედების ვადა 3 წელია.

საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ყოველთვიურად წარმოებს, ხოლო პროცენტის დაანგარიშება ყოველდღიურად ხდება, 365 დღეზე გაანგარიშებით.

**ანაბარს დაერიცხება წლიური პროცენტი შემდეგი ოდენობით:**
**ლარი** — 7 პროცენტი,
**დოლარი** — 6 პროცენტი,
**ევრო** — 5 პროცენტი.

## მობილური ანაბარი



**მობილური ანაბრის ანგარიშზე თანხა შეგიძლიათ განათავსოთ შეუზღუდავი რაოდენობით, ასევე, თანხის ნაწილი გაიტანოთ ყოველდღიურად. თქვენს დანაზოგს სარგებელი დაერიცხება ყოველთვიურად.**

მისი უპირატესობებია: დაგერიცხებათ მაღალი საპროცენტო სარგებელი;

ანაბრის ანგარიშზე თანხის დამატება შეუზღუდავია;

შეტანილ თანხას სარგებელი ერიცხება ყოველთვიურად.

**პირობები:** მინიმალური თანხა, რომლითაც შეძლებთ მობილური ანაბრის გახსნას, შეადგენს 1000 ლარს (დოლარს) ევროს. ანაბრის მოქმედების მინიმალური ვადაა 6 თვე, ხოლო მაქსიმალური — 2 წელი.

ანაბრის თანხის შემცირება შესაძლებელია ყოველდღიურად არსებული ნაშთის 20 პროცენტის ოდენობით.

პროცენტის დაანგარიშება კი ხდება ყოველდღიურად.

**წლიური საპროცენტო სარგებელია:**
**ლარში** — 8,5 პროცენტი,
**დოლარში** — 7 პროცენტი,
**ევროში** — 6 პროცენტი;

ანაბრის გახსნის შემთხვევაში გათვალისწინებულია ბონუსები.

## ზრდადი ანაბარი



**თუ გსურთ, საიმედოდ შეინახოთ და, ამასთან, ანაბრის გახსნისას წინასწარ არ დააფიქსიროთ არც შენატანების სიხშირე და არც თანხის ოდენობა, ბანკი გთავაზობთ ზრდად ანაბარს. ამ შემთხვევაში თქვენ, უბრალოდ, აგროვებთ თანხას, სანამ იგი არ მიაღწევს სასურველ ოდენობას.**

უპირატესობები: დაგერიცხებათ მაღალი საპროცენტო სარგებელი; ანაბარზე დამატებითი შენატანის რაოდენობა შეუზღუდავია; შეგიძლიათ, ისარგებლოთ ანაბრით უზრუნველყოფილი სესხით;

შესაძლებელია ავტომატური პროლონგაცია;

მინიმალური შესატანი თანხა შეადგენს 100 ლარს, ევროს ან დოლარს.

ანაბრის მოქმედების მინიმალური ვადა 3 თვეა, ხოლო მაქსიმალური — 3 წელი.

დარიცხული პროცენტის გატანა შესაძლებელია ვადის ბოლოს ან ყოველთვიურად.

**ანაბარს დაერიცხება წლიური პროცენტი:**
**ლარში** — 9,5 პროცენტი;
**დოლარში** — 7 პროცენტი,
**ევროში** — 6,5 პროცენტი.

## რა არის აგროსესხი?

**თქვენი მეურნეობის განვითარებისთვის ვითიბი ბანკი გთავაზობთ აგროსესხებს მოქნილი გრაფიკითა და ხელსაყრელი პირობებით.**

**სესხის პირობები:**
თანხის რაოდენობა:
250-50000 დოლარი,
200-35000 ევრო,
500-20000 ლარი;
სესხის ვადა — 24 თვე;

საპროცენტო განაკვეთი — 19 პროცენტიდან;

საკომისიო — 1 პროცენტი;

3000 დოლარს, 3000 ევროს, 5000 ლარს ზემოთ თანხას მოეთხოვება უძრავი ქონება.

## კომფორტული ანაბარი

**კომფორტული ანაბრის გახსნით უზრუნველყოფთ თქვენი ფინანსების უსაფრთხოებას. ამავე დროს შესაძლებელია ანაბარზე დამატებითი შენატანების განხორციელება, საჭირო შემთხვევაში თანხის გატანა როგორც ერთჯერადად, ისე — ნაწილ-ნაწილ.**

**უპირატესობები:** დაგერიცხებათ მაღალი საპროცენტო განაკვეთი;

ანაბრიდან თანხის გატანა შესაძლებელია ნაწილ-ნაწილაც და ერთჯერადადაც;

ანაბრის თანხის შემცირება შესაძლებელია პირველადი შენატანის 50 პროცენტამდე;

შესაძლებელია ავტომატური პროლონგაცია.

**პირობები:** მინიმალური თანხა, რომლითაც შეძლებთ ანაბრის გახსნას, შეადგენს 1000 ლარს (ევროს), დოლარს;

ანაბრის მოქმედების მინიმალური ვადა 6 თვეა, ხოლო მაქსიმალური — 2 წელი;

საპროცენტო სარგებლის დარიცხვა წარმოებს ვადის ბოლოს. ანაბრის ანგარიშზე თანხის დამატება შესაძლებელია;

დამატების შედეგად ანაბრის ანგარიშზე არსებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს ანაბარზე განხორციელებული პირველადი შენატანის ოდენობას;

პროცენტის დაანგარიშება ხდება ყოველდღიურად, 365 დღეზე გაანგარიშებით.

**წლიური საპროცენტო სარგებელი ვადის ბოლოს შეადგენს:**
**ლარში** — 9 პროცენტს,
**დოლარში** — 8 პროცენტს,
**ევროში** — 7 პროცენტს.

## საბავშვო ანაბარი

**თქვენი ბავშვის უკეთესი განვითარებისა და საუკეთესო განათლებისთვის კაპიტალის შექმნა ადრე და სულ მცირე დანაზოგითაც შეიძლება.**
**ამ ანაბრის უპირატესობებია:**
**მაღალი საპროცენტო განაკვეთი;**
**ანაბარზე დამატებითი შენატანის რაოდენობა;**
**თანხის მოცულობა შეუზღუდავია;**
**შესაძლებელია ავტომატური პროლონგაცია.**

**პირობები:** მინიმალური თანხა, რომლითაც შეძლებთ ანაბრის გახსნას, შეადგენს 100 ლარს, დოლარს ან ევროს;

ანაბრის მოქმედების მინიმალური ვადა შეადგენს 2 წელს, ხოლო მაქსიმალური — ბავშვის სრულწლოვანებამდე.

ანაბრის ანგარიშიდან თანხის ნაწილობრივი გატანა არ ხდება;

პროცენტის დაანგარიშება — ყოველდღიურად.

ანაბრის გახსნა ხდება მშობლის, მეურვის ან მზრუნველის მიერ, ბავშვის დაბადების მოწმობის საფუძველზე.

ანაბარს დაერიცხება წლიური სარგებელი შემდეგი ოდენობით:

**2 წელი** — მეანაბრის სრულწლოვანებამდე — წლიური 17 პროცენტი ლარში, 12,5 პროცენტი — დოლარში, 11,5 პროცენტი ევროში.

სარგებლის გატანა შესაძლებელია ყოველ შესრულებულ წელზე.

## რა არის ვადიანი ანაბარი

**ვადიანი ანაბარი წარმოადგენს ბანკში ფულის შენახვის ყველაზე მაღალშემოსავლიან საშუალებას.**

ანაბარი იხსნება თქვენ მიერ წინასწარგანსაზღვრული ვადით და ხორციელდება მხოლოდ ერთჯერადი პირველადი შენატანით.

უპირატესობები: დაგერიცხებათ მაღალი საპროცენტო სარგებელი; სარგებლის გატანა შეგიძლიათ წინასწარ, ანაბრის ვადის ბოლოს ან ყოველდღიურად;

შეგიძლიათ, ისარგებლოთ ანაბრით უზრუნველყოფილი სესხით.

**პირობები:** მინიმალური თანხა, რომლითაც შეგიძლიათ ანაბრის გახსნა, შეადგენს 100 ლარს, დოლარს ან ევროს;

ანაბრის მოქმედების მინიმალური ვადაა 1 თვე, ხოლო მაქსიმალური — 3 წელი.

ანაბრის ანგარიშზე თანხის დამატება ან ანგარიშიდან თანხის ნაწილობრივი გაცემა არ ხდება;

დარიცხული პროცენტის გატანა, სურვილისამებრ შესაძლებელია წინასწარ, ვადის ბოლოს ან ყოველთვიურად. პროცენტის დაანგარიშება ხდება ყოველდღიურად.

საპროცენტო სარგებლის ვადის ბოლოს, გატანის შემთხვევაში, თქვენს ანაბარს დაერიცხება წლიური პროცენტი შემდეგი ოდენობით: 1 თვეში — 8% ლარში, 6% დოლარში და 5,5 პროცენტი ევროში; 3 თვეში — 10,5 პროცენტი ლარში, 8 პროცენტი დოლარში და 7,5 პროცენტი ევროში; 36 თვეში — 16 პროცენტი ლარში, 13 პროცენტი დოლარში, 12,5 პროცენტი ევროში. ანაბრის გახსნის შემთხვევაში გათვალისწინებულია ბონუსები.

## «ვითიბი უნივერსალი» ანუ ყველა ფუნქცია ერთ ბარათში

**ვითიბი ბანკი გთავაზობთ შემნახველი ტიპის ახალ საბანკო ბარათს — „ვითიბი უნივერსალს“, რომელიც წარმოადგენს Visa Classic-ის Visa Gold-ის ტიპის საერთაშორისო საბანკო ბარათებს.**




**მისი უპირატესობებია:** მიმდინარე ნაშთზე დარიცხული მაღალი საპროცენტო სარგებელი; თანხის 24-საათიანი უფასო განაღდება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში; საზღვარგარეთ ნებისმიერ ბანკომატსა და სავაჭრო ობიექტში; საქართველოში ნებისმიერ **ვითიბი** ბანკსა და **თიბისი** ბანკის ბანკომატსა და საქართველოში არსებულ ყველა სავაჭრო ობიექტში; უფასო ავტომატური გადარიცხვების სერვისი (კომუნალური თუ სხვა ტიპის გადასახადების გადახდა;

**წლიური სარგებელი შეადგენს:**
Visa Gold — 8 პროცენტს **ლარში,** 7 პროცენტს **დოლარში,** 6 პროცენტს — **ევროში;**

Visa Classic — 7 პროცენტი **ლარში,** 6 პროცენტი **დოლარში,** 5 პროცენტი — **ევროში;**

უფასო ინტერნეტბანკი;
უფასო ტელეფონბანკი;
უფასო მობილური ინტერნეტბანკი;
SMS ბანკინგი.

გვერდები მოამზადა **ეთერ კასრელიშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ქრონოგრაფი

# რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 28 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე?

### 28 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**ზნეობა გვასწავლის არა იმას, თუ როგორ გავხდეთ ბედნიერი, არამედ იმას, თუ როგორ შევიქნეთ ბედნიერების ღირსი.**
**ემანუილ კანტი**

**1469 წელს** დაიბადა ჰოლანდიელი მწერალი, ფილოსოფოსი-ჰუმანისტი, განმანათლებელი ერაზმ როტერდამელი.
**1492 წელს** ქრისტეფორე კოლუმბმა კუბა აღმოაჩინა.
**1636 წელს** დაარსდა ჰარვარდის უნივერსიტეტი.
**1759 წელს** დაიბადა ფრანგი იურისტი, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლიდერი, იუსტიციის მინისტრი ჟორჟ დანტონი.
**1886 წელს** ნიუ იორკში „თავისუფლების ქანდაკება“ გაიხსნა.
**1918 წელს** ჩეხოსლოვაკიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.
**1941 წელს** ლ. ბერიას ბრძანებით დახვრიტეს ყოფილი რევოლუციონერი, მეფის ოჯახის დახვრეტის ერთ-ერთი ორგანიზატორი ფ. გოლოშჩეკინი.
**1955 წელს** დაიბადა ბილ გეიტსი.

### 29 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**ნაოჭებმა მხოლოდ ის ადგილი უნდა აღნიშნოს, სადაც ადრე ღიმილი იყო.**
**მარკ ტვენი**

**439 წელს** ბარბაროსებმა კართაგენი დაიპყრეს.
**1187 წელს** რომის პაპმა გრიგორი VIII-მ მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა.
**1451 წელს** დაიბადა ესპანელი ადმირალი და მეზღვაური, ბაჰამისა და ანტილიის კუნძულების, სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ სანაპიროების აღმომჩენი ქრისტეფორე კოლუმბი.
**1618 წელს** სიკვდილით დასაჯეს ინგლისელი მეზღვაური, მწერალი, ელისაბედ I-ის ფავორიტი სერ უოლტერ რეილი.
**1696 წელს** პეტრე I-ის ინიციატივით ბოიართა დუმამ რუსული ფლოტის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო.
**1863 წელს** შვეიცარიაში დაარსდა საერთაშორისო წითელი ჯვრის საზოგადოება.
**1880 წელს** დაიბადა საბჭოთა ფიზიკოსი, ნახევარგამტართა გამოკვლევების პიონერი აბრამ იოფე.
**1897 წელს** დაიბადა ფაშისტური რაიხის პროპაგანდის მინისტრი, ბერლინის გაულაიტერი იოზეფ ჰებელსი.
**1929 წელს** მსოფლიოს ბირჟებმა კრახი განიცადეს („შავი სამშაბათი“), რის შემდეგაც დიდი დეპრესია დაიწყო.

### 30 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**სრულებით ზედმეტია საკუთარ თავზე საუბრის წამოწყება. ის თქვენი წასვლისთანავე დაიწყება.**
**უილსონ მიზნერი**

**1762 წელს** ეკატერინე II-მ აღადგინა საიდუმლო კანცელარია, რომელიც უწინ მისმა ქმარმა გააუქმა.
**1895 წელს** დაიბადა ამერიკელი ქირურგი, გულის კათეტერიზაციის მეთოდის ავტორი, ნობელის პრემიის ლაურეატი რიჩარდ დიკინსონი.
**1905 წელს** ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს „სახელმწიფო წესრიგის სრულყოფის შესახებ“, რომლის თანახმადაც გამოცხადდა პიროვნების ხელშეუხებლობა, სიტყვისა და კრების თავისუფლება, სახელმწიფო დუმის შექმნა საკანონმდებლო უფლებებით და სახალხო წარმომადგენელთა მონაწილეობით.
**1918 წელს** ინგლისური ლინკორის — „აგამემნონის“ ბორტზე თურქეთმა ხელი მოაწერა კაპიტულაციას პირველ მსოფლიო ომში.
**1960 წელს** დაიბადა დიეგო მარადონა.

### 31 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**იფიქრე იმაზე, თუ რა ძნელია საკუთარი თავის შეცვლა და მიხვდები, რამდენად უსუსურია შენი მცდელობანი სხვათა შესაცვლელად.**
**ვოლტერი**

**1705 წელს** დაიბადა რომის პაპი კლიმენტი XIV, რომელმაც იეზუიტთა ორდენი გააუქმა.
**1793 წელს** პარიზში გილიოტინაზე აიყვანეს ჟირონდისტთა ლიდერები.
**1815 წელს** ინგლისელმა ჰამფრი დევიმ დააპატენტა მეშახტის ლამპა.
**1864 წელს** ნევადა აშშ 36-ე შტატი გახდა.
**1930 წელს** დაიბადა ამერიკელი ასტრონავტი, მთვარეზე პირველი ექსპედიციის მონაწილე მაიკლ კოლინზი.
**1867 წელს** ბენგალიაში უძლიერესი ციკლონის გამო 100.000 კაცი დაიღუპა.
**1952 წელს** აშშ-ში, წყნარ ოკეანეში, პირველი წყალბადის ბომბი გამოცადეს.
**1961 წელს** მავზოლეუმიდან სტალინის ნეშტი გაიტანეს.



# დროის პორტალი

მეცნიერებმა უარი განაცხადეს ჩვეულებრივი ხომალდებით კოსმოსში მოგზაურობაზე. ჰიპერსივრცეში გადასაადგილებლად ისინი სპეციალური „ხვრელის“ გამოყენებას აპირებენ. ის კი არა, ამგვარი გალაქტიკათშორისი ხომალდების შექმნაზე უკვე გამალებით მუშაობენ.

ჩვენს პლანეტასა და შორეულ ვარსკვლავებს უზარმაზარი მანძილი ჰყოფს, რასთან შედარებითაც სინათლეც კი ნელა მოძრაობს. ფარდობითობის თეორია, რომელმაც სინათლის სიჩქარით ზღვარი დაუდო მატერიალური სხეულების მოგზაურობას, თითქოსდა იმედიც არ დაგვიტოვა, თუმცა ადამიანური ცნობისმოყვარეობისთვის ზღვარი არ არსებობს და ფიზიკოსებმაც ნელ-ნელა იწყეს იმ შემოვლითი გზების ძიება, რომლებიც შორეულ ვარსკვლავებამდე მიგვაღწევინებს.

# დედამიწის ტყუპისცალი



ფრანგულმა კოსმოსურმა ტელესკოპმა, მზის სისტემის მიღმა აღმოაჩინა პლანეტა, რომელიც სიმკვრივით ზედმიწევნით ჰგავს დედამიწას. ახალ პლანეტას, რომელსაც **ცოროტ-7 ბ** უწოდეს, კლდოვანი სტრუქტურა აქვს და თავისი ვარსკვლავიდან 2,5 მლნ კმ-ში მდებარეობს. ციური სხეულის ის მხარე, რომელიც მუდამ ვარსკვლავისკენაა მიმართული (ისევე, როგორც დედამიწა მთვარისადმი), 1000 გრადუს ტემპერატურამდეა გავარვარებული და მუდამ ლავით დაფარული. მისი მეორე მხარე კი, რომელსაც ვარსკვლავის შუქი ვერ სწვდება, მთაგორიანია და ტემპერატურა აქ მინუს 200 გრადუსს უტოლდება.

# ხვრელები სამყაროში



რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიული ობსერვატორიის თანამშრომლის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სერგეი კრასნოვის აზრით, „დროსა და სივრცეში გადასაადგილებელი ხვრელის ტიპური მაგალითია ე. წ. თხუნელას სორო.“ მეცნიერის თქმით, ეს ობიექტი ერთმანეთთან აკავშირებს ქაღალდის ფურცელივით გაკეცილი სივრცის ორ მხარეს. თუ ამ გაკეცილ ფურცელს გავხვრეტთ და ცილინდრივით დახვეულ სივრცეს ამ ხვრელში გავატარებთ, ამ ცილინდრის გავლით სწრაფად მოვხვდებით ერთი „გვერდიდან“ მეორეზე. მიჩნეულია, რომ ასეთი ობიექტები სამყაროს წარმოშობისას გაჩნდა, როცა სივრცე ლოკალურად ძალიან იყო გამრუდებული. არაა გამორიცხული, რომ ზოგიერთი „სორო“ დღემდეა შემორჩენილი. ამ სოროში ჩაძრომისა (თეორიულად მაინც) და ამოძრომის შედეგად, სამყაროს მეორე მხარეს აღმოვჩნდებით.

# არსებობს თუ არა დროის პორტალი

ფანტასტები ამ ხვრელს (სოროს) პორტალს უწოდებენ, თუმცა არავინ იცის, საით მივყავართ პორტალს ან როგორ დავბრუნდეთ უკან.

უფრო მეტიც, უცნობია პასუხი კითხვაზე: „როდის?“ რადგან, თუ ხვრელის ერთ მხარეს არსებული ყელი მოძრაობს, მის მიერ შეწებებული სივრცის წერტილებს შეუძლიათ, დროის სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძინონ. ასეთ შემთხვევაში უკვე საქმე გვაქვს დროის მანქანასთან.

დავუშვათ, რომ არსებობს ძალიან განვითარებული ცივილიზაცია. უდიდესი ტექნიკური შესაძლებლობების პირობებში მას შეუძლია, გამოიყენოს ის გარემოება, რომ ვაკუუმში ერთგვარი კვანტური ქაფი დუღს, რომელშიც გამუდმებით წარმოიქმნება სივრცის მრავალფეროვანი ტოპოლოგიური კონფიგურაცია. თუ ამ ქაფში ვიპოვით ფრაგმენტს, რომელიც სტრუქტურით „თხუნელის სოროს“ ჰგავს და მაკროსკოპულ ზომებამდე გავზრდით, ანუ სივრცისა და დროის შესაბამის მონაკვეთს გავწელავთ, დროსა და სივრცეში გადაადგილების ამოცანა გადაიჭრება...



# რატომ ფართოვდება სამყარო?

**მსოფლიო მეცნიერება ნამდვილი რევოლუციის ზღურბლზე აღმოჩნდა, როცა ამერიკელმა ასტროფიზიკოსმა რეიჩელ ბინმა ალბერტ აინშტაინის ფარდობითობის ზოგადი თეორიის საკვანძო დებულება სამყაროს სივრცულ-დროული მოდელის შესახებ ეჭვქვეშ დააყენა.**

ცნობილია, რომ შორეულ ვარსკვლავთა და გალაქტიკათა სინათლე სამყაროში მასიური კოსმოსური ობიექტების გრავიტაციული ველების ზეგავლენას განიცდის — სინათლის მოძრაობის ტრაექტორია გრავიტაციის გავლენით მრუდდება. ამგვარად, ამ ვარსკვლავების გამოსახულება დედამიწამდე თითქოსდა ლინზაში არეკლილი, დამახინჯებული სახით აღწევს.

რეიჩელ ბინის კვლევები სწორედ ასეთი ლინზების მოქმედებათა შესწავლას ემყარება.

აინშტაინის თეორიის თანახმად, გრავიტაციის მოქმედება კოსმოსური ობიექტების მასათა ზეგავლენით გამრუდებული სივრცითა და დროით იხსნება. ამასთან, ფარდობითობის თეორიის ზოგადი თეორიის მიხედვით, დროის მრუდის კოეფიციენტი სივრცის მრუდის კოეფიციენტის ტოლია.

ამავე დროს, ულტრათანამედროვე ტელესკოპების მეშვეობით გალაქტიკაზე დაკვირვების შედეგად რეიჩელ ბინმა აღმოაჩინა მოვლენა, რომელიც ამ წესს ეწინააღმდეგება. მან დაადგინა, რომ 8-11 მლრდ წლის წინათ დროის მრუდის კოეფიციენტი სამჯერ უფრო დიდი იყო სივრცის გამრუდების კოეფიციენტზე.

ექსპერტები ჯერჯერობით ვერ ხსნიან, რამ გამოიწვია ეს ანომალია და შესაძლებელია თუ არა ამ მონაცემთა შეჯერება აინშტაინის თეორიასთან ახალი ჰიპოთეზების საფუძველზე.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, კანონზომიერების რღვევა შესაძლოა, 1998 წელს აღმოჩენილი შავი ენერგიით იყოს გამოწვეული. თანამედროვე წარმოდგენების თანახმად, ეს სუბსტანცია მიზიდულობის ძალას ეწინააღმდეგება და აიძულებს სამყაროს, გაფართოვდეს.

სხვათაშორის, აინშტაინმა თავის დროზე იწინასწარმეტყველა ისეთი ძალის არსებობა, რომელიც სამყაროს შეკუმშვის საშუალებას არ აძლევს.

მეცნიერულ სამყაროში დღემდე მიიჩნეოდა, რომ შავმა ენერგიამ დომინირება დაიწყო 5-6 მლრდ წლის წინათ, თუმცა, ახლახან მიღებული მონაცემებით, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მან სამყაროზე ზემოქმედება უფრო ადრეულ ეტაპზე დაიწყო.



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სინათლის სიჩქარეზე სწრაფი





**გერმანელმა მეცნიერებმა გაუნტერ ნიმცმა და ალფონს შტალჰოფენმა განაცხადეს, რომ ობიექტი სინათლის სიჩქარეზე სწრაფად გადააადგილეს. კობლენცის უნივერსიტეტის ფიზიკოსების თქმით, პრაქტიკული ცდების მეშვეობით შესაძლებელი გახდა დროითი სივრცის არსებული თეორიის უგულებელყოფა.**

არადა, ალბერტ აინშტაინის ფარდობითობის თეორიის თანახმად, იმისათვის, რომ ობიექტმა სინათლის სიჩქარით იმოძრაოს, აუცილებელია მისთვის უსასრულო ენერგიეს მინიჭება.

ექსპერიმენტის მიმდინარეობისას მკვლევარებმა შეძლეს, მყისიერად გაეფანტათ სინათლის მიკროტალღოვანი ფოტონები სამი ფუტით დაცილებულ პრიზმებს შორის. გერმანელ მეცნიერთა თქმით, ფოტონის სიჩქარემ არსებულ მაქსიმალურ ნიშნულს, ანუ სინათლის სიჩქარეს (299.792.458 მ/წმ) გადააჭარბა. ახლა მეცნიერები სხვადასხვა სფეროში ამ მიღწევის გამოყენებაზე მსჯელობენ. ახლახან ბეილორის უნივერსიტეტის ასტროფიზიკოსებმა საჯაროდ წარმოადგინეს ჰიპერსივრცული გამტარის მათემატიკური მოდელი, რაც, სავარაუდოდ, კოსმოსის სივრცეებში სინათლის სიჩქარეზე სწრაფად გადაადგილების საშუალებას მოგვცემს. ასე რომ, მომავალში მეზობელ გალაქტიკებში მოგზაურობას სულ რამდენიმე საათი დასჭირდება...

# ხელოვნური მოგონებები







**ოქსფორდისა და ვირჯინიის შტატის უნივერსიტეტთა მკვლევარები ხელოვნური მოგონებების ტექნოლოგიას ქმნიან და ამ გზით ტვინის მუშაობის გაკონტროლებას ცდილობენ.**

ჯერჯერობით მეცნიერები მწერების მეხსიერებაში გამოგონილი მოგონებების ჩანერგვაზე მუშაობენ, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ მოკლე ხანში ამ ტექნოლოგიებს უფრო რთული ორგანიზმებისთვისაც გამოიყენებენ.

ოპტოგენეტიკის (როგორც თავად მეცნიერებმა უწოდეს) ტექნოლოგიის დახმარებით შესაძლებელი გახდა ბუზების ტვინის რუკის შექმნა. ფრენაზე პასუხისმგებელი ტვინის ნაწილის სტიმულირებით, მეცნიერებმა აიძულეს მწერი, დაევიწყებინა, რომ ფრთების ქნევა შეუძლია. ამ მეთოდიკით შესაძლებელია მწერის ორგანიზმის იმგვარად დაპროგრამება, რომ მან სხვა ინფორმაცია მიიღოს. მაგალითად, ამა თუ იმ სუნის აღქმის უუნარო გახდეს.

ამრიგად, სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ ხელოვნური მოგონებების ჩაწერის ტექნიკა ტვინის რუკის შექმნისას იმუშავებს, თუმცა ამ ტექნიკის ადამიანზე გამოყენება საკმაოდ რთული იქნება.

# ასტეროიდი ინდოეთის ოკეანეში



**თანამედროვე ინდოეთის სანაპიროებზე მდებარე უზარმაზარი იდუმალი აუზი, შესაძლოა, ჩვენი პლანეტის ისტორიაში ყველაზე დიდ კრატერს წარმოადგენდეს, რომელიც დედამიწასთან უზარმაზარი ასტეროიდის შეჯახების შედეგად წარმოიქმნა.**

ტეხასის უნივერსიტეტის მეცნიერთა თქმით, ეს კრატერი დაახლოებით 65 მლნ წლისაა და სწორედ მან, და არა იუკატანის ნახევარკუნძულზე მდებარე კრატერმა, გამოიწვია პლანეტაზე კლიმატის სერიოზული ცვლილებები და დინოზავრთა გადაშენება.

ინდოეთის ოკეანეში მდებარე ეს აუზი 300 მ სიღრმისა და რამდენიმე ასეული კმ სიგანისაა. ასეთი კრატერი მხოლოდ 40 კმ-იანი დიამეტრის ობიექტთან ჩვენი პლანეტის შეჯახებით შეიძლებოდა წარმოქმნილიყო.

თუმცა დღემდე მიაჩნდათ, რომ კლიმატის შეცვლა თანამედროვე მექსიკის ტერიტორიაზე ასტეროიდის ჩამოვარდნამ გამოიწვია. აქ, ისევე, როგორც ინდოეთის ოკეანეში, არსებობს კრატერი, რომელიც 65 მლნ წლისაა. აქაც, მეცნიერთა აზრით, მოხდა შეჯახება კოსმოსურ სხეულთან, რომლის დიამეტრი 40 კმ-ზე ნაკლები არ ყოფილა.

უფრო ზუსტი ანალიზით დამტკიცდა, რომ ინდოეთის ოკეანის ფსკერზე არსებული კრატერი თითქმის 300.000 წლით ძველია იუკატანის კრატერზე. მკვლევარები ირწმუნებიან, რომ ასტეროიდის ჩამოვარდნა ინდოეთში ყველა შემთხვევაში გლობალურ კატაკლიზმებს გამოიწვევდა. ამჟამად შივას აუზს აქტიურად იკვლევენ. აქ ნავთობის, გაზისა და მინერალური რესურსების მოპოვებას აწარმოებენ.

# გვირაბი მთვარეზე



მეცნიერებმა იაპონური ზონდის — „კაგუას“ მეშვეობით მთვარის ზედაპირზე დიდი მღვიმე აღმოაჩინეს, რომელიც მის სიღრმეში მდებარე გვირაბს უკავშირდება. ხსენებული მღვიმე მარიუსის ბორცვის ვულკანური პლატოს მახლობლად მდებარეობს. 65-მეტრიანი ქვაბული დედამიწის თანამგზავრზე დაახლოებით 80 კმ-ით ღრმავდება. ასტრონომების აზრით, აქ ის წარსულში ვულკანური აქტივობის შედეგად წარმოქმნილ ერთ-ერთ გვირაბს უერთდება. მეცნიერთა აზრით, ამ გვირაბების შიგნით ლავა გაშრა და წარმოიშვა ქვაბულები, რომლებსაც მთვარის ახალმოსახლეთა შეფარება შეუძლია. მართალია, ამჟამად ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებით, მთვარის ბაზების ბედი გაურკვეველია, მაგრამ დედამიწის თანამგზავრზე ამასწინათ აღმოჩენილი წყლის წყალობით, კვლევების ჩატარების შანსმა იმატა.

## ქრონოგრაფი

# რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 28 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე?

## 1 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**ცოდვაა იმაზე ლაპარაკი, რაზეც დუმილი ჯობს.**
**ოვიდიუს პუბლიუს ნაზონი**

**1210 წელს** ინგლისში მეფე იაკობის ბრძანებით ებრაელთა დაპატიმრებები დაიწყო.
**1512 წელს** დამთვალიერებლებმა პირველად იხილეს მიქელანჯელოს მიერ შესრულებული სიქსტის კაპელა.
**1578 წელს** დაიბადა სარდალი, ბოიარი, სახალხო გმირი, პოლონელ ინტერვენტებთან ბრძოლის სულისჩამდგმელი, თავადი დიმიტრი პოჟარსკი.
**1604 წელს** ლონდონში, უაითჰოლის თეატრში შექსპირის ტრაგედიის — „ოტელოს“ პრემიერა შედგა.
**1727 წელს** დაიდო კიახტინის ხელშეკრულება რუსეთსა და ჩინეთს შორის საზღვრის დაწესების შესახებ.
**1762 წელს** ეკატერინე II-მ აკრძალა ახალი მანუფაქტურების მშენებლობა მოსკოვსა და პეტერბურგში (რუსეთის ისტორიაში პირველად ასე იზრუნეს გარემოს დაცვაზე.
**1800 წელს** ჯონ ადამსი აშშ პირველი პრეზიდენტი გახდა, რომელიც თეთრ სახლში დასახლდა.
**1892 წელს** დაიბადა მოჭადრაკე ალექსანდრე ალიოხინი.
**1922 წელს** არსებობა შეწყვიტა ოტომანების იმპერიამ.
**1941 წელს** ნიაგარას ჩანჩქერზე კანადასა და აშშ-ს შორის ცისარტყელას ხიდი გაიხსნა.

## 2 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**უდიდესი უბედურებაა იმ ადამიანების დახმარებას საჭიროებდე, რომლებიც ზიზღს იმსახურებენ.**
**კეი-კავუსი**

**ჩვ.წ.აღ.-მდე 69 წელს** დაიბადა ეგვიპტის ლეგენდარული დედოფალი კლეოპატრა.
**1721 წელს** პეტრე პირველმა რუსეთის იმპერატორის ტიტული მიიღო.
**1755 წელს** დაიბადა საფრანგეთის დედოფალი მარია ანტუანეტა.
**1889 წელს** ჩრდილოეთ და სამხრეთ დაკოტა აშშ-ის შემადგენლობაში შევიდა.
**1894 წელს** რუსეთის იმპერიის ტახტზე ნიკოლოზ მეორე ავიდა.
**1914 წელს** რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს.
**1917 წელს** ბრიტანეთმა გამოაცხადა ბალფურის დეკლარაცია პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნის შესახებ.
**1926 წელს** 18 წლის ანტიფაშისტმა ბენიტო მუსოლინიზე წარუმატებელი თავდასხმა განახორციელა, რის შემდეგაც რომის პაპმა განაცხადა, რომ მუსოლინის თავად ღმერთი იფარავდა.
**1947 წელს** „პრავდამ“ პირველად გამოიყენა ლოზუნგი: „წინ, კომუნიზმისაკენ!“
**1976 წელს** მოკლეს კინორეჟისორი პიერ პაოლო პაზოლინი.
**1988 წელს** პენტაგონის ქსელში ვირუსი გაუშვეს.
**2001 წელს** შევარდნაძემ საქართველოს მთავრობა გადააყენა.

## 3 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**უსაქმურობა და ხეირი — ასეთი იდეალები აქვს ჩვენში ყველას, პატარა ბიჭით დაწყებული, სახელმწიფო მოღვაწით დამთავრებული.**
**ბენჯამინ დიზრაელი**

**1493 წელს** კოლუმბმა დომინიკა აღმოაჩინა.
**1500 წელს** დაიბადა ფლორენციელი მოქანდაკე და იუველირი ბენვენუტო ჩელინი.
**1762 წელს** საფრანგეთმა საიდუმლო შეთანხმებით ესპანეთს ლუიზიანა გადასცა.
**1783 წელს** ქალაქი ანაპოლისი აშშ დედაქალაქად იქცა.
**1867 წელს** მენტანასთან ბრძოლისას პაპისა და საფრანგეთის ჯარებმა ჯუზეპე გარიბალდის არმია დაამარცხეს.
**1871 წელს** ცენტრალურ აფრიკაში დ. ლივინგსტონის დაკარგული ექსპედიცია აღმოაჩინეს.
**1887 წელს** დაიბადა სახელგანთქმული რუსი პოეტი და მთარგმნელი სამუილ მარშაკი.
**1957 წელს** სსრ კავშირმა კოსმოსში პირველი ცოცხალი არსებები — ძაღლები — ბელკა და სტრელკა გაუშვა:
**1903 წელს** ფიზიოლოგმა ვ. ეინთჰოვენმა მის მიერ ელექტროკარდიოგრაფის გამოგონების შესახებ განაცხადა.
**1918 წელს** უნგრეთი ავსტრიას გამოეყო.
**1927 წელს** ნიუ იორკში, მდინარე ჰუძონის ქვეშ გაიხსნა მსოფლიოში პირველი წყალქვეშა გვირაბი ტრანსპორტისათვის.
**1941 წელს** ფაშისტებმა კურსკი აიღეს.
**1992 წელს** ბილ კლინტონი აშშ პრეზიდენტი გახდა.
**2003 წელს** შოტლანდიელთა ლეგენდა რობ-როი ინგლისელი ჯაშუში აღმოჩნდა.

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რა ღირს ვაზარის არქივი?

**აღორძინების ხანის იტალიელი ფერმწერის ჯორჯო ვაზარის არქივი მსხვილმა რუსულმა კომპანიამ 150 მილიონ ევროდ შეიძინა. ვაზარის მიმოწერა ჰქონდა რომის პაპებთან და პირადად იცნობდა მიქელანჯელოს.**



გარიგების თანახმად, არქივი, რომელიც იტალიის ეროვნულ ფასეულობად ითვლება და ქალაქ არეცოს განსაკუთრებული სიამაყეა, ახლა ქვეყნის საზღვრებს დატოვებს. იტალიელები აღშფოთებულნი არიან, თვლიან, რომ გარიგების დროს გარკვეულ დარღვევებს ჰქონდა ადგილი და ყველაფრის გადახედვისთვის იბრძვიან. ვაზარის სიკვდილის შემდეგ მისი სახლი მისსავე მემკვიდრეებს ერგოთ და ამ დრომდეა შემონახული ნახატები, დოკუმენტები, ვაზარის ავტოგრაფები უმნიშვნელოვანეს წერილებთან ერთად. სახელმწიფომ 1911 წელს ვაზარის სახლის საკუთარ მფლობელობაში დაკანონებას მიაღწია, მაგრამ მისი არქივი კვლავაც იმდროინდელი მესაკუთრეების მფლობელობაში დარჩა. სამაგიეროდ, ფასეულობათა ინსპექციამ ორი პირობის მიღწევა მაინც შეძლო: პირველის თანახმად, არქივის შეძენის უპირატესი უფლება იტალიის სახელმწიფო ინსტიტუტებს ენიჭებათ, მეორის მიხედვით კი, ამ არქივმა არ უნდა დატოვოს ქვეყნის ტერიტორია. მიუხედავად ამ გარიგებისა, რამდენიმე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ არქივის უკანასკნელმა მეპატრონემ, ახლახან გარდაცვლილმა ჯოვანი ფესტარიმ არქივი 150 მილიონ ევროდ უცნობ რუსულ კომპანიას მიჰყიდა. კანონის თანახმად, ტოსკანის არქივების დირექციამ ქონების სხვის მფლობელობაში გადასვლის თაობაზე არეცოს საქალაქო საბჭოს აცნობა. არეცოს მერმა ჟუზეპე ფანფანიმ, თავის მხრივ, სახელმწიფოს არქივის გამოსყიდვის თხოვნით მიმართა, რათა დოკუმენტები ქვეყნიდან არ გავიდეს. ჯერჯერობით უცნობია, რა ბედი ეწევა ვაზარის მემკვიდრეობას.



# რატომ ვერ მიაგნო თვითმფრინავმა აეროპორტს?

**კომპანია „Northwest Airlines“-ის კუთვნილი აერობუსი „A320“ სან-დიეგოდან მინეაპოლისში მიფრინავდა, მაგრამ აეროპორტს თავზე გადაუფრინა და დაჯდომის ნაცვლად მშვიდად განაგრძო ფრენა. ადგილობრივი დროით 19.00 საათზე მფრინავებთან კავშირი დაიკარგა, ლაინერის ეკიპაჟთან დაკავშირება მხოლოდ საათნახევრის შემდეგ შეძლეს, მაგრამ იმ დროისათვის თვითმფრინავი უკვე 241 კილომეტრით იყო გაშორებული აეროპორტს.**



ამ მოგზაურობის შემდეგ თვითმფრინავი 180 გრადუსით შემობრუნდა, მან 241 კილომეტრი ახლა საპირისპირო მიმართულებით იფრინა და როგორც იქნა, მშვიდობით დაეშვა მინეაპოლისის აეროპორტში. ლაინერის მგზავრთაგან არავინ დაზარალებულა.

სინამდვილეში რა იყო ამ გასეირნების მიზეზი, ჯერჯერობით არ დადგენილა, მაგრამ, როგორც თავად ეკიპაჟის წევრები ამბობენ, ისინი ავიაკომპანიაში შექმნილ სიტუაციებზე კამათს იმდენად შეჰყვნენ, რომ აეროპორტი, უბრალოდ, ვერ შენიშნეს.

სხვა ვერსიებით, პილოტები გაუთავებელი შორეული ფრენისა და უძილობისაგან უკიდურესად გადაღლილნი არიან, მაგრამ ფრენის დროს ჩაძინების ვერსია ჯერჯერობით მაინც არ განიხილება.

აღნიშნული რეისის პილოტები სამსახურებრივ მოვალეობას დროებით ჩამოაცილეს. ახლა სიტუაციის გარკვევისათვის მთავარია, რა დააფიქსირეს თვითჩამწერებმა, რომლებიც თვითმფრინავებშია დამონტაჟებული.

ახლახან სამოქალაქო ავიაციის ფედერალურმა სამმართველომ დაიწყო იმ ნორმატივების გადახედვა, რომლებიც პილოტთა სამუშაო დღის მაქსიმალურ ხანგრძლივობას ადგენს.

სხვათაშორის, ამერიკის სამოქალაქო ავიაციის ისტორიაში ფრენისას პილოტების ჩაძინების ფაქტები სხვა დროსაც დაფიქსირებულა. მაგალითად, 2008 წლის იანვარში ჰავაიდან აფრენილი თვითმფრინავის მფრინავებს 18 წუთის განმავლობაში ეძინათ და დანიშნულების ადგილას აეროპორტს გვერდით ჩაუქროლეს. მაშინ პილოტების გაღვიძება დროულად მოხერხდა და თვითმფრინავი დაგვიანებით, მაგრამ მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე.



# ვინ ამზადებს მოტორიან სავარძლებს?

**მინესოტაში 62 წლის ამერიკელი დენის ანდერსონი საგზაო პოლიციამ მოტორიანი სავარძლის ნასვამ მდგომარეობაში მართვისათვის დააკავა. დამნაშავემ დანაშაული აღიარა.**

სასამართლომ მას ორი ათასი დოლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა და 180 დღით პატიმრობა მიუსაჯა. მოგვიანებით, გაითვალისწინა რა დამნაშავის გულწრფელი აღიარების ფაქტი, სასამართლოს გული მოულბა და ანდერსონიც პატიმრობას გადაურჩა. ჯარიმაც გაუნახევრეს, ოღონდ, ერთი პირობით — ორი წლის განმავლობაში რეგულარულად უნდა გამოცხადდეს პოლიციის განყოფილებაში და ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე შემოწმებები ჩაიტაროს. ანდერსონმა ეს მოტორიანი სავარძელი თავად დაამზადა. აიღო ჩვეულებრივი სავარძელი და ზედ გაზონების გასაკაფი მანქანის მოტორი მიამაგრა, შემდეგ სიჩქარეების გადამრთველიც დაამონტაჟა და საჭეც. შემდეგ უკვე საკუთარი ტრანსპორტის კეთილმოწყობაზე იზრუნა — სტერეოსისტემაც მოიწყო და სასმელების ბარიც.

# ვინ იფრენს მთელი ცხოვრება უფასოდ?

**ავიაკომპანია „AirAsia“-ს კუთვნილი თვითმფრინავის ბორტზე დაბადებულმა ბავშვმა დაბადებისთანავე მიიღო უფლება, მთელი სიცოცხლის მანძილზე უფასოდ იფრინოს ამ ავიაკომპანიის კუთვნილი ლაინერებით.**

თვითმფრინავის 31 წლის მგზავრმა, რომელიც პენანგიდან კუჩინგში (მალაიზია) მიფრინავდა, ამ ფრენის დროს თვითმფრინავში, კუალალუმპურის თავზე, დედამიწიდან დაახლოებით 610 მეტრის სიმაღლეზე იმშობიარა.

მგზავრებს შორის ერთ-ერთი ექიმი აღმოჩნდა და თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრების დახმარებით სწორედ მან მიიღო მშობიარობა. ყველაფერმა გართულებების გარეშე ჩაიარა. დედამიწაზე დაშვებისთანავე დედა-შვილი უახლოეს საავადმყოფოში მიიყვანეს.

ავიაკომპანიის დირექტორები იმდენად აღფრთოვანდნენ მომხდარით, რომ ჩვილსაც და მის დედასაც მთელი სიცოცხლის მანძილზე უფასოდ ფრენის უფლება „აჩუქეს“. აღნიშნული ავიაკომპანიის ისტორიაში მსგავსი რამ პირველად მოხდა, თუმცა, ზოგადად, ავიაციისათვის ამგვარი ფაქტები უცხო არ არის. მაგალითად, 2005 წელს კუვეიტის ავიაკომპანია „Al-Jazeera“-ს კუთვნილი თვითმფრინავის ბორტზე გოგონა დაიბადა და მან საჩუქრად 18 წლის ასაკამდე ამ ავიაკომპანიით უფასოდ ფრენის უფლება მიიღო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს საჩუქრები თვითმფრინავში მშობიარობის წასახალისებლად არ დაწესებულა. მსგავსი შემთხვევები საკმაოდ სახიფათოა, ვინაიდან თვითმფრინავში, ცხადია, მშობიარობის გართულების შემთხვევაში დედის ან ბავშვის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე სათანადო ზრუნვის რაიმე პირობები არ არსებობს. სწორედ ამის გამო მთელი რიგი ავიაკომპანიები მკაცრად ზღუდავენ ორსულთა მგზავრობას. ზოგიერთ მათგანს ფრენისათვის დასაშვებ ზღვრად 36 კვირამდე ორსულობა აქვს დაწესებული, ზოგიერთს — 34 კვირამდე და ისიც — მხოლოდ ექიმის თანხლებით.



**ცნობისათვის:** ბავშვებს, რომლებიც საერთაშორისო ავიარეისების დროს თვითმფრინავში დაიბადნენ, უფლება აქვთ, მოითხოვონ იმ ქვეყნის მოქალაქეობა, სადაც უნდა დაეშვას აღნიშნული თვითმფრინავი.

# ვინ დამალა თვითმფრინავი?

**ესპანურ ქალაქ მურსიაში დაკარგული მობილურის ძებნისას ლამის მთელი თვითმფრინავი დაშალეს.**



როდესაც ბრიტანული ავიაკომპანია „Jet2“-ის თვითმფრინავი ნიუკასლიდან მურსიაში ჩაფრინდა, რეისის ერთ-ერთმა მგზავრმა აეროპორტის თანამშრომლებს უთხრა, რომ დაშვებისთანავე ჩართო მობილური ტელეფონი, მაგრამ ამის შემდეგ ის ხელიდან გაუვარდა და ვეღარსად იპოვა.

ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ჩართული მობილური ტელეფონით თვითმფრინავი ბრიტანეთში ვერ გადაფრინდებოდა, ვინაიდან ეს საკმაოდ სახიფათოა. ამიტომ მგზავრებს მოსაცდელ დარბაზში ალოდინეს, ვიდრე მუშებმა თვითმფრინავის კაბინა და სამგზავრო სავარძლების სამი რიგი მთლიანად არ დაშალეს. მობილურ ტელეფონს თვითმფრინავის ვენტილაციაში მიაგნეს. ამ ინციდენტის გამო რეისმა სამი საათით დაიგვიანა.

# ვინ ისვენება დაპატიმრებას?



**რამდენიმე დღის წინათ სიცილიელი 30 წლის მამაკაცი სანტო გამბინო პოლიციის განყოფილებაში მივიდა და სამართალდამცველებს სთხოვა, დამაპატიმრეთო. პოლიციამ მის ამ თხოვნას უარით უპასუხა.**

გამბინოს ადრე შიდა პატიმრობა მიესაჯა ფიკარაცის რაიონის ტოქსიკური ნარჩენებით დაბინძურებისათვის. სანტოს განცხადებით, მას არ შეუძლია სახლში დარჩენა, ვინაიდან ცოლი გამუდმებით სკანდალებს უწყობს და მოსვენებას არ აძლევს. ამ უკანასკნელის აზრით, ქმარი მას ორი შვილის შენახვისათვის ძალიან ცოტა ფულს უხდიდა.



საწყალ სიცილიელს პოლიციამ საყვედური გაუშანშალა შიდა პატიმრობის დარღვევისათვის და შინ დაბრუნება უბრძანა.

# რა უნდა პრემიერს ბორდიურზე ტრაქტორით?

**სომხეთის მთავრობის მეთაური ტიგრან სარქსიანი ტრაქტორით მშვენივრად დადის, მაგრამ ეს მაშინ, როცა სწორ გზაზეა საუბარი, მოსახვევებში კი ყველაფერი საგრძნობლად რთულდება.**



ერევანში გამოფენა „Panarmenian Expo-2009“-ის გახსნისას პრემიერმა გადაწყვიტა, პირადად შეემოწმებინა სომეხი და ბელარუსი სპეციალისტების მიერ შექმნილი ტრაქტორის ხარისხი, მაგრამ მოსახვევში მანძილი ზუსტად ვერ გათვალა და მეტალის კიდეს შეეჯახა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, არც თავად პრემიერი, რომელმაც ტრაქტორი კი შეამოწმა, მაგრამ გზის სივიწროვის გამო მის მართვას ბოლომდე ვერ გაართვა თავი. აღნიშნულ გამოფენაზე 160 კომპანია მონაწილეობს, ამასთან, წარმოდგენილი პროდუქციის 90 პროცენტი თავად სომხეთის მიერ იწარმოება. ღონისძიებას ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატა მართავს.

# სად აპატიმრებენ სიშიშვლისთვის?

**პოლიციამ ვირჯინიის შტატში მცხოვრები 29 წლის ერიკ უილიამსონი მას შემდეგ შეიპყრო, რაც შემთხვევითმა გამვლელებმა ის საკუთარი სახლის ფანჯარაში შემთხვევით შიშველი შენიშნეს და ამის შესახებ მაშინვე სამართალდამცველებს აცნობეს.**

უილიამსონს ათასგვარი ახსნა-განმარტება დასჭირდა თავისმართლებისათვის და, როგორც მისი სიტყვებიდან გაირკვა, გაიღვიძა თუ არა დილის ექვსის ნახევარზე, სამზარეულოსაკენ გაემართა ყავის მოსადუღებლად. სწორედ ამ დროს მის ფანჯრებთან ქალმა და მისმა შვიდი წლის შვილმა ჩაიარეს. პოლიციასაც მათ აცნობეს. პოლიცია დაკავებულის ვერსიას არ იზიარებს და თვლის, რომ უილიამსონი სპეციალურად ახდენდა საკუთარი სიშიშვლის დემონსტრირებას. თუ ეს დამტკიცდა, ამერიკელ ახალგაზრდას ერთწლიანი პატიმრობა და 2 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმა არ ასცდება. უილიამსონს თავად ხუთი წლის შვილი ჰყავს და აღშფოთებულია პოლიციის ვერსიის გამო, რომლის მიხედვითაც, იგი შვილისტოლ ბავშვს საგანგებოდ ეჩვენა შიშველი.



# ვის უღიმის მონა ლიზა?

**ესპანელმა სპეციალისტებმა ლეონარდო და ვინჩის ცნობილი შედევრი ახლებურად შეამოწმეს და უპასუხეს კითხვას, რომელიც კაცობრიობას მონა ლიზას შექმნის დღიდან აწუხებს — ბედნიერია ჯოკონდა თუ მოწყენილი, ან, იქნებ, სულაც არ იღიმის?**



ამ მრავალსაუკუნოვანი საიდუმლოს გახსნას მრავალჯერ ეცადნენ და, როგორც იქნა, ექსპერტებმა საბოლოოდ დაადგინეს, რომ მონა ლიზას ხასიათზე არაერთგვარ წარმოდგენას ჩვენი თვალის ბადურის სპეციფიური მუშაობა ქმნის. როგორც გაირკვა, ეს უჯრედები მონა ლიზას ღიმილის თაობაზე თავის ტვინში შერეულ სიგნალს გზავნის, ანუ სხვადასხვა უჯრედი სხვადასხვა კატეგორიის ინფორმაციას სხვადასხვა „არხს" გადასცემს. ეს „არხები" ობიექტის ზომების, გარჩევადობის, სიმკვეთრისა და ხედვის არეში მისი მდებარეობის კოდირებას ახდენს. როდესაც ერთი არხი დომინირებს მეორეზე, ჯოკონდა იღიმის, მაგრამ როდესაც ინფორმაციის სხვა არხები, მაგალითად, გამოსახულების სიმკრთალე ან გაცვეთილობა იწევს წინა პლანზე, მისი ღიმილი ჩვენი თვალისთვის უხილავი ხდება.

ეს დასკვნა ექსპერტებმა ექსპერიმენტების მთელი სერიის შემდეგ გააკეთეს. მათ რამდენიმე რიგად განლაგებულ მოხალისეებს სთხოვეს, შედევრის სხვადასხვა ზომისა და მდებარეობის ასლებისათვის სხვადასხვა რაკურსითა და დაშორებით შეეხედათ. გაირკვა, რომ მონა ლიზაზე შორიდან ყურებისას ცდის ობიექტები ვერაფრით შეთანხმდნენ მის ღიმილთან დაკავშირებულ საერთო პოზიციაზე. ახლოდან დანახვისას ისინი მალე ასკვნიდნენ, რომ ჯოკონდა იღიმის. სწორედ ამ ცდის წყალობით დაადგინეს მეცნიერებმა, თვალის რომელი უჯრედები აღიქვამს მის გამომეტყველებას ღიმილად.

მეორე ექსპერიმენტის დროს კომპიუტერული პროგრამის დახმარებით დადგინდა, ნახატის რომელ ადგილს უყურებს ადამიანი პირველად. ეს მისი ტუჩის მარცხენა კუთხე აღმოჩნდა.

ორივე ექსპერიმენტის შედეგი თანხვედრია: ყველაფერი დანახულიდან მონა ლიზას მარცხენა ტუჩის კუთხეში ღიმილის ელფერს „ირჩევენ" თვალის ბადურის ბრმა წერტილისა და კიდევ ის უჯრედები, რომლებიც პერიფერიულ მხედველობაზეა პასუხისმგებელი. ექსპერტები თვლიან, რომ მონა ლიზას დამსხლტომი ღიმილი იმით აიხსნება, რომ ის თითქმის მთლიანად განთავსებულია სინათლის დაბალსიხშირიან დიაპაზონში და თვალის ბადურის მხოლოდ ზემოხსენებული უჯრედებით აღიქმება.

# სად კლავენ ყველაზე ხშირად?

**მექსიკის ქალაქი სიუდად-ჰუარესი „მკვლელობების რაოდენობის მხრივ მსოფლიო დედაქალაქად" აღიარეს. ამ ქალაქში სულ მილიონნახევარი ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ მხოლოდ გასული წლის განმავლობაში იქ ორი ათასამდე ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს.**

ტეხასურ ელ-პასოს საზღვართან ახლომდებარე ამ პატარა ქალაქის მცხოვრებნი მუდმივად შიშში არიან. საქმე ისაა, რომ აქ ტერიტორიისა და გავლენისათვის ორი უმსხვილესი ნარკოკარტელი იბრძვის. მათ გაუთავებელ ჩხუბსა და ხოცვა-ჟლეტას ხშირად აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანებიც ეწირებიან.




ადგილობრივი პოლიციის ინფორმაციით, მხოლოდ გასულ თვეს ქალაქში 195 მკვლელობა მოხდა, მათი დიდი უმრავლესობა, ტრადიციულად, გაუხსნელია. ყოველწლიურად 100 ათასი ადამიანიდან იქ, საშუალოდ, 133-ს კლავენ. ამ მაჩვენებელმა ვენესუელას კარაკასის რეკორდიც მოხსნა.

ადგილობრივ სამართალდამცველთა ინფორმაციით, ამ მსოფლიოს უსაშინლეს ქალაქში მხოლოდ წელს მკვლელობებს შეეწირა 85 ბავშვი, 107 ქალი და პოლიციის 49 ოფიცერი.

საშინელება კი ისაა, რომ იქ მკვლელობის ფორმებიც უსასტიკესია: რამდენიმეს თავი მოაჭრეს, რამდენიმე აკუწეს, ზოგი კი ორ მანქანაზე გამობმული შუაზე გაგლიჯეს.

ქალაქის მერი დღე-დღეზე აპირებს სამართალდამცველთა რიგების კიდევ ათასი კაცით გაზრდას, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორების იმედი დღითი დღე ეკარგება, რადგან ადგილობრივი დამნაშავეები ელ პასოსკენ მიიკვლევენ გზას.

არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის ხელისუფლებაც თავგანწირვით იბრძვის მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

ნარკომოვაჭრეებს ქვეყანაში 54 ათასი პოლიციელი ებრძვის.

# ვინ გაწვრთნის 11 მამაკაცს?

**ინგლისის ქალთა საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი ჰოუპ პაუელი მამაკაცთა საფეხბურთო კლუბ „გრიმსბი თაუნის" მწვრთნელობის კანდიდატი გახდა. თუ პაუელი ამ თანამდებობას მიიღებს, ის პირველი მწვრთნელი ქალი იქნება ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში.**




ინგლისის ლიგის მწვრთნელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის რიჩარდ ბივენას განცხადებით, ქალბატონი პაუელის დანიშვნისათვის რაიმე წინააღმდეგობა არ არსებობს.

შეგახსენებთ, რომ ზემოხსენებული გუნდის მწვრთნელის თანამდებობა 19 ოქტომბრიდან ვაკანტურია. სწორედ ამ დღეს გუნდის უკანასკნელი მწვრთნელი მაიკლ ნიუელი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მისი მუშაობის პერიოდში გუნდმა 13 მატჩიდან მხოლოდ 10 ქულა მოიპოვა და თავის დივიზიონში ბოლოდან მეორე, ანუ თავიდან 23-ე ადგილზეა. 42 წლის პაუელი ქალთა ნაკრებს 1998 წლიდან ხელმძღვანელობს. 2009 წელს მისმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის ფინალამდე მიაღწია, ეს კი ინგლისური ქალთა ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო შედეგია.

# ვის აჯარიმებენ დღეში ათჯერ?

**ალაბამას შტატის ქალაქ ბირმინჰემის მცხოვრებ 38 წლის სკოტ რობერსონს ერთი წლის განმავლობაში ასი საჯარიმო ქვითარი მიუვიდა სახლში.**




საქმე ისაა, რომ მის ავტომანქანას ორიგინალური ნომერი აქვს, რომელიც შვიდჯერ გამეორებული ასო „X"-ის კომბინაციას წარმოადგენს. პოლიციელები კი უნომრო მანქანებისათვის ჯარიმის გამოწერისას სწორედ ამგვარ კომბინაციას იყენებენ. ორიგინალური ნომრების გამოყენება აშშ-ში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა, რობერსონმა იქსები ორი მიზეზით აირჩია: თავისი მეტსახელის „მრბოლელი X" და საყვარელი ციფრ შვიდიანის გამო. სკოტის თქმით, ყველაზე წარუმატებელ დღეებში 10-10 ჯარიმაც მიუღია ერთბაშად. ძირითადად, ჯარიმები გამოწერილია ავტომანქანის უადგილოდ გაჩერებისათვის ქალაქის იმ რაიონებში, სადაც ის საერთოდ არ ყოფილა. მძღოლმა შექმნილი სიტუაციის შესახებ ხელისუფლებას უკვე აცნობა, მაგრამ საჯარიმო ქვითრები მაინც მისდის და მისდის. ბოლოს ამ ქვითრებითა და ხელისუფალთა მდუმარე უმოქმედობით შეწუხებულმა რობერსონმა დასახმარებლად ჟურნალისტებს მიმართა. მისი ისტორიის გახმაურების შემდეგ ყველა ჯარიმა გაუქმდა და ახლა ხელისუფლება უნომრო მანქანების რეგისტრაციისათვის ახალი კომბინაციის მოფიქრებას ცდილობს.

# ვის სჭირდება მარიხუანას დეგუსტატორი?

**ვის და — დენვერის გაზეთ „Westword"-ს. ამ ამერიკულ გამოცემაში მარიხუანას დეგუსტატორის ოფიციალური ვაკანსია გამოცხადდა.**

DENVER Westword



საქმე ისაა, რომ გაზეთს მასალა სჭირდება, დეგუსტატორმა მარიხუანას „დაგემოვნების" შემდეგ მისგან გამოწვეული შეგრძნებები უნდა აღწეროს. მაძიებლისადმი აუცილებელი მოთხოვნაა სამედიცინო დასკვნა, რომლის მიხედვითაც, კოლორადოს შტატის 100 სპეცდისპანსერიდან ერთ-ერთში მარიხუანას შეძენის ნება აქვს დართული. ამგვარ ცნობას ამერიკაში შიდსით ან სიმსივნით დაავადებულებზე გასცემენ. დეგუსტატორის ხელფასის ოდენობა არ სახელდება, ცნობილია მხოლოდ ის, რომ ანაზღაურება სულაც არ იქნება მაღალი. მიუხედავად ამისა, გაზეთის კადრების განყოფილებამ უკვე მიიღო 130-მდე მსურველის განცხადება.

# ვინ გადასდო გრიპი ღორს?

**აშშ სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუწყება, რომ ქვეყანაში ღორის გრიპით პირველი ღორი დაავადდა.**



ვირუსი აღმოაჩნდა ღორს, რომელიც აგვისტოს ბოლოს მინესოტას შტატში გამართულ სასოფლო-სამეურნეო ბაზრობაზე გაიყვანეს. აშშ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ტომ ვილსაკმა სასწრაფოდ დაამშვიდა მოსახლეობა, რომ ვირუსი ცხოველის ხორციდან ადამიანზე არ გადადის და დაავადებული ღორის ხორციც შეუძლიათ მშვიდად მიირთვან. სამინისტროს განცხადებით, ეს დასნებოვნების ფაქტი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გასაყიდად გატანილი ყველა ღორი ვირუსის მატარებელია. დაავადებულ ღორს კი გარეგნულად ავადმყოფობის რაიმე ნიშნები არ ემჩნეოდა. სამინისტროში ეჭვობენ, რომ საცოდავ ღორს ვირუსი ბაზრობაზე გამვლელი 1,8 მილიონი ადამიანიდან ერთ-ერთმა შეჰყარა.

# KEMIX

# ენდი გარსია მაგარ შარშია!..




**გასული კვირის დასაწყისში რუსთაველის პროსპექტი ჰოლივუდის გადასაღებ მოედნად იქცა. ცნობილი ამერიკელი მსახიობის მონაწილეობით დაიწყო ფილმის გადაღება, რომელიც, როგორც ამბობენ, საქართველოს ბიუჯეტიდან ფინანსდება.**

რაც არ უნდა ამტკიცონ ხელისუფლებაში, რომ მომავალი ფილმი წმინდა წყლის კომერციული პროექტია და ხელისუფლება არაფერ შუაშია, ამ ზღაპრების ცოტას თუ სჯერა. რომც დავუშვათ და გამოვრიცხოთ ნაცების ფინანსური მონაწილეობა ამ ფილმში, ხელისუფლების დაინტერესება თუნდაც იქიდან ჩანს, რომ შარშანდელი 12 აგვისტოს სამარცხვინო ტაშფანდურის სცენის რეკონსტრუქციისთვის, ყვითელი ავტობუსებით ათასობით ახალგაზრდა მიუყვანეს ფილმის რეჟისორს რუსთაველზე და, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, მუქთად აყვირეს „მი-შა, მი-შა!“

ენდი გარსია აშკარად შარშია, რადგანაც გარსიას მიშას გარსის მორგება დასჭირდება, ანუ, თუ სიმართლის პრეტენზია აქვთ ფილმის სცენარისტებს, ენდის მოუწევს ჰალსტუხის ღეჭვა და გორში მიწაზე გორაობა, რაც, ალბათ კი არა, ნამდვილად გამორიცხულია, რადგანაც ენდი გარსიამ მისი „გმირივით“ აღვარღვარა რუსთაველზე გლიცერინის ცრემლები და უმალ დატოვა საქართველო ისე, რომ გორის ციხისკენ არც გაუხედავს.

ისე, ჰოლივუდი რომ ოსტატია პროპაგანდისა და ისტორიული ფაქტების გაყალბებისა, ეს ყველას გვინახავს; თუნდაც მათი II მსოფლიო ომის თემაზე გადაღებული ფილმები რად ღირს, სადაც ისეა საქმე წარმოჩენილი, რომ ჰიტლერს ამერიკელებმა მოუგრიხეს კისერი, სტალინი და სსრკ არც კი ყოფილან.

**აქედან გამომდინარე, არ გაუჭირდებათ, რომ კურდღლისგან ლომი, მხდალისგან მამაცი, მიშასგან გმირი გამოიყვანონ, მაგრამ იმ სამარცხვინო კადრებს სად წაუვლენ, რომლებმაც მთელი მსოფლიო მოიარა?**

ამიტომ ენდის ის ურჩევნია, რომ ყალბ პროპაგანდას შეეშვას და საკუთარ იმიჯზე იფიქროს! ბოლოს და ბოლოს, კამოს როლს ხომ არ ასრულებს, რომ ნატურში ქაქი მიირთვას? ერთი ჰალსტუხის გაღეჭვა მოუწევს და გორში ცხვირით მიწის თხრა. ეგ არის და ეგ, თორემ მაგის გლიცერინის ცრემლების არავის სჯერა, რადგანაც მიშას გადამკიდე, დიდი ხანია, ხალხი ნამდვილი ცრემლებით ტირის და მოთქვამს.

**მასხარა გოკა გაბაშვილმა, რუსთაველზე ამერიკელი რეჟისორის ოსტატობით აღფრთოვანებულმა განაცხადა, უყურონ ჩვენმა რეჟისორებმა და ისწავლონ ფილმების გადაღებაო.**

**იმის მეათედი დაფინანსება მისცენ ჩვენს რეჟისორებს, რასაც ამერიკელებს უხდიან და ვის ვისგან ექნება სასწავლო, მაგას მთელი მსოფლიო ნახავდა, მაგრამ შინაურ მღვდელს როდის ჰქონია ჩვენში შენდობა?!**

თავის დროზე რომ თავი წაგვაჭამეს, დავით აღმაშენებელზე ფილმი უნდა გადავიღოთო, როგორც ვიცით, ფინანსების უქონლობის გამო ჩაიშალა ეს საშვილიშვილო ამბავი, **რას იზამ — სრულიად საქართველოს უდიდესი და უსაყვარლესი მეფისთვის ფული არ არის, მაგრამ ნაცების მეფუკისთვის — რამდენიც გინდა. ეს, ისე, მცირე ლირიული გადახვევა.**

ენდი გარსია კი არა ალ პაჩინო-დე ნიროს რომ შეასრულებინონ სააკაშვილ-კეზერაშვილის როლები, ამათ მაინც არაფერი უშველის, რადგანაც, მოსკოვისა არ იყოს, **არც თბილისს სჯერა ცრემლების.**

**მითუმეტეს — ენდი გარსიას სიაფანდი ცრემლებისა!**

**დავით მხეიძე**

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი —
ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



გთავაზობთ უნიკალურ სამედიცინო დახმარებას
მისამართი: კოსტავას ქ. 43.
ტელ. 93-11-45, 99-61-97, 99-54-77

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოღუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net